 დ ო ნ ი  ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე

# „პოლიციელის ასავალ-დასავალი”
## ა ნ ა ტ ო მ ი ა

ქ. თბილისი
2020 წ.

# დ ო ნ ი  ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე


კომპიუტერული მომსახურეობა:  ნინო პეტრიაშვილი

ტექნიკური მომსახურება:  მაია ბოჭორიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ნათია ფანჩულიძე

ფოტო: დონი ფანჩულიძე

რედაქტორი: ზაირა მიქატაძე

დაიბეჭდა სტამბა „სარანგში“

ქ. თბილისი

2020 წ.

# შესავალი

**ᲓᲝᲜᲘ ᲤᲐᲜᲩᲣᲚᲘᲫᲔ**

ერნესტ მილერ ჰემინგუეის აქვს ნათქვამი: - მწერლის აკადემია უბედური ბავშვობააო, რომელმაც სიცოცხლის პერიოდში მძიმე ბავშვობა გადაიტანა, თუ დაუმატებთ ორ ავიაკატასტროფას, ოთხ საავტომობილო ავარიას და ხუთ ომს, მე ამ „აკადემიამ“ ცხოვრებაში ნაწილობრივ ჩამიარა, რამაც მიბიძგა დამეწერა ჩემს მიერ არც ისე იოლად გავლილი დრო, მემუარებით ამესახა...

...სიხარულისათვის ზოგს ცოტა ყოფნის, ზოგს კი ბევრი, ისეთი სიხარულიც არ არსებობს, სულ თან რომ გდევს, მაგრამ არ არსებობის პერიოდში ხომ უნდა შექმნა? მას, ხომ ძალა და ენერგია სჭირდება?, რომელიც ეტაპობრივად შევიძინე „რუტინული შრომით“, რომელიც წილად მხვდა ბავშვობიდანვე, - დღემდე გრძელდება და ვაგრძელებ. მთელი სიცოცხლის მანძილზე კანონმორჩილი ვიყავი და „კანონის სადარაჯოზე დავდექი“. მილიციაში და პოლიციაში მუშაობის პერიოდში გადავყრილვარ ყველაზე დიდ უსიამოვნებას, ყოველთვის ვანეიტრალებდი, სამართლიანიც გამოვდიოდი და სხვებსაც ვეხმარებოდი. . . ბავშვობა ხომ სამყაროა? - ხან ექიმობაზე ოცნებობ, ხან მფრინავი გინდა გამოხვიდე, ხან მეზღვაური, მაგრამ ჩემდამი ჩამოყალიბებულმა სამართლიანობამ და წინმხვედრმა უსამართლობამ წერტილი დაუსვა ჩემს გადაწყვეტილებას, - ჩავდექი წესრიგისა და მართლწესრიგის დაცვის სადარაჯოზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, რომელიც ეტაპობრივად შევისისხლხორცე და არც ისე ცუდი მილიციელი და პოლიციელი გავხდი ადამიანობასა და კაცობასთან ერთად.

სკოლის ასაკში და მის შემდგომ გარკვეული იდეოლოგიის წნეხის ქვეშ მოვყევი, როგორც მე, ასევე ჩემი თაობის ახალგაზრდობა, რომელთა ლოზუნგი იყო: - „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის

შეერთებულ შტატებს!!!“ - დამპალი, მსხვრევადი, ლპობადი, მომაკვდავი კაპიტალიზმი!!!“ - „განვითარებული სოციალიზმი“.

ჯერ კიდევ ბავშვობის პერიოდში, რომელიც შეეხებოდა „განვითარებულ სოციალიზმს“ არ უნდა ჰყოლოდა ერთ ძროხაზე, ერთ ცხვარზე, ერთ ღორზე და რამოდენიმე წვრილფეხა ფრინველზე მეტი, გამოვლენის შემთხვევაში არღვევდი კანონს!!! რაც ისჯებოდა სათანადო წესით, დამთავრებული მათ კონფისკაციამდე. რა მიზეზითაც ჩემი მშობლები და თანასოფლელები იძულებულები იყვნენ ნამატი მსხვილფეხა, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი სამთავრობო სტრუქტურების შემოწმებისას კონსპირაციულად გადაემალათ ახლომდებარე ტყეში. ეს ხომ ერთგვარი კანონი იყო?! რომელსაც უნდა დამორჩილებოდი. 60-იანი წლების იმდროინდელმა ვაი ხელმძღვანელობამ და საკავშირო მთავრობამ ყურადღება დაუთმეს სიმინდის მოსავალს, აღნიშნულმა წამოწყებამ კრახი განიცადა. პურის მოსავალიც შემცირდა, ნაკლები მოვიდა, 6-7 წლის ბავშვები დილის 6-საათიდან ყოველ „ნორმა-პურის“ რიგებში მაღაზიის წინ საათობით ვიდექით, რომელსაც დღეის მდგომარეობით ისეთ უხარისხო პურს პირუტყვსაც არ აჭმევენ. იმდროინდელმა სამთავრობო ხელმძღვანელობამ ნამატი პროდუქტების დაგროვების შიშით „ცალუჯრედიანმა აზროვნებამ“ დაღი დაუსვეს წარმატებულ, მდიდარ სახელმწიფოს შექმნა-განვითარება-ჩამოყალიბებას. . .

მიდიოდა წლები. ბედს შეჩვეულ მშრომელებს დღედაღამ გასწორებული ჰქონდათ, რათა ოჯახები შეენახათ, გამრავლებულიყვნენ და ნორმალური ცხოვრება ენახათ. ერთი კაცის იდეოლოგიის საფუძველმა (1956-1964 წ.წ.), რომელსაც „ნიკიტა ხრუშჩოვით“ მოიხსენიებენ, - დღემდე ვიმკით!!! . . .

...რაც შეეხება ბავშვობის წლებს, - მამის საწარმოო ტრავმის მიღების შემდეგ, რომელმაც ორთავე თვალით მხედველობა დაკარგა და მარცხენა თითების ამპუტაცია დასჭირდა, ექვსი დედმამიშვილიდან ხუთნი სკოლის მოსწავლეები ვიყავით. 16-წლის განმავლობაში უსინათლო, ბრმა მამა, მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა 1980 წლის

25 აგვისტოს, 62 წლის ასაკში. „მამაკაცის ტვირთი“ მის შემდეგ დედამ აიღო თავის თავზე, სოფლელმა საშუალო განათლების მქონე ქალმა ოჯახურ ტრადიციებზე აღზარდა, - ოთხი ქალიშვილი და ორი ვაჟიშვილი, უსინათლო პირველი ჯგუფის ინვალიდი მეუღლესა და ლოგინად ჩავარდნილ დედამთილთან ერთად (დედა - ნინო ბესარიონის ასული სამხარაძე-ფაჩულიძე გარდაიცვალა 2011 წლის 9 აპრილს, 90 წლის ასაკში, სამარადისო დიდება, ხსოვნა და არდავიწყება მას), რომელმაც წინაპრების დატოვებული ოჯახური ტრადიციების სახელოვანი გზა გააგრძელა და აგრძელებს დღემდე. ჩემი რძალი ნანა ისაკაძე, ძმა - მურმანი ფანჩულიძე, ძმისშვილები - მათე და დონი (ჩემი მოსახელე) - ფანჩულიძეები. . .

მიუხედავად 30-იან წლებში თავმოხვეული საშინელი სისტემის „მიწათმოქმედებისა“, რომელიც „კოლმეურნეობის“ სახით მოევლინა საქართველოსა და ქართველ გლეხობას, რომლის შემდეგ არ შეწყვეტილა „ამბოხი საქართველოში“ 1938 წლამდე, მათ მოწინააღმდეგეებს „შავსიელებით“ მოიხსენიებდნენ და მათ რიგებშიც ჩემი ოჯახიც, ბებია - ნატალია გორგაძე-ფანჩულიძე ნაწილობრივ მოჰყვა, რაც სათანადო წინააღმდეგობას უწევდა ე.წ. პრივილეგიებს, მიეღოთ სწავლა-განათლება უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე არ დაენიშნათ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მისი შვილები. აღნიშნულ რეპრესიების  გავლენის მიუხედავად მამის სათანადო გადაწყვეტილებისა დავიტოვეთ და განვაგრძეთ კოლმეურნეობისაგან მომაგრებული ნახევარი ჰექტარი ვაზისა და ერთი ჰექტარი სიმინდის ყანის დამუშავება, პირად მეურნეობასთან ერთად.

როდესაც რაიონის ხელმძღვანელობა კომისიურად ამოწმებდა დამუშავებულ მიწის ნაკვეთს, სოფლის მესვეურებს ჩვენს მონაკვეთში მოჰყავდათ, რაზედაც მამა ამაყობდა, უსინათლო კაცი მორალურად და ზნეობრივად არ ეცემოდა, შრომაში და სწავლაში გვზრდიდა ბავშვებს, ხოლო სიმაღლეში მომატებას, ხუმრობით ხელით გვზომავდა, -  ამით იხანგრძლივებდა ისედაც გატანჯულ წუთისოფელს... სტალინის ეპოქაში და მის შემდგომ გაზრდილი კაცი, მიუხედავად მისი ოჯახის

რეპრესიებისა მუდამ სტალინის ქებაში იყო. შვილებიდანაც მოითხოვდა წესიერებას, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულს, - ცხოვრება გავაგრძელე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ეპოქაში. ბატონ მერაბს, რომელსაც საკუთარი მანქანა არასდროს ღირსებია და არც ჰყავდა, გახუნებული პერანგით დადიოდა. მის გარდაცვალების დროს პანაშვიდზე მისულ ხალხს, გაღებილი იატაკიც პერანგივით გახუნებული ხვდებოდა, მაგრამ მილიონერი და მდიდარი იყო ხალხის სიყვარულით. . .

. . .90-იან წლებში ხუმრობდნენ, - საზოგადოება სამ ნაწილად გაიყო, - „ზვიადისტებად, „შევარდნაძისტებად“ და „სახტად დარჩენილებადო“. ამ გაუგებრობაში მესამე ნაწილში დავრჩი დღემდე გახვეული და ახლაც სახტად ვარ დარჩენილი. 100 პარტიის და ამავე რაოდენობის ფრაქციის შედეგად, ვაშენებთ, - „საქართველოს ფსიქიატრიულ რესპუბლიკას“, რომელიც შევიძინეთ 90-იანი წლებიდან.

ე.წ. „კომუნისტებს“ მრავალი დადებითი და უარყოფითი გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ ის დადებითი მხარე უნდა დაგვეტოვებინა და გაგვეთვალისწინებინა, რადგან საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ნიშნავდნენ ეტაპობრივად აღზრდილ, გაზრდილ ახალგაზრდობას და აწინაურებდნენ, რაც ერთგვარი შედეგი იყო. ებრაელების ცნობილი წყევლაა: - „ყმაწვილნი გმართავდნენ!!!“. . .

დღეებმა, თვეებმა, წლებმა გაირბინეს - შედეგი?! ექსპერიმენტების ქვეყანაში საქართველოს დამოუკიდებლობის 20-წლის მანძილზე ქართველმა ხალხმა ვერ გავაცნობიერეთ რა გზით წავიდეთ. ლიდერებს ჩვევად გადაექცათ ხალხის აღმა-დაღმა ტარება, რაზედაც განაწყენებული ხალხი (1991-92 წ.წ.) მივიდა დროებითი მთავრობის ლიდერთან ჯაბა იოსელიანთან და კითხვა დაუსვეს, - ვის გავყვეთო?!... არც დაფიქრებულა და უპასუხა - „ტრამვაისო“!!!... შაჰ-აბასის დაწყევლილმა ერმა, რომელიც ჩვენზე ქილიკით იწყევლებოდა, მიუხედავად ბებიის ქართველობის (შალიკაშვილის ქალი იყო): „ქართველ ერს ერთი პირი ნუ მისცემოდეთ, თუ არა ისეთი ნიჭიერი

ხალხია, ქვეყანას მოედებიანო“, რომელიც დღემდე ამართლებს ჩემო მამულიშვილებო და ქართველებო! სიყვარული ყველაფერს გადაარჩენს, რომ გვქონდეს, მაგრამ სიყვარული როგორც ზემოთ მოგახსენეთ „სახადით“ არ გადაედებათ, სიყვარული არის ნიჭი, ცოდნის ერთგულება, განათლების, კულტურის, ზნეობის, - ყველაფერი ამის ერთობლიობა, რომელიც დღემდე ჩვენს შორის ჯერჯერობით იგვიანებს. . .

უსასრულობის თეორიას თუ შევეხებით, ორი ფაქტორია: „დრო და სივრცე“, მესამესაც თუ შევეხებით, ეს ჩვენი სიბრიყვეა, - დროში გაწელილი, სივრცეში გაბერილი. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია, რომელსაც ვერავითარი გარეშე და შიგა მტერი ვერაფერს დაგვაკლებს, ქართველი მალე ბრაზდება, მაგრამ ქართველი ადამიანი მალე ივიწყებს იმ წყენას, რომელიც მიაყენეს, ამით ქართველი ადამიანი „უფლის მონათესავეა“. ნუთუ ქართველი ქალის ძუძუნაწოვარ პირმშომ, ქართულ აკვანში გაზრდილმა რაიმე სიბოროტე ჩაიდინოს? ადამიანობას, კაცობას, მამულიშვილობას, წმინდა პიროვნებად ჩამოყალიბებას ვერც სუპერმარკეტში შეიძენ და არც „სახადით“ გადაგედებათ, ეს მომდინარეობს გენებიდან, ოჯახიდან, სწავლა-განათლებიდან და მშობლების აღზრდიდან, მაგრამ წარსულის ისტორიამ ბევრ საიდუმლოს აუხადა ფარდა, - პოეტ დავით მაღრაძის სიტყვებს თუ დავესესხებით: „წინააღმდეგი ვარ, რომ ყოველი მომდევნო თაობა წინა თაობის ზნეობრივ გასამართლებას იწყებ“, რატომ შეეგუეთ თქვენს ბერიას? - სვამენ კითხვას, ან - „რატომ გადარჩით ბერიას დროს?“ ეს უზნეობაა, პრიმიტიულობაა. მათი ბედი არ გაქვთ განცდილი, არ იცი, რა უბედურება გამოიარა იმ ხალხმა, არც ერთი წამით არ უთანაგრძნობ, არ იცი რა საშინელების გადატანა მოუხდათ და იწყებ მათ გასამართლებას, ეს არის სიბნელე! (რომელ რეპრესიებშიც ჩემი მშობლები და მათი დედმამიშვილებიც მოყვნენ). . .

ავიღოთ მაგალითად, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის წინა და შემდგომი პერიოდში, - არეულობა საქართველოში, თბილისში, ძირითადად ცხინვალის რეგიონში, სადაც 1991 წლის იანვრის თვის

დასაწყისიდან, აღნიშნულ ტერიტორიაზე უმართავი პროცესების დასარეგულირებლად შეყვანილი იქნა თბილისის გარნიზონის დაახლოებით 600 პოლიციის თანამშრომელი, რა მიზეზითაც ამავე წლის ხუთ იანვარს შევწყვიტე შვებულება დაბა წყალტუბო, სანატორიუმ „აია“-ში მეუღლესთან ერთად, მიუხედავად „ვაი პოლიციის თანამშრომლების“ მიერ შინაგან საქმეთა ორგანოების, პირადი ინიციატივით დატოვებისა, 1991 წლის 10 იანვარს ჩემი დაბადების დღე მივუძღვენი „საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენას“, იმავე დღეს ჩავერთე საბრძოლო ოპერაციებში, რომელიც გაგრძელდა 20 იანვრამდე (თბილისის შს მთავარი სამმართველოს N60-ე ბრძანება პ/შ 25/01-1991 წლის).

...1992 წლის მარტის თვიდან ე.წ. „ზვიადისტების“ გააქტიურების შედეგად სამეგრელოს რეგიონებში, კერძოდ, ზუგდიდში, ფოთში, სენაკში, ხობში და მარტვილში ადმინისტრაციული შენობების დარბევა-დაწვის გამო მიღებული იქნა საგანგებო მდგომარეობა „კომენდანტის საათი“, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და თბილისის შ/ს მთავარი სამმართველოს გარნიზონის პირადმა შემადგენლობამ. აღნიშნულ ქალაქებში და რაიონებში იღუპებოდნენ როგორც მშვიდობიანი მოსახლეობა, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მივლინებული პოლიციის თანამშრომლები (სამარადისო დიდება მათ) უშუქობა, უმუშევრობა, სურსათის ნაკლებობა, „გაყინული ხელფასები და პენსიები“. მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, თავდაუზოგავად ვასრულებდით ჩვენზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

1992 წლის 13-14 აგვისტოს დასაწყისი, იმ ავადასახსენებელი ომის დასაწყისი, რომელიც მოხდა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის“ აფხაზეთის ტერიტორიაზე ე.წ. „სეპარატისტებთან“ შეტაკებისას, რომელშიც პოლიციის 80% მონაწილეობდა, ამავე წლის 14 აგვისტოს დღის 15:00-საათზე ოჩამჩირის რაიონი სოფელ არადუში პირველი მსხვერპლი, სნაიპერის

ტყვიამ იმსხვერპლა თბილისის შ/ს  მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი პოლიციის მაიორი პაატა ნათენაძე, რომელმაც უკანასკნელი სული ჩემს მკლავზე დაასრულა, ხოლო ხელში დაჭრილი გია გვენცაძე დახმარებას მთხოვდა, რის შემდეგ  სავალალო კოლოსალური მსხვერპლით და ზარალით დამთავრდა, დაკარგული ტერიტორიებიდან 300 ათასამდე გამოდევნილი მშვიდობიანი მოსახლეობა თავიანთ საცხოვრებელი ბინებიდან. აღნიშნული ომის შემდეგ კვლავ უშუქობა, უგაზობა, გაჭირვება და მაღაზიებში პურის რიგებში დგომა, უშუქობის გამო პროტესტის ნიშნით ცეცხლმოკიდებული საბურავებით ავტომანქანების სავალი გზების გადაკეტვა, მშრომელ მოსახლეობასთან პოლიციის შეგნებულად დაპირისპირება, „ზვიადისტების“ საპროტესტო მიტინგების დაშლა, ეს ხომ პოლიციის თითეული თანამშრომელის მხრებზე გადადიოდა?!

პიკეტირება აკ. წერეთლის გამზირზე ენერგოკრიზისთან დაკავშირებით, 2001წლის მარტი

# „აფხაზეთის ომის დასაწყისი“

მარცხნიდან დგანან: დათო ჯარაშნელი, დათო ლოხიშვილი, სოსო ბუტიკაშვილი, მალხაზ ახვლედიანი, კახა ნადირაძე. მარცხნიდან სხედან: ლევან მჭედლიძე, დათო გურგენიძე, დათო ლალიაშვილი, დონი ფანჩულიძე, ოთარ ნიჟარაძე, ვახტანგ ნარმანია.

ზუგდიდი, სოფ. რუხი, ენგურის ხიდის პიკეტი, 1992 წლის აგვისტო. დონი ფანჩულიძის ფოტოარქივი

2003 წლის ნოემბერი - „ვარდების რევოლუცია“, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მივიღე, როგორც წინა ხელისუფლებიდან, მათ პოლიტიკაზე უკმაყოფილების გამო პირადი პატაკით ვადაზე ადრე წამოსული „სახელმწიფო მოხელე“, „თადარიგის კადრმა“... „ახალი წყობა“, „ახალი სისტემა“, „ახლებური აზროვნება“, „მომავლის ფიქრი“, „ნულოვანი ტოლერანტობა“, ძველი სისტემის დემონტაჟი ახლით, „ახალგაზრდული აზროვნება“, - ეს ყველაფერი ჩემს წინ და ჩემს თავზე გადადიოდა... სამოცდაშვიდ წელს უკვე გადავაბიჯე, ახალგაზრდობის საუკეთესო წლები „განვითარებულ სოციალიზმს“ და მის პერიოდს დაემთხვა, რომელიც როგორც შემდგომში „ვარდების რევოლუციის“ დროს გაირკვა, - „უძრაობის ხანა“ ყოფილა... შემდეგ სულ „გარდამავალ პერიოდში“ ვცხოვრობდით, რომელსაც მომავალი ისტორიკოსები და ექსპერტები ალბათ სხვა სახელით განათლავენ და დიდი შანსია, რომ „უდროობის პერიოდად“ მოიხსენიონ. ამასობაში წლები გადის და გავიდა... ყელში ამოვიდა ცუდსა და უარეს შორის „არადანი“, არადა გულწრფელად ვცდილობ უკეთესის პოვნას, მართალი გითხრათ, ხანდახან მეეჭვება კიდეც, მეღირსება კი უკეთესის არჩევანი? რა პასუხს ვაძლევთ ჩვენი შვილების თაობას?! როგორ ქვეყანას ვუტოვებთ?! ორად გაყოფილი საქართველო და ქართველი ერი?! სამი ათეული წელი რთულ და საპატიო მისიის შესრულება, ბოლოს ჩემი ყოფილ ხელქვეითებთან შედარებით მიზერული პენსია და ზემდგომი საკანონმდებლო ორგანოებიდან და ყოფილი მთავრობიდან დაუმსახურებელი დაცინვა 2003 წლიდან 2012 წლამდე ბოლოს ე.წ. „გამჭირვალე პოლიციისა“ და “სამართლიანი სასამართლოს“ მიერ აბსურდული ბრალდება. თითქოს პოლიციის თანამშრომლებს გავუწიე ფიზიკური წინააღმდეგობა და მივაყენე სიტყვიერი შეურაცხყოფა, - განაჩენი 400 ლარით ჯარიმა და აუნაზღაურებელი მორალური შეურაცხყოფის მოყენება.

ვაგრძელებ ცხოვრებას ღმერთისა და ხვალინდელი „ახლებური ცხოვრების“ და „საქართველოს ოცნების“ იმედით...

...მინდა დავამთავრო „დიდი ქართველის“, მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის, საქართველოზე და ქართველ ხალხზე უზომოდ შეყვარებულის, აწ გარდაცვლილი, - გიზო ნიშნიანიძის ლექსით:

"მე ბოდიშს მოვიხდი
ბინდისფერ წარსულთან,
რაც არ გამახსენდა ამწამს,
ზოგჯერ სათქმელი უთქმელი
სჯობია, სათქმელი უთქმელი
არ მწამს!

ყველას გაუმარჯოს,
ვინც ხსოვნის ბურუსში,
ბჟუტავს და სევდის
რძეს წველავს,
ვინც კაცობა მოგვცა და
ზედ ტვირთი აგვკიდა,
ყველას გაუმარჯოს!
ყველას!

რამოდენიმე წიგნის ავტორი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ჭიდაობა „სამბოში“, გაზეთ, - „თაობიდან-თაობამდე“-ს რედაქტორი, „ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდი“-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, ფანჩულიძეების გვარის წინამძღვარი და ფონდის თავმჯდომარე, მილიციის „ფრიადოსანი“, „საპატიო მილიციელის კავალერი“, დაჯილდოვებული I, II, III-ე ხარისხის მედლებით „უმწიკვლო სამსახურისათვის, წმინდა სოფიას სამხედრო ორდენის „დიდი ჯვრის რაინდი“, „ქვემო ქართლის და 9 აპრილის მოვლენების“, „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთის“ ომებში მრავალჯერ მონაწილე, თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, თადარიგის პოლიციის ვიცე-პოლკოვნილი.

**დომენტი (დონი) ფანჩულიძე**

დონი ფანჩულიძე: წიგნზე - "პოლისიელის ასავალ-დასავალი" მუშაობის დროს. 2020 წელი

დონი ფანჩულიძე, - წიგნზე: „პოლიციელის ასავალ-დასავალზე“ მუშაობის დროს.
ივნისი 2020 წ. ქ. თბილისი

# ბ ა ვ შ ვ ო ბ ა

დონი ფანჩულიძე, 4 წლის
1957 წელი ქ. ქუთაისი

1953 წლის 10 იანვარს დავიბადე თერჯოლის (ჩხარის) რაიონი სოფელ ძევრში (როდესაც საქართველოს დააკლდა ორი გენია - 5 მარტს გარდაიცვალა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, ხოლო 14 ივნისს ნატო ვაჩნაძე და შემდეგ ლავრენტი ბერია). რადგან მამიდა ზოია, ცნობილი ექიმ-გინეკოლოგი იყო და ცხოვრობდა ჯერ კიდევ მამისეულ სახლში, გადაწყვიტა დედის მშობიარობა ჩატარებულიყო სახლის პირობებში. რადგან მედიცინა ჯერ კიდევ განვითარებული არ იყო ღამის საათებში მოულოდნელად, შეძენილ სამ გოგონას შემდეგ, გავჩნდი ნანატრი - „ბ ი ჭ ი“ -, დაბადებამ სიხარული მოუტანა ფანჩულიძეებს, მამამ სანადირო თოფიდან გაისროლა, მამიდამ ძმრიანი წყალი გადამავლო - სიცივის ამტანი იქნებაო, ხოლო რაც შეეხება ცნობილ სახალხო მკურნალს და წინასწარმეტყველს, ბებია ნატალიას ას მანეთიანების კუპიურა ამოუდევს ჩემს თავქვეშ და ქმრის სახელი „დომენტი“ დაურქმევია, მიუხედავად მისი ვაჟიშვილებიდან ორი „დომენტი“ მოვლინებული იყო უკვე ფანჩულიძეების საგვარეულოში, ფუძეზეც გადაწყვიტა ქმრის სახელი დაფუძნებულიყო...

...დაბადების შემდეგ და ბავშვობაში შემორჩენილი მახსოვრობით ცივ ნიავს არ მაკარებდნენ... ცნობილმა „სახალხო მკურნალმა“ და „მკითხავმა“ ბებიამ და ექიმმა ზოია მამიდამ, რომლებიც ჯერ კიდევ ჩვენთან ცხოვრობდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ, მამა სოფელში მიმდინარე ძევრულჰესის მშენებლობის ერთ-ერთ უბანს ხელმძღვანელობდა... ბავშვობა ჩვეულებრივი ოჯახურ ტრადიციებზე გავიზარდე, ჩვენს ოჯახში იკრიბებოდნენ რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები, ხშირად იმართებოდა ქეიფი და მოლხენა, რომელიც იწყებოდა სუფრიდან ოჯახში და მთავრდებოდა ხეზე მოწყობილ „საპურმარილო“ მაგიდასთან, რომლებიც ნასიამოვნები

ბრუნდებოდნენ შინ. მახსოვს ყოველი წლის 21 სექტემბერს „ხვთიშობლობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით ოჯახი რამოდენიმე დღით ემზადებოდა, ამზადებდა დაახლოებით ორმოცდაათ კაცამდე სუფრას, სადაც ველოდით სტუმრებს, კერძოდ: სვირიდან პაშა მამიდას, ჯუღელების ოჯახიდან, ალისუბნიდან მამაჩემის მამიდას ევას, ზარნაძეების ოჯახიდან, ბაბუას დას ალექსანდრას, - ჩხარიდან ფოფხაძეების ოჯახიდან, მამიდა ნადიას ქუთაისიდან, - ბარბაქაძეების ოჯახიდან, მამაჩემის ძმას ტერენტის ბოლნისიდან. თამარა მამიდას, - ბერძულების ოჯახიდან, თერჯოლიდან მამის მამიდაშვილს ცაბოს, - მაკარიძეების ოჯახიდან, ვარლამ ბიძია და ბიცოლა მარგალიტა დარახველიძე „კაკულაშვილების“ უბნიდან, შალვა ბიძია და ბიცოლა სონა ვერულაშვილი და ასე შემდეგ... ქეიფის შემდეგ ახლო მცხოვრებლებისათვის გამზადებული იყო ნავთში დასველებული ე.წ. „ჩირაღდნები“, მთავარ გზაზე გასასვლელად, ხოლო შორს წამსვლელებისათვის იშლებოდა საწოლები მოსასვენებლად, რომლებსაც საწოლები არ ყოფნიდათ, კედლიდან ჩამოიღებდნენ დიდი ზომის ნოხს, გაშლიდნენ იატაკზე და გაფენილ საწოლებზე ათავსებდნენ ყველა სტუმრებს. მეორე დღეს კვლავ გრძელდებოდა მოლხენა და დროს ტარება, რომელიც დღეს და მიმდინარე ცხოვრებით ნაკლებად ხერხდება, საწყენია, რომ (ღმერთმა გვაცილოს) ჭირის დღეშიც ვეღარ ვხვდებით ნათესაობა ერთმანეთს...

...რადგან მამას ნანატრი ბიჭი გავუჩნდი ყველგან დავყავდი ჭირში და ლხინში, რაზედაც ახლობლებისაგან ხშირად შენიშვნებსაც ღებულობდა, მაგრამ ეს მისი სიყვარულით გამოწვეული იყო... რაც შეეხება დებში ნაბოლარა დას, დედას, მიუხედავად ღმერთისა და რწმენის სიყვარულისა მისი მუცლად შერჩენა არ უნდოდა, რადგან მას უკვე აუსრულდა დიდი ხნის საწადელი, - გავჩნდი ბიჭი, უკვე ოთხი შვილის დედა იყო ოცდათორმეტი წლის „მრავალშვილიანი დედა“, მიუხედავად მამის არა ერთი გაფრთხილებისა, გადაუწყვეტია ნაყოფის მოცილება. როდესაც მამა მოულოდნელად სახლში დაბრუნდა, (1956 წელი) ბებიის განმარტებით მამამ გაიგო, რომ დედა ქუთაისში წაიყვანეს

სამშობიარო სახლში. იმ დროისათვის ავტოტრანსპორტით განებივრებული არ იყვნენ, საქართველოში, კერძოდ ჩხარის რაიონში, იღბლად საავტომობილო გზაზე ხვდება მოულოდნელად რაიონში ცნობილ პიროვნებას, „კოლორიტს“ ვლადიმერ არაბიძეს, ავტომანქანა „ზიმით“, მათი დროული ჩარევისა დედამ თავისი გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოიყვანა, გაჩნდა ფუძეზე მეხუთე შვილი, - გოგონა, ბებიის სიყვარულით და მისი დროული ჩარევის გამო სახელად დაარქვეს, - „ნატალია-ნატო“. რაც შეეხება მეექვსე შვილს, კვლავ ღმერთმა მოავლინა, - ბიჭი, სახელად მურმანი, რომელსაც საბოლოოდ დაეკისრა წინაპართა ტრადიციების, სახელის გაგრძელება, რომლის დამსახურება იყო დედაჩემის მოვლა-პატრონობა, რომელმაც აცოცხლა 90-წელი. ასევე ჭირსა და ლხინში ვალის გასტუმრება, ტრადიციული ფუძის ადათ-წესების გაგრძელება... დედმამიშვილებმა, ლუარამ, გულინამ, ინეზამ, ნატომ და პირადად მე, მას დავაკისრეთ...

...როგორც ზემოთ მოგახსენეთ მამას ხშირად დავყავდი თავის მეგობრებთან. ერთ-ერთი სტუმრობისას გენო რობაქიძის ოჯახში (მდინარის გაღმა რობაქიძეების უბანი) დამასაჩუქრეს პატარა თიკანით, რომელიც შემეჩვია და საღამოს წამოსვლისას აღარ მშორდებოდა, მასპინძელი ოჯახიც იძულებული შეიქმნა სტუმარი დავესაჩუქრებინე. . . 1958-59 წლებია, რადგან იმ პერიოდში ბაგა-ბაღში დავყავდი მშობლებს, თიკანი სახლში აღარ ჩერდებოდა, მასთან ერთად ბაღში დამატარებდნენ, ხოლო ე.წ. „წყნარი საათის“ დროს საძინებელ ოთახში ჩემს საწოლ ქვეშ ათავსებდნენ. ბავშვების მშობლების ჩარევის შემდეგ თიკანი საძინებელში აღარ შეგვაყვანინეს, სახლში წასვლამდე ბაღის ეზოში დანავარდობდა... ერთ დღეს წვიმიან ამინდთან დაკავშირებით თიკანი შემოვაპარე აღმზრდელების თვალის ახვევით, მოვათავსე საწოლის ქვეშ, რის მიზეზითაც დასჯის მიზნით აღმზრდელებმა ნაზი ფანჩულიძე-გოგუამ მომათავსა „ღამის ქოთნების“ შესანახ ოთახში, რამოდენიმე საათს. აღნიშნული შემხვევა აღწერილი მაქვს ჩემს გამოცემულ წიგნში, - <<ხუმრობენ და იცინიან ძევრელები და ჩხარელები>> „იმერული კურიოზები“. საწყალი თიკანი

დედულეთიდან, სოფელ შროშიდან მოსულ სტუმრებს დაუკლეს და თონეში შეუწვეს, რაზედაც დიდი ნერვიულობა გადავიტანე ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში...

...რაც შეეხება ჩემი ბავშვობის მოგონებებიდან დამამახსოვრდა ბებია ნატალია, რომელიც „სახალხო მკურნალი“ და „მკითხავი“ იყო. რადგან ბებია ჯერ კიდევ სამოციან წლებამდე ჩვენთან ცხოვრობდა, სხვა შვილიშვილებთან გამომარჩევდა, რადგან ფუძეზე მისი ქმრის სახელის გამგრძელებელი ვიყავი, მანებივრებდა, ყოველთვის ჯიბით „მიატნ კამფეტს“ ატარებდა, ხოლო რაც შეეხება ქვედა კაბას, რომელსაც „ამბორკით“ მოიხსენიებდნენ, ყოველთვის მის გრძელ ჯიბეში ფულით იყო სავსე, ძირითადად 3-3 მანეთიანები, რადგან მკითხაობის ძირითადი ღირებულება აღნიშნული თანხა იყო, შემდეგ იწყებოდა წამლების ფასი: - საოჯახო 100 მანეთი, სამკურნალო - 15 მანეთი, ყოველ კვირის ბოლოს ითვლიდა და ათავსებდა ე.წ. „ზანდუკში“, რომლის ძირითად მცველს მამა წარმოადგენდა, რომლის შიშით ჯერ ვერ ხერხდებოდა მისი დაყაჩაღება, რაც შეეხება ბებიის ახალ აშენებულ სახლში გადასვლას, - ერთ კვირაში უკვე დაყაჩაღების ობიექტი გახდა, რომლის ყაჩაღობაში მონაწილეობდა თხუთმეტკაციანი „დამნაშავეთა ჯგუფი“ ჩამოყალიბებული 1960 წელს „ზესტაფონელების“, - „ზესტაფონის დაჯგუფების“, - უნგიაძის, მუმლაძის, ჭულუხაძის, ნებიერიძის, ბაბუაძის, არაბიძის...

...როგორც მოგახსენეთ ბებია და მამიდა განთქმული იყვნენ დასავლეთ საქართველოში „სახალხო მკურნალებად“. მკურნალობდნენ როგორც ფსიქიკურად დაავადებულებს, ასევე კანის სხვადასხვა დაავადებებს, - ეგზემას, ფსორიაზს, დამწვრობას. 60-იან წლებში ჩვენს სახლში სტაციონალური მკურნალობისათვის იმყოფებოდა იმდროისათვის ცნობილი ე.წ. ბიზნესმენის შვილი ქალაქ ქუთაისიდან ჯონდო მაჭარაშვილი, მიუხედავად „კომუნისტური ჩაკეტილი სივრცისა“ მოვლილი ჰქონდათ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნები „ეგზემის“ სამკურნალოდ, რამოდენიმე თვეში ჩვენს ოჯახში სტაციონალური მკურნალობის შემდეგ განიკურნა, ყოფილი ქალაქ

ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის დირექტორი აწ. გარდაცვლილი ჯონდო მაჭარაშვილი... რამდენიმე მაგალითის მოყვანა შემიძლია, შევეხები მხოლოდ დასამახსოვრებელ მოვლენებს, მოარჩინა და განკურნა სამხედრო მფრინავი „კოპიტნარის აეროდრომის“ მოსამსახურე, რომელმაც საპატივცემულოდ რეაქტიული თვითმფრინავით ჩვენს სახლის თავზე ცაზე დააწერა რუსულად „ზ ო ი ა“... ეს იმ პერიოდში სენსაციას მიაწერდნენ... დრო მიდის, ძველი ცხოვრება წარსულს ბარდება, მაგრამ არ მეგულება 50, 60-იან და 70-იან წლების ახალგაზრდობას, რომ მამიდა ზოია არ ახსოვდეთ, წარმოუდგენელია, რადგან მისი სითბო და ყურადღება იხარჯებოდა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ, როგორც რაიონის, ასევე სოფლის მცხოვრებთა წინსვლასა და ბედნიერებაში, რომელიც მთავრდებოდა ბებია ნატალიასა და ზოია მამიდის მათთან ნათლია-მირონობით დამთავრებული. ჭირსა და ლხინში შინაურების, ნათესავების დამხმარე და ქველმოქმედი, სამწუხაროა რომ ზოია მამიდას შვილები არ ჰყავდა...

## ბავშვობის მოგონებები

როგორც მოგეხსენებათ იმერეთში, კერძოდ ჩვენს სოფელში რთველი შემოდგომით გვიან იწყებოდა, რადგან ხილთან ერთად ყურძენიც, გამორჩეული ჯიშები: - „ციცქა“ და „ცოლიკაური“ გვიან შედიოდა მწიფობის დასრულებამდე ჩემს მეზობელ რესიმე ბიცოლას სამი დღის მანძილზე თვითონ დაუკრეფავს, უზიდია და საწნახელში ჩაუყრია ყურძენი, რომელიც მოთავსებული იყო ხისგან დამზადებულ მარანში. კვირა დღე იქნებოდა იმ დღით სკოლაში არ ვიმყოფებოდი, 1962-63 წლებია, მესამე კლასის მოსწავლე. დილით თავის ეზოდან მიხმო, როდესად ღობეს დავუახლოვდი, მორიდებით მთხოვა, ყურძენი მოკრეფილი მაქვს, საწნახელშია მოთავსებული, მიფუჭდებაო. წინა დღით ლურსმანი ფეხში შემესო, შემისივდა ქუსლი, რომელიც დავუმალე, საწნახელთან რომ მივედი, თბილი წყალი და საპონი დამახვედრა.

დონი და ნატო ფანჩულიძეები, 1966წ.

დავუმალე ფეხის ტკივილი. როდესაც ყურძნის დაწურვა დავიწყე, შემამჩნია ცალ ფეხზე დავხტუნაობდი, ათი წლის ბიჭი ვცდილობდი მესიამოვნებინა, ჩემი წვლილი შემეტანა, შემემსუქებინა მისი ფიზიკური დატვირთვა, რადგან მეუღლე „დიდ სამამულო ომში“ დაეღუპა, ხოლო ორივე ტყუპი ვაჟიშვილი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. შემამჩნია თუ არა, იუმორის დიდი გრძნობით დაჯილდოებულმა „ოთარაანთ ქვრივმა“, სიცილით, თბილად მისაყვედურა, რატომ არ გავუმხილე ფეხის ტკივილი, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ მისთვის ცოტა ტვირთი მაინც შემემსუბუქებინა, რადგან ორივე მისი ტყუპი ვაჟები, წელიწადის მიყოლებით გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სამ-სამი წლის ვადით....

...ბევრი ტკბილი მოსაგონებელი მაქვს „ოთარაანთ ქვრივზე“, რესიმე ბიცოლას ირგვლივ, ის ხომ ჩემი რიგითი მეზობელი იყო, ყოველ ზამთარს ჩემს დედმამიშვილებს ზამთრობით თბილ წინდებს გვიქსოვდა. განთქმული იყო ლობიოს მომზადებით, ისეთი „სანელებლებით“ შეაზავებდა, მის ეზოში გამოდიოდა გემრიელი ლობიოს  სურნელოვანი სუნი. რესიმე ბიცოლას მეუღლე ალექსანდრე პატარიძეზე დაქორწინებიდან ორ წელიწადში 1941 წლის სექტემბერში გაიწვიეს „დიდ სამამულო ომში“, რომელიც შინ აღარ დაბრუნებულა თავის ორ ძმასთან ერთად...

...ჩემი პატარა და ნატო, პირველი კლასის მოსწავლე რესიმე ბიცოლას მეფეხური - „მეკვლე იყო“, მე კი ბიძაჩემის შალვას მეფეხური, ორივე ვაგვიანებდით დილის საათებში სკოლაში, სანამ აღნიშნულ ქრისტიანულ დღესასწაულზე ამ რიტუალს შევასრულებდით. რადგან ბიძაჩემი, ბიცოლა და ასევე რესიმე ბიცოლა გვიან იწყებდნენ სამზადისს. . . ორთავემ პრეტენზიებით მივმართეთ ჩვენს მასპინძლებს, გამობრუნებულებისას თუ რამეს გამოგვატანდნენ, დროულად მოემზადებინა, რადგან სკოლაში გვაგვიანდებოდა, რაზედაც ჩვენი გულუბრყვილო პრეტენზიებზე ხუმრობით გაგვახსენებდნენ, როდესაც წამოვიზარდეთ...



რესიმე არაბიძე–პაკარიძე „ოთარაანთ ქვრივი'' ტყუპ ბიჭებთან ზაურ და იური პაკარიძეებთან გადაღებულია სოფ. ძევრი 1945 ნელი სახსოვრად დონი ფანჩულიძის ფოტო არქივიდან

მარცხ. დგანან: ზოია ფანჩულიძე, სერგო ჯაბიძე, თინა ფანჩულიძე, ჟენია ჯაბიძე. სხედან მარცხნიდან: ელენე ფანჩულიძე, ყაფლან (გუგული) ფანჩულიძე, ნიკოლოზ ხუჯაძე, მარო ლაღიძე, თერჯოლის (ჩხარი) რაიონი, სოფ. ძევრის აქტივი გადაღებულია პირველი მაისი 1947 წელი.

...ჯარიდან ჩამოსული შვილები ზაური და იური დროულად ამოუდგნენ მხარში რესიმე ბიცოლას, რომელმაც შვილებს ჯარის ჩამოსვლამდე ახალი სახლი დაახვედრა ტიტანური შრომის შედეგად მეზობლებისა და პირადად მამის ხელმძღვანელობით, რადგან ფუნდამენტის გაჭრისას უწევდა მძიმე ქანების აფეთქება... შვილებიც დაქორწინდნენ, ოჯახმა ცხოვრება გააგრძელა ილარიონ პატარიძის ტრადიციებზე, სამწუხაროდ რესიმე ბიცოლა 1982 წელს გარდაიცვალა, რამოდენიმე წლის შემდეგ შვილებიც, ზაური და იურიც სამწუხაროდ მალე გარდაიცვალნენ. სამარადისო დიდება მათ, რომ ასეთი ნათელი კვალი დატოვეს სამეზობლოში და საერთოდ სოფელში...

## = ჩემი ბავშვობის პირველი ტრაგედია =

1964 წლის აგვისტოს თვეში მამამ საწარმოო ტრამვის შედეგად ორთავე თვალით მხედველობა დაკარგა, დაბრმავდა, მარცხენა ხელის თითების ამპუტაცია ადგილზევე დასჭირდა, მიუხედავად მაშინდელი გზის რელიეფისა, მაინც სწრაფად გადაყვანილი იქნა თბილისში, მაგრამ ოდესიდან გადმოფრენილი პროფესორებისა და ადგილობრივი ექიმების ჩარევისა, მამა თექვსმეტი წელი უსინათლოდ დარჩა, გარდაცვალებამდე (1964-1980)... იმ პერიოდში ექვსი დედმამიშვილიდან, ხუთნი სკოლის მოსწავლეები ვიყავით, დაუვიწყარია ის ოჯახური ტრაგედია, რაც ჩემმა დედმამიშვილებმა გადავიტანეთ, როდესაც მამის სისხლიან ტანსაცმელს ჩემი და - გულინა რეცხავდა, პატარა ბავშვები, სკოლის მოსწავლეები მასთან ერთად ვტიროდით... საჭირო იყო ოჯახის მობილიზაცია შემხვედრი წინააღმდეგობის დასაძლევად. რადგან დედა მეოჯახე ქალი იყო, ხოლო უფროსი და, - ლუარას უკვე ოჯახი ჰქონდა შექმნილი და თავისივე პრობლემები აწუხებდა, ჩემმა დამ გულინამ შეწყვიტა დამამთავრებელი მეთერთმეტე კლასი, სწავლა განაგრძო მუშა-ახალგაზრდობის საღამოს

მარცხ: ციმა, ყაფლან (გუგული) ნინა, გიული ფანჩულიძეები. თვალის კლინიკური საავადმყოფო ზურაბ ჭავჭავაძის (შეროზიას) ქუჩა №7 1964წ აგვისტო (ექვს დედამამიშვილს მამა დაგვიბრმავდა)

თერჯოლის რაიონის სოფ. ძევრის მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატი 1970წ

დასწრებულზე, ხოლო მუშაობა დაიწყო სოფელ ძევრის „ინვალიდთა და მოხუცებულთა სახლ-ინტერნატში“ სანიტრის თანამდებობაზე,

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქ. ქუთაისის უმაღლესი კვალიფიკაციის ბიბლიოთეკის სპეციალისტი გახდა. რომლის მიზერული ხელფასი ოჯახსა და ჩვენ პატარა დედმამიშვილებს ხმარდებოდა, მამის მცირეოდენ პენსიასთან ერთად...

...დრო გადიოდა, დედმამიშვილები სწავლასთან ერთად შრომაშიც ვიყავით ჩართული, კერძო ნაკვეთთან ერთად კოლმეურნეობის ყანებსა და ვენახებსაც ვამუშავებდით, რომელსაც დროულად და ხარისხიანად ვასრულებდით. როდესაც რაიონის ხელმძღვანელობა ამოწმებდა, სოფლის მესვეურებს ჩვენს მიერ გაპიროვნებულ ყანებში და ვენახებში მოყავდა დასათვალიერებლად... მეექვსე კლასის მოსწავლე უკვე მუშაობას ვაპირებდი სკოლის არდადეგების პერიოდში, მაგრამ როგორც არასრულწლოვანი, ორგანიზაციები არ მღებულობდნენ...

...მამის საწარმოო ტრამვის შემდეგ ოჯახი განვიცდიდით რა ეკონომიურ სივიწროვეს, ყოველი სექტემბრის დასაწყისისათვის განკუთვნილი სასწავლო წიგნების, რვეულების, ჩანთების, მოსწავლის, ფორმისა და საჭირო საგნების შესაძენად, ჩვენთან ერთად მეზობლის ქალები ემზადებოდნენ, თუ როგორ გაეყიდათ მათ მიერ ფიზიკური შრომის შედეგად ადრიანად დამწიფებული ხილი და ყურძენი, რათა მისი რეალიზაციის შემდეგ შეეძინათ ჩვენთვის პირველადი მოხმარების ნივთები; - წიგნები, რვეულები, სკოლის ფორმა, რადგან საავტომობილო გზების გადაკვეთებზე იდგმებოდა ე.წ. „ხერგილები“ და „გამშვები პუნქტები“, რათა ნამატი მოსავალი ღვინის მარნებისათვის ჩაგვებარებინა, იკრძალებოდა საკოლმეურნეო ბაზრებზე მათი რეალიზაცია... იძულებული ვიყავით ბავშვები გათენებამდე შემოვლითი გზებით მშობლები მიგვეყვანა სამშვიდობო ადგილებამდე, რა დროსაც ადიდებულ მდინარეშიც კი მოგვიწია ყურძნიანი კალათებითა და გოდრებით გასვლა... მათი რეალიზაცია ხდებოდა ქალაქ ტყიბულის ბაზრობებზე...

...1966 წელია, მეექვსე კლასის მოსწავლე, სხვადასხვა კლასის მოსწავლეებთან ერთად მიგვიყვანეს სასწავლო პროცესის დროს დირექტორ თინა კახიძის სამუშაო კაბინეტში, სადაც არიგებდნენ „სოციალურად დაუცველ“ ბავშვებზე სკოლის მოსწავლეების ფორმებსა და ფეხსაცმელებს. მიუხედავად ბებიის და მამიდის სიმდიდრისა, ჩვენი ცხოვრების წესით ვცხოვრობდით ხელმოკლედ, ჩემი ბავშვური წლებისა და აზროვნებისა აღნიშნული „ჰუმანიტარულ დახმარებაზე“ თავმოყვარეობის გამო უარი განვაცხადე და ტირილით გამოვედი დირექტორის - თინა კახიძის კაბინეტიდან.

## = შრომითი საქმიანობა =

საამაყოა და ვამაყობ, რომ ჩემი სოფელი წლების განმავლობაში ინდუსტრიულ სოფელს წარმოადგენდა, - სადაც განთავსებული იყო შემდეგი წარმოება-დაწესებულებები: ძევრულჰესი თავის წყალსაცავით, გეოლოგიის სამმართველო, რაიონის სატვირთო ავტობაზა, ინვალიდთა და მოხუცებულთა“ პანსიონატი, ფსიქიატრიული საავადმყოფო, 8 წლიანი სკოლა, დამატებული რუსული სექტორი, მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლა, ბაგა-ბაღი, პურის საცხობები, სასაუზმეები, რამოდენიმე ხის დამამუშავებელი სამხერხაო, კულტურის სახლი 300 კაცზე, ბიბლიოთეკა, პოლიკლინიკა, სამხედრო ნაწილი 1960-67 წლამდე სოფელ ახალ თერჯოლაში მიმდინარეობდა საიდუმლო სამხედრო სარაკეტო მიწისქვეშა ნაწილის მშენებლობა. 120-კაციანი სამხედრო ნაწილი შვიდი წლის განმავლობაში ჩვენი სოფელში იყო განთავსებული. კოლმეურნეობა - „სოციალისტური სოფელი“, საბჭო, ფეხბურთის სტადიონი, მუშა-მოსამსახურეთა საერთო ბინები. 1950-57 წლებში გრანდიოზული ჰესის მშენებლობა, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად დასაქმებული იყო 3000-მდე სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული რუსი ეროვნების მოსამსახურე პერსონალი...

ჩემი და დედმამიშვილების ძირითადი საქმიანობა პირადი და კოლმეურნეობის გაპიროვნებული ნაკვეთები: - ვენახები და ყანების დამუსავება იყო რამოდენიმე ჰექტარის, პირად საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთთან ერთად. ასევე სკოლის არდადეგების პერიოდში რქოსანი პირუტყვის საძოვარზე გაშვება და მათი თვალყურისდევნება. ზაფხულის არდადეგების დროს, მიმაგრებული ყანები და ვენახები საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირე მხარეს იყო განთავსებული. სადილობის დროს დედა აივანზე გამოკიდებდა „წითელ ნაჭერს“, ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ დაგვემთავრებინა მუშაობა, გვესადილა და მის შემდეგ რამოდენიმე საათს გვაძინებდა, ე.წ. „წყნარ საათს“ ეძახდა. ხოლო როდესაც პირველ სექტემბერს სკოლაში მივდიოდი, შეძლებული ოჯახის შვილებს ვუსმენდი თუ როგორ გაატარეს ზაფხულის არდადეგები, ზოგმა ზღვაზე, ზოგმა მთაში, დანარჩენებმა „პიონერთა ბანაკებში“. . .

მარცხნიდან: გულინა, მურმანი, ინეზა, დავით ფანჩულიძეები. ბრიგადირი დავით ფანჩულიძე ამოწმებს კოლმეურნეობის წევრებს. ოერჯოლა სოფ. ძევრი ივლისი 1966 წელი.

სხედან იანო ქვილიძე, ინეზა, გულინა, ნატო და დავით ფანჩულიძეები.
დგანან ნინა სამხარაძე-ფანჩულიძე, მურმან ფანჩულიძე.
თერჯოლა, სოფ ძეგრი იგლისი 1966 წელი.

# ჩემი გამზრდელი მშობლები

## = დ ე დ ა =

დედა - ნინო სამხარაძე - ფანჩულიძე
1958 წ. თერჯოლა. სოფ. ძევრი

*„აბა მითხარი, უდედოდ*
*გაზრდა, ვინა სთქვა შვილისა“*
*(ხალხური)*

...1921 წლის 15 ივნისს ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშაში დაიბადა ნინო ბესარიონის ასული სამხარაძე. პირველდაწყებითი სწავლა-განათლება ამავე სოფელში მიიღო, სადაც სკოლის დირექტორი მისი ძმა გიორგი სამხარაძე იყო. მამა - ბესარიონ რომანოზის-ძე სამხარაძე მშრომელი გლეხკაცი ყოფილა, ხოლო მეუღლე სეფორან თაბაგარი ამავე სოფლის მკვიდრს წარმოადგენდა. მათ რვა შვილი აღუზარდეს სამშობლოს. რვა დედმამიშვილებიდან შვიდმა უმაღლესი განათლება მიიღო...

...დედამ, ნინო სამხარაძემ საშუალო განათლება ამავე რაიონის სოფ. ძირულაში მიიღო. სწავლის გასაგრძელებლად 1940 წელს თბილისში ჩავიდა... 1941 წელს დაიწყო დიდი სამამულო ომი, მისი ოთხივე ძმები გაწვეულნი იყვნენ სამხედრო კომისარიატის მიერ საქართველოს მტრისგან დასაცავად... ჩემმა მშობლებმა ბოლნისში (ყოფ. ლუქსემბურგი) 1943 წელს გაიცნეს ერთმანეთი, მამა ავადმყოფობის გამო დემობილიზებული იყო ქ. ბაქოს სამხედრო ჰოსპიტალიდან, ბედი ერთმანეთს დაუკავშირეს ბიძის ტერენტი ფანჩულიძისა და დეიდის რაისა სამხარაძის ჩარევით...

...ზედმეტ მკრეხელობაში თუ არ ჩათვლით ბავშვობიდანვე ჩემი და დედმამიშვილების შრომით საქმიანობაში ჩართვა დედაჩემის დამსახურებაა, შრომითი სიყვარული დედამ შეგვაყვარა, რომელიც მამის საწარმოო ტრამვის გამო, - კაცისა და ქალის საქმეს ერთმანეთს უთავსებდა. ექვსი შვილის გაზრდა, აღზრდა, სწავლა და ცხოვრების გზაზე დაყენება იოლ საქმეს არ წარმოადგენდა, უსინათლო მეუღლის და ლოგინად ჩავარდნილ დედამთილთან ერთად, ეს ხომ ტიტანურ შრომას მოითხოვდა... თექვსმეტი წელი უსინათლო მეუღლის მოვლა-პატრონობა სანამ წამოვიზრდებოდით, სკოლას დავამთავრებდით, ჩვენთან ერთად დედას უწევდა ვენახების მოვლა, შეწამვლა, რომელსაც ზურგზე მოკიდებული შესაწამლი აპარატით უხდებოდა ვაზის რიგებში ტრიალი, ყანების მოვლა, შემოდგომით ჭირნახულის დაპურება, დაბინავება, ქვევრების რეცხვა, რაც კი მძიმე საქმიანობა იყო დედის ფიზიკურ შრომაზე გადადიოდა... დედის დამსახურება შვილებმა ღირსეულად აღვნიშნეთ მისი 80-წლის იუბილესთან დაკავშირებით 2001 წლის 15 ივნისს. 2011 წლის 9 აპრილს, 90 წლის ასაკში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დედა გარდაიცვალა...

*... ბნელმა ინათა თვალებში,*
*9-აპრილის დღე გათენდა,*
*ტკივილით, ტანჯვით და სევდით,*
*დედა ხელიდან წაგვერთვა.*

*ბოლო წუთამდე იწვალა,*
*იცოდა, მაგრამ იბრძოლა,*
*დრო იდგა განშორებისა,*
*ბოლო წუთები მირბოდა.*

*დედა სიკვდილსა იხმობდა,*
*ტკივილი, ტანჯვა სუფევდა,*
*შვილების გვერდით ბოლომდე,*
*ბოლო სუნთქვამდე იბრძოლა.*

*ახლა სამარე ცივია,*
*დედის სიკვდილი მძიმეა,*
*ღმერთმა ნათელში ამყოფოს,*
*ახლა ის ზეცის შვილია.*

შვილიშვილი: მაკა ჯანელიძე ბებოს გარდაცვალებიდან რამდენიმე წუთში მიძღვნილი გამოსამშვიდობებელი სამგლოვიარო ლექსი 9/IV-2011 წ. თერჯოლა, სოფ. ძევრი 00:30 სთ.

"ကျွန်တော် ခေတ်ပေါ်ကာလတွင် ကုသိုလ်ကောင်းကောင်း ပြုကျင့်ကြပါ။ ကျွန်တော်ကတော့ ဘဝတစ်ခုတည်းမှာ ကုသိုလ်ကောင်းတွေ ပြုခဲ့ပါတယ်" ။ ဘယ်ကမ္ဘာ ကမ္ဘာ ရောက်ရောက် ကျွန်တော် ကုသိုလ်ကောင်းတွေ ပြုခဲ့ပါတယ်" ။ ဘုရားရှင်ကတော့ ကျွန်တော်ကို ကုသိုလ်ကောင်းတွေ ပြုကျင့်ကြပါ။ ကျွန်တော်ကတော့ ဘဝတစ်ခုတည်းမှာ

მარცხ: მურმანი, ნინა სამხარაძე-ფანჩულიძე, დონი ფანჩულიძეები
მუშთაიდის "ბარკი" 1981 წელი.

მამა - ყაფლან (გუგული) ფანჩულიძე

## = მ ა მ ა =

„მამა არს შემქმნელი,
მამა ითქმის მოძღუარი,
მღვდელი, აღმზრდელი, ოსტატი,
გინდა კაცი უხუცესი“
*(სულხან საბა ორბელიანი)*

...ყაფლან (გუგული) დომენტის-ძე ფანჩულიძე დაიბადა 1918 წლის 21 დეკემბერს თერჯოლის (ჩხარის) რაიონი სოფ. ძევრში, ხუთი წლის ასაკში მამა გარდაეცვალა, რვა დედმამიშვილის აღზრდა დედამ, - ნატალია იორდანეს-ასულ გორგაძის ფიზიკურ შრომაზე გადადიოდა... დაიბადა რა ე.წ. „ქუდბედით“, (მილიონში ერთი იბადებოდა), გამოირჩეოდა ერთგულებით, როგორც შინაურებში, ასევე მეგობრების მიმართ, არ არსებობს ისეთი მომენტი, რომ მას ვინმესთვის ჩაედინა „სიბოროტე“. გადმოცემით ოცნებობდა გამხდარიყო მფრინავი, რომელმაც ხანმოკლე დროით, მაგრამ მაინც საწადელს მიაღწია, ჯერ სწავლობდა ქ. ქუთაისში, შემდეგ თბილისში, ისეთ ცნობილ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ: საბჭოთა კავშირის გმირი დავით ჯაბიძე, დავით ბაქრაძე, ნანეიშვილი, ლევან თოდაძე, ვანო ხუმარაშვილი, გიორგი ტურაბელიძე, თამარ მელაშვილი... 1941 წლის ივლისის თვეში მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში - საავიაციო პოლკში ქ. სტალინგრადში (ქ. ვოლგოგრადი), სადაც გერმანელი „ფაშისტების“ მიერ დაწყებულმა ომმა, 1942 წლის იანვარში სტალინგრადამდეც მიაღწია. რის შემდეგაც ჩაერთო საბრძოლო ოპერაციებში „სტალინგრადის დაცვისათვის“, - მდინარე „დონზე“, რა დროსაც დაიჭრა და მიიღო კანტუზია, მკურნალობდა ბაქოს სამხედრო ჰოსპიტალში, - დაჯილდოებული იყო მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“, „დიდების მე-2 და მე-3 ხარისხის ორდენით“, „საპატიო სიგელით“ და სხვა საიუბილეო

# ყაფლან (გუგულა) დომენტის-ძე ფანჩულიძე

## 21XII-1918 წ. (100) 21XII-2018 წ.

ყაფლან დომენტის-ძე ფანჩულიძე დაბადდა 1918 წლის 21 დეკემბერს ოურკოლას (ჩხარის) რაიონ სოფელ ძვერში. ძრაგალეშოლას ოჯახში. ჯერ კიდევ შვიდი წლის ვიყავი, მამა რომ გარდაეცვალა. სწავლა და განათლების მიღება მიმდებოდა რეპრესიების ქნქმ. დედის და ჩვენ ოჯახს - "მაგნალელებით" მოვაგზავნიდნენ, რადგან კოლმეურნეობაში ვვიან გაეწევიდნენ... რა მაზეზითაც სწავლა გაეგრძელეს ქუთაისის მეში ახალგაზრდობის სამუალო სკოლის დამთავრებამ. შეხვედრამისად ვსწავლობდი ქუთაისის აერონავტიკაში. 1939 წლიდან სწავლა გავაგრძელე თბილისის საავიაციო სასწავლებელში. 1941 წლის მაისის თვეში გამაწვიეს საჯალდებულო სამხედრო სამსახურში. ერთ თვეში ომი დაიწყო, გამანაწილეს ვოლგოგრადის (სტალინგრადის) მხარის, ვოლგისა და დონის მიმდებარედ განთავსებულ საავიაციო სამხედრო საწყლში, რომელიც ნახევრად საველე მდგომარეობაში იყო. საავიაციო გაფრენის შემდეგ, იერიდონიის ახალფრენ-დასაფრენი ბილიკები დაბომბილი ვეგზავნებოდა... ვერმანელმა ფაშისტებმა 1942 წლის 23 აგვისტოდან მასიურად დაიწყეს ქალაქის მასიგდგომების დაბომბვა. 1942 წლის სექტემბრის თვეში, ერთ-ერთი გაფრენის დროს, კატაპულტირების შემდეგ მოვხვდი პარტიზანების შენაერთში. სანამ ნაწილში გამოვცხადდებოდი მათთან ერთად მოძახდა ბრძოლის გაგრძელება. ბაერდან მორიგი დაბომბვის შედეგად დაფიქრი და მივიღე "კასტუნა". მომოავყენეს ბაქის სამხედრო სოსპიტალში, სადაც სამედიცინო კომისიამ, ბრძოლის უუნარად ჩამთვალა. ოჯახს წერილს დახმარებით ჩამომყვანეს ქალაქ ქუთაისში, სამხედრო სოსპიტალში. 1943 წლის დასაწყისში, რა დროსაც ვერმანელმა ფაშისტებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაღეს ჩვენი არმიის შეტევით. ეკუნრალ მაგალუსის ახალთახიმით შეიარაღებული ნაწყლება ტყვედ ავარდნენ. აქედან დაიწყო ვერმანელი ძალვამთხილი არმიის უკან დახვევა. . . ვამოუანმრთელებმ შემდეგ 1945-50 წლებში მუშაობას ვიწყებ ტყიბულის შახტაში, ამყვეთქენლად, სიალი 1950-57 წლებში ძეკერალ-ბუის მეენერალობაზე ამყვეთქენელია ბრიგადის ხელმძღვანელად. 1957 წლიდან იგივე თანამდებობაზე ვიგრძელებ მუშაობას ვეოლოგიურ სამეცნიერო ლაბორატორიაში. 1962 წლის თებერვლის თვეში თანამებრძოლებმა მიმაწვიეს სტალინგრადში 20 წლის თებილის აღსანიშნავად.

**ა ბ ს ტ ა ნ ტ ე ბ ი:**

ერთხელ კიდევ გადავიკეთ დდ სამამული ომის გამარჯვებიდან მე-III წლისთავს. ახლა საუსნელება, რაც ქარაველში ხალხმა განიცადა ჩვენს მეგობარ ერომორწმუნე რუსი ეროვნების ხალხთან ერთად ადრ განმეორებულიდეთ. მადლობთ ყურადღებისთვის.

9 მაისი 1963 წელი
ოურკოლა, სოფელი ძვერი
გამარჯვების დღისადმი დაკავშირებული ხატვიმო შეკრებაზე

P.S. 1964 წლის აგვისტოს თვეში საწარმოო ტრამვის შედეგად ინვალიდ ბარმაკედ და მარცხენა თითების ამპუტაცია ჩაუტარდა. 1969 წლის 21 სექტემბერს (16 წლ. უსინათლო) გარდაიცვალა. დაკიდებულები იყო II-III ხარისხის "დიდების ორდენით", "სტალინგრადის დაცვისთვის" და რამოდენიმე საუბილეო მედლებით. დაკრძალულია "ჩხარა-ოქრეანის" საკუთარეული სახლიდან.

დომენტი „ჭუკია" მათეს-ძე ფანჩულიძე , გარდაიცვალა 1925 წელს - 31 წლის ასაკში
ნატალია იორდანეს-ასული გორგაძე, გარდაიცვალა 1971 წელს - 95 წლის ასაკში.
გადაღებულია: თერჯოლის (ჩხარის) რაიონი სოფელ ძევრში.

მედლებით. 20-21 წლის ასაკში ექვსი თვის მანძილზე მონაწილეობდა მძიმე ბრძოლებში... დემობილიზაციის შემდეგ მკურნალობდა, რის შემდეგ სამსახური უწევდა სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე. 1964 წლის 10 აგვისტოს საწარმოო ტრამვის შედეგად დაბრმავდა და მარცხენა თითების ამპუტაცია დასჭირდა. თექვსმეტი წელი უსინათლოდ აგრძელებდა ცხოვრებას მრავალშვილიან ოჯახში, მათი წარმატებებით ამაყობდა. 1980 წლის სექტემბრის თვეში გარდაიცვალა, 62 წლის ასაკში... მასზე და მის კაცურ ცხოვრებაზე ლეგენდები დადიოდა... 1964 წელს ჩვენს სოფელში მდებარე ინვალიდთა სახლ-ინტერნატში კახეთის ერთ-ერთ რაიონიდან შვილისა და რძლის მიერ მიყვანილი იქნა მისი თანაკურსელი, თანამებრძოლი ვანო ხუმარაშვილი მოსავლელად. მამამ რომ გაიგო მოიყვანა სახლში და მას ძმასავით უვლიდა... ერთ თვეში მამამ ტრამვა მიიღო... რომ გაიგეს შვილებმა ინვალიდთა სახლში აღარ დაუბრუნებიათ, ჩვენი სახლიდანვე წაიყვანეს შინ. მეამაყება, რომ მამამ გარკვეული წვლილი შეიტანა ძევრულჰესის მშენებლობაში, მან პირველმა გაიყვანა გზა ჰესის მშენებლობის დაწყებამდე, რადგან „ქვაბულში“ მისასვლელი გზა არ იყო, რადგან აღნიშნული ტერიტორია ბუნებრივი გასასვლელით უკავშირდებოდა საცალფეხო ბილიკით მდინარე ძევრულას გაყოლებით... ხოლო ჰესის დამთავრების შემდეგ რამოდენიმე ადგილზე განთავსებული ჰქონდა სამშენებლო კარიერები, დასაქმებული ჰყავდა მუშა-ახალგაზრდობა, უმეტესად სტუდენტები, რომლებსაც აძლევდა თავისუფალ დროსა და ეკონომიურად ეხმარებოდა... ყველაზე დიდი და ძვირფასი, რაც გამაჩნია, ეს მამის დანატოვარი, - გენი, ჯიში, სისხლი და რაც მთავარია სახელია. მან ისე იცხოვრა, რომ დღეს ყველა იხსენებს, როგორც ალალ, პატიოსან და კოლორიტ პიროვნებას...

მამა ყოველთვის ამბობდა სიცოცხლეში, - შენს შთამომავლობას შენი აუგი რომ წინ არ დახვდეს, ყველა ზომას უნდა ეცადოო, მისი სიმდიდრე მხოლოდ კაცობა და ვაჟკაცობა იყო... ჩვენს ოჯახში ყველას

ჰქონდა სიმღერის და ცეკვის მიდრეკილება, - დედის დედა, ბებია - სეფორან თაბაგარი სოფელ შროშაში ცხოვრობდა. „დები იშხნელების“ სიმღერებს ასრულებდა გიტარით, მამას კარგი სმენა და ხმა ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ დედმამიშვილებს არ აღმოგვაჩნდა... მამის, დედის და მამიდის თანაცხოვრებამდე ოჯახში დაუსრულებელი ქეიფი და მოლხენა და დროსტარება იმართებოდა, ბებია სახალხო მკურნალი და მკითხავი, მამიდა ექიმ-გინეკოლოგი, წელიწადში ოთხჯერ მიხდიდნენ დაბადების დღეებს, - „საქმიან ხალხს“ ერთმანეთს ახვედრებდა და აცნობდა. რაიონში ცნობილი ქალი იყო, სუფრიდან რომ დაიწყებდნენ მოწვეული სტუმრები ქეიფს, ხეზე მოწყობილ „საპურმარილო“ მაგიდაზე ამთავრებდნენ, ასე ატარებდნენ ჩვენი წინაპრები დროს, - სიკეთისა და სიყვარულში ცდილობდნენ როგორ მოფერებოდნენ სტუმარ-მასპინძლებს.

## „...გზა, - რომელიც, რომ შორია!“

„მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე
რომ გემსახურო და მიერთგულო“

*(შოთა ნიშნიანიძე)*

ჩემს მოგონებებს, - „პოლიციის ასავალ-დასავალს“ ვუძღვნი ჩემს მშობლების მარადიულ ხსოვნას: - ნინო ბესარიონის-ასულ სამხარაძეს, მამას, - ყაფლან (გუგული) დომენტის-ძე ფანჩულიძეს. დედმამიშვილებს: - ლუარა, გულინა, ინეზა, ნატო და მურმან ფანჩულიძეებს. სიძეებს: - ჯემალ აბულაძეს, რამაზ მუჯირს, როლანდ ფორჩხიძეს, მურმან ჯანელიძეს. რძალს ნანა ისაკაძეს, დისშვილებს, ძმისშვილებს და მთლიანად ფანჩულიძეების და სამხარაძეების საგვარეულოს...

*Пролетарии всех стран, соединяйтесь!*

# ДИПЛОМ

№ 4815

Тов. Панчулидзе Доментий Капланович

в 1976 г. поступил, в 1979 г. окончил

УНИВЕРСИТЕТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА

ЦК КП Грузии

и получил высшее политическое образование

в системе партийной учебы.

За период учебы на трехгодичном общем факультете

Университета тов. Панчулидзе Д.К.

прослушал учебный курс и сдал экзамены по предметам:

1. Марксистско-Ленинская философия — 5 (отл.)
2. История КПСС — 5 (отл.)
3. Политэкономия — 5 (отл.)
4. Научный коммунизм — 4 (хор.)

Директор университета В. Гваладзе

Секретарь Н. Гаши

М. П. ЦК КП Грузии

„4" июня 1979 г.

Зак. 7232. Ордена Ленина тип. «Красный пролетарий». Тир. 80 000.

# დიპლომი

КВ № 144926

ეს დიპლომი მიეცა დომენტი ყაფლანის-ძე
ფანჩულიძეს
მასზე, რომ იგი 1976 წელს შევიდა
სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო
დოქტორანტურა, ყოფილ ფილოსოფიურ
და 1984 წელს დამთავრა ინსტიტუტი
ინაურებული
სრული ეროვნული სპეციალობით „ფილოსოფია
ეკონომიკა და სამართალი"

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
ბ. ა.
ბალერინი
ფილიალი 4 ოქტ. 1984 „3" „ივლისი
ქალაქი თბილისი 1984 წ.
სერიალური № 2296

Грузинский гос.

# ДИПЛОМ

КВ № 144926

Настоящий диплом выдан Панчулидзе Доментию Каплановичу

в том, что он в 1979 году поступил

в Грузинский государственный институт физической культуры

и в 1984 году окончил полный курс

названного института

по специальности „физическая культура и спорт"

Решением Государственной экваменционной комиссии от „3" июля 1984 г.

Панчулидзе Д.К.

присвоена квалификация преподавателя физической культуры и спорта.

Председатель Государственной экзаменционной комиссии

Ректор

Секретарь Фухадзе

М. П.

Город Тбилиси „3" июля 1984 г.

Регистрационный № 2296

Московская типография Гознака. 1982.



საქართველოს სახელმწიფო
ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი
სტუდენტის ბილეთი № 79054
გვარი ფანჩულიძე
სახელი დომენი
მამის სახელი კაპანაძის-ძ
შესვლის დრო 1979
ფაკულტეტი დუნნ
ბილეთის გაცემის ადგილი 31/VIII
რექტორი

-115-
Грузинский Государственный
институт физической культуры
СТУДЕНЧЕСКИЙ БИЛЕТ № 79054
Фамилия Панчулидзе
Имя Домений
Отчество Капанович
Время поступления 1979 г.
Специальность Сомсо
Дата выдачи 31/VIII-79г
Ректор

Пролетарии всех стран, соединяйтесь!
ВСЕСОЮЗНЫЙ ЛЕНИНСКИЙ КОММУНИСТИЧЕСКИЙ СОЮЗ МОЛОДЕЖИ
КОМСОМОЛЬСКИЙ БИЛЕТ
№29230098
Фамилия Панчулидзе
Имя Домений
Отчество Капанович
Год и месяц рождения 1953, январь
Время вступления в ВЛКСМ июнь 1967г
Первомайский
райком ВЛКСМ Грузии
г. Тбилиси
Панчулидзе
(личная подпись)
М. П. Секретарь комитета комсомола
10 апреля 1976 г.
(дата выдачи)

პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა
კომკავშირული ბილეთი
№29230098
გვარი ფანჩულიძე
სახელი დომენი
მამის სახელი კაპანაძის-ძ
დაბადების წელი და თვე 1953, იანვარი
სრულიად საკავშირო ლკავშ-ში შესვლის დრო VI-1967
(საბჭოეთის კომუნისტური პარტიის, რომელიც ეძლევა ბილეთი)
მაისის
(ადგილი)
(ხელმოწერა)
(კომკავშირის კომიტეტის მდივანი)
10 აპრილი 1976 წ.
(ბილეთის ფასი)
4



КОМИТЕТ по ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ и СПОРТУ
при СОВЕТЕ МИНИСТРОВ СССР

УДОСТОВЕРЕНИЕ № 141429

Тов. Панчулидзе Д.К.

является МАСТЕРОМ СПОРТА СССР

по борьбе самбо

Заместитель
председателя Комитета

Звание
МАСТЕРА СПОРТА СССР
присвоено
приказом Комитета
по физической культуре
и спорту
при Совете Министров СССР
„5" VII 1978 г.

Удостоверение
(личная подпись) и значок мастера № .....
выданы „....." .....19.... г.

73-4172. МТГ

ЗА БЕЗУПРЕЧНУЮ СЛУЖБУ
в МИНИСТЕРСТВЕ ВНУТРЕННИХ ДЕЛ СССР

Лейтенант милиции
звание,
Панчулидзе
фамилия,
Доментий Капланович
имя и отчество

Приказом Министра Внутренних дел СССР
№ 497 от «11» 10 1984 г.
награжден медалью «За безупречную службу» 3 степени.
Начальник УВД Тбилисгорисполкома
звание и подпись командира части или
начальника органа, учреждения, заведения
м. п.
подполковник милиции Д. Сакварелидзе
«.....» октября 19 84 г.

Приказом Министра Внутренних дел СССР
№ ..... от «.....» ..... 19.... г.
награжден медалью «За безупречную службу» ..... степени.
звание и подпись командира части или
начальника органа, учреждения, заведения
м. п.
«.....» ..... 19.... г.

Приказом Министра Внутренних дел СССР
№ ..... от «.....» ..... 19.... г.
награжден медалью «За безупречную службу» ..... степени.
звание и подпись командира части или
начальника органа, учреждения, заведения
м. п.
«.....» ..... 19.... г.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მანდატი № 522

ამხ. ფანჩულიძე დ.კ.

არჩეულია საქართველოს კპ თბილისის პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციის XLI კონფერენციის დელეგატად

პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან.

1980 სამანდატო კომისია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

საქართველოს პროფესიონალთა ფედერაციის კომუნისტური კომისია

მანდატი № 372

ამხ. ფანჩულიძე დ.კ.

არჩეულია საქ. ალკ თბილისის პირველი მაისის რაიონის XLI კონფერენციის დელეგატად

კომკავშირული ორგანიზაციიდან

1979 სამანდატო კომისია

Фамилия Панчулидзе Имя Доментий
Отчество Капланович год и дата рождения 1953
Место работы (учебы) 1 линия УВД
Город Тбилиси Спортивная организация
Динамо
Вид спорта Борьба Самбо
Спортивный разряд I-б з.р. Личная подпись Панчулидзе

Зарегистрирован в коллективе физкультуры
Наименование коллектива N 16 г. Тбилиси
м. п.
Подпись ответственного лица

1. Фамилия Панчулидзе
Имя Доментий Отчество Капланович
2. Год и дата рождения 1953 г.
3. Место работы первомайский РВД. МВД ГРУЗССР
учебы
4. Спортивная организация груз сов
„Динамо"
5. Город Тбилиси
6. Вид спорта борьба самбо
7. Спортивный разряд и звание первый
8. Личная подпись
Дата заполнения 20-II-1977 г.

Зарегистрирован в коллективе физкультуры КРК-5
„Динамо"
дата 1974
м/п
Подпись ответствен. лица



Коллегия судей по борьбе самбо

КНИЖКА УЧЕТА СУДЕЙСКОЙ РАБОТЫ

№

Фамилия Панчулидзе

Имя и отчество Доментий Капланович

Судейская категория Первая

Спец. судейства по борьбе самбо.

Пред. коллегии судей



1. Фамилия Панчулидзе

Имя Доментий отчество Капланович

2. Год и дата рождения 1953 г.

3. Место работы Первомайский РВД МВД Груз ССР.

учебы

4. Спортивная организация ВС ДСО Гантиади.

5. Город Тбилиси

6. Вид спорта Борьба Самбо

7. Спортивный разряд и звание М/С.

8. Личная подпись

Дата заполнения 8/VII 1978.

Зарегистрирован в коллективе физкультуры Д/Ф. Гантиади.

МВД СССР

УДОСТОВЕРЕНИЕ
классного специалиста

Старш лейтенант
(звание)

Панчулидзе Д.К.
фамилия и инициалы)

Присвоена квалификация специалиста №68

3 КЛАССА. Приказ
Первомайского райо
(наименование органа, подразделения)
№ ___ от „22" 12 19__ г.

2 КЛАССА. Приказ _____
(наименование органа, подразделения)
№ ___ от „___" _____ 19__ г.

1 КЛАССА. Приказ _____
(наименование органа, подразделения)
№ ___ от „___" _____ 19__ г.

Подтверждение присвоенной классной квалификации

„3" КЛАССА. Приказ 68
Первомайского райо
(наименование органа, подразделения)
№ ___ от „22" 12 19__ г.

„___" КЛАССА. Приказ _____
(наименование органа, подразделения)
№ ___ от „___" _____ 19__ г.

„___" КЛАССА. Приказ _____
(наименование органа, подразделения)
№ ___ от „___" _____ 19__ г.

м. п.

Начальник органа (подразделения) внутренних дел
(звание и подпись)
„___" _____ 19__ г.

Министерство внутренних дел СССР

УДОСТОВЕРЕНИЕ

Ст. лейтенант милиции
Панчулидзе
Дометий Тапланович

приказом МВД
Грузинской ССР
от 31 мая 1990 г. № 141 л/с

награжден нагрудным знаком
„За отличную службу в МВД".

Министр вн. дел ГССР
генерал-лейтенант в/с

м. п.

ГССР

Министерство внутренних дел
„13" июля 1990 г.
№ 5/51-2200
Гос. заповедник—гор. Тбилиси

Начальнику Первомайского РОВД г. Тбилиси

Приказом МВД ГССР № 141 л/с от 31 мая 1990 года сотрудник вверенного Вам отдела ст. Панчулидзе Д.К.

награжден нагрудным знаком «За отличную службу в МВД».

Высылая нагрудный знак прошу организовать торжественное вручение награжденному.

Приложение: Нагрудный знак, 1 удост.

16 VII 1990 3106-1

Зам. начальника УК МВД ГССР
подполковник мил. Ю. Р.И. Худ...

- 1953 წლის 10 იანვარს დავიბადე თერჯოლის (ჩხარის) რაიონი სოფ. ძევრში.
- 1961 წლის 1-ლ სექტემბერს მივიღე პირველადი დაწყებითი განათლება ს. ძევრში
- 1970 წელს დავამთავრე თერჯოლის რ-ნი სოფ. ჩხარის საშუალო სკოლა
- 1970-72 წ.წ. დავამთავრე ქუთაისის რადიოტექნიკუმი.
- 1972-73 წ.წ. ვმუშაობდი ქუთაისის რადიო-ტელე გადაცემათა სადგურში.
- 1973-1975 წ.წ. სავალდებულო სამხედრო სამსახური ქ. ვლადივოსტოკში, წყნარი ოკეიანის ფლოტი.
- 1975 წ. საპატრულო - საგუშაგო სამსახური, რიგითი მილიციელიდან (პირველი მაისის) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილეობამდე, ვიცე პოლკოვნიკის წოდებით.
- 1976-81 წ.წ. დავამთავრე საქ. სახ. ფიზ. კულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება,-პედაგოგიური ფაკულტეტი და მილიციის სკოლა. პარტიული სკოლა.
- 1981-82 წ.წ. დიდუბე - ჩუღურეთის (ყოფ. პირველი მაისის) - დაცვის პოლიცია.
- 1982-85 წ.წ. არასწრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორი.
- 1985-90 წ.წ. სამსახურის უფროსი ინსპექტორი
- 1990-91 წ.წ. უბნის უფროსი ინსპექტორი
- 1991-1993 წ.წ. სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი.
- 1998-1999 წ.წ. - უბნის უფროსი ინსპექტორი.
- 1999-2001 წ.წ. - პოლიციის უფროსის მოადგილე
- 2001-2002 წ.წ. - უბნის უფროსი ინსპექტორი
- 2002 წელი - თებერვალი, თადარიგში პირადი პატაკით გავედი ათი წლით ადრე ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“...

ВСЕСОЮЗНОЕ ФИЗКУЛЬТУРНО-СПОРТИВНОЕ
ОРДЕНА ЛЕНИНА ОБЩЕСТВО «ДИНАМО»

УДОСТОВЕРЕНИЕ № 165

Тов. Панчулидзе Д.К

является общественным инструктором

по самозащите без оружия

Основание: постановление пр. МВД СССР ~~совета «Динамо»~~ № 69

от 4.02. 1986 г.

м. п. Председатель совета

Тов. Панчулидзе Д.К

состоит на учете в коллективе физкультуры № 16

организации «Динамо»

Действительно по 5 02 1988

Продлено до „ ” 19 г.

Продлено до „ ” 19 г.

Продлено до „ ” 19 г.

**КОМИТЕТ ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ СССР**

Тов. Панчулидзе Д.К

сдавший (сдавшая) требования ... ступени

ВСЕСОЮЗНОГО ФИЗКУЛЬТУРНОГО КОМПЛЕКСА
«ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР»

награжден (а) бронзы значком

Подпись

печати 19 78 г.

**КОМИТЕТ ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ СССР**

Тов. Панчулидзе Д.К.

сдавший (сдавшая) требования ... ступени

ВСЕСОЮЗНОГО ФИЗКУЛЬТУРНОГО КОМПЛЕКСА
«ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР»

награжден (а) II серебра значком

Место для печати Подпись

15 от 19 V 1977 г.

– დიდუბის (პირველი მაისის) მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს გაერთიანებული კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.
– პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე, სახალხო კონტროლის თავმჯდომარე, რაიონის დელეგატი, დეპუტატი).





# ყველგან დაფასებული!

გაზეთ, - „თაობიდან თაობა“-ს რედაქტორს, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანს, თადარიგში პოლიციის ვიცე პოლკოვნიკს, - დომენტი (დონი) ფანჩულიძეს, თანამებრძოლები ვულოცავთ, - „წმინდა სოფიას სამხედრო ორდენის“ - <<დიდი ჯვრის რაინდად>> წოდებისათვის. მის ღვაწლს, წვლილს, სიქველის და თანადგომის ნიშნად.

„ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა
დახმარების საერთაშორისო ფონდი“-ს
პრეზიდენტი გურამ ალავიძე

მისი საიმპერატორო უმაღლესობა პორფირისფერ მეწამულში შობილი პრინცი
ეზრა ჰანიბალი თეო პატერნიანო ფოსკარი ვიდმან რეცცონიკო
კეთილშობილ დოჟად დაბადებული და ვენეტოელი პატრიცი,
ნოვენტას, ძელლარინოს და სან ბრუზონის გრაფი,
სან პატერნიანოს, სომარეგის და წმინდა რომაული იმპერიის ბარონი,
ორტენბურგის და წმინდა რომაული იმპერიის ჰერცოგი

სახელით და იარაღით მეთაური
ნებითა ღვთისა, დედის სისხლით და საერო დინასტიური კანონით

კონსტანტინოპოლის ტომასსინი პატერნო ლეოპარდის ოჯახი
აღმოსავლეთ რომის საიმპერიო იუსტინიანე ერაკლიანას აუგუსტისეული დინასტია
ტრადიციული ორთოდოქსული წმინდა ბერძნული ეკლესიის უზენაესი მფარველობით
XXVIII X MMXVIII ამ ღირსშესანიშნავ და ბრწყინვალე დღეს

ასახელებს

*გენ. დონი ფანჩულიძე აზნაურს*
მისი ღვაწლის, წვლილის, სიქველის და თანადგომის ნიშნად

*წმინდა სოფიას სამხედრო ორდენის*
*დიდი ჯვრის რაინდად*

საიმპერიო არქივი - ოქმის ნომერი OGSS55

წმინდა რომის იმპერია პორფირისფერ მეწამულში შობილი პრინცი
*(ეზრა დიდი მაგისტრის ბეჭედი და ხელმოწერა)*

დიდი კაპელანი  დიდი კანცლერი
მისი უწმინდესობა ეპისკოპოსი სილვანო ლივი  წმინდა რომის იმპერიის პრინცი პატრიცი მარკო
იტალიის ორთოდოქსი ბერძენი ეგზარხოსი  ტომასსინი პატერნო ლეოპარდი

*(ლუნის ეპისკოპოსის სილვანოს ბეჭედი და ხელისმოწერა)*
*(დიდი კაპელანის ბეჭედი და ხელისმოწერა)*
*(დიდი კანცლერ პატრიციის ბეჭედი და ხელისმოწერა)*

# საგარანტიო ცნობა

## დიდოსტატი ოქრომჭედელი
## ორაციო სკურო

(გატარებული ნოვარას ექსპერტთა რეესტრში C.C.I.A.A. №. 410)

ადასტურებს, რომ წმინდა სოფიას საპატიო ყარაულის ორდენის მინიატურა და კოკარდა შესრულებულ იქნახელოსნური წესით და იქ გამოყენებული მასალები არიან პირველი ხარისხის, შესატყვისი როგორც პროდუქტი და დამუშავებული ევროპის კავშირში მიღებული ნორმატივების დაცვით.

ჩვენი სახელოსნო ლაბორატორია ასრულებს მაღალი დონის საოქრომჭედლო დაკვეთებს და წმინდა სოფიას საპატიო ყარაულის ორდენის დეკორაციები შესრულებულ იქნა 925%-იანი ვერცხლით, მოოქროვილი 24 კარატიან ოქროში და გაძვირფასებული ცეცხლით ფიქსირებული ემალით და ხელით მოპირკეთებული.

ჩივიტავეკკია, 2019 წლის 28 მარტი

ხელმოწერა
*ორაციო სკურო*

*(ნოვარას ექსპერტთა რეესტრის მეჭედი*
*ორაციო სკუროს ხელმოწერით)*

შენახვის და მოვლის წესები

სამკაულის გამოყენების შემდეგ იგი უნდა გაიწმინდოს რბილი და მშრალი ქსოვილით ყოველგვარი საწმენდი ხსნარების გამოყენების გარეშე და ყოველთვის უნდა ჩაიდოს მის განკუთვნილ ყუთში, მისი უკეთ შენახვის მიზნით.

ორაციო სკურო ქონსალთინგ პ. დღგ 07683150721 პაპი პიუს XII ქუჩა, № 1(ბა)
www.orafoorazioscuro.com info@orafoorazioscuro.com

## = წახალისებები =

- 1978 წელს მომენიჭა „სპორტის ოსტატი“-ს წოდება ჭიდაობა „სამბოში“.
- 1978 წელს მომანიჭეს „ფრიადოსანი მილიციელი“-ს სამკერდე ნიშნით.
- 1979 წელს დამაჯილდოვეს „წარმატებული მუშაობისათვის“ სამკერდე ნიშნით.
- 1979 წელს დამაჯილდოვა საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა ქ. მოსკოვში „საპატიო სიგელით“. შეხვედრები მომიწყვეს მოსკოვის მოწინავე ინტელიგენციასთან, ხელოვნებთან, კოსმონავტებთან, მწერლებთან, სპორცმენებთან 10-ნოემბერს მილიციის დღესთან დაკავშირებით. წარგზავნილი ვიყავი საქ. შ/ს სამინისტროდან, ხოლო უშიშროების კომიტეტიდან შ/ჯარების ლეიტენანტი გიორგი (გია) ცინცაძე ათდღიანი მიწვევით.
- 1980 წელს მონაწილეიბა მივიღე შ/ს სამინისტროს კომკავშირის მდივნების საკავშირო შეკრება-სემინარზე ქ. კოსტრომაში, საქართველოდან ვმონაწილეობდით:

1. დომენტი ფანჩულიძე - შ/ს სამინისტროდან.
2. პაატა ქადარია, რკინიგზის ტრანსპორტის პოლიციის სამმართველოდან.
3. სერგო მელქონიანი - აჭარის ავტონომიური რესპ. შ/ს სამი-დან.
4. სვეტლანა ჩიბიროვა - ოსეთის შ/ს სამინისტროდან.
5. ამირან კვარაცხელია - აფხაზეთის შ/ს სამინისტროდან
6. ლევან ლორთქიფანიძე - სახანძრო დაცვის სამმართველოდან.

1990 წელს მომანიჭეს „პოლიციის მაიორის“ რიგგარეშე წოდება, სისხლის სამართლის დამნაშავე პირებთან შეიარაღებული თავდასხმისა და შეტაკების დროს საზრიანობისა და გამბედაობისათვის, სადაც მოწინააღმდეგეებიდან გამოყენებული იქნა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები, - მონაწილეობდა სამი პირი, სამივე შეიარაღებულნი ავტომატური იარაღებით...

ზემ. მარცხ: გივი წიქარიძე, ზურა მაჭარაშვილი, სულიკო კევლიშვილი ელგუჯა ნიშიანიძე, ზაურ ნამგალაძე, თენგიზ პატარიძე, ლია ბატიაშვილი ჯუმბერ ნადარეიშვილი, ტარიელ გვენეტაძე, ჯემალ ლანჩავა, დონი ფანჩულიძე გიგო არაბული. გად: 1982წ ქ.თბილისის დიდუბის (პირველი მაისის) მილიციის განყოფილება დავით აღმაშენებლის გამზ №113

1991 წლის 5 იანვარს შევწყვიტეთ მკურნალობა მე და ჩემმა მეუღლემ წყალტუბო, სანატორიუმ „აია“-ში.

10 იანვარს (დაბადების დღე) ჩავერთე საბრძოლო ოპერაციებში, „სამაჩაბლო“, - ქ. ცხინვალში ათი დღით, დაბადების დღე მივუძღვენი ქართველ ხალხსა და საქართველოს ერთიანობას.

1992 წლის დასაწყისიდან მონაწილეობას ვღებულობდი საქართველოში, ყველა რაიონსა და ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ეგრეთ წოდებული „ზვიადისტების“ მიერ მოწყობილ მიტინგებზე, დროებით სამთავრობო დანაყოფებიდან მიტმასნილ ე.წ. „მხედრიონელებთან“ და „ბანდფორმირებებთან“ შეტაკების დროს, დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს რეგიონში,- ზუგდიდში, სენაკში, წალენჯიხაში, მარტვილის და ხობის რაიონში საგანგებო მდგომარეობისა და „კომენდანტის საათის“ დროს...

1992 წლის 13-14 აგვისტოს აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩავერთე საბრძოლო ოპერაციებში,-ოჩამჩირის რაიონი სოფელ არადუსა და კინდღაში, ხოლო 1992 წლის თებერვლის თვეში ოჩამჩირის რაიონი სოფელ ლაბრაში... გამოცხადებული მაქვს მადლობა და მიღებული მაქვს ფასიანი საჩუქარი პირად საქმეში შეტანით...

2003 წლის მარტის თვიდან, თადარიგში გასვლის შემდეგ კვლავ წესრიგის დაცვის სამსახურში ჩავდექი, შ.პ.ს. „რეინჯერის“ დაცვის უფროსად.

1984 წელს მოვამზადე და გამოვეცი სახელმძღვანელო წიგნი „ძნელად აღსაზრდელ ა/სრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკური ღონისძიებები“.

2010 წელს მოვამზადე და გამოვეცი წიგნი: - „პროფესიული კურიოზები-ძალოვნები ხუმრობენ“ 2000-იანი ტირაჟით...

2012 წელს მოვამზადე და გამოვეცი წიგნი:

- ხუმრობენ და იცინიან ძევრელები და ჩხარელები“,
- იმერული კურიოზები.
- =ამღერებული ლექსები=
- „შავი ხელი“

- დაზვერვის ოფიცერი „გიურზა“
- ჩემი პირველი მასწავლებელი;
- „სამართალი ნაძირლების გარემოცვაში“.
- <<პოლიციელის ასავალ-დასავალი>>.




ჩემი ძვირფასი შემოქმედება მკითხველის.
ვლადი ფარცხალაძე

2019 წელს, ღვაწლის, წვლილის, სიქველისა და თანადგომის ნიშნად, - რომის დინასტიამ დამაჯილდოვა, წმინდა სოფიას სამხედრო ორდენის „დიდი ჯვრის“ რაინდად.

## = წარუმატებელი წელი =

2009 წლის 19 ივლისს კვირა დღეს, - აბსურდული ბრალდებით, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩემმა ახალბედა კოლეგამ,- დიდუბე-ჩუღურეთის შ/ს სამმართველოს მე-2 განყოფილების პოლიციის უფროსმა გიორგი ბჟალავამ, რომელმაც უფლებამოსილებას გადაამეტა და შეეცადა ჩემს მიმართ შანტაჟით მსვლელობა არ მიმეცა, რომელმაც ამ მოქმედებით, მეორედ გაიმეორა დანაშაული, რის შემდეგ „შეთითხნა საქმე“ წვრილმან ხულიგნობის ბრალდებით თითქოს შეურაცხყოფა მივაყენე მას. პოლიციის თანამშრომლის წინააღმდეგობის გაწევისა და სიტყვიერი შეურაცყოფისათვის ქალაქის სასამართლოს მიერ გასამართლებული ვიყავი (მოსამართლე გიორგი ტყავაძე) ადმინისტრაციული კოდექსის N166-ე, N173-ე, N266-267-ე, N271-ე და N290-ე, აქედან N173-ე მუხლით, - 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით დამაჯარიმეს... (აღნიშნულთან დაკავშირებით მონაკვლევი მასალები განთავსებულია და იხილეთ ჩემს მიერ გამოცემულ წიგნში - „სამართალი ნაძირლების გარემოცვაში“.

არ მინდოდა ჩემს უმწიკვლო გზაზე განვლილი ცხოვრების ასახვისას აღმენიშნა ეს გარეწრები, მაგრამ შთამომავლობამ და ჩემს გვერდით მომუშავე კოლეგებმა გაიცნონ ის არამზადები, რომლებიც აჩრდილად გაჰყვა ჩემს დარჩენილ ცხოვრებას...

...ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება...
წამოგვეწევა სიბერე, მელივით წამოგვადგება,
სიკვდილი გზაში მიყელებს, თვალები გაავდარდება.
მომიგონებენ შვილები, მზეს შეხედავენ მაღლითა:
„სოფელში შემოაღამდა, ბინდმა ძაღლივით დაფლითა“.
ნეტა, სიცოცხლის მამგონი ღმერთი თუ ჯოჯოხეთია?,
ბევრი სიმწარე მინახავს, ბევრი სხვა გადამხდენია...

დონი ფანჩულიძე

ივნისი, 2020 წ.

# “პ ო ლ ი ც ი ე ლ ი ს ა ს ა ვ ა ლ - დ ა ს ა ვ ა ლ ი”

-კ ი თ ხ ვ ა - პ ა ს უ ხ ი -

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 1. ბედნიერების შენეული აღქმა და გზა, რომელსაც ბედნიერებისკენ მივყევართ?**

**პასუხი** დ.ფ.

---------- ბედნიერება დაკავშირებულია პირველ რიგში ჩემს ოჯახთან, მყავს მეუღლე და ქალიშვილი. ბედნიერება არის ასევე ჩემი საქმიანობა, ვარ ომისა და შეიარაღებული ძალების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის პრესსამსახურის ხელმძღვანელი. ბედნიერი ვარ იმით, რომ შემიძლია დავეხმარო ვეტერანებს, ვიზრუნო გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე, ჩვენს მომავალ თაობას ვუნერგავ პატრიოტულ სულისკვეთებას, ასე მესახება გზა, რომელსაც ბედნიერებისაკენ მივყავართ.

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 2. გვესაუბრეთ თქვენს ბავშვობაზე-ოჯახზე, კოლმეურნეობაზე, პურის რიგში დგომაზე.**

**პასუხი დ.ფ.**

---------- სადაც დავიბადე, 1953 წლის 10 იანვარს, ადრე ჩხარის რაიონი, ამჟამად თერჯოლის რაიონი, სოფელი ძევრია, ფუძე-დიდი ოჯახი იყო, რადგან აღიზარდნენ მამას დედმამიშვილები, -8- სული, ოთხი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი. რადგან ჩემს მშობლებს სამი ქალიშვილი უკვე შემენილი ჰყავდათ, ნატრულობდნენ მეოთხე შვილს-ვაჟს. დედას მშობიარობა სახლის პირობებში მოუხდა, რადგან მამიდა-ზოია ფანჩულიძე რაიონის ექიმი-გინეკოლოგი იყო, ჩვენთან

„დიდი სამამულო ომის“ მონაწილე ალექსანდრე ჯაფარიძის ოჯახში. ომის ვეტერანები დონი ფანჩულიძე და ამბროსი ლეჟავა საახალწლო ნობათის გადაცემის დროს 1.01.2016 წელი, ქ. თბილისი

გურამ ალავიძე და დონი ფანჩულიძე ჰუმანიტარული მისიით ავღანეთში დაღუპულ ჯემალ ნავროზაშვილის მშობლებთან
დუშეთის რაიონი, სოფელი ოძისი. 4 ოქტომბერი 2015 წელი

დონი ფანჩულიძე, „დიდი სამამულო ომის“ მონაწილე ილია ღარიბაშვილს გადასცემს წიგნს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის „სამაჩაბლოში“ და „აფხაზეთში" დაღუპულ გმირ ბიჭებზე.
ქ. თბილისი, 2017 წელი

„ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდი“-ს პრეზიდენტი
გურამ ალავიძე და პრესსამსახურის ხელმძღვანელი დომენტი „დონი“ ფანჩულიძე,
მორიგი ჰუმანიტარული საჩუქრების გაცემი დროს ომის მონაწილეებისათვის

ცხოვრობდა. 1960 წლის ცნობილი მოვლენების დროს როდესაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვიყავით ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნის - ნიკიტა ხრუშჩოვის მცდარმა პოლიტიკურმა მიდგომამ კრახი განიცადა, მან სიმინდის მოსავალს მეტი ყურადგება დაუთმო, ვიდრე პურისას, რამაც გამოიწვია - პურის დეფიციტი. მე და ჩემი დედმამიშვილები რიგრიგობით დილის 6-00 საათზე პურის რიგში ვდგებოდით. 1964 წლის აგვისტოს თვის დასაწყისში, ჯერ კიდევ 4-ე კლასის მოსწავლეს მამა ორთავე თვალით დამიბრმავდა, ხელის თითების ამპუტაციაც დასჭირდა, საწარმოო ტრამვის შედეგად. ერთი წლის შემდეგ ოჯახს ეკონომიურად გაგვიჭირდა. არდადეგების დროს დილით, როდესაც ყველას ეძინა, გავიპარე სახლიდან, რათა დამეწყო მუშაობა გეოლოგიის სამმართველოში მუშად, მინდოდა მე-7 კლასის მოსწავლეს შემეძინა სკოლისათვის წიგნები, რვეულები, სკოლის ფორმა,... რადგან არასრულწლოვანი ვიყავი, ხელმძღვანელობამ არ მიმიღო. სახლშიდაც ძებნა გამოუცხადებიათ. ბავშვობაში "მთვარეული" ვიყავი, ღამით უნებლიეთ წამოვდგებოდი და დავდიოდი. ოთახში, იფიქრეს გაუხსენა ის მოვლენებიო და მდინარის პირზე მეძებდნენ. შინ მისვლისას კარგი საყვედურიც მივიღე,… არ დავმალავ და მცემეს... მამის დაბრმავებამდე, საკუთარ კარ-მიდამოსთან ერთად, გაპიროვნებული გვქონდა კოლმეურნეობის ყანები და ვენახები. ზაფხულის არდადეგების დროს, შეძლებული ოჯახის ბავშვები სანატორიუმში რომ ისვენებდნენ და "პიონერთა" ბანაკებში, ჩემ დედმამიშვილებთან ერთად სიცხეში, ვენახებსა და ყანებს ვამუშავებდი. სადილზე დედა აივანზე გამოფენდა "წითელ ნაჭერს". ეს იმის ნიშანი იყო, რომ სადილი გამზადებული ჰქონდა. მივდიოდით შესვენებაზე, ასეთ შრომაში აღვიზარდეთ ექვსი დედმამიშვილი.

ჟურნალისტი - მაცაცო გახოკიძე და რესპოდენტი - დონი ფანჩულიძე. ტელესტუდია "ობიექტივი" - "ვეტერანის საათი".

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 3. რატომ გადაწყვიტეთ ყოფილიყავით სამართალდამცავი? გაიხსენეთ პირველი ნაბიჯები.**

**პასუხი დ.ფ.**

---------- 1960 წლის სექტემბრის თვეა, პირველი კლასის მოსწავლე, ზოია მამიდა და ბებია ნატალია, შემლებულად ცხოვრობდნენ. ღამის 04-00 საათი იქნებოდა. ყვირილმა და ხმაურმა გამაღვიძა, რადგან ბანდიტებს უბნის ელექტრო ხაზი ჩაუჭრიათ, მამაჩემი სიბნელეში სანადირო თოფს ეძებდა და სახლიდან გავარდა. რამოდენიმე წუთის გასვლის შემდეგ, სროლის ხმაც კი გავიგონე. ბანდიტებს მათი სახლი დაუყაჩაღებიათ... ერთმა მომენტმა ამანაც მიბიძგა დამეწყო ძალოვან სისტემაში მუშაობა, მეორე, ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ უკვე საბოლოოდ მივიღე ჩემი არჩევანი. მამას, ყოფილ სამხედრო მფრინავს, უნდოდა მფრინავი გავმხდარიყავი, დედას – ექიმ-გინეკოლოგი, ჩემი ნათლიის - აკადემიკოს ვასილ ვერულაშვილის პროფესიას გავყოლოდი. ერთიპერიოდი გემის კაპიტნობასაც კი ვაპირებდი.

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 4. დღე, როდესაც სიკვდილს თვალებში ჩახედეთ.**

**პასუხი დ.ფ.**

---------- სანამ ეტაპობრივად გართულდებოდა ჩემი ყოველდღიური ცხოვრება მილიციაში, არ მინდა არ მოვიგონო ერთი მეტად დამამახსოვრებელი ფაქტი. 1976 წელია, მილიციის სამორიგეოში შემოვიდა შეტყობინება - ჩხუბია! სამორიგეოს მანქანით გავედით "დინამოს სტადიონთან" გლდანის ქუჩაზე, დამხვდა პატარა ბიჭების ქუჩური ჩხუბი, რომელიც მათ შორის აქტიურობდა, დავაკავე და ჩავსვი მანქანაში, მომიცვივდნენ უბნის ქალები და გამაშვებინეს, - ეს ჩვენი

“ზაზა” არისო! გადიოდა დრო.... ის ახალგაზრდა ბიჭი, ჩემთვის რამოდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, - “ზაზა კოლელიშვილი”. ამის შემდეგ უფრო გამირთულდა ჩემი პროფესიის შესრულება.

რამოდენიმე წლის დაწყებული მაქვს მუშაობა მილიციაში, ჯერ კიდევ სერჟანტის წოდებით ვარ, პასუხისმგებელი მორიგის თანაშემწე, როდესაც განსაკუთრებული ღონისძიებები იყო, იმ დროს ვალდებული ვიყავი მიმეღო მონაწილეობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. 1977 წლის 23 ივლისია, “დინამოს” სტადიონი ახალი გახსნილია, ,,დინამოს” ფეხბურთის ნაკრები მე-2 ადგილზეა, გადამწყვეტი შეხვედრა აქვს ,,ზარია ვოროშილოვგრადთან”. თამაშს ატარებდა “არაობიექტური მსაჯი”, მან პენალტი არ დანიშნა, თამაშიც ადრე დაამთავრა... 60 000 ათასი მაყურებელი სტადიონზე გადაცვივდა მსაჯის საცემად, ფეხბურთელებმა დაიცვეს მსაჯი მაგრამ იმ დროს ჩვენ თვითონ დასაცავი შევიქმენით.

-1980 წლის აგვისტოა, ჩაირთო სიგნალიზაცია ღამის 04-00 საათზე ერთ-ერთ ბინაზე, ეკიპაჟში სამი კაცი ვიყავით, დამტვრეული „მოსკვიჩით“ დიღმის მასივში 12-ე კორპუსში ხდება ეს ამბავი. ქურდებს სადარბაზოში წინასწარ შუქები ჩაუქრიათ, გამიწიეს წინააგმდეგობა. რადგან ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი, ინიციატივა მე ავიღე, გამაფრთხილებელი გასროლა მოვახდინე, ამან უფრო გააქტიურა თავდამსხმელები. სროლის ხმაზე თანაშრომლებმა, თევზაძემ და მინასიანმა მიმატოვეს, ერთი ქურდი ფეხში დაიჭრა, მეორე გაიქცა, დავადგინე მისი ადგილსამყოფელი და ისიც დავაკავე....

-1991 წლის იანვრის თვის დასაწყისია, მეუღლესთან ერთად დაბა წყალტუბო, სანატორიუმ „ა ი ა“-ში ვისვენებთ. ცხინვალში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად შევიდა თბილისის გარნიზონის პირადი შემადგენლობა 600 კაცი. უკვე 5 იანვარი იყო, შევწყვიტე შვებულება და 10 იანვარს, ჩემს დაბადების დღეს, უკვე ავტომატით დავრბოდი ყინვასა და სიცივეში ჯავის რაიონის ტერიტორიაზე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა უკვე ომში გადაიზარდა, აღნიშნულ საომარ მოქმედებებში მომიწია სამჯერ გამგზავრება...

ჟურნალისტი - პაატა ჯოხაძე და რესპოდენტი - დონი ფანჩულიძე. ტელესტუდია "ობიექტივი" - "ვეტერანის საათი".

-1992 წლის 13 აგვისტოს განმეორებით მომიწია საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე, 14 აგვისტოს ოჩამჩირის, სოფელ არადუში ჩასაფრებულმა "სნაიპერებმა", ცეცხლი გაგვიხსნეს პოლიციის თანამშრომლებს. ჩემს გვერდით დაიღუპა პოლიციის მაიორი პ ა ა ტ ა ნ ა თ ე ნ ა ძ ე. . . ამის შემდეგ ორჯერ მომიწია აფხაზეთში საომარ მოქმედებებში მონაწილეობა ოჩამჩირის რაიონი, სოფელ ლაბრაში და კინდღაში. . . . …

-1994 წლის იანვარია, მეტრო "დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიიდან სამმა ავტომატით შეიარაღებულმა პირმა დააყაჩა ბ უ დ უ ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს კუთვნილი ავტომანქანა. ჯერ კიდევ არეულობა იყო საქართველოში და პირადად თბილისში. მიუხედავად ჩვენი გაფრთხილებისა, მოგვიხდა რომ იტყვიან "პერესტრელკა" – ერთი ყაჩაღი გარდაიცვალა, მეორე დაიჭრა, მესამემ ავტომატის ჯერით იარაღი ჩემსკენ მომართა. მოულოდნელად ვწვდი ავტომატს, – გამოვგლიჯე ხელიდან, დავანარცხე ტროტუარზე და გაკოჭილი მყავდა რამდენიმე წუთს... სანამ დამატებითი ძალები არ მომეხმარა ეს ხდებოდა აკაკი წერეთლის გამზირზე, გამოფენის წინ, მე მან გამიმეტა, მე კი მას სიცოცხლე შევუნარჩუნე. მხედრული მამაცობისთვის მომანიჭეს რიგგარეშედ "მაიორის წოდება".

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითქვა 5. ვისაუბრეთ "9-აპრილის" შესახებ, იყო თუ არა ეს რუსული სცენარი?**

**პასუხი დ.ფ.**

---------- ამ საკითხზე გადაღებული იქნა დოკუმენტური ფილმი, ჟურნალ „ვეტერანი"-ს მთავარ რედაქტორ, „9 აპრილის" და „აფხაზეთის" ომის მონაწილე ზაირა მიქატაძის მიერ და ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გავაკეთე ტელევიზია „თრიალეთში" და რადიოს „პირველ არხზე". 1989 წლის 18 მარტის თვეში ჩატარდა

“ლიხნის” კრება, სადაც აფხაზებმა გამოაცხადეს სრული დაუმორჩილებლობა. 1989 წლის 4 აპრილს თბილისში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩაატარეს საპირისპირო მიტინგი, სადაც მონაწილეობდნენ სტუდენტობა, ლექტორ-მასწავლებლები, გულანთებული ყველა პროფესიის ხალხის მასა. ჩვენ მობილიზებული ვიყავით, რათა მთავრობის სასახლის წინ არ მომხდარიყო დესტაბილიზაცია და არასტაბილური მდგომარეობა. დღის 14-00 საათიდან მომიტინგეებმა გაარღვიეს მილიციის დერეფანი და დასხდნენ კიბეებზე, გამოაცხადეს შიმშილობა, რომელიც გაგრძელდა, 8-აპრილამდე. აღნიშნულ დღეს 30 მილიციის თანამშრომელთან ერთად შევცვალე წინა დღით განწესებული მილიციის თანამშრომლები. მიუხედავად პატრიარქის - ილია II-ის თხოვნისა, მომიტინგეები არ დაიშალნენ - მალე რუსმა სპეცდანიშნულების რაზმმა დაარბია მომიტინგეები. დარბევისას გარდაიცვალა 21 ქალი და მამაკაცი. იყო თუ არა რუსული სცენარი – ამ საკითხს ექსპერტები და მემატიანე გაანალიზებენ.

მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე (9 აპრილის მონაწილე),ნინო ომარიძე (ტელე ჟურნალისტი), გურამ ალავიძე (ავღანეთის ომისა და 9 აპრილის მონაწილე ფონდის პრეზიდენტი).

ტელესტუდია ,,თრიალეთი" 12 აპრილი, 2016 წ.

მარცხნიდან: ჟურნალისტები - დავით ველიჯანაშვილი, ქეთი ელიეშვილი
მოწვეულ რესპოდენტ - დონი ფანჩულიძესთან ერთად,
რადიო გადაცემა „1 არხზე"

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 6. როგორც ცნობილია, თქვენ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეთ, როგორ მოახერხეთ ეს???**

**პასუხი დ.ფ.**

---------- 1989 წლის 8 აპრილს გაგვანაწილეს მთვრობის სახლის წინ მოშიმშილეებთან, რათა მომიტინგეთა მასა არ შევარდნილიყო მთავრობის ეზოში. იარაღი განყოფილებაში დაგვატოვებინეს, ხოლო ხელკეტები, ფარები და ჩაფხუტები ჩვენზე მომაგრებულ ავტობუსებში იყო დატოვებული.

ღამით 04-00 საათზე, როდესაც მომიტინგეების დარბევა დაიწყო, ქაოსი ჩამოწვა. ვინ საით გარბოდა ვერ გაიგებდით. სპეცნაწილების დამატებითი ძალები მთავრობის სახლის სვეტებში იდგნენ, გაიცა ბრძანება მათზეც, რათა დაძრულიყვნენ, ახლა სადაც ფანტანია იმ დროს ბუჩქნარი იყო, იმალებოდნენ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები. ჩვენ გვხელმძღვანელობდნენ პოლკოვნიკები ჯ ი მ ი ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე და დ ა ვ ი თ ლ ო ლ ა ძ ე. მათ მიუთითეს ახალგაზრდებს ბუჩქებიდან გამოსულიყვნენ და მთავრობის სასახლის ეზოში გაქცეულიყვნენ.

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 7. "9-აპრილის" განვითარებული მოვლენების შესახებ, საზოგადოებისათვის მეტნაკლებად ცნობილია, არის რაიმე ისეთი, რაც არ ვიცით და უნდა ვიცოდეთ?**

**პასუხი დ.ფ.**

---------- 70 წლის მანძილზე ქართველები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვიყავით, რუსეთს იმდენი კაპიტალ-დაბანდებები ჰქონდა საქართველოში, ასე იოლად არ დათმობდა ჩვენს ტერიტორიას. თავმოყრილი იყო შეიარაღება, სამხედრო ბაზები. საქართველოს ტერიტორია - "ევრაზიის" დამაკავშირებელი ხაზია... (ყველაფერი არც ითქმება და არც იჭმებაო, - წინაპრები ჩაგვინერგავდნენ ამ ბრძნულ

სიტყვებს) აქ საქართველოში - ა მ ე რ ი კ ი ს , ე ვ რ ო პ ი ს ა  დ ა  რ უ ს ე თ ი ს  ინტერესები იკვეთებიან. . .

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 8:** **ვინ იყვნენ მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ზურაბ ჭავჭავაძე, გია ჭანტურია - ჩვენი ქვეყნისათვის? შეაფასეთ მათი მოღვაწეობა.**

**პასუხი დ.ფ.**

---------- ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოლიციელი, ვერ ვაანალიზებდი მათ ეროვნულ საქმინობას, რადგან ყოველ თათბირზე უშიშროებიდან მიღებულ დირექტივებს გვაცნობდნენ ყოველდღიურ თათბირებზე მათი საქმიანობის შესახებ, ისინი ძირს უთხრიან "საბჭოთა წყობილებას". მე სკოლის ასაკიდანვე "საბჭოურ იდეოლოგიით" აღზრდილი ვიყავი, ვერ ვეგუებოდი მათ საქმიანობას, რადგან ჩვენი დევიზი იყო - "დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს!!! ძირს დამპალი, მსხვრევადი, ლპობადი, მომაკვდავი კაპიტალიზმი!!! -"გაუმარჯოს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ  ს ო ც ო ა ლ ი ზ მ ს !!!"... დროთა განმავლობაში და მიტინგზე მათთან ერთად ყოფნამ შეხედულება შემეცვალა, სადაც ყველაფერი ის იდეოლოგია, რასაც გვინერგავდნენ, მცდარი აღმოჩნდა. ლიდერები, - ზვიადი, მერაბი, ზურაბ ჭავჭავაძე და გია ჭანტურია ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საპატიმრო ადგილებში.... ძირითადი ბირთვი, ვინც უშლიდა ხელს საბჭოთა წყობილებას, - ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყო. ბატონ მერაბს, რომელსაც საკუთარი მანქანა არასოდეს ღირსებია, ეცვა გახუნებული პერანგი. ბორითთან მომხდარი ავარია-ტერაქტის დროს, გარდაცვლილ მერაბ კოსტავას ნაწამები და გულაგებში ნატანჯი სხეული პროზექტურაში დაასვენეს. ის ამ ქვეყნიერი საქართველოდან გაუხარელი წავიდა, ხოლო მისი გარდაცვალების დროს, პანაშვიდზე მისულ ხალხს გადაღებილი იატაკიც პერანგივით გახუნებული ხვდებოდათ, მაგრამ ის მდიდარი იყო ხალხის სიყვარულით...

დონი ფანჩულიძე
ტელესტუდია "ობიექტივში"

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 9. ისაუბრეთ ქართველი კაცის ბუნებასა და ადამიანობაზე. მათ ნაკლსა და გმირობაზე. გაიხსენეთ კარტოზია, ჟორდანია და ა.შ.**

**პასუხი დ.ფ.**

---------- ქართველი კაცის ბუნება, ადამიანობა და გმირობა ჩემი მამიდან ვისწავლე. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ქალაქ ქუთაისის საჰაერო კლუბის კურსანტი იყო, 1937 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ, ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა და სწავლა გააგრძელა საავიაციო სასწავლებელში. მისი მასწავლებელი ნანეიშვილი იყო, ხოლო თანაკურსელები - ტურაბელიძე ქუთაისიდან, ვანო ხუმარაშვილი კახეთიდან, თოდაძე თერჯოლიდან... 1941 წლის 22 ივნისს დიდი სამამულო ომის დაწყებიდან, როგორც – სამხედრო მფრინავი ბრძოლებში ერთვება. 1942 წლის იანვრიდან ქალაქ სტალინგრადს იცავს, - მდინარე ,,დონის,, მისადგომებთან (ჩემი სახელიც აქედან მოდის). განმეორებითი დაბომბვისა, უკვე ,,კანტუზიით,, ხვდება ბაქოს ჰოსპიტალში, რის შემდეგ დემობილიზებულია. მიუხედავად მცირე ხნით საომარი, მოქმედებებისა, - დაჯილდოებული იყო -,,დიდების ორდენით,, და ,,სტალინგრადის დაცვისათვის" მედლით.

- მისი ხასიათი და ბუნება ჩემში გააღრმავა ერთმა შემთხვევამ. მამამ ჩვენს სოფელში განთავსებულ მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლიდან თავისი თანამებრძოლი ვანო ხუმარაშვილი მოიყვანა შინ მოსავლელად.

- მე არ მინდა ვამტკიცო, რომ ქართველი კაცის ბუნება და კაცობა მამაჩემთან იწყება და მთავრდება.... მინდა გავიხსენო - ქართველი ვაჟკაცების სამაგალითო გმირობა 1962 წლის 20 ივნისს თვითმფრინავი ბრაზილიიდან მოფრინავდა. ჩვენმა მამულიშვილმა პროფესორმა, იოსებ ჟორდანიამ კატასტროფის დროს ოკეანეში ჩავარდნილ თვითმფრინავში თავისი მაშველი რგოლი უბილეთო 6 წლის გოგონას

გადასცა, თვითონ კი 67 წლის ასაკში მყოფმა, სიცოცხლე შეუნარჩუნა მისთვის უცნობ გოგონას, თვითონ კი ცურვა არ იცოდა და დაიღუპა.

- სულ ახლახანს 2014 წლის 28 დეკემბერს მცხეთის დავით აღმაშენებლის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, 27 წლის მამა ილია კარტოზიამ ადრიატიკის ზღვაში მცურავ ბორან "ნორმან ატლანტიკში" ცეცხლმოკიდებულ გემზე, სადაც 422 მგზავრი და 56 ეკიპაჟის წევრი იყო, მათ შორის 8 ქართველი, თავისი ადგილი მაშველ ნავზე ბავშვიან ქალს დაუთმო, თვითონ კი ზღვაში ჩავარდა, ზურგზე მოკიდებული ზურგჩანთასთან ერთად, რომელშიც ხატები იყო მოთავსებული. ეს პატრიოტები სამეგრელოს მხარეში ქართველი ქალის ძუძუთი აღზრდილები იყვნენ... არ მინდა არ ავღნიშნო თავსმოხვეული 2008 წლის აგვისტოს ომი ქალაქ ცხინვალში, სადაც თავი გამოიჩინეს ჩვენმა, ქართველმა მეომრებმა, - უშანგი ,,შმაგი,, სოფრომაძემ და გიორგი ანწუხელიძემ, ისინი ტყვედ ჩავარდნენ ობიექტური მიზეზების გამო. ორთავეს დაუფინეს "საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული დროშა" და მოსთხოვეს მასზე ცეკვა. მიუხედავად ფიზიკური ზეწოლისა და არაადამიანური მოპყრობისა ეს არ შეასრულეს ქართველმა ვაჟკაცმა ბიჭებმა. რაც შეეხება "შმაგი" სოფრომაძეს, განმეორებით შევიდა ცხინვალში დაჭრილებისა და გარდაცვლილების გამოსაყვანად, რა დროსაც ინტენსიური სროლების შედეგად ტყვედ აიყვანეს, რადგან ხელები დასვრილი ჰქონდა, მიხვდნენ "ტანკისტი" იყო და განსაკუთრებით აწამეს. როგორც მეომარი – ვეტერან და თანასოფლელი - თანაუბნელი, ვალში ვიყავი შმაგი სოფრომაძის ნათელ ხსოვნასთან. ორი წლის განმავლობაში, -მივმართე თავდაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურს და თერჯოლის რაიონის გამგეობას, რათა თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში, სადაც შმაგი სწავლობდა და ცხოვრობდა მისი სახელობის საშუალო სკოლა გამხდარიყო და ერთერთი მთავარ ქუჩისათვის მისი სახელი ეწოდებინათ. მეამაყება რომ ეს წამოწყებული ინიციატივა წარმატებით შევასრულე...

დონი ფანჩულიძე - დოკუმენტური ფილმიდან "9 აპრილი".
ჟურნალისტი - ზაირა მიქატაძე, ტელეოპერატორი - თინა თაყაძე,
ტექნიკური მომსახურეობა - მამუკა ჭანუყვაძე

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 10. გაიხსენეთ მერაბ კოსტავას გარდაცვალების დღე, რას ფიქრობთ, ეს მკვლელობა იყო თუ უბედური შემთხვევა???**

**პასუხი დ.ფ.**

---------- მე, როგორც რიგითი ძალოვანი უწყების ერთ-ერთი წარმომადგენელი, გამიჭირდება ამ შემთხვევის გადმოცემა, მასზე მრავალი გამოძიება ჩატარდა, მაგრამ აღსანიშნავია, ის რომ ის არ მოსწონდათ იმდროინდელ მთავრობას და უშიშროებას. მხოლოდ ერთს დავძენ, რომ ცხოვრება პარადოქსია, როცა შევიტყვე მერაბის გარდაცვალება, ქორწილში მისატანი ყვავილების თაიგული მის პირველსავე სამგლოვიარე პანაშვიდზე მივიტანეთ მე და ჩემმა მეუღლემ...

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 11. რა უნდა გვესწავლა და რა ვერ ვისწავლეთ ,,-9 აპრილის ტრაგედიიდან???**

**პასუხი დ.ფ.**

---------- 1989 წლის 9-აპრილიდან დაწყებულმა ,,სახალხო მოძრაობამ" აიტაცა ლოზუნგი, -,,ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა",  უნდა განესაზღვრათ ის გარემოება, რომ ჩვენ 70 წლის მანძილზე ,,საბჭოთა კავშირზე" ვიყავით დამოკიდებული, არ გვყავდა ჩვენი არმია, მძიმე ტექნიკა, ამ ხნის განმავლობაში ისე იყო შერწყმული მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, უერთმანეთოდ ეს დარგი არ განვითარდებოდა. არ გვქონდა ჩვენი ,,ვალუტა", ისევ რუსულ მანეთზე ვიყავით დამოკიდებული. გამოვუშვით ფულის ერთეული ,,კ უ პ ო ნ ი" კარგად იცით თუ რა ბედი ეწიათ. როდესაც სახელმწიფოს …"ექსპორტ-იმპორტი" არ გააჩნია, ყოველთვის კრახს განიცდის, თუ გინდ დღევანდელი მდგომარეობა... (უბრალო ხელის ურიკას ვერ უშვებს სახელმწიფო).

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 12. გაიხსენე საქართველოს დამოუკიდებლობის მიღება, ვისი დამსახურება იყო ეს და რამდენად გავითავისეთ ამ დღის მნიშვნელობა?**

**პასუხი დ.ფ.**

---------- გგონიათ დღეს დამოუკიდებელი ვართ? (ეს ხუმრობით) საქართველოს დამოუკიდებლობას წინ აღუდგა შინაური და გარეული მტერი, მათ მიაღწიეს დამოუკიდებლობის სულისჩამდგმელ მერაბ კოსტავას გაურკვეველ ვითარებაში ავტოსაგზაო შემთხვევით გარდაცვალებას, ხოლო საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია საქართველოდან -შეიარაღებულმა ხუნტამ- ჯერ გააძევა და ისიც საეჭვო ვითრებაში გარდაიცვალა, მისი სიკვდილი ბურუსით არის მოცული და დღემდე ეჭვს იწვევს. 9-აპრილის მოვლენებმა ჩემს თვალწინ გაიარა.....საქართველოში, კერძოდ დასავლეთ საქართველოში ქართველებს შორის დაპირისპირებას "ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ს" დავარქმევდი.

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 13. გაიხსენე მომენტი, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ.**

**პასუხი დ.ფ.**

---------- დამიგროვდა ფაქტები, სამი ათეული წელი ძალოვან სისტემაში ვიმუშავე, მუშაობის პერიოდში გადავეყარე სისტემატურად ფათერაკებს, რომლებსაც ვერ ვივიწყებ... -აფხაზეთის ომი ახალი დამთავრებული იყო, ყველა იარაღით დარბოდა, მხოლოდ მილიციის ანაბარა იყო დატოვებული ქალაქის სიმშვიდე... დღის საათებია. შემოვლაზე ვართ აკაკი წერეთლის გამზირზე, -მე, ნოდარ ქუფარაშვილი, თემური ბურდული და დავით ლალიაშვილი ....მივიჩნიეთ საეჭვოდ, ახალგაზრდა მამაკაცი, ჯიბეში რაიმე ნივთი არ აღმოჩენია, მაგრამ რადგან საბუთები არ ჰქონდა, მისი ვინაობა საეჭვოდ

ჩავთვალეთ, ჩემი ინიციატივით შევამოწმე მკლავები, ხომ არ იყო შემჩნეული ნარკოტიკის მიღებაში. ხელზე შეინიშნებოდა ნანემსარები, რამაც უფრო გამიმძაფრა ეჭვი, მოვითხოვე წამომყოლოდა მილიციის განყოფილებაში, ამაზე სხვა წინადადებით წამოვიდა, "ნახევარი მილიონ რუსულ რუბლს", გამომიტანდა სახლიდან... იმ დროს კურსი ჰქონდა რუსულ მანეთს დავარდნილი, მაგრამ მაინც საეჭვოდ მივიჩნიე მისი შემოთავაზება. მივიყვანეთ განყოფილებაში, აღმოჩნდა რამოდენიმეჯერ ნასამართლევი, - ძებნილი - გადავამოწმეთ მისი ბინა, აღმოჩნდა დროებით თავშესაფარი, რომელიც სავსე იყო ნაქურდალი და ნაძარცვი ნივთებით სავსე ჩემოდნებით, უცხოური ტექნიკით. დავადგინეთ და დავაკავეთ რამოდენიმე მისი თანამონაწილე... მათგან მიღებული ინფორმაციით გავიგეთ მისი თანამონაწილეთა დროებითი საცხოვრებელი ბინა – სარდაფი. დაკავების ჯგუფში შედიოდა მილიციის უფროსი გოჩა სისაური, მოადგილე ომარ ახმეტელი, - ინსპექტორები, ნოდარ ქუფარაშვილი, მალხაზ ქავთარაძე, როგორც მოგეხსენებათ იმ დროს ქალაქში შუქი არ იყო, ლამფის შუქზე ქეიფობდნენ, როდესაც აღნიშნულ ბინას დავუახლოვდი, შესვლისთანავე გაგვიხსნეს ე.წ. ,,ლ ი მ ო ნ კ ა,,- ხელყუმბარა. მალხაზ ქავთარაძემ, რომელიც ამჟამად ახალგორის პოლიციის უფროსია, გამზადებული ხელყუმბარა მუჭით დაიჭირა, სიბნელეში იატაკზე მოვძებნეთ დამჭერი ე.წ. ,,ჭილოფი,, დავაკავეთ სამი პიროვნება და მათთან ერთად იმ ბინიდან ამოვიღეთ ნაძარცვი ნივთები. მალხაზ ქავთარაძის სანაქებოდ უნდა ითქვას, გადაგვარჩინა ოთხი პოლიციის თანამშრომელი.

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 14. ყველაზე რთული ოპერაცია, რომელიც თქვენ ჩაატარეთ???**

**პასუხი დ.ფ.**

---------- ერთხელ ავღნიშნე და კიდევ ამ თემას დავუბრუნდები. თითეული დავალება რთულ ვითარებაში ხდებოდა ხოლმე, ამიტომ

სამსახურეობრივი საქმიანობის დროს ყველა ოპერაცია სპეცოპერაციის ტოლფასი იყო.....თუგინდ საბრძოლო ოპერაციების დროს.

...1991 წლის 16 იანვარია, მიმდინარეობს საბრძოლო ოპერაციები ქალაქ ცხინვალში, საღამოს 18-00 საათია, ე.წ. „ძველ ხიდთან" 50 მეტრის დაცილებით საგუშაგოზე ვდგევართ, - მე, ვალერი ჩობანიანი, თეიმურაზ ჯღამაძე, მევლუდ ახალკაცი. გაისმა გამაყრუებელი ხმა, რადგან ზამთრის პერიოდი იყო, უკვე ბინდდებოდა, მშრალად თოვდა. დავადგინეთ, რომ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე პირდაპირ ხიდზე ოსმა სეპარატისტებმა ააფეთქეს ,,მოსკვიჩი", რომელშიც ისხდნენ: ჭიპაშვილი, ქირია და დოლიძე... ჯგუფის ხელმძღვანელმა გივი კვანტალიანმა და თანაშემწეებმა ანზორ ალაშვილმა და ჯიმი სხირტლაძემ ერთობლივად ღამის საათებში ვეძებეთ ტერორისტები. მეორე დღეს, მიუხედავად "სნაიპერების" ინტენსიური სროლებისა, დავადგინეთ ბინა, საიდანაც მოხდა აღნიშნული ტერორის განხორციელება. ამოვიღეთ აკრებილი თანხა იარაღის შესაძენად გადამალული ძაღლის თავშესაფარში, რამოდენიმე ერთეული ავტომატური იარაღები, ხელყუმბარები, გატაცებული ორი ავტომანქანა "ნ ი ვ ა", სამწუხაროდ ოჯახის უფროსის დედა ქართველი აღმოაჩნდა.

**ჟურნალისტი თ.თ.**
**კითხვა 15. რას ნიშნავს იყო ქართვილი???**

**პასუხი დ.ფ.**
---------- ქართველობა, ჩემი აზრით, პირველ რიგში დაკავშირებულია ძირითადად ილია ჭავჭავაძის სიტყვებთან, - "ე ნ ა , მ ა მ უ ლ ი , ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა". ეს მოიცავს მთლიანად ქართველობას. ამასთან ერთად ეს არის ისტორიის არდავიწყება, პატივისცემა იმ გმირებისა, რომლებიც შეეწირნენ სამშობლოს სიყვარულს. რაზედაც თხრობის პირველ ნაწილში მოგახსენეთ....

დონი ფანჩულიძე - გამარჯვების პარკი  2020 წლის 9 მაისი.
პატივი მივაგოთ "დიდ სამამულო ომში" გმირულად დაღუპულ მეომრებს!

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 16. სახელწოდება , - ა ფ ხ ა ზ ე თ ი - – რა ემოციას იწვევს თქვენში?**

**პასუხი დ.ფ.**

---------- მე ბავშვობიდანვე ჩამინერგეს საქართველოს სიყვარული და მისი თითოეული კუთხე "ნიკოფსიიდან დარუბანდამდე", ამიტომ მე მწამს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, რაზედაც მე მის დასაცავად გარკვეული წვლილი მიმიძღვის საბრძოლო ოპერაციებში, ამით გამოვხატე "აფხაზეთის" სიყვარული.

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 17. გვიამბეთ აფხაზეთის ომის შესახებ, რამდენი წლის იყავი, რა გითხრეს პირველად როცა გაგაგზავნეს იქ, -რა ინფორმაციას ფლობდით იმ მოვლენებზე??**

**პასუხი დ.ფ.**

---------- აფხაზეთი თითოეული ჩვენგანის გულის ტკივილია, 12 აგვისტოს მთავარ სამმართველოდან გაგვაფრთხილეს, მოგვემზადებინა ტრანსპორტი, პროდუქტები, ტყვია-წამალი. რადგან იმ დროს დიდუბე-ჩუღურეთის შ/ს სამმართველოს მე-2 განყოფილების ერთ-ერთ სექტორის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე ვიყავი, ჯგუფის ხელმძღვანელობა მე დამავალეს. მე, ბუტიკაშვილი სოსო, აწ გარდაცვლილი მიხეილ ცხვედაძე, დავით ლალიაშვილი... ზაზა "ბაევიკა" ციმაკურიძე, 50 კაციანი კოლექტივიდან "ჟერებიოვკის" გარეშე გავემგზავრეთ აფხაზეთში სტრატეგიული ობიექტების დასაცავად. მივედი გუდაუთის ქუჩაზე არსებულ ორგანიზაციაში, სადაც გამომიყვეს რუსული მიკროავტობუსი "რაფი" თავისი მძღოლით. 1992 წლის 13 აგვისტოს დილის 6-00 საათზე ტრანსპორტი აკაკი წერეთლის გამზირი #115-ე საცხოვრებელი კორპუსის წინ იდგა, დავიწყეთ ტყვია-წამლის, ავტომატური იარაღისა და პროდუქტების

ჩაწყობა. ეს ყველაფერი მძღოლის თვალწინ ხდებოდა. ის პანიკაში ჩავარდა, მიგვატოვა და გაგვექცა. იძულებული გავხდი საჭესთან დათო ლალიაშვილი დამესვა. მივედით დიღმის მასივში მთავარ სამმართველოში და უფროსს პოლიციის გენერალ დავით ზეიკიძეს მოვახსენე პატაკით, რის შემდეგ, საერთო ბრძანებით, სხვა გარნიზონის თანამშრომლებთან ერთად დავიძერით აფხაზეთისაკენ.

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 18. გაიხსენეთ ადამიანები, რომლებიც აფხაზეთის ომში თქვენს გვერდით იბრძოდნენ და დაიღუპნენ?**

**პასუხი დ.ფ**

---------- აფხაზეთისაკენ მიმავალ გზაში ბრძანება მივიღეთ - უნდა გავჩერებულიყავით "ს ე ნ ა კ შ ი", სანატორიუმ "მენჯში". გავათიეთ ღამე და დილის 6-00 საათზე წამოგვაყენეს. ჩვენს წინ იდგა მამაკაცი, მფრინავის ფორმით, რომელიც შემდგომში აღმოჩნდა ჯიმი მაისურაძე, რომელთან ერთად ცხინვალი, ჯავა და თამარაშენშიც მომიწია ბრძოლა. ის იმდროინდელ თავდაცვის მინისტრს კიტოვანს და დავით ზეიკიძეს რჩევა-დარიგებას აძლევდა, რომ ტრანსპორტისათვის ზემოდან დაემაგრებინათ თეთრი ზეწრები ერთგვარი მინიშნება-პაროლისათვის.

...ზუგდიდში, სოფელ ცაისთან მანქანა დაგვიზიანდა, მივიყვანეთ გზად მაცხოვრებელთან და ჩავაბარეთ, ავიღეთ შეძლებისდაგვარად პროდუქტები და ჩვენი შეიარაღება, დავადექით გზას, გაგვიჩერა ავტობუსმა, შიგ ისხდნენ პირტიტველა სამხედრო ფორმიანი ბიჭები, ავტომატური იარაღებით, -,,მჭიდის,, გარეშე. რამოდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ დაგვეჯახა უკან მომავალი ტანკი, რომელმაც დააზიანა ძრავა და რადიატორი. ავტობუსი რომ გაჩერდა, თვითგორების შემდეგ, გადასვლისას დავინახეთ, რომ რადიატორი წყლის არხში იყო გადაგდებული. ისევ დავდექით საავტომობილო გზაზე, უკვე გალის რაიონის ტერიტორიაზე ვართ. ნელ-ნელა

„სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთში“ მონაწილე ომის ვეტერანები. მარცხნიდან: ლერი მანგიაშვილი, დავით ჩახმახაშვილი, გურამ ალავიძე, რომა „პაპა“ დოდაშვილი, დომენტი „დონი“ ფანჩულიძე, დავით მუხიგულაშვილი. სხედან: ზაირა მიქატაძე, ოთარ ტუხაშვილი, ზვიად გოგია, ირაკლი კელენჯერიძე.

გვიახლოვდებოდნენ და გვისწრებდნენ საბრძოლო ტანკები, ზოგი ერთმანეთზე გადაბმული “ბუქსირით”. გაგვიჩერა მიკროავტობუსმა, მომავალმა ბათუმიდან, შიგ ისხდა ოთხი აფხაზი, რომლებსაც ჩვენ გავაგებინეთ, რომ აფხაზეთში შედიოდა 600 პოლიციის თანამშრომელი და თავდაცვის სამინისტრო ტექნიკით, ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ “საცობები” იყო  გზადაგზა, ჩვენ ფეხით დავიძარით, უკვე ოჩამჩირის რაიონია, ასი მეტრით წინ წაწევის შემდეგ ჩვენი მიმართულებით დაიწყეს ინტენსიური სროლები აფხაზებმა, ამას არ ველოდით, ჩემს გვერდით წაიქცა პოლიციის მაიორი, - პ ა ა ტ ა ნ ა თ ე ნ ა ძ ე და ო მ ა რ  ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, რომელიც “სნაიპერმა” სასიკვდილოდ დაჭრა, რამდენიმე წუთში ჩემი თანამშრომელი  გ ი ა გ ვ ე ნ ც ა ძ ე  მკლავში დაიჭრა... ასე დაიწყო ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში საბრძოლო მოქმედებები.

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 19. რამდენად არის დაფასებული ვეტერანი და რა ხდება მაშინ თუკი მათ საზოგადოება და სახელმწიფო არ აფასებს???**

**პასუხი დ.ფ.**

---------- ჩემს გამოცემულ წიგნში, - “სამართალი ნაძირლების გარემოცვაში”, ნათლად ჩანს და სატელევიზიო გადაცემა “ობიექტივში” მიწვევის დროს, თუ რა მიზერული პენსია - 22 ლარი გვაქვს დანიშნული სხვა ქვეყნებთან შედარებით, სამი ჰოსპიტლიდან ერთი დარჩა და ისიც უფუნქციოდ იყო წლების განმავლობაში, ახლა კი დაკეტილია...

…2015 წლის ოქტომბრის თვეში მიგვიყვანეს ვეტერანები თბილისის ზღვაზე არსებულ “გენდროლოგიურ პარკში”, სადაც უნდა გახსნილიყო ვეტერანებისათვის ჰოსპიტალი და სანატორიუმი, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. დაგვრჩა ვეტერანებს მხოლოდ იქ გადაღებული ფოტოები... ამით ჩვენ ახალგაზრდა პატრიოტებს ვერ აღვზრდით!

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 20. როგორ ფიქრობთ ომი წავაგეთ თუ ხელისუფლებამ უბრალოდ ჩააბარა აფხაზეთი???**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- აფხაზეთის ომის დროს ჩემს გვერდით გულანთებული პატრიოტი ბიჭები იბრძოდნენ, უშიშარი და სამშობლოს მოყვარული დამცველები. რას უნდა მიაწეროს ის ფაქტი, რომ აღებულ პოზიციებიდან უკან გვაბრუნებდნენ... საქართველოს გამყიდველებმა გადაკეტეს სამეგრელოში მთავარი სამაგისტრალო გზა, რის შემდეგ იარაღების, საბრძოლო მასალის და ცოცხალი ძალის შევსება ჰაერიდან გვიწევდა, ხოლო "სოხუმის დაცემის" შემდეგ, ლტოლვილებმა "ჭუბერის უღელტეხილი" გადმოლახეს ყინვასა და თოვლში. . .

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 21. რას ნიშნავს იყო, - პ ო ლ ი ც ი ე ლ ი ?**

**პასუხი დ.ფ.**

---------- მეტად რთული და პასუხის გასაცემი კითხვა დამისვით. ...როდესაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურში ჩავდექი, "კომკავშირული საგზურით" მიმავლინა თერჯოლის რაიონმა, მაგრამ ჩემი "ჰობი" წესრიგი იყო, რომელიც ბავშვობიდანვე შევისისხლხორცე. ისიც აღსანიშნავია, რომ იმ დროს მილიციის თანამშრომელი უფასოდ თუ მგზავრობდა ერთი თვის შემდეგ გავიგე. . . - რას ნიშნავს პოლიციელი? – ნაწილობრივ ზემოთ მოგახსენეთ, ეს რთული პროფესიაა, თან წესრიგზე უნდა მიუთითო ადამიანს, თან მისი სიყვარული დაიმსახურო, რთული მიდგომაა. არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორი რომ ვიყავი, ჩემი ძნელად აღსაზრდელი ბავშვები სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან წერილებს მიგზავნიდნენ... რაც არ უნდა სასაცილოდ მოგვეჩვენოთ საპატიმრო ადგილებიდანაც მიმიღია წერილები, პატიმრობიდან დაბრუნდა



„ახლა მე სამორიგეოდ ვარ, თბილისში კი ალბათ 5 საათია. მალე ხალხი გაიღვიძებს და სამუშაოზე წავა. თქვენც წახვალთ თქვენს სამსახურში. რა ხდება თქვენთან ახალი? თუ ჯერ გექნებათ, მომწერეთ დიდი წერილი".

„ჩემი სამსახური კარგად მიდის, ჯერ შენიშვნა არ მიმიღია, მადლობაც კი გამომიცხადეს. მოკითხვა ყველა ნაცნობს, თქვენს თანამშრომლებს. ველი წერილებს ყველასგან..."

ინსპექტორთა მუშაობის მეთოდები სხვადასხვაგვარია, ინდივიდუალურია, მაგრამ მთავარია ერთი რამ: იგი მოზარდის მახლობელი ადამიანი უნდა გახდეს, მისი ტკივილი უნდა აწუხებდეს და მისი წარმატებები ახარებდეს.

— თქვენ ინსპექტორის თანამშრახველთა არმია ახსენეთ. ძირითადად ეს ალბათ ის ხალხია, ვინც ნებაყოფლობით საწყისებზე შეფობას იღებენ დანშაავე არასრულწლოვანებზე და ეხმარებიან მათ ცხოვრების სწორი გზის მოძებნაში, ხიძ. ნელეების დაძლევაში. რა დონეზე დგას დღესდღეობით ძნელადაღსაზრდელებთან საშეფო მუშაობა და, თქვენის აზრით,

**გაზ: „ახალგაზრდა კომუნისტი", ქ.თბილისი 1983წ ქ.თბილისის შ.ს.ს სამმართველოს ა/ს ინსპექციის ქ/განოფილების უპროსი ნორა ჯოლბორდი. ძნელად აღსაზრდელებთან მუშაობის მეთოდები და ორგანიზაცია**

გვარად ბუნტური, რომელსაც სამჯერ ხულიგნობა ვაპატიე და შემდეგ პატიმრობაში გავუშვი. განთავისუფლებულმა მეტრო "დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიაზე რომ დამინახა, ჩემსკენ გამოიქცა, მე იარაღი მოვიმარჯვე და დაუმიზნე, მას კი თურმე იქვე ყვავილები შეუძენია და მადლობის ნიშნად გადმომცა. (იხ. ჩემს მიერ გამოცემული წიგნი „სამართალი ნაძირლების გარემოცვაში").

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 22. გვესაუბრეთ "ვარდების რევოლუციაზე" ?**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- ე.წ. "ვარდების რევოლუციის" დროს უკვე ერთი წლით ადრე გავედი პენსიაზე. შემეძლო 10 წელი კიდევ გამეგრძელებინა მუშაობა... მაგრამ ეკონომიურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ჩემი მობინადრეების, რომლებსაც რამოდენიმე წლები ვემსახურებოდი, გაყინულმა პენსიებმა და ხელფასებმა თავის საქმე გააკეთა. ამას კიდევ ის დაემატა, რომ ცეცხლმოდებული საბურავებით გამოფენის წინ კეტავდნენ საავტომობილო გზას. უკვე პენსიონერმა მონაწილეობა მივიღე "მთავრობის სახლთან" დაგეგმილ მიტინგზე, იმ იმედით, რომ მოვიდოდა ახალი კადრი, ახალი იდეები, მოხდებოდა ცვლილებები, მაგრამ იმედი იმედად დარჩა. . . გავხდი რეპრესირებული და მოვყევი ღირსებააყრილ, დაჩაგრულთა სიობრივ ნუსხაში, 320000 ღირსებააყრილი ქართველი „ნაციონალების" მხრიდან დღემდე „ოცნება"-ში სიმართლე ვერ უპოვია . . .

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 23. რას ელოდით და რა რეალობის წინაშე დადექით, როდესაც სააკაშვილი მოვიდა ქვეყნის სათავეში?**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- წინა კითხვაზეც მოგახსენებთ, რომ როდესაც ქვეყნის საჭეს ხელში იგდებ, ძირითადი დევიზი და მიმართულება უნდა იყოს

– “ე ნ ა,  მ ა მ უ ლ ი, ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა”, სამთავრობო სტრუქტურებში მოსულმა “ვარდების რევოლუციის” ლიდერები აშენების მაგივრად, სარწმუნოებას შეეხნენ, დაარბიეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია გლდანში, დააპატიმრეს და დაარბიეს მრევლი. დაატერორეს ბიზნესი, საპატიმრო ადგილებში პატიმრებს აუპატიურებდნე, -  “ც ო ც ხ ე ბ ი თ ა” და “ხ ე ლ კ ე ტ ე ბ ი თ”, 320 000 ათასი იქნა პასუხისგებაში მიცემული, ღამის 03-04 საათზე ნოტარიუსით იძულებით აფორმებინებდნენ ბიზნეს და კერძო საკუთრებას. . . თქვენც მიხვდებით როგორი უკუ რეაქცია მოჰყვა. . . 9 წლის განმავლობაში დაგროვდა უარყოფითი მუხტი, რის შედეგად მივიღეთ ახალი რევოლუცია. ქვეყნის სათავეში “ოცნების” ლიდერები მოვიდნენ. . .

**ჟურნალისტი თ.თ.**
**კითხვა 24. ჟ ვ ა ნ ი ა  მოკლეს თუ უბედური შემთხვევა იყო?**

**პასუხი: დ.ფ.**
---------- ეს თემა ძალიან დელიკატურია, ამ საკითხს კომპეტენტური პირები იძიებდნენ. . . იმ დროს სათანადო თანამდებობა ეკავა ირაკლი ოქრუაშვილს, რომელმაც სატელევიზიო გადაცემიდან პირდაპირ მიუთითა მკვლელზე, მაგრამ ამ საკითხს დღემდე დიდი ტაბუ ადევს. . . ჩვენი დიდი მოკავშირეების დახმარებით. . .

**ჟურნალისტი თ.თ.**
**კითხვა 25. როდის და რატომ გაგათავისუფლეს სამსახურიდან?**

**პასუხი: დ.ფ.**
---------- მოგახსენებთ, რომ თადარიგში გამოვედი 2002 წლის თებერვლის თვეში, - “ვარდების რევოლუცია” მოხდა 2003 წლის 23 ნოემბერს, თითქმის ერთი წლით ვიყავი ჩემი სურვილით 10 წლით ადრე წამოსული, ეს განპირობებული იყო, გაყინული ხელფასებით და პენსიებით. განა ჩემს ეკონომიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული,

ა რ ა! ეს ეხებოდა ჩემს სამოქმედო სექტორში მცხოვრებ მობინადრეებს. ყველაფერი დარტყმა ჩემს თავზე გადადიოდა... მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი რათა პროფესიონალი თანამშრომლები გამოეშვათ სამსახურებიდან... თანამდებობები დაიკავეს ახალბედა-გამოუცდელმა კადრებმა, რომლებმაც დღემდე ვერ გაითავისეს, უფროსს კოლეგებს დაფასება რომ სჭირდება...

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა: 26. როგორც ცნობილია, თქვე დაგაკავეს და უპატივცემულოდ გეპყრობოდნენ, გვესაუბრეთ ამაზე?**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- ჩემთვის ძალიან მტკივნეულ თემას შეეხეთ, იმ დროს 60 წელს მიტანებული კაცი ვიყავი, სამი ათეული წლიდან 12 წელი უშუალოდ სამოქმედო უბანს ვემსახურებოდი, საზოგადოებრივ წესრიგს ვიცავდი და დამნაშავე "ტრუხა", - "გვარდიელებსა" და „მხედრიონელებს" იარაღით დავსდევდი. ზოგს შიში ჰქონდა, ზოგს ხათრი, ადმინისტრაციული აქტის შედგენის მიზეზად ის მოიტანეს, რომ მე პოლიციის პოლკოვნიკმა გავუწიე ფიზიკური წინააღმდეგობა პოლიციის თანამშრომლებს და სიტყვიერი შეურაცყოფა მივაყენე...

- 2009 წლის 19 ივლისის კვირა დღე იყო, დიდუბის ავტოსადგურის დაცვის უფროსის თანამდებობა მეკავა, მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. იქნებოდა 12-00 საათი, მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში მოირბინა ჩემმა ერთ-ერთმა დაცვის თანამშრომელმა – გიორგი შონიამ, ცხვირიდან სისხლი სდიოდა, სწრაფად მომახსენა, რომ კარებში შემოვიდნენ ორი მანქანით ახალგაზრდა ბიჭები, მე არ შემოვუშვი, ვთხოვე უკანა მხრიდან შემოსულიყო, რათა აღნიშნულ ადგილზე ცალმხრივი მოძრაობა იყო... ეს დაცვის თანამშრომელი ჩქარი საუბრით მიხსნიდა, რომ სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენეს მოლარეს ქალბატონ ქეთევან ჭიღლაძეს, დისპეჩერ მარლენ რეხვიაშვილს იარაღით გაეკიდნენ, ერთ-ერთმა

მათგანმა იარაღიც გაისროლაო... მე ადგილზევე ჩემი მობილური ტელეფონით დავუკავშირდი ჯერ საპატრულო პოლიციას, ტელეფონი დაკავებას იძლეოდა, დავრეკე იმ განყოფილებაში, სადაც სამი ათეული წლიდან, 12 წელი ვიმსახურე, იქაც სამორიგეო ნაწილის ტელეფონი დაკავებას იძლეოდა. მე ამ დარეკვას ვასრულებდი გავლით, ამასობაში მივედი მითითებულ ადგილზე, სადაც ერთ-ერთ ახალგაზრდა ბიჭს ცალ ხელში იარაღი ეჭირა, მეორე ხელში დაკავებული ყავდათ ჩვენი დისპეჩერი მარლენ რეხვიაშვილი. მას ახლდა ახალგაზრდა ბიჭები, წაიყვანეს ჩვენი დისპეჩერი მარლენ რეხვიაშვილი... რამდენიმე წუთში ჩემთან მოდის ჩემი ადრე ნაცნობი პოლიციის თანამშრომელი თეიმურაზ მუმლაძე, გადმომცა, რომ მიბარებდა ის ბიჭი, რომელმაც გაისროლა იარაღი და დააკავა მარლენ რეხვიაშვილი. ეს აღმოჩნდა პოლიციის იმდროინდელი უფროსი გ ი ვ ი ბ ჟ ა ლ ა ვ ა. მიმიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, შემიყვანეს გივი ბჟალავას კაბინეტში. მან ჩემს გვერდით მდგომს უბრძანა, რომ ჩემზე ადმინისტრაციული ოქმი შეედგინათ, ოქმი შეადგინეს და მაიძულებდნენ ოქმზე ხელი მომეწერა, იმდროინდელი ინსპექტორ-გამომძიებელი იყო ზვიად ვერულაშვილი, ის ამჟამად დათხოვნილია ორგანოდან... განა ჩემს მიმართ არაობიექტური მოპყრობისათვის?, არა!, სხვა გადაცდომისათვის... საღამოს 18-00 საათამდე გამაჩერეს ნაცემ დისპეჩერ მარლენ რეხვიაშივილთან ერთად.

მინდოდა მსვლელობა მიმეცა მათი აღვირახსნილი მოქმედებისათვის... მაგრამ იმ დროს ვისთან, - “ნ ა ც ი ო ნ ა ლ ე ბ ი ს ხ ა ნ ა შ ი ??” 2012 წლიდან “ოცნების” სამთავრობო სტრუქტურებში მოსვლისთანავე ვის არ მივმართე, - იუსტიციის მინისტრს – თ ე ა წ უ ლ უ კ ი ა ნ ს, შს მინისტრს ჯერ ირაკლი ღარიბაშვილს, პროკურორებს ჯერ ა რ ჩ ი ლ კ ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ს, შემდეგ ი რ ა კ ლ ი შ ო თ ა ძ ე ს. . . გაზეთ – “ქრონიკა პლიუსში” რამოდენიმეჯერ გამოქვეყნდა სტატია ჩემზე ამჟამად სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გ ი ო რ გ ი ტ ყ ა ვ ა ძ ე ზ ე. . . დღემდე პასუხგაუცემელია ეს საკითხი, მარტო შემოიფარგლენ “ჩიქორთული” პასუხებით. . .

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 27. რატომ დააკავეს კ ო ბ ა  კ ო ბ ა ლ ა ძ ე?**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- როდესაც მე ცილს მწამებენ, პოლკოვნიკ კაცს, რომ მე გავუწიე წინააღმდეგობა პოლიციის თანამშრომლებს, რომელსაც ორი მოსაუბრე ადამიანს შორის არ გამივლია, რა კომენტარი უნდა გავაკეთო ჩემს შესახებ, როდესაც, ჩემს თანამონაწილეს, - დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ასევე გარნიზონის სპორტულ ღონისძიებებში თანაგუნდელსა და თანამონაწილეს, გენერალ თამაზ თამაზაშვილს ჟანგიან ავტომატს მანქანის საბარგულში ჩაუდებენ, როცა ბავშვი სკოლაში მიყავდა და სისხლის სამართლის დანაშაულს აჰკიდებენ, თეთრაძეს, შავაძეს კლავენ, გენერალ კობალაძის დაკავება, თითქოს სამშობლოს ღალატით (თვითონ სამშობლოს მოღალატეები) ცილს დასწამებენ კ ო ბ ა  კ ო ბ ა ლ ა ძ ე მ სამშობლო გაყიდაო. . .

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 28. რატომ ცდილობდნენ რომ ღვაწლმოსილი ადამიანებისათვის სახელი გაეტეხათ???**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- როდესაც "ვ ა რ დ ე ბ ი ს  რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ" გაიმარჯვა და მათი ე.წ. ლიდერი მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად მოგვევლინა, - მან ხმამაღლა გამოაცხადა: - "ნულოვანი ტოლერანტობა", "ყ ვ ე ლ ა ნ ი ც ი ხ ე შ ი" - !!!... სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პროფესორები, აკადემიკოსები, ლექტორები გამოყარა, - შემდეგ ბიზნესის დატერორება დაიწყო, 320000 გასამართლებული იქნა, ამის ნახევარი პრობაციონერია, ძველს გამოჩენილ ნასწავლ კადრს იცილებდა და გამოუცდელ "ზონდერებს" ნიშნავდა... საქართველო ცხრა წლის განმავლობაში გადააქცია, - „ჩაქცეულებად, გაქცეულებად და დაქცეულებად",

ჩაქცეულების ტიტულს თვითონ ეპატრონებიან 30-35 წლის ბიჭები, რომლებიც „სახელმწიფო მოხელეები“ არიან.

**დამატებითი კითხვარები**

---

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 1. როგორ შეაფასებდით საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას?**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- გუშინ, დღეს და ხვალინდელ დღეს თუ შევეხებით, ასეთი ეკონომიკურ-პოლიტიკური დაძაბულობა არ ახსოვს საქართველოს. აქ გადაიკვეთა ამერიკა – რუსეთის ინტერესები. . . დაველოდოთ შემდეგ პერსპექტივებს. . .

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 2. რუსეთის ოკუპაციასთან დაკავშირებით თქვენი კომენტარი?**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- საქართველოს ტერიტორია ის ნაწილია, სადაც გადის ევრაზიული ხაზი. ეს ტერიტორია დაკავშირებულია სტრატეგიული მნიშვნელობის გზასთან, გაზისა და ნავთობის მაგისტრალთან. . . 25 წელია რუსეთი ყველა შანტაჟს იყენებს, რათა წაგვართვას ჩვენი ტერიტორია. გაგვიჭირდება ასეთ ქვეყანასთან კარგი ურთიერთობის დამყარება. . . გაზისა და ნავთობის მთავარი მაგისტრალი ჩვენს ტერიტორიაზე გადის, ამიტომ ყოველთვის რუსეთი გამოიყენებს – “მცოცავ ანექსიას”.

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 3. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ ტერიტორიების დასაბრუნებლად?**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- ამ თემაზე ექსპერტები მუშაობენ, სულ ახლახანს სტუმრად ჩამობრძანდა ამერიკის ვიცე პრეზიდენტი მ ა ი კ ლ პ ე ნ ს ი, რომლის მიზანია – საქართველო დააბრუნოს "ამერიკულ ორბიტაზე". . . გამიჭირდება ამ თემაზე საუბარი. . .

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 4: როგორ ფიქრობთ აფხაზებს და ოსებს უნდათ ჩვენთან თანაცხოვრება თუ არა???**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- ჯერ საქართველოში მცხოვრებ ქართველებს უნდა შეუქმნა ისეთი პირობები, რომ სამაგალითო გახდეს მოსაზღვრე რესპუბლიკებისათვის . . . როცა დამსახურებული ომის ვეტერანს 22-00 ლარს აძლევ, უცხოეთში მცხოვრები ვეტერანი სხვა დახმარებების გარდა მარტო 1000-ევროს ექვივალენტს ღებულობს, ასეთ პიროვნებას საქართველოსკენ ვერ მოაბრუნებ. . .

**ჟურნალისტი თ.თ.**

**კითხვა 5. ადამიანი, რომელიც შენთვის მისაბაძია?**

**პასუხი: დ.ფ.**

---------- წარსულს თუ გადავხედავთ, ჩემთვის მისაბაძია - დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი, გიორგი სააკაძე, იოსებ სტალინი, ექვთიმე თაყაიშვილი. . . ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა.

- დღეისათვის ბ ი ძ ი ნ ა ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი! ! !

ჟურნალისტი: თინათინ თაყაძე

პასუხს სცემდა: დომენტი ფანჩულიძე

# ტელეფონოგრამა N666

## ოპერატიული ღონისძიებისა,

## „შუბლზე ნამუს ძარღვ გაწყვეტილების“

19.07.2009 წ.

ქ. თბილისის შ/ს მთავარი სამმართველოს

უფროს ბატონ: გიორგი დალაქიშვილს

2009 წლის 19 ივლისს კვირა დღით 12⁰⁰ საათზე ქ. თბილისი, კარალეთის ქუჩა N4-ში მდებარე ს/ს „დიდუბის ავტოვაგზლის“ ტერიტორიაზე, მოძრაობის საწინააღმდეგოდ, სადაც მხოლოდ სვლაგეზის გამოსული მანქანებისთვისაა, შევიჭერი სამოქალაქო ტანსაცმლით (ეგღა მაკლია პოლიციის ფორმა ჩავიცვა) ორი უფორმო ეკიპაჟით, არ დავემორჩილე და არც ამიხსნია ვინაობა დაცვის თანამშრომელ გიორგი შონიასთვის, მეგრულ ენაზეც ვერ ავხსნიდი, რადგან ჩემი წინაპრები სამეგრელოდან კი არ იყვნენ, “კარენოი თბილისელები“-ტო! დედით უკრაინელი, ერთი მაგრად სახეში მივარტყი, ცხვირიდან სისხლი წასცდა და საგუშაგოდან მოკურცხლა მგზავრთა მოსაცდელ დარბაზისაკენ. ჩვენს ხმაურზე ჯერ მოლარე-კონტროლიორმა, ქალბატონმა ქეთევან ჭიღლაძემ შენიშვნა მოგვცა შეგვეწყვიტა ხულიგნობა, ვერ მიხვდა „პოლიციის ზონდერები“ რომ ვიყავით, შენიშვნა მომცა რაზე ვცემეთ დაცვის თანამშრომელი, იქვე სკამზე იჯდა მამისტოლი კაცი, დისპეტჩერი მარლენ რეხვიაშვილი, მანაც სიტყვიერი შენიშვნა მოგვცა, მივუხტი სანამ სკამიდან ადგებოდა, მასაც ცემა დავუწყეთ. მას წამოეშველნენ მიკროავტობუსის მძღოლები, რომლებიც მგზავრებით ავსებდნენ მანქანებს, მე ამოვიღე ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი, გავისროლე ჰაერში, ჩემთვის არ უსწავლებიათ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში იარაღის გასროლა კიარადა, ამოღებაც არ შეიძლება. მგზავრებს,-ქალებსა და ბავშვებს შეეშინდათ, შეცვივდნენ მოსაცდელ დარბაზში. არ მეგონა ასეთი ხმა თუ ექნებოდა, რადგან

როცა  მიმიღეს პოლიციაში სამუშაოდ, არ ჩაუტარებიათ გამოცდა, „იარაღის გამოყენების წესების შესახებ“ არც ის უსწავლებიათ  უფროსს კოლეგებს პატივი და დაფასება უნდა, ოჯახშიც არ მომიკრავს ყური, როგორ უნდა დავაფასოთ ღირსეული ადამიანები. ამ „ნულოვანმა ტოლერანტობამ“ საერთოდ საქართველოში ტენდენციამ მოიკიდა ფეხი, “ჩაქცეულები, ჩარეცხილები, ჩასარეცხები, დაქცეულები, გაქცეულები“ ქართველებმა ჩვენს წინაპრებს ყველა კუთხით დაეხმარენ, ტერიტორია გამოუყვეს ვაჭრობით ბიზნესი აუღორძინეს...

სერჟიკიჩ! „დასავლეთელი მეზობელი პარტნიორების“ მოწოდება და დევიზია, რაც ნაკლები ცნობილი სახეები ეყოლებათ საქართველოში, ნაკლები კონტროლი იქნება დაწესებულიო და თავსატეხი აღარ ექნებათ... პროფესორ აკადემიკოსები ხომ ჩარეცხა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ეხლა უნდა ამოვიღო საშუალო ფენა „და უნდა დავტოვო,- „მდიდრები და ღარიბები“ მდიდრები ტერორში გვეყოლება, ხოლო ღარიბები მუდამ, - „პური და სანახაობი“-ს მოლოდინში. 1990 წლიდან ნელ-ნელა განათლების სისტემა ვარდნას განიცდის. იმ წლიდან როდესაც განათლების მინისტრად „სანტექნიკოსი“ დანიშნეს ერთ დროს საქართველო მსოფლიოში უმაღლეს სასწავლებლებისა და კურსდამთავრებულების ოდენობით პირველ ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ მოუწიათ „შაჰ-აბასის წყევლამ, წარმოდგენა რომ გქონდეთ გაგიშიფრავთ, - ...დედამიწის ზურგზე მცხოვრები მოსახლეობის ერიდან ქართველები უნიჭიერესი, მოწესრიგებული, განათლებული, მებრძოლი და ამაყი ხალხია, მაგრამ ერთმანეთის მიმართ შურიანები, - ალახს ვევედრებოდეთ-მათ ერთი პირი და აზრი ნუ მისცემოდეთ, თორემ, ისეთი ნიჭიერი ხალხია მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონები გახდებიან“-ოო?! ხოდა სანამ „რუსული ჩექმის“ ქვეშ იყვნენ, კი იყო საქართველოში წესრიგი, ეხლა ამ, - კრატია - დემოკრატიამ სულ გააგიჟა ეს ხალხი. ქუჩის მაწანწალა ძაღლებსა და მგლებს უფრო იცავენ „დაფინანსებელი“ არასამთავრობო ორგანიზაციები, ვიდრე საქართველოში

„ადამიანის უფლებების“ დაცვას ისე შეაჩვიეს და ნელ-ნელა ეჩვევა ქართველები ამ „ვარხალალიას“ ყურადღებას აღარ აქცევენ, მათი აზრი და გონება უკვე, - „კუჭზე გადის!“...

და „ჩარეცხილების ინსტიტუტმა“ ჩვენც დაგვაბნია ახალგაზრდობა და მომავალი თაობა.

ე.წ. „კომუნისტებს“ მილიციას განსაკუთრებულ მეცადინეობას უტარებდნენ, - ეთიკაზე და ესთეტიკაზე, სადაც „სიკეთის მცნებას“ ასწავლიდნენ. მე „ნაციონალების ეპოქაში ვარ ჩარჩენილი, სადაც ნებით თუ უნებლიე შუბლზე „ნამუსის ძარღვი“ რო გამიწყდა, მის შემდეგ მკურნალობას აღარ ექვემდებარებაო, ექიმებმა მითხრეს, ამიტომ სიკეთის გაკეთება რა არის ჩემიდან შორს არის.

ჰო, სად ვიყავი?! სერჟიკიჩ გამახსენდა, ხელიდან დამისხლტა ეს „ბუნჩულა რაჭველი, უენო, მამისტოლა დისპეტჩერი მარლენ რეხვიაშვილი, შევარდა სასაუზმეში, გავეკიდე უკან, და ჩემმა უფორმო ბიჭებმა იძულებით გამომიყვანეს სასაუზმედან, როდესაც ვსვავდი მანქანაში და თან მიძალიანდებოდა, უცნობი მამაკაცი მოგვიახლოვდა, ხმამაღლა უყვიროდა დაგვმორჩილებოდა, რომ ვიკითხე ვინ არის ეს მამაკაცი თქო, ბიჭებმა მიპასუხეს დაცვის უფროსიაო. ჩემმა ბიჭებმა გამიკეთეს იქ შეკრებილ ხალხის შუაგულში დერეფანი და ცემა-ტყეპით მივიყვანე პოლიციის განყოფილებაში. რა, რაიმის მეშინია?! ნურას უკაცრავად! ამდენ შარ - ვალაკიტას, ჩამეცვა პოლიციის ფორმა, ან რაღა იმ ადგილას მივადექი, - „ცხრა შემოსასვლელ-გასასვლელი“ აქვს ტერიტორიას, ან თუ გინდ დამერეკა, ისეთი ადამიანი ყოფილა, რომ გავიგე, ბეჭზე შემომისვავდა, ისე შემომიყვანდა დაცვის უფროსი. ისე ცნობისათვის, მე დიდუბის „ნაციონალური შტაბის უფროსის მოადგილე ვარ, მათ თათბირებსაც ხშირად ვესწრები...

რამოდენიმე წუთის შემდეგ მობილურზე დამიკავშირდა პოლიციის თანამშრომელი თეიმურაზ მუმლაძე, თავის მეწყვილე ვაჟა ქიტესაშვილთან ერთად, დაცვის უფროსს მობილურით გადაუღია ჩვენს მიერ ჩადენილი ხულიგნობაო. გამიხდა მაგეც კინორეჟისორები, - რეზო ჩხეიძე და გოგა ხაინდრავა! ისე გამიკვირდა, რატომ დააბეზღა რიგითმა პოლიციელებმა, მუმლაძემ და ქიტესაშვილმა?!. . . როგორც ჩიტმა ამბავი მომიტანა დომენტი ფანჩულიძე მილიციისა და პოლიციის გარნიზონში ვერ ეგუებოდა იმ თანამშრომლებს, რომლებიც „მეგობრობდნენ“ ე.წ. „ჯიბის ქურდებთან“, რაც შეეხება ამ „ბელთაყვა“ ვაჟა ქიტესაშვილს, სადგურის დირექტორის მოადგილე

შოთა ლომიძის თხოვნით, შენიშვნა მიუცია ახალ მოწმენდილ იატაკზე, მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში, მზესუმზირის ნარჩენებით დანაგვიანება აღარ გაეგრძელებინა...

ისიც გავიგე დაცვის უფროსზე, 80-იან წლებში მე რომ ბაგა - ბაღში დავდიოდი, ის მილიციის, პროკურატურის და სასამართლოს გაერთიანებული კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ყოფილა. ჩამოწერილი ჰქონია იმ მილიციის თანამშრომლების დაბადების დღეები, რომლებიც მუშაობდნენ მანამ და მის დროს გავიდნენ პენსიაზე. განყოფილების „სტარშინა“ - ჯემალ ლანჩავა რომ მიიტანდა ყოველი თვის 21-რიცხვში „ქეშათ“ უწყისებით არიგებდა ხელფასებს. მიუჯდებოდა ეს ჩვენი „ხულიგანი პოლკოვნილი“ გვერდში და ვის რა საშუალება ჰქონდა მილიციის თანამშრომელს, ხელფასიდან დებდა თანხას, აგროვებდა და ამ შეგროვებული თანხით იძენდა სუვენირებსა და საჩუქრებს.

ყოველ ხუთშაბათს, გაფართოებულ ოპერატიულ თათბირზე ელსმენით იბარებდა თადარიგში გასულ პენსიონერ მილიციის მუშაკებს და მათ დაბადების დღის აღსანიშნავად გადასცემდა ახალზედა მილიციის თანამშრომლების თანდასწრებით, ამით მოხუცები „სულიერად მაღლდებოდნენ“. ეს ყველაფერი წლების განმავლობაში გრძელდებოდა, ამით ერთგვარი დაფასება იყო, რომელი ღონისძიება მილიციის გარნიზონის პირად შემადგენლობაში არ ხდებოდა, მე რომ მცოდნოდა, უფროს კოლეგებს დაფასება და პატივისცემა უნდა მეცა, ამ სიგლახესა და შანტაჟს არ გავაკეთებდი. „ქუჩის ინსტიტუტმა“ მეტი სიკარგე ვერ მასწავლა.

...1991 წლის 2 იანვრიდან ის და მისი მეუღლე მკურნალობდნენ, წყალტუბო, სანატორიუმ „აია“-ში 25 დღიანი საგზურით. ხუთ დღეში შეუწყვეტია მკურნალობა და 10 იანვარს თავის დაბადების დღეზე, ყინვასა და თოვაში, მხარზე გადაკიდებული ავტომატით შეუერთდა თავის განყოფილების მილიციის თანამშრომლებს „სამაჩაბლო“, ქალაქ ცხინვალში... ვა! კიდევ რა შორს წავსულვარ სერჟიკიჩ?! გადმოვაყვანინე ჩემს „ჯიგიტებს“ ეს „ხულიგანი პოლიციის პოლკოვნიკი“ დონი ფანჩულიძე, რომელსაც ორი მოსაუბრისათვის შუაში არ გაუვლია, იმ უბნიდან, სადაც უშუალოდ თორმეტი წელი შეუცვლელად იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს მეტრო „დიდუბის“ ავტოსადგურ „დიდუბის და „ოკრიბის“ მიმდებარე ტერიტორიებს დაწყებული 1991 წლიდან, 2002 წლამდე. მის ზურგზე გადაუვლია იქ მომხდარი მძიმე „რეზონანსულ“ დანაშაულების გახსნას, სადაც დათარეშობდნენ თვითმარქვია „გვარდიელები“ და „მხედრიონელები“, ვარკეთილში რომ გაიღვიძებდნენ,

საღამოს მაინც მის უბანში მოდიოდნენ ნასმები და ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩასადენად. „სერჟიკიჩ“,-შემოიყვანეს ჩემთან კაბინეტში დაცვის უფროსი დომენტი (დონი) ფანჩულიძე, - რამდენიმე წიგნის ავტორი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ჭიდაობა „სამბოში“, გაზეთ - „თაობიდან თაობამდე“-ს რედაქტორი, ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის პრესსამსახურის ხელმძღვანელი, ფანჩულიძეების გვარის წინამძღვარი და ფონდის თავმჯდომარე, მილიციის „ფრიადოსანი“, „საპატიო მილიციელი“-ს კავალერი, დაჯილდოებული I-II-III ხარისხის მედლებით „უმწიკლოს სამსახურისათვის“, წმინდა სოფიას სამხედრო ორდენის, - „დიდი ჯვრის რაინდი“, „ქვემო ქართლის“, „9 აპრილის“ მოვლენების, - „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთის“ ომებში მრავალჯერ მონაწილე, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, თადარიგში, პოლიციის ვიცე პოლკოვნილი, ხმაც არ ამოვაღებინე, გავეცი ბრძანება დისპეტჩერთან ერთად, ამასაც ადმინისტრაციული ოქმი შეუდგინეთ წვრილმანი ხულიგნობისათვის! გაიყვანეს ჩემმა „შიბზიკებმა“ თადარიგის ვიცე პოლკოვნიკი, რომელმაც ამ რაიონში 30 წელი იმსახურა, დაწყებული რიგითი შემადგენლობიდან, დამთავრებული პოლიციის პოლკოვნიკობამდე. თანამდებობა პოლიციის უფროსის მოადგილეობამდე დამთავრებული, რომელიც პირადი პატაკით 2002 წლის თებერვლის თვეში თადარიგში გასულა.

სერჟიკიჩ! რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ კაბინეტში შემოვიდა აფორიაქებული, ინსპექტორ-გამომძიებელი ზვიად ვერულაშვილი ადმინისტრაციულ ოქმზე ხელი არ მოაწერაო, გამოვიძახე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რათა „გამეჩალიჩა“ სიმთვრალის ფაქტი საბუთებისათვის, თუ პატრული დაწერდა „ნასვამია“, ხელის არმოუწერლობით თავსატეხი აღარ იყო, პატრულის თანამშრომლებმა, კერძოდ ლევან ჩართოლანმა სამჯერ ჩააბერინა და თან აჩვენებდა, აი აპარატი „წითელს“ მიჩვენებს, ნასვამი ხარო?!... რომ დარწმუნდნენ “არიფი“ არ იყო შეეშვნენ. ჩემთან შედარებით პატრული ჩართოლანი ჭკვიანი გამოდგა, შარი აღარ აიკიდა...

ჩაუწერეს „ფხიზელი“. შემდეგში ჩემთვის გახდა ცნობილი, ეს ჩვენი კოლეგა ამაყობდა თურმე, ამ განყოფილებაში ვიმსახურე და მშრომელმა ხალხმაც ამ რაიონიდან რესტორნიდან პენსიაზე გამაცილაო. რემონტ - რესტავრაციის შემდეგ უხაროდა ჩვენს განყოფილებაში შემოსვლა თავის უმცროსს კოლეგებს რჩევა-დარიგებებს აძლევდა. რას ვერჩოდი და შანტაჟს

რატომ ვუწყობდი, ჩემს თავს კითხვას ვუსვავდი. სერჟიკიჩ! არ მიმხელდნენ ჩემი თანამშრომლები, თვითონ იწერდნენ გამოვლინებაში ამ „ხულიგანი პოლკოვნიკის“ ნამუშევარს, ბევრი სიკეთე ჰქონია გაკეთებული, ჩვენი განყოფილებისათვის, ხოდა კაბინეტიდან გამომეხედა გარეთ და გამომერთო ტელევიზორი და კომპიუტერი. ერთჯერ გამოვედი ქუჩაში, კი იცი რაც დღეს დაგვემართა ჩვენ „დანდურა“ პოლიციელებს გაპარვიათ ე.წ. „ნომრიანი ძებნილი“ რომ არ გავლანძღულიყავით გასალანძღები, ერთ კვირაში პირადად დააკავა და ჩააბარა ბიჭებს, მეორეს თვითონ ეძებდი 15 წლის განმავლობაში, „კაცის მკვლელობისათვის“, პოლიციაში მუშაობის დროს. თხუთმეტი წლის გასვლის შემდეგ იმ ადგილზე დააკავა, სადაც მკვლელობა ჩაიდინა, ესეც ჩვენს ბიჭებს გადასცა და თავიანთ ე.წ. „ნუსხაში“ ჩააწერინა, ოთხი ნარკომანი, რომლებიც „ემსახურებოდნენ“ მგზავრებს, ერთი „მოუხელთებელი“ ე.წ. „ჯიბის ქურდი“, რომლის გამო ექვსი თვე დაარბენინებდნენ სასამართლოში, ეს ჩემი მოადგილე ნიკა ჭელიძეც დაიწყებს ჩემს წინ „ქულების წერას“, ჩემს პირად ნომერს ეკითხებოდა ჩაწერილი ჰქონდა თუ არა. ესეც გავიგე, როდესაც ახალბედებს პოლიციაში სამუშაოდ იღებდნენ გასაუბრებას მისი თანდასწრებით ანხორციელებდნენ ხელმძღვანელობა.

...ორი საათი სანამ ამ პოლიციის პოლკოვნიკს განყოფილებაში „ვაბურთავებდი“ პასუხისმგებელმა მორიგემ ზვიად ბერიაშვილმა შემატყობინა სამტრედიის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოსთან, გოგონა ყულოშვილი დააყაჩაღეს!... იქიდან დაბრუნებულმა დავუკავშირდი მორიგე - მოსამართლე გიორგი ტყავაძეს, მიუხედავად კვირა დღისა ხელწერილებით არ გავუშვი ორშაბათამდე, ორივე მათგანი პოლიციის თანამშრომლების ირაკლი შენგელიას და ზვიად ვერულაშვილის მიერ გადავაყვანინე ქალაქის სასამართლოში, ვუღალატე ძველ რევოლუციონერი „ჩეკისტის“ ფელიქს ძერჟინსკის მოწოდებას, რომ პოლიციის თანამშრომელი თუ ნორმალურია და არ „აჟრიალებს“, საქმეს უნდა წყვეტდეს, - ცხელი გულით და ცივი გონებით“, მე კი შებრუნებით მომივიდა... გასასვლელში პოლიციის თანამშრომლებს მივაძახე, - მოსამართლეს გადაეცით, - „სუტკები“ აკიდოს, „გაჭედოს“, კაპეზეში მოათავსოს!!!

მოკლედ, ძალიან მეხმარება ამ სისტემაში და სფეროში, შუბლზე „ნამუსის ძარღვი“ გაწყვეტილი რომ მაქვს...

მიიყვანეს „დანდურებმა“ სასამართლოში, იქ კიდევ ერთი საათი ალოდინეს, „ზონდერ მოსამართლე“ გიორგი ტყავაძის მოსვლას, მანამდე

დარეკილი მქონდა, ოქმი შედგენილია ერთპიროვნულად, მხოლოდ პოლიციის თანამშრომელი აწერს ხელს, მოქალაქე, სამოქალაქოდან ვინ დამიჯერებდა, პოლიციის პოლკოვნიკის ხულიგნობაზე მოწმედ?!, ორი თავი ჰქონდათ?! ასევე გავაფრთხილე „შამბლონი ოქმი რომ გაქვს, - „დანაშაული ნაწილობრივ აღიარა“, აი, ასეთი ოქმზე დაბეჭდე თუ ძმა ხართქო, ნაციონალები ხომ არ იქნებიან სულ?!, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხომ გამოაცხადა, - „ნულოვანი ტოლერანტობა“, ყველანი ციხეში და მიწაში!!! მაგრამ მოვა ნორმალური ხელისუფლება, შესაძლებელია ეს მასალებიც ხელმეორედ განიხილონ თქო.

...ე.წ. „კომუნისტები“ დროს „სიმართლის ძებნისათვის“ 37[00] მანეთად „კრემლში მიფრინავდნენ, ეხლა „სტრასბურგში“ ჩემს ფეხებს გაფრინდებიან... ან ჩვენთან რამეს მიაღწევ, - პროკურატურაში, იუსტიციაში ან შ/ს სამინისტროში?! კერძო ბიზნესით არიან დაკავებულნი „ნაციონალების“ შნირები...

ისე რა მაგრად დგას საკითხი დაყენებული ჩვენ ძველ „ბებერ ევროპასთან“ ქუჩის მაწანწალა ძაღლებს უფრო იცავენ დაფინანსებული არასამთავროები, ვიდრე „სახალხო დამცველი“ ადამიანთა უფლებებს. ჩვენი ნანუაშვილი „საფრთხობელასავით რომ იხედება... ეს ერთადერთი „ხრიკია“ უწესრიგობისა საქართველოში, ასე, რომ ადამიანის უფლებებით დაცვა საქართველოში „ნულის ტოლია“ თუ გინდა დღევანდელი ფაქტიც, არა ვერ გავქაჩავ?! პოლიციის თადარიგის გენერლებს მანქანის საბარგულში ჟანგიან „უტილიდან“ გამოტანილ ავტომატებს უდებდნენ და აპრავებდნენ,





გიორგი ტყავაძე მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე იყო. მას უკავშირდება შრომითი დავების განხილვა, სადაც დარღვეული იყო შრომითი უფლებები, იყო ძალადობის ფაქტებიც, ის კი თვალს ხუჭავდა და მუდმივად სახელმწიფო ორგანოების ინტერესებით ხელმძღვანელობდა. მან უკანონოდ და უსაფუძვლოდ დასაჯა პოლკოვნიკი დონი ფანჩულიძე, რომელმაც თითქოსდა პოლიციას გაუწია წინააღმდეგობა.

შორს რომ არ წავიდე, რა პოლიციის გენერალ თამაზ თამაზაშვილის მცირე წლოვანი ბავშვის თვალწინ არ „ჩაუდეს“?! ეს პოლკოვნიკი ექვსი საათი პოლიციის განყოფილებაში გავაჩერე, იმ განყოფილებაში, სადაც სისხლი და ოფლი აქვს

დაღვრილი, სამი ათეული წლიდან, მარტო თორმეტი წელი ამ შენობაში გაატარა და ხულიგნობა სადაც „ავკიდე“ საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა. გადაყვანამდე ინსპექტორ-გამომძიებელ ზვიად ვერულაშვილის საწერ მაგიდასთან შეეკითხა და კითხვა დაუსვა, რატომ მიიყვანეს პოლიციაში და აიძულებდა ოქმზე ხელის მოწერას, ამის თქმა იყო და იქვე მჯდომი ქალბატონი გოგონები მისი შვილის ტოლები, - მარშავა და ლანჩავა, - „აფთრევით“ დაეცხრენ, ხმას რატომ იღებო!, გზად მიმავალნი, ჩემს „დანდურა“ პოლიციის თანამშრომელს ირაკლი შენგელიას თავი მოუწონებია, მაგნიტაფონი ჩაერთო, - „ქალაქური სიმღერებით“. აი, ასეთი კულტურული და ყურადღებიანი, განათლებული, შეგნებული პოლიციის თანამშრომლები მყავს... ერთი საათი „ზონდერ“ - მოსამართლეს ელოდნენ, მოსვლისთანავე შეიყვანეს „ბელთაყვებმა“ სხდომათა დარბაზში, სადაც შემობრძანებულა დამკვეთების „უბადლო შემსრულებელი“ გიორგი ტყავაძე „მანტიამოსხმული“, პირველად დომენტი ფანჩულიძისათვის მიუცია სიტყვა, რომელსაც დეტალურად აღუწერია მე და ჩემი, - „დანდურა-ზონდერების“ მიერ ჩადენილი ხულიგნობა, როგორ გავისროლეთ ტაბელური იარაღი საზოგადოების თავშეყრის ადგილზე და მის შემდეგ იარაღით დავსდევდი მამისტოლ კაცს სადგურის ეზოში, პატრული თვითონ რომ გამოუძახებია და დაცვის თანამშრომლისათვის ცხვირიდან სისხლი რომ ვადენიე, ეს კი არ ჩაუწერია „ზონდერ-ტყავაძეს“, თითქოს „ხულიგანმა პოლიციის პოლკოვნიკმა, ორ ეკიპაჟს, 7/8 კაცს გაგვიწია წინააღმდეგობა, რომელიც თითქოსდა აღიარა, აი ეს აქვს მითითებული „შაბლონ ადმინისტრაციულ ოქმში“, ამის შემდეგ ინსპექტორ-გამომძიებელ, - “ახალგაზრდა შუბლზე ნამუსის ძარღვგაწყვეტილ“ ზვიად ვერულაშვილს თავის, - „ერთპიროვნულ ოქმის“ შევსებელს, მოსამართლისათვის ჩვენებაში მიუცია, მაგინებდა, ფიზიკურ წინააღმდეგობას მიწევდაო... გასულა მოსამართლე „სათათბირო ოთახში“ გამორიცხული არ არის „საპირფარეშოში“ და თავის თავს „ეთათბირა“, არ შეასრულებდა, - „ნულოვან ტოლერანტობის ქარტეხილებს“, შემდეგი დაწინაურებას დაემშვიდობებოდა... საპირფარეშოდან შემოსულს გამოუცხადებია ფანჩულიძე და რეხვიაშვილი ორივე დაჯარიმებული არიან 400/400 ლარითო! სასამართლო და პოლიცია მხიარული დარჩნენ, კი მოუხდათ ერთი ძარცვა, მაგრამ სამაგიეროდ ბიუჯეტი 800$^{00}$ ლარით შევავსეთ!!!

ე.წ. „კომუნისტების“ ეპოქაში ახალბედა ძალოვან სისტემაში დაწყებულს, - „ნასტავნიკებს“ უნიშნავდნენ, ერთი დარგობრივი მოთხოვნა იყო დაეფასებინათ ძველი კადრი და უფროსი თაობა...

სერჟიკიჩ! მოგაწყინეთ ალბათ თავი, ჩემი ბრალი არ არის, ეს ჩვენი პარტნიორი ევროპელებიდანაა ნაკარნახები, ღირსეული წარჩინებული ადამიანების ღირსება შეულახეთო, ასევე ჩემი თამადობით პოლიცია შევსებულია „ქუჩის ინსტიტუტ“ დამთავრებულებით... სერჟიკიჩ! ბავშვობიდან „მაღვალაკი“ ვყოფილვარ, მამასთან გარაჟში მივიდოდი თუ არა, მძღოლები „ბარდაჩოკის“ და მანქანის კარების დაკეტვას ძლივს ასწრებდნენ... რომ წამოვიზარდე, ექიმთან ვიყავი, იმის შემდეგ, - „შუბლზე ნამუსის ძარღვი“ რომ გამიწყდა, უიმედოდ გამომისტუმრა, შეიძლება, - „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ აღვადგინოთ, კერამიკოსმა გატეხილი შროშის ქოთანიო, მაგრამ ეს ისეთი დაავადებაა, ერთჯერ თუ გაწყდა - „შუბლზე ნამუსის ძარღვი, ვეღარ გაამთელებოოო! მაგის აღდგენას ვერ შეგპირდებიო - ჯერ-ჯერობით „ნაციონალების ეპოქაში“ მადგება. ჯერ მაგ პარტიის დროშას ვაფრიალებ, მეორე გადანახული მაქვს, მოვა შემდგომი მთავრობა, ამას გადავმალავ, მეორეს გადამალულს ავაფრიალებ...

რა ბუტა რობაქიძის მკვლელობა არ შერჩათ ხახვივით?! მე ზურაბ ვაზაგაშვილის. მამამისი გამოდის პრესითა და ტელევიზიით, დამდევს და მიჩივის, სანამ არ გაასაღებენ არ შემეშვება?!

...ვაგრძელებ, - „ზონდერ-ჯალათის“ ფუნქციებს, თუ მოვა ე.წ. „ოცნება“, „შეფუთული ისევ „ნაციონალისტების“ კამანდით, მათ მხარეზე გადავალ, ერთობ ხელი არ შემიშალოს შუბლზე ნამუსის გაწყვეტილმა ძარღვმა.

კარგად ბრძანდებოდეთ სერჟიკიჩ! მომავალ შეხვედრამდე. დაგემშვიდობებით ვაჟა-ფშაველას ლექსით:

*„მუტრუკი მიტომ მუტრუკობს,*
*დედა ჰყოლია ვირიო.*
*კაცი ბეჩავის მჩაგრავი*
*სად გაგონილა გმირიო!“*

პატივისცემით:

ქ. თბილისი დიდუბის რაიონის შ/ს სამმართველოს

2-ე განყოფილების უფროსი, პოლიციის კაპიტანი: გივი „ბჟალავა“

19 ივლისი 2009 წ.

თამაზ მონიავა

ზოგი დაკარგულ სიყვარულს დარდობს,
ზოგის თვალებიც არაფერს ამბობს,
მოლოდინების არის ზღვაობა,
მწვერვალზე ადის არარაობა,

სიკეთე თესე რამდენიც გინდა,
არა სჩანს მაინც დაკარგულია,
აქ ბოროტები ხარობენ დიდათ
კეთილი მუდამ დაჩაგრულია,

და ამიტომაც არავის უნდა,
შენი სიკეთე რას ვიზამთ რა ვქნათ,
კეთილო კაცო შენ სამოთხემდე,
სულ რაღაც ერთი ნაბიჯი დაგრჩა,

ჯოჯოხეთისკენ გზა ფართო იმათ
თვითონ გაკვალეს თავის სიხარბით,
ჯერაც ვერ მიხვდი ადამიანო,
ჯვარზე გაკრულ ღმერთს,
როგორ ვუყვარდით...

თაზო მონიავა - 2020 -

* * *

მითხრეს რომ უკვე დიდი ვარ,
დასასრულისკენ მივდივარ,
ბავშვობის ვზიდე ტვირთები,
ეხლა სხვა ფერით ვირთვები,

ხომ ავიარე აღმართი
ეხლა დაღმართის ჯერია,
მაგრამ ჯერ გედის სიმღერა,
ადრეა, არ მიმღერია,

საოცრებები ვიხილე,
ტკბილი და მწარე წუთები,
ეხლა ვიგონებ იმ დღეებს,
და მოგონებებს ვუნდები,

ცრემლი ჩამომდის ჩუმ ჩუმად
თითქოს არ ვდარდობ დიდობას,
მე ხომ სულ ბავშვი ვიყავი,
ბავშვად დარჩენა მინდოდა,

მითხრეს რომ უკვე დიდი ვარ,
მივდივარ სადღაც მივდივარ .....

*თაზო მონიავა - 2020 -*

ავტორისაგან: - (დ.ფ.) ბატონო თამაზ! ძვირფასო, დამთავრების პროცესში მაქვს წიგნი, სადაც ვამხელ „თანამედროვე ნაძირლებს“... თუ შეიძლება ამ ლექსით, თქვენი ავტორობით, ერთ-ერთი გვერდი დავამშვენო... შეიძლება ჩემი წიგნის გმირები ვერ გავზარდო, რადგან დიდი „მუტრუკები“ არიან... ახალბედებისათვის გამომადგება... ველოდები თანხმობას.

*სიყვარულით დონი ფანჩულიძე*

## გამამართლებელი განაჩენები საქართველოში
## (ჩვენი ქვეყანა ნაძირლების თავშესაფარი გახდა. . .)

| წლები | პროცენტი |
|---|---|
| 1937-1940წწ. | 10% |
| 1941-1945წწ. | 10% |
| 1946-1950წწ. | 9% |
| 1967-1970წწ. | 1,0% |
| 2003წ. | 0,7% |
| 2005წ. | 0,8% |
| 2006წ. | 0,2% |
| 2007წ. | 0,05% |
| 2008წ. | 0,01% |
| 2009წ. | 0,01% |
| 2010წ. | 0,2% |
| 2011წ. | 2,5% |
| 2012წ. | 7,8% |
| 2013წ. | 2,0% |

ამ მონაცემებით შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება. სტალინის დროინდელ საბჭოთა საქართველოში ბევრად უფრო თავისუფალი სასამართლო იყო, ვიდრე სააკაშვილის დროინდელ დამოუკიდებელ საქართველოში. ოცნების მთავრობაშიც შემორჩნენ ნაძირლები, მოკალათებული, - პროკურატურაში, პოლიციაში და სასამართლოებში, რომლებიც დღემდე ნაცარც აყრიან თვალებში მშრომელ, პატიოსან ხალხს. ვინც წინა და ახალ რეჟიმის ქებას დაიწყებს, ნახეთ ეს მონაცემები, - „გიჟვრაცუა ქართველებო!!!“. . . დ.ფ.

## „სასამართლოში წმენდის პროცესის დაწყება, - ფ ა რ ს ი ა ! ! !...

...ამჯერად რომელი მოსამართლის დარღვევებზე გვესაუბრებით?

- საზოგადოებაში ხშირად ლაპარაკობენ სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეების განმხილველ მოსამართლეებზე, მაგრამ, რატომღაც ყურადღება არ ექცევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმის სპეციფიკურობას და მისი განმხილველი მოსამართლეების ქმედებებს. ამჯერად სწორედ ასეთ ფაქტზე მოგიყვებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე „გიორგი ტყავაძე, ამჟამად მცხეთის რაიონის სასამართლოშია კვლავ მოსამართლედ. მან ბევრი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ერთ კონკრეტულ საქმეზე გესაუბრებით. (დ.ფ.) ამჟამად „ოცნების“ მიერ ჯერ დაწინაურებული მუდმივ მოსამართლედ და ამის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს.

2009 წელს მან განიხილა ერთ-ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე დომენტი ფანჩულიძის მიმართ ორი ბრალდების - წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევის გამო. ცხადია, ორივე მუხლი დასჯადია, როდესაც მოსამართლე რაიმე საქმეს იხილავს, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ადამიანის წარსული, ჩაიდინა თუ არა მან უკანონო ქმედება, რა მტკიცებულებები არსებობს ამის თაობაზე და ა.შ. არ შეიძლება, რომ გამოვიტანოთ დადგენილება ემყარებოდეს, მხოლოდ და მხოლოდ, თუნდაც, პასუხისგებაში მიცემული პირის, ანდაც პოლიციელის ჩვენებებს.

დომენტი ფანჩულიძე არის ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი. მართალია, ამჟამად პენსიონერი, მაგრამ ათეული წლის მანძილზე პოლიციაში მუშაობდა და თადარიგის პოლკოვნიკი

მამუკა ნოზაძე
„სახალხო ადვოკატი“

გახლავთ. მოგეხსენებათ, რომ ყოფილმა პოლიციელმა, რომელიც ორგანოდან დისციპლინური წესრიგის გამო არ არიან გამოშვებული, ძალიან კარგად იციან საზოგადოებრივი მოქცევის წესები და მით უფრო ის, რას ნიშნავს ეს პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ფანჩულიძე, ამავდროულად, სპორცმენია, რამდენიმე წიგნის ავტორი და გამოირჩევა განსაკუთრებული წესიერებით. ასეთ ადამიანს დააბრალეს წვრილმანი ხულიგნობა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა.

- რას ნიშნავს დააბრალეს? იქნებ, უფრო დეტალურად აგვიხსნათ რა მოხდა?

- ის ავტოსადგურ „დიდუბის“ დაცვის უფროსი იყო, როცა იქ ინციდენტი მოხდა. პოლიციელებმა მის თანამშრომლებს შეურაცყოფა მიაყენეს, რამაც აურზაური გამოიწვია და ფანჩულიძე, როგორც დაცვის სამსახურის უფროსი, ამ საქმეში ჩაერია და ეს ადამიანები დააშოშმინა, მაგრამ შემდგომ მას კაბინეტში მიაკითხეს პოლიციელებმა და ერთ-ერთი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. იქ შეუდგინეს ოქმი, თითქოს და მან პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია და ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა. კანონის მიხედვით, თუ პირმა ჩაიდინა რაიმე სახის დანაშული, ოქმი უნდა შედგეს ადგილზე და არა პოლიციაში, თუ არ არის განსაკუთრებული შემთხვევა. ოქმის შემდგენელი პოლიციელი, რომელიც დომენტი ფანჩულიძეს ვითომდაც ამხელს სამართალდარღვევაში, ამბობს, რომ თითქოს ამ ადამიანმა, კონკრეტულ შემთხვევაში, პოლიციელებს ხელი შეუშალა პირის დაკავებაში. თუ ასეა, მაშინ ისიც ხომ უნდა ეწეროს, ვის დაკავებაში შეუშალა ხელი, ვის აკავებდა პოლიცია-შაქროს, ზაქროს, მიხოს თუ სხვა ვინმეს? ასეთი რამ ოქმში არ წერია. რაში გამოიხატებოდა ფანჩულიძის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა, ესეც უნდა იყოს დაფიქსირებული. ასეთი შეთითხნილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და დაკავების ოქმის საფუძველზე განიხილა საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი ტყავაძემ და დომენტი ფანჩულიძე ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ცნო დამნაშავედ. ამიტომ

ვამბობ, რომ მოსამართლე უნდა იყოს დამოუკიდებელი და მისი ფსიქოემოციური მდგომარეობაც - კარგად შესწავლილი, რამდენად დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღებაში, ან რამდენად ითვალისწინებს გარე ფაქტორებს და ა.შ. ტყავაძე ფსიქოლოგებს დაკვირვების შედეგად შესაბამისი დასკვნა რომ დაეწერათ, დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანი მოსამართლეობას ვერასდროს ეღირსებოდა და, შესაბამისად, ვერ მიიღებდა უკანონო გადაწყვეტილებას დომენტი ფანჩულიძის მიმართ. ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე უდანაშაულო ადამიანი დამნაშავედ ცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 173-ე მუხლით და მას ჯარიმის სახით განუსაზღვრა 400 ლარის გადახდა.

დომენტი ფანჩულიძემ, სასამართლოს სხდომაზე, თანმიმდევრულად და მკაფიოდ ახსნა, რომ ის იყო უდანაშაულო, ადმინისტაციული სამართალდარღვევის დროს მოსამართლე ტყავაძე არ დაინტერესებულა, ბრალდებულმა კონკრეტულად ვის დაკავებაში შეუშალა ხელი პოლიციას? რატომ არ მოითხოვა მათგან შესაბამისი მტკიცებულებები და რატომ მიიღო ასეთი ცალმხრივი, გაყალბებით შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი? მან დომენტი ფანჩულიძეს ის უფლებებიც კი არ განუმარტა, რომელიც მისი დაკავებით ტყავაძემ უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი, იმიტიმ რომ კონსტიტუცია იერარქიულად არის ყველაზე მაღლა მდგომი სამართლებრივი აქტი. მე-40 მუხლში კი პირდაპირ წერია, სასამართლოს მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. დომენტი ფანჩულიძის საქმეზე არანაირი უტყუარი მტკიცებულებები არ არსებობენ, პოლიციელის არასრულფასოვნად შედგენილი ოქმის გარდა. დომენტი ფანჩულიძე დღემდე იბრძვის სამართლიანობის აღდგენისათვის, ვის აღარ მიმართა, - ხელისუფლების წარმომადგენლებს, პარლამენტს, სახალხო დამცველს, შინაგან საქმეთა მინისტრს, დასჯილიყვნენ ის პოლიციელები, რომლებმაც ოქმი გააყალბეს, რის გამოც ის პასუხისგებაში მიეცა. ასევე მოითხოვა მოსამართლის მიმართ

დისციპლინური დევნის დაწყება, მაგრამ ამ ყველაფერს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. მეტიც, ბოლო პერიოდამდე გიორგი ტყავაძე საქართველოს იუსტიციის დისციპლინარულ საბჭოში, საბჭოს წევრის უფლებამოსილებას ახორციელებდა. მას არაერთი ინტერვიუ აქვს მიცემული სადისციპლინო საბჭოს წევრის რანგში, სადაც პირდაპირ ამბობს, რომ თურმე მოსამართლის დისციპლინური დევნა აღიქმება მოსამართლის საქმიანობაში უხეშ ჩარევად და აქედან გამომდინარე, გასაგებია, ამ რანგშიც ის რას გააკეთებდა. ეს ადამიანი კვლავ მოსამართლეა, ამჟამად მცხეთის საქალაქო სასამართლოში და ახლა თქვენ გეკითხებით, შეიძლება ეს სასამართლოს წმენდის პროცესად მივიჩნიოთ?

„ქრონიკა“-ს ჟურნალისტი - ნ ე ლ ი  ვ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი
„სახალხო ადვოკატი“ - მ ა მ უ კ ა  ნ ო ზ ა ძ ე

ჟურნალისტი - ნელი ვარდიაშვილი

„განმეორებით“
(გთხოვთ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის
პროკურატურას არ გადასცეთ)

საქ. რესპუბლიკის მთავარ პროკურორს
ბ-ნ არჩილ კბილაშვილს

ასლი: საქ. იუსტიციის მინისტრს
ქ-ნ თეა წულუკიანს

ასლი: საქ. რესპუბლიკის შს მინისტრს
ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს

ასლი: ადამიანთა უფლებების სახალხო
დამცველს ბ-ნ უჩა ნანუაშვილს

ასლი: ქ. თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
კოლეგიის თავმჯდომარეს

ქ. თბილისში მცხოვრებ
დომენტი ფანჩულიძის

## საჩივარ-განცხადება

მოგახენებთ, რომ დავიბადე და გავიზარდე მოსამსახურის ოჯახში. როდესაც ბავშვს სრულფასოვანი აღზრდისათვის ეკონომიურად ძლიერი მშობლები მჭირდებოდა, მეოთხე კლასის მოსწავლეს მამა ორთავე თვალით დამიბრმავდა და მარცხენა ხელის ამპუტაცია დასჭირდა, ხოლო დედა სოფლელი დიასახლისი იყო. იმ დროს ექვსი დედმამიშვილიდან, ხუთნი სკოლის მოსწავლეები ვიყავით. მიუხედავად გაჭირვებისა, სხვის ხელებში და ჯიბეებში არასდროს არ შემიხედავს და ჩამიხედავს, სწავლასთან ერთად ვშრომობდი. გაჭირვებისა და ეკონომიური მდგომარეობისა, გავიარე

ძალიან, მაგრამ საინტერესო გზა, რა მიზეზითაც უკან მოხედვის არასდროს შემშინებია. დავიბადე წესრიგისათვის და დღემდე წესრიგის სადარაჯოზე ვდგევარ. როგორც თანდართული მასალებით გაეცნობით გზა გადამიღობა მშობლების უბიდან გადმომძვრალმა „ნაძირალებმა“, ჩემი ამდენი ხნის ნაწვალები, კაცურ-კაცობით განვლილი და მოპოვებული ავტორიტეტი ერთდროულად წყალში ჩამიყარეს. ნუთუ არ მოიძებნება ისეთი კომპეტენტური პიროვნება ხელმძღვანელ თანამდებობაზე, რომ შეისწავლოს სიმართლე და მხოლოდ სიმართლე?! რომელიც ჩემს დარჩენილ ცხოვრებას „აჩრდილად და ლაქად˜ არ დაემჩნევა და გამყვება.

ველი თქვენს სამართლიან გადაწყვეტილებას, რათა ამხილონ ჯერ კიდევ შემორჩენილი „გარეწრები“ და „ცხოვრების მუწუკები“, რომლებიც არცხვენენ იმ ტვირთს, რასაც „კაცობა“ და „ადამიანობა“ ჰქვია და დღემდე შემორჩენ საპატიო მისიის შესასრულებლად.

ჩემს მიმართ პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახავი მოქმედებისათვის დანართი: „ „ ფურცლი.

დათრგუნვილი, ღირსება აყრილი და სულში ჩაფურთხებული.

რამოდენიმე წიგნის ავტორი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ჭიდაობა „სამბოში“, გაზეთ, - „თაობიდან-თაობამდე“-ს რედაქტორი, „ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდი“-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, ფანჩულიძეების გვარის წინამძღვარი და ფონდის თავმჯდომარე, მილიციის „ფრიადოსანი“, „საპატიო მილიციელის კავალერი“, დაჯილდოვებული I, II, III-ე ხარისხის მედლებით „უმწიკვლო სამსახურისათვის, წმინდა სოფიას სამხედრო ორდენის „დიდი ჯვრის რაინდი“, „ქვემო ქართლის და 9 აპრილის მოვლენების“, „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთის“ ომებში მრავალჯერ მონაწილე, თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, თადარიგის პოლიციის ვიცე-პოლკოვნილი.

-----თებერვალი 2013წ. ქ. თბილისი

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
## გენერალური ინსპექცია

ქ. თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №4, ინდექსი 0118, ტელ: (+995) 32-2-41-20-08; (+995)32-2-99-95-25 www.gen.inspection@mia.gov.ge


№ 31 0025 „13" 02 2013 წ.

ეგზ. № 2

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის
რაიონულ პროკურორს
ბატონ ლ. პაქსაშვილს

ასლი: ქ. თბილისი, [redacted], ქ. № [redacted], ბ. [redacted]

მოქალაქე დომენტი ფანჩულიძეს

ბატონო ლევან,

შემდგომი რეაგირებისათვის გეგზავნებათ მოქალაქე დომენტი ფანჩულიძის განცხადება თანდართულ მასალებთან ერთად.

გთხოვთ, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს და შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

დანართი: 100 ფურცლად.

გენერალური ინსპექციის
უფროსი ზ. ჯანყარაშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
**გენერალური ინსპექცია**

ქ.თბილისი, 9 აპრილის ძეზა №4 ინდექსი 0118, ტელ: (+995)32-2-41-20-08; (+995)32-2-99-95-25 www.geninspection@mia.gov.ge

№ 1230665 "08" 06 2015 წ.

ქ.თბილისი, [illegible] N [illegible], ბინა N [illegible]
მოქალაქე დომენტი ფანჩულიძეს

თქვენი 2015 წლის 03 ივნისის N1184526 განცადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი ანალოგიური შინაარსის განცხადებები გადაიგზავნა ქ.ბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურაში, რის შესახებაც გეცნობათ წერილის სახით.

დისციპლინური დევნის პირველი
სამმართველოს უფროსი

გიორგი ფხალაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of Chief Prosecutor of Georgia

KA011314092165116

**№ 13/20668** **01 / აპრილი / 2016 წ.** ქ.თბილისი

დომენტი ფანჩულიძეს,
ქ. თბილისი,

ბატონო დომენტი,

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი 2015 წლის 03 ივნისის #01/13-53126 და #01/13-53121 განცხადებები, რომლითაც ითხოვთ 2009 წლის 19 ივლისის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილების გადასინჯვას.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული დეპარტამენტის უფლება-მოვალეობებში შედის სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე, მათ შორის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, ქონების იძულებით დათმობისა და სხვა იძულების ფაქტებზე სრული მოცულობით გამოძიების წარმოება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული დადგენილება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება. გარდა ამისა, როგორც განჩინებაშია მითითებული მისი გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 279-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს თავმჯდომარის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას გადასინჯოს სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება.

პატივისცემით,

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის
გამოძიების დეპარტამენტის განსაკუთრებით
მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი

ანრი არსენიშვილი

## „მოსამართლეების საეჭვო საქმეები“

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

გაზეთ - „ კვირის პალიტრა“
N43 (1108) 26/X-2015 წ.

... „კვირის პალიტრისათვის“ ცნობილი გახდა 7 (შვიდი) მოსამართლისგან, იმ 5 (ხუთის) ვინაობა, ვისაც სააპელაციოს სასამართლოში დასაწინაურებლად ამზადებენ.

- თამარ ონიანი - 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შეფასებისას რამდენჯერმე მოხვდა სახალხო დამცველის ანგარიშში, როგორც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიტინგის მონაწილეთა დაპატიმრების ბრძანების გამცემი.

- გიორგი მიროტაძე-ის მოსამართლე, რომელმაც უარი განაცხადა ზურაბ ჟვანიას სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციაში ბრალდებული პროკურორის, მამუკა გვარამიას მიმართ პატიმრობის ღონისძიების გამოყენებაზე, რითაც გახმაურებული საქმე ჩიხში შეიყვანა.

- გიორგი ტყავაძე - სადისციპლინო კოლეგიის წევრი მოსამართლე, თუმცა, არსებული ინფორმაციით, მას მოქალაქეების მიერ შეტანილი არც ერთი დისციპლინური საჩივარი არ განუხილავს.

- ბადრი შონია - 2012-2013 წლებში სახალხო დამცველმა ორჯერ მოითხოვა მასზე დისციპლინური დევნის აღძვრა, თუმცა უჩა ნანუაშვილის მოთხოვნა იუსტიციის საბჭომ რეაგირების გარეშე დატოვა.

- გოგიტა თოთოსაშვილი - იურიდიულ წრეებში ამბობენ, რომ მისი გადაუდებელი დაწინაურების საკითხი სააპელაციო სასამართლოში ძალიან სააეჭვოა, რამდენიმე თვის წინ ის კახეთის სასამართლოდან თბილისის საქალაქო სასამართლოში გადმოიყვანეს, ახლა კი იუსტიციის უმაღლესი საბჭო სააპელაციო სასამართლოში მის დაწინაურებას პირდაპირი დანიშვნის წესით აპირებენ.

ს ო ს ო  ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი - ექსპერტი: „იუსტიციის უმაღლესი საბჭო დღესაც ზურაბ ადეიშვილის დავალებების შემსრულებელია.

ლ ი ა  მ უ ხ ა შ ა ვ რ ი ა: „იურისტი“ - ჩნდება ეჭვი, რომ სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეებს წარსული „დამსახურებისათვის“ აწინაურებენ. არ გამოვრიცხავ, რომ მათი გამოყენება მომავალში ხელისუფლებამაც სცადოს...

## ე.წ. - დამატებით მოკვლევის ორგანოები

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტის უფროს ირაკლი ნადარეიშვილის აპარატიდან, გამომძიებელი ანრი არსენიშვილი NIs/20668 I/IV-2016 წლის პასუხი: ...მოკლე ამონარიდი: მათ მოკვლევაში შედის, - სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე, მათ შორის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, ქონების იძულებით დათმობის და სხვა იძულების ფაქტებზე სრული მოცულობით გამოძიება წარმოება და სისხლის სამართალებრივი დევნის განხორციელება...

332-ე მუხლის I-ლი ნაწილი: - „სამართლებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება ვერ გამოკვეთა გამომძიებელმა ანრი არსენიშვილმა, როდესაც განცხადებებში მითითებული მქონდა, - დაცვის თანამშრომელს ე.წ. პოლიციის უფროსმა გივი ბჟალავამ ცხვირიდან სისხლი ადენინა, მამისტოლა კაცი დისპეტჩერი ჯერ დააკავა, რომელმაც წესრიგისაკენ მიუთითა, შემდეგ ხუთი საათი ატყვევებს პოლიციის განყოფილებაში, შემდეგ აჯარიმებს 400 ლარით, დედისტოლა ქალს მოლარეს სიტყვიერ შეურაცყოფას აყენებს, მასზედ მიმაგრებულ ტაბელურ ცეცხლსასროლ

იარაღს უმიზეზოდ საზოგადოების თავშეყრის ადგილზე გაისვრის, თადარიგის პოლკოვნიკს, დაცვის უფროსს შანტაჟს მოუწყობს, ხუთი საათი იმ სისტემაში, იმ განყოფილებაში და იმ შენობაში აკავებს, საიდანაც თორმეტი წელი უშუალოდ იმ უბანში საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა სადაც შანტაჟი მოუწყვეს, რომ მსვლელობა არ მიეცათ, შემდეგ იმდროინდელ ქალაქის მოსამართლის მიერ, მოსამართლე გიორგი ტყავაძეს აჯარიმებინებს 400 ლარით. ღირსების შელახვა არ არის?!...

...ახლა სახალხო დამცველს, რომელსაც ორჯერ განცხადებით მივმართე, საგაზეთო სტატია გაზეთ „რეზონანსში“ N092 (8441) 8/IV-2016 წლის მოგვიწოდებს: სამართალდამცველების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსაძიებლად, ასევე მსგავსი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ახალი, დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ კანონპროექტის მოდელი უკვე შემუშავებულია, პარლამენტში მისი ინიცირება კი მაისის თვეში იგეგმება.

ხოლო სულ ახლა გამოქვეყნდა საგაზეთო სტატია:-სამართალდამცველთა დანაშაულის გამოსაძიებლად-არასამთავრობო სექტორი კომისიის შექმნას ითხოვს...

(დ.ფ.) კარგო ხალხო! - ამდენი დაბოლება აღარ მოგწყინდათ?! - საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია რაღაზე გვჭირდება?! ....

## სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
## 332-ე მუხლის პირველი ნაწილი

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების პოლიციის იმდროინდელი პოლიციის უფროსის გივი

ბჟალავას მიერ 2009 წლის 19 ივლისს მომხდარი ფაქტი, - რომელიც ითვალისწინებდა 332-ე მუხლის 1-ლ ნაწილს, - „სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება, რომელმაც დასაცავ კერძო ტერიტორიაზე სცემა დაცვის თანამშრომელი, ცხვირიდან სისხლი ადენინა, ტაბელური იარაღი საზოგადოების თავშეყრის ადგილზე გაისროლა. სცემა ჯერ დაცვის თანამშრომელი მასთან მხლებმა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა ახალგაზრდა პოლიციელებმა (ტრანსპორტი ორი ეკიპაჟი), წესრიგის მითითებისათვის ჯერ სცემა მამისტოლა კაცი დისპეტჩერი, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მოლარე-კონტროლიორს, დედისტოლა ქალს, შემდეგ დაცვის უფროსს, თადარიგის პოლიციის პოლკოვნიკს შანტაჟი მოუწყო, უმიზეზოდ ექვსი საათი მასსა და დისპეტჩერს აჩერებს პოლიციის განყოფილებაში, სადაც სამი ათეული წელი იმსახურა რიგითი პოლიციელიდან, პოლიციის უფროსის მოადგილემდე იმავე წოდებით, შემდეგ მოსამართლეს კვირა დღეს სპეცშეკვეთას აძლევს, ორთავეს გვაჯარიმებს 400-400 ლარით ჯარიმით... ამის შემდეგ ტრიუმფალური სვლებით აწინაურებენ სხვადასხვა განყოფილებებში პოლიციის უფროსის თანამდებობაზედ, სხვა თანამდებობას ხომ არ აკადრებდნენ???. . .

...წარმოგიდგენიათ, ხალხი რა დონეზეა განაწყენებული? სააკაშვილის რეჟიმისაგან დაჩაგრული 26-ათასამდე ადამიანმა, სამართლიანობის აღდგენის იმედით, პროკურატურაში საჩივრები შეიტანა. მათ განუმარტეს, რომ უახლოეს მომავალში მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია შეიქმნებოდა და რეჟიმისგან დაზარალებულთა საქმეებს გადასინჯავდა. გატანჯულები დიდხანს ელოდნენ, მაგრამ ბოლოს გამოუცხადეს, რომ ასეთი კომისია რიგი მიზეზების გამო აღარ შეიქმნება!

ზ ა ზ ა ხ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი

ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი

(გაზ. „ასავალ-დასავალი“ 14 მარტი 2016 წ. N11).

მივმართავ ქალბატონ X-ს !!!, მოკალი და ჩაბარდი პოლიციას. ამ ტვირთით მაინც ვერ იცოცხლებ!!! „ნაციონალურო მოძრაობავ“, ამასაც მოხერხება უნდოდა!!!

9-წელი ხალხს ტყ....სა და შიმშილში ამყოფო, აწ ჩამოშლილი ფასადური მშენებლობით აბოლო, ტერიტორიები დაკარგო, საჯიშე ბიჭები გაწყვიტო, საპატიმროში ქალებს საშვილოსნოები აძრო, სისხლის სამართლის დანაშაული 12 წლის ბავშვებს „მოარგო“, შეკრების კანონი ტოტალურად ყველას მოარგო და 30-40 წელი მიუსაჯო, 3 მილიონიან ქვეყანაში 320 000 ადამიანი დაიჭირო, აუპატიურო ხან სკამის ფეხით და ხან იმით, რის ასოციაციასაც თავად იწვევთ, ოფშორებში ფული და „თავები მარხო“, მთელ ქვეყანას ჭუჭრუტანიდან უყურო და მერე ასე ბინძურად აშანტაჟო და იძახო ბიძინა ხიხიაარ? მოკლედ ასე I. ქალაქი პატარაა - ჩანაწერი ყველამ ნახა, მორჩით სირაქლემობანას თამაშს!

მივმართავ ქალბატონ X-ს!!! ხომ იცით, ვინც არის „შემსრულებელი“ - მ ო კ ა ლ ი!!!. ამ ტვირთით მაინც ვერ გააგრძელებ ცხოვრებას და მერე ჩაბარდი პოლიციას!

მე კი როგორც არასამთავრობოს ხელმძღვანელი პირობას გაძლევ ათასობით ქალს გამოვიყვან შენს დასაცავად!“.

ლ ა ლ ი  მ ო რ ო შ კ ი ნ ა

(გაზ. „საერთო გაზეთი“ N9 (362) 16.03.16 წ.)

ქ.თბილისის შინაგან საქმეთა საქმართველო

# პრასრულნლოვანთა შორის დანაშაულობის პროფილაქტიკა და მისი გამომწვევი მიზეზების დროული აღმოფხვრა

მეთოდური მითითებები

1984 წ
ქ.თბილისი

ნო

„ა მ ო ნ ა წ ე რ ი“

ქ. თბილისის შ/ს სამმართველო
1984 წელი.
ქ. თბილისი

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა განყოფილებისა
და ქვეგანყოფილების უფროსებს

## არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეების წინააღმდეგ პროფილაქტიკა და მისი გამომწვევი მიზეზების დროული აღმოფხვრა

ქ. თბილისის (პირველი მაისის) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს განყოფილების ა/ს წლოვანთა ინსპექციის ინსპექტორის მილიციის ლეიტენანტის დ.ყ. ფაჩულიძის გამოცდილება არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკისათვის მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისათვის ბრძოლა დამნაშავე და წამქეზებელი პირების გამოსავლენად.

### შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველო.

53/35-1665 28 ნოემბერი 1984 წ.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებათა
უ ფ რ ო ს ე ბ ს

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორები დიდ მუშაობას ატარებენ ქ. თბილისში არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის

პროფილაქტიკისათვის მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისათვის.

პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების უბნის იმსპექტორი მილიციის ლეიტენანტი დომენტი ყაფლანის-ძე ფანჩულიძე ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს მოწინავე საზოგადოების ძალებს, მილიციის სხვა სამსახურების შესაძლებლობებს და ატარებს მრავალფეროვან პროფილაქტიკურ მუშაობას სამართალდარღვევისაკენ მიდრეკილების მქონე არასრულწლოვანთა მაქსიმალურად გამოსავლინებლად, აღრიცხვაზე ასაყვანად, დამნაშავეობის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

გეგზავნებათ მიმოხილვა პირველი მაისის რაიგანყოფილების არასწრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორის მილიციის ლეიტენანტ დ. ყ. ფანჩულიძის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. გავალებთ ოპერატიულ თათბირზე გააცნოთ ოფიცერთა პირად შემადგენლობას და გაატაროთ ღონისძიებანი ამხ. დ. ყ. ფანჩულიძის მუშაობის დადებით გამოცდილების დასანერგად.

დანართი: „ „ ფურცელი.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს
უფროსის მოადგილე მილიციის პოლკოვნიკი

/დ. გ. მიქაძე/

სწორია ნ. გ. ჯოღბორდი

# მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

პირველი მაისის სახ. რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციაში 1982 წლის სექტემბრის თვიდან მუშაობს ლეიტენანტი დომენტი ყაფლანის-ძე ფანჩულიძე. მისი სამომსახურეო უბანი მოიცავს 19 ქუჩას ს. ორჯონიკიძის საქ. კულტურისა და დასვენების პარკს („მუშთაიდი“), „დინამოს“ სტადიონს, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გვეტაძის ქუჩის წყვილი ნომრების ჩათვლით, ხუთ საშუალო სკოლას, საესტრადო-საცირკო სასწავლებელს, N2-ე სამედიცინო სასწავლებელს.

სამომსახურეო ტერიტორიაზე მდებარეობს N27-ე რუსული საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი - ვ.ა. პრაღა, მოსწავლეთა რაოდენობა 376. N18-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ა.გ. ელიაური, მოსწავლეთა რაოდენობა 400, N19-ე საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი გ.კ. თუმანიშვილი, მოსწავლეთა რაოდენობა 647, N116-ე რუსული საშუალო სკოლა, სკოლის დირექტორი თ.ვ. ნიკოლაიშვილი, მოსწავლეთა რაოდენობა 1076, N166-ე საშუალო სკოლის დირექტორი გ.გ. ძნელაძე, მოსწავლეთა რაოდენობა 1070. სამედიცინო სასწავლებლის დირექტორი ა.გ. საბანაძე, მოსწავლეთა რაოდენობა 345. საესტრადო-საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი, დირექტორი მ.ა. სერგია, მოსწავლეთა რაოდენობა 205. ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი ვ.ი. ბურძგლა, სამხატვრო ხელმძღვანელი ც.მ. სორდია, ვ.ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი თავისი სპორტული სექციებით, დირექტორი ბორის პაიჭაძე.

სამომსახურეო უბანში მოქმედებს საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექცია, ინსპექტორი, მილიციის რიგებიდან გასული, ამჟამად პენსიონერი სკკპ წევრი ალექსანდრე გიორგის-ძე ბერუაშვილი, მდებარე დიდუბის ქუჩა N18-ში. (სამწუხაროდ ამჟამად ავტომაღაზიაა...) საზოგადო საბჭოს უცვლელი წევრები არიან:

მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, გივი გვარამაძე,
ა/ს წლოვანთა ინსპექციის ინსპექტორები „შემოვლის დროს".
გად. „მუშტაიდის პარკში“, 1/IX-1983წ.

1. ვენგერი ლუბა დავითის - ასული - პენსიონერი
2. ვენგერი გენრიხი სამოველის-ძე - პენსიონერი
3. ლიამცევა ლიუდმილა ნიკოლოზის - ასული - დიასახლისი.
4. აკრიტოვა სონია თეოფილეს-ასული - დიასახლისი.
5. კალმახელიძე მარინა ზაალის - ასული - პედაგოგი.
6. ბერუაშვილი ალექსანდრე გიორგის-ძე - პენსიონერი.
7. კურცხალია ამირან აკაკის-ძე - ინჟინერი.
8. ქოჩლაძე ლიანა ანგის - ასული პედაგოგ-ორგანიზატორი.
9. ნადირაძე ტარიელ აპექსის-ძე - მეტრომშენებელი.
10. კერესელიძე არჩილ კარლოს-ძე - საქონელმცოდნე.
11. ხუსკივაძე ავენი მიხეილის-ძე - მხატვარი.
12. ხუსკივაძე მიხეილ ავენის-ძე - ინჟინერი.

საზოგადო საბჭოს თითოეულ წევრზე განპიროვნებულია ძნელად აღსაზრდელ მოზარდსა და შვილებზე უარყოფითი გავლენის მომხდენ მშობლებზე. რეგულარულად კვირაში 2-3-ჯერ საზოგადოებრივი საბჭოს წევრებისა და ალკკ აქტივის დახმარებით ინსპექტორი რეგულარულად ატარებს რეიდებს და შემოვლებს სამოქმედო უბნის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით საშუალო სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე.

საბჭოში მოქმედებს ორი სექცია: პირველი - გამოვლინებულ მოზარდებთან მუშაობის, მეორე - რეიდების და შემოვლების მომწყობი სექცია. პირველი 1984 წელს X-თვეში საბჭომ ჩაატარა 14 სხდომა, რომელიც გაფორმებულია სათანადო ოქმით, რომლის ერთი ეგზემპლიარი ინახება ინსპექტორთან.

ჩატარებული პროფილაქტიკური აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად მრავალი მოზარდი და არაკეთილსაიმედო ოჯახის წევრი ემადლიერება საზოგადო საბჭოს წევრებს რის დამადასტურებელიც შინაგან საქმეთა განყოფილებაში შემოსული მადლობის წერილებია.

არასრულწლოვან გიგინეიშვილზე შეფად მიმაგრებულია საზოგადოებრივი საბჭოს წევრი ბერუაშვილი, რომელიც

გად. დინამოს სტადიონზე უბნის აღსაზრდელებთან
ქალაქის სპარტაკიადაზე, მილიციის ფორმით
დონი ფანჩულიძე, ივნისი 1985წ.

სისტემატიურად ამოწმებდა მას როგორც სასწავლებელში, ასევე სახლში. სისტემატიური ყურადღებით ა/სრულწლოვანი გიგინეიშვილი გამოსწორდა, შეუსრულდა 18 წელი, ჩააბარა მისაღები გამოცდები უმაღლესს სასწავლებელში და ჩაირიცხა, ჰყავს მეუღლე და ახლად შეძენილი შვილი.

არასრულწლოვან ზაქარეიშვილზე მიმაგრებული იყო შეფად საბჭოს წევრი ლიამცევა, რომელიც ახლო კავშირში იყო მოზარდთან და მის ოჯახის წევრებთან, სისტემატიური ზედამხედველობის შედეგად, პერიოდულად სახლში მისვლით და შემოწმებით, მოზარდი გამოსწორდა, მისაღები გამოცდები ჩააბარა საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მოქ. მ.შ. სირბილაძე აღრიცხვაზე იმყოფება სისტემატიური ლოთობისათვის, მეუღლესთან გაცილებულია, ჰყავს მოხუცებული ბებია და არასრულწლოვანი შვილი, რომლის მიმართ მზრუნველობას არ იჩენდა, ხშირად სცემდა ბებიას, რომელსაც ერთ-ერთი ჩხუბის დროს რკინის ბლაგვი საგანი ჩაარტყა თავის არეში, რის გამოც ჭრილობა მიაყენა, ინსპექტორმა დ. ფანჩულიძემ სისტემატიური მეთვალყურეობისათვის მიმაგრებული ყავდა საზოგადოებრივი საბჭოს წევრი სონია აკრიტოვა, რომელთანაც ერთად ამოწმებდა მის ქცევებს საქმიანობას. რამოდენიმე ხნის შემდეგ სამუშაოდ მოაწყო სსრკ 50-ი წლისთავის გაერთიანებაში ელექტრომემონტაჟედ. დღეს სირბილაძე მზრუნველი დედაა, დაადგა გამოსწორების გზას.

მოქ. ბ.ვ. შარაშენიძე გასცილდა მეუღლეს, ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, იგი სისტემატურად სვამს, აწიოკებს ცოლშვილს, რამოდენიმეჯერ გადაყვანილი იქნა სამედიცინო გამოსაფხიზლე-ბელში. გარკვეული პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების შედეგად ცოლ-ქმარი შერიგდნენ, მეუღლე ამჟამად თავს არიდებს სპირტიანი სასმელების მიღებას, დროულად ცხადდება შინ, შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული“, მზრუნველობს ცოლშვილზე და გამოსწორების გზას დაადგა. მისი გამოსწორებისათვის დიდი ენერგია

გად. ვერის პარკში („კიროვის პარკში“) უბნის აღსაზრდელებთან
ქალაქის სპარტაკიადაზე, ვერის საკალათბურთო დარბაზი,
ქ. თბილისი, ივნისი 1985 წ.

დახარჯა შეფმა, საზ. საბჭოს წევრმა ვენგერმა, მოქ. შარაშენიძე დღეისათვის მოხსნილია აღრიცხვიდან.

უბანში ტელმანის (გ. ცაბაძის) და პლეხანოვის (დავით აღმაშენებლის) გადაკვეთაზე ცხოვრობს ხუსკივაძეების ოჯახი: მამა - ავენი ხუსკივაძე მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მულტფილმების მხატვრად, შვილი მიხეილ ხუსკივაძე პროფესიით ინჟინერია, ორივე მოქალაქე სპორტის დიდი მოყვარული და ქომაგია. მათ სახლში ჰქონდათ პატარა სარდაფი, სადაც საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებდნენ ახალგაზრდობას ძალოსნობაში. ორთავე მამაშვილის თხოვნით ინსპექტორმა გულთან მიიტანა, დაეხმარა და პირველი მაისის აღმასკომის უშუალო ჩარევით მომიჯნავე სარდაფის ბაზაზე გააერთიანეს  დიდი ფართობი, სადაც ეხლა სისტემატიურად ვარჯიშობენ მოზარდი ახალგაზრდობა, ეს პატრიოტული თაოსნობა ფართოდ გააშუქა საქართველოს ტელევიზიამ თავის გადაცემაში რუბრიკით: „ზრუნვა“-ში.

აღრიცხვაზე აყვანილ არასრულწლოვან რინდიასა და მის ოჯახს ინსპექტორმა დ. ფანჩულიძემ შეფად დაუნიშნა სახოგადოებრივი საბჭოს წევრი ავენი ხუსკივაძე, ა. ხუსკივაძემ თავის სექციაში ჩააბა არასრულწლოვანი რინდია, სისტემატიურად ავარჯიშა და გამოსწორების გზაზე დააყენა. დღეს ის საბჭოთა არმიის რიგებში გადის სავალდებულო სამსახურს.

ჩატარებული მრავალი ღონისძიებებისა და უმწიკვლო ღვაწლისათვის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობამ 1983 წელს საზოგადო საბჭოს წევრთა უმრავლესობა დააჯილდოვა სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორი დ.ყ. ფანჩულიძეს გამოეცხადა მადლობა პირად საქმეში შეტანით და გადაეცა ფასიანი საჩუქარი.

ინსპექტორ დ. ფანჩულიძეს ყველა სკოლებთან და ტექნიკუმებთან შემუშავებული აქვს ერთობლივი პერსპექტიული სამუშაო გეგმა. შეტანილი საკითხების უმეტესობა სრულდება ერთობლივად უბნის იმსპექტორის და პედაგოგ ორგანიზატორის

# ქეცრული გუშაგი

„ჩეკისტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს გამჭრიახი გონება, მხურვალე გული და სპეტაკი ხელები".

ციოდა, კოკისპირულად წვიმდა. ღამის სამ საათზე პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასაუწყებო დაცვის სამორიგეოში წითელი ნათურა აინთო, აწკრიალდა საგანგაშო ზარი.

მორიგე მილიციელმა დომენტი ფანჩულიძემ ტელეფონით აკრიფა საკონტროლო ციფრები. ბინაში ყურმილს არავინ იღებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ არასაუწყებო დაცვის ავტომანქანა ღამით ოპერატიული ჯგუფით შემდეგ ყველაფერი სწრაფად მოხდა.

თანამშრომლები რომ მოვიდნენ, დომენტიმ ორ შებოკილ ბანდიტზე მიუთითა...

ავტომანქანა ნელა გასრიალდა. ქურდები გ. ბეგალოვი და ადრე ნარკომპირისთვის ნასამართლევი ა. ქუთათელაძე კრიჯაშერული ისხდნენ.

... დომენტი ფანჩულიძის ხანახავად მივედი. განყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტ-ალმზრდელობით დარგში ვ. ბუღაძემ მითხრა; — თუ მორიგე

# კომკავშირის აღზრდილი

გზას დაადგა. ეძინა თბილისს. ავტომანქანა ჩამქრალი შუქფარებით აღმართს შეუყვა. ოპერატიული ჯგუფის უფროსმა დ. ფანჩულიძემ სამოქმედო გეგმა სწრაფად გააცნო წევრებს.

ხახლის ეზოში არავინ ჩანდა, როცა კარზე დაკაკუნებას არავინ გამოეხმაურა, მილიციელმა ჯიბის ფანარი აანთო. ნაძვის ხის ქვეშ დაყრილი რკინის ნივთები საეჭვოდ მოეჩვენა. დაიკვირდა, კარგად გაარჩია პატარა ძალაყინი, სხვადასხვა ზომის სატენი.

მოულოდნელად ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო და ჩასჩურჩულა, — ხმა არ ამოიღო!.. წელში მოხრილმა დომენტიმ გვერდზე გაიხედა და შუქის ანარეკლზე თვალი მოჰკრა დანას...

არ არის, აუცილებლად ლენინის ოთახში იქნებაო. მართლაც იქ ვნახე. დ. ფანჩულიძე, მილიციის რიგოსან კომკავშირელ დათო კურტანიძესთან ერთად კედლის გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" მორიგი ნომრის გამოშვებაზე მუშაობდა.

— რატომ აირჩიეთ მილიციელის რთული, ხიფათით სავსე პროფესია? — ვკითხე. — ჩვენი საქმიანობა ნამდვილად ხიფათიანია, მაგრამ ეს როდია მთავარი, — მომიგო საპასუხოდ. — მთავარია რწმენა და სიყვარული საქმისა, გულის კარნახი, იმის შეგნება, რომ სჭირდები ხალხს და არა აქვს მნიშვნელობა, რომელ უბანზე განგაწესებენ.

როცა ოჯახში ვთქვი, ორგანოში ვაპირებ მუშაობის დაწყებას მეთქი, ჩემს სურვილს წინ არავინ გადახდგომია. მამამ მხოლოდ ეს მითხრა, — კარგი შვილო, როგორც გსურდეს. ოღონდ სადაც უნდა იყო, გახსოვდეს, — მშობლის ამაგს, კალარას ნურადგრის შეარცხვენო.

მაშინ დომენტი 20 წლისა იყო. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა, ბრძოლით, შრომით, აქტიური ცხოვრებით ალსავსე ექვსი წელი, ამ ხნის განმავლობაში ბევრ ხელმძღვანელს დაუკარგა სხვისი ნაოფლარის წართმევის ხალისი.

წლეულს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორთვიურის პერიოდში დ. ფანჩულიძე ერთსულოვნად აირჩიეს კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. დომენტიმ ნდობა საქმით გაამართლა, კომკავშირულმა ორგანიზაციამ წამოაყენა ლოზუნგი „სანიმუშო რაიონს — სანიმუშო წესრიგი". მოაწყეს რეიდები საერთო საცხოვრებლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, კინო-თეატრებსა და ბაღ-პარკებში, გამოავლინეს სკოლიდან გაწოვილი არასრულწლოვანები, ნაწილი კვლავ სასწავლებელს დაუბრუნეს, ზოგიც შრომითს საქმიანობაში ჩააბეს.

მილიციის რიგოსანი დ. ფანჩულიძე მალე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

როცა დომენტიმ განყოფილებას ხელმძღვანელობას განუცხადა, მინდა შრომისაგან მოუწყვეტლივ უმაღლესი განათლებაც მივიღოო, დახმარება აღმოუჩინეს. და აი, იგი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

ჯ. პავლიაშვილი

დახმარებით. უახლეს კავშირში იმყოფება სკოლის აქტივთან, იმ ძნელადაღსაზრდელი კონტიგენტის გამოსასწორებლად, რომლებიც არღვევენ სკოლის რეჟიმს, მოსალოდნელია მათგან რაიმე სასკოლო რეჟიმის დარღვევა, პერიოდულად ახდენენ დირექციის თანდასწრებით მოსწავლეთა პირადი ნივთების დათვალიერებას და ლექცია-საუბრების ჩატარებას, მათ სამართლებრივ აღზრდის მიზნით.

მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში ინსპექტორ დ. ფაჩულიძეს ჩატარებული აქვს 18 საუბარი თემაზე: „უზედამხედველობას დანაშაული მოსდევს“, „მშობლის როლი ბავშვის აღზრდის საქმეში“, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ყოველი მოქალაქის ვალია“ და სხვა.

მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში ამხ. ფანჩულიძის სამოქმედო უბანში არ მომხდარა სისხლის სამართლის დანაშაული, ასევე აღრიცხვაზე მყოფს არც ერთს მოზარდს არ ჩაუდენია დანაშაული დღემდე.

სამოქმედო უბნის ტერიტორიაზე ათი თვის განმავლობაში მომხდარია 2-სისხლის სამართლის დანაშაული, ჩდენილი საქარხნო რაიონის მცხოვრები არასრულწლოვანების მიერ.

1. ჯამბული მიხეილის-ძე ჯამაგიძე დაბ. 1967 წელს, დაბრუნებული იყო ქ. ცხინვალის სპეც. სასწავლებლიდან, რომელმაც 1984 წლის 21 თებერვალს 10 საათზე ჩაიდინა ძარცვა ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში.

2. გიორგი იოსების-ძე მეკოკოშვილი დაბ. 1977 წ.19 სექტემბერს N152-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, რომელმაც 1984 წლის 8 აპრილს 21:00 საათზე ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, დანით ჭრილობა მიაყენა უცნობ მოქალაქეს.

მომხდარი ორივე დანაშაული ჩადენილი, გამოწვეული იყო დანაშაულის, ჩადენის ადგილას სუსტი კონტროლით, რაც გაითვალისწინა ინსპექტორმა დ. ფანჩულიძემ და გააძლიერა შემოვლები ოპერატიულად დაზიანებულ ადგილებში.

23 თებერვალი – საბჭოთა
არმიისა და სამხედრო – საზღვაო
ფლოტის დღე

23 ФЕВРАЛЯ – ДЕНЬ
СОВЕТСКОЙ АРМИИ И
ВОЕННО – МОРСКОГО
ФЛОТА

# მოწინავეთა გალერეა

ДОМЕНТИ ყაფლანის ძე ფანჩულიძე დაიბადა 1958 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში. 1972 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის პროფტექნიკური სასწავლებელი. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ კომკავშირული საგზურით მიღებული იქნა სამუშაოდ ქ. თბილისის პირველი მაისის სახ. რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ჯერ რიგით მილიციელად და შემდეგ არასრულწლოვანთა ინსპექციის უბნის ინსპექტორად, 1984 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

დ. ფანჩულიძემ შინაგან საქმეთა ოტგანოებში მუშაობის მანძილზე თავი გამოიჩინა როგორც თავმდაბალმა, დისციპლინიანმა თანამშრომელმა. მის მიერ გამოხწორებულია მრავალი ძნელადაღსაზრდელი მოზარდი. ქურდების, ძებნილების და სხვა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებებისათვის დ. ფანჩულიძეს შინაგან საქმეთა განყოფილების, ქ. თბილისის შს სამმართველოს და სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მადლობა აქვს მრავალი მადლობა და ფასიანი საჩუქარი. როგორც მოწინავე თანამშრომელი, ის 1980 წელს მიიღებს სკკპ რიგებში. აქტიურ მონაწილეობას დებულობს განყოფილების ყოველდღიურ ცხოვრებაში, არჩეულია განყოფილების პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილედ და სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ.

წარმოდგენილ მოზარდთა უმრავლესობა პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებზე მოდის.

გაირკვა, რომ მოსწავლეებს პრაქტიკული მეცადინეობა ხშირად უცდება ან პროფესია არ მოწონს და აცდენს მეცადინეობას, ამხ. დ. ფანჩულიძე ყოველ ასეთ ფაქტს მსჯელობის საგნად ხდის პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლების პედკოლექტივის წინაშე ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიაზე გააქვს საკითხის განსახილველად.

უბნის ინსპექტორი დ. ფანჩულიძე პირველი მაისის საკოლმეურნეო ბაზრის დირექციასთან და მომსახურე პერსონალთან ერთად ხშირად ატარებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს იმ მოზარდების მიმართ, რომლებიც უმიზეზოდ აცდენენ სკოლას და ვაჭრობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

პერიოდულად აცხადებენ ბაზარში რადიო კვანძის საშუალებით: ქართულად, რუსულად, სომხურად და აზერბაიჯანულ ენაზე, რომ არასრულწლოვანებისაგან დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობა. გამოვლენილ ფაქტზე იგზავნება წარდგინება შესაბამის რაიონების პარტიულ კომიტეტებში.

N3-ე უბანში აღრიცხვაზე იმყოფება 12 არასწრულწლოვანი, 4 - არაკეთილსაიმედო ოჯახი, 3 - არასრულწლოვანის მიმართ შქმნილია პროფილაქტიკური საქმე, 1984 წლის ათი თვის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილია 4 არასრულწლოვანი და 3 არაკეთილსაიმედო ოჯახი, აღრიცხვიდან მოხსნილია გამოსწორებისათვის 4 არასრულწლოვანი და 6 არაკეთილსაიმედო ოჯახი.

ინსპექტორს დაზუსტებული აქვს სამოქმედო უბანში მდებარე სკოლებში მოსწავლე იმ არასრულწლოვანთა სიები, რომლებიც სისტემატიურად არღვევენ სკოლის შინაგანაწესს და მიდრეკილება აქვთ ჩაიდინონ რაიმე დანაშაული.

ასევე მოსწავლეთა ოჯახებისა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ მოზარდებზე, ასევე იმ ახლად დამთავრებული

მოსწავლეების მონაცემები, რომლებიც არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

რეიდების დროს გამოვლინებული იქნა 172 მოზარდი სხვადასხვა დარღვევისათვის, = 32 = არასრულწლოვანი წვრილმანი ხულიგნობისათვის, = 74 = არასწრულწლოვანი წვრილმანი დარღვევებისათვის, = 7 = არასრულწლოვანი ჩაბარდა მიმღებ-გამანაწილებელს, 10 მოზარდი მოწყობილ იქნა სამუშაოზე, ხოლო 7-დაუბრუნდა სასწავლებელს.

ამხ. დ. ფანჩულიძე დიდ ყურადღებას აქცევს წამქეზებელი პირების გამოვლინებას, ოპერწმუნებულებთან ერთად ღებულობს ზომებს მოზარდებზე მათი გავლენის აღმოსაფხვრელად, უბნის ინსპექტორის მიერ მოწოდებული შეტყობინებების საფუძველზე იქნა აყვანილი 2 ასეთი პირი, რომლებიც აღრიცხვაზე იქნენ აყვანილი ოპერწმუნებულის მიერ.

დ. ფანჩულიძე არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის პროფილაქტიკას წარმართავს ძირითადად სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის 1984 წლის N085 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს
სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების
მე-4 ქვეგანყოფილების უფროსი მილიციის
მაიორი ნორა გიორგის ასული ჯოლბორდი.

## „კარგი სიტყვა, კარგ ადამიანაზე“

**დონი ფანჩულიძე**
საქ. სახ. ფიზკულტურის ინსტიტუტის
I კურსის სტუდენტი 1978 წელი.

### „ძევრელმა ჭაბუკმა თავი ისახელა“

ბევრია ჩვენში ახალგაზრდა, რომელიც უყოყმანოდ აკეთებს ხალხის, სამშობლოს საკეთილდღეო საქმეს. მათით ამაყობენ მშობლები, ნაცნობები, თანასოფლელები. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ძევრელი ჭაბუკი დომენტი ფანჩულიძე. მან ბევრი ლამაზი ფურცელი ჩაწერა თავის ბიოგრაფიაში. ჩხარის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს კოლმეურნეობაში იმუშავა, მერე სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე იდგა. იქიდან დაბრუნებულმა მილიციის რთული და ხიფათით სავსე პროფესია აირჩია.

„მთავარია რწმენა და სიყვარული საქმისა, გულის კარნახი, იმის შეგნება, რომ სჭირდები ხალხს და არ აქვს მნიშვნელობა, რომელ უბანზე გაგანაწილებენ“ - ეს სიტყვები დომენტი ფანჩულიძეს ეკუთვნის, მისი ყოველდღიური საქმიანობის გაცნობა კი გვარწმუნებს, რომ ეს სიტყვები გულითაა ნათქვამი, ასე ფიქრობენ თბილისის პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლები, სადაც უკვე შვიდი წელია თერჯოლელი ჭაბუკი მუშაობს ცენტრალური სამეთვალყურეო პუნქტის ინსპექტორად.

აქტიური მუშაკი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. მან ნდობა საქმით გაამართლა. კომკავშირულმა ორგანიზაციამ წამოაყენა ლოზუნგი - „სანიმუშო რაიონს - სანიმუშო წესრიგი“ - ამ ლოზუნგის განსახორციელებლად კი მუხლჩაუხრელი და თვალმოუხუჭავი ბრძოლაა საჭირო. ბრძოლით, შრომით მრავალ

ხელმრუდს დაუკარგა სხვისი ნაოფლარის წართმევის ხალისი. სისტემატიურად აწყობს რეიდებს საერთო საცხოვრებლებში, პროფ. ტექ. სასწავლებლებში, კინოთეატრებსა და ბაგა-ბაღებში, მრავალი არასრულწლოვანი გამოავლინა სკოლიდან განთესილი, მერე იზრუნა მათ კვლავ სასწავლებელში დაბრუნებაზე, ან შრომითი საქმიანობაში ჩაბმაზე.

მილიციის რიგოსანი დ. ფანჩულიძე მალე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს, იგი ფიზკულტურის ინსტიტუტის III-ე კურსის სტუდენტია, სპორტის ოსტატია ჭიდაობა „სამბოში“.

ყველგან უყვართ და აფასებენ წესიერ, ზრდილ, სერიოზულ ახალგაზრდას, რომელმაც ბევრი საშიში ბოროტმოქმედის პარპაში ალაგმა.

მიმდინარე წლის ივნისში გაზეთმა „თბილისმა“ მკითხველებს მოუთხრო კომკავშირის აღზრდილ დ. ფანჩულიძის სამაგალითო საქმიანობაზე, როცა მისი მუშაობის ცალკეულ ეპიზოდებს ვეცნობით, გვიხარია, რომ ეს ჭაბუკი ჩვენი მკვიდრია, ჩვენს რაიონში აღიზარდა, დავაჟკაცდა, ისწავლა სიმართლისა და პატიოსნებისათვის ბრძოლა, სამშობლოსა და ქვეყნის ერთგულება, მისთვის თავდადება.

(კორესპონდენტი: მ. ცქიფურიშვილი)

(გაზეთ „წინსვლა“-დან გამოდიოდა თერჯოლის რაიონში)
1981 წლის მარტის თვის

**= ნაწყვეტი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტიდან“ 1984 წლის ივლისის თვის ქ. თბილისის შ/ს მთავარი სამმართველოს ა/ს წლოვანთა ინსპექციის უფროსი ნორა ჯოლბორდის მოხსენებიდან =**

...სწორედ ამ იდეებით აღჭურვილი უნდა მუშაობდეს არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორი, თუმცა ისიც

ცხადია, რომ მარტო მას, ერთ ადამიანს, გაუჭირდება ამ კეთილშობილი სურვილების განხორციელება, თუ მხარში არ ამოიყენა თანამზრახველთა მრავალრიცხოვანი არმია, თუ მთელი ძალა და ენერგია არ შეალია თავის საქმეს.

თბილისში მრავალი ინსპექტორია, რომელთა შესახებაც ისევე სიამაყით და პატივისცემით შეიძლება საუბარი, როგორც ვსაუბრობთ დამსახურებულ მასწავლებლებზე, ექიმებზე, მწერლებზე, ვისაც საზოგადოებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვს, ვინც უმწიკვლოდ და პატიოსნად ემსახურებიან ხალხს.

ეს სიტყვები რომ გადაჭარბებულად არ მოგეჩვენოთ, მე წაგიკითხავთ ნაწყვეტებს იმ წერილებიდან, რომლებსაც ეს ინსპექტორები თავიანთი ძნელად აღსაზრდელებისაგან იღებენ. ისიც უნდა გითხრათ, რომ თითოეული ინსპექტორის არქივში ათობით ასეთი წერილია.

- „სალამი დონი ბიძია! როგორ ხართ, იმედი მაქვს კარგად იქნებით. მე ახლა სხვა ნაწილში გადამიყვანეს. აქ ყინვებია, თოვს, მალე ახალი წელი დადგება და მე მინდა მოგილოცოთ, გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას თქვენი ოჯახით, ნათესავებით, მეგობრებით. მომწერეთ რა ხდება თბილისში, ჩემი უბნის ქუჩებში, რა აშენდა ახალი. დედაჩემს დაურეკეთ და დაამშვიდეთ, რომ მე კარგად ვარ და გამხდარი აღარ ვარ. თქვენი ძალიან სჯერა... ახლა მე სამორიგეოდ ვარ, თბილისში კი ალბათ ხუთი საათია, მალე ხალხი გაიღვიძებს და სამუშაოდ წავა. თქვენც წახვალთ თქვენს სამსახურში. რა ხდება თქვენთან ახალი? თუ დრო გექნეთ, მომწერეთ დიდი წერილი...

ჩემი სამსახური კარგად მიდის, ჯერ შენიშვნა არ მიმიღია, მადლობაც კი გამომიცხადეს. მოკითხვა ყველა ნაცნობს, თქვენს თანამშრომლებს, ველი წერილებს ყველასაგან...“

ინსპექტორთა მუშაობის მეთოდები სხვადასხვაგვარია, ინდივიდუალურია, მაგრამ მთავარია ერთი რამ: იგი მოზარდის მახლობელი ადამიანი უნდა გახდეს, მისი ტკივილი უნდა აწუხებდეს და მისი წარმატებები ახარებდეს...

ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი წერილი, რომელიც გამოგზავნილი იქნა სამხედრო ნაწილიდან, ეკუთვნის მწერალ აკაკი გელოვანის ვაჟიშვილს, - ზვიად გელოვანს, რომელიც ბავშვობისას და სწავლის პერიოდში მშობლების ზედმეტი ყურადღების შედეგად როგორც იტყვიან „ამოვარდნილი იყო კალაპოტიდან“. ჩემს მიერ გაწეული სათანადო მუშაობის შედეგად, სკოლა წარმატებით დაამთავრა, მიიღო უმაღლესი განათლება, - იურისტის სპეციალობით, მუშაობა დაიწყო მილიციაში, რაც ჩემი მუშაობის სტილის ერთ-ერთი „ზენიტი“ იყო, სამწუხაროდ მეგობრის გადასარჩენად მტკვარში გადახტა და ტრაგიკულად დაამთავრა ახალგაზრდული ცხოვრება... (ხსოვნა და არ დავიწყება, მარადისობაში გადაბრძანებულ მის ნათელ სულს, რომ ასეთი ვაჟკაცები იბადებოდნენ...)...

## = 1989 წლის 9 აპრილი =

1988-89 წლებში ძალაში შედიოდა ე.წ. „დისიდენტური“ მოძრაობები, გახშირდა მიტინგები, თავყრილობები და ფაბრიკა-ქარხნების წინ მომიტინგეთა მოწოდებები, გამოსულიყვნენ ქუჩაში, დაენებებინათ მუშაობისათვის თავი და შეერთებოდნენ მათ. როგორც იმ პერიოდში სამსახურის ინსპექტორს დავალებული მქონდა  დარგობრივად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უზრუნველყოფა რაიონის ტერიტორიაზე. ერთ-ერთი „განგაშის“  დროს გამოძახებული ვიყავი აკ. წერეთლის გამზირი N117-ში მდებარე „რადიოქარხანაში“ (იმ პერიოდში მე-2 განყოფილება გახსნილი არ იყო. გაიხსნა 1991 წლის აპრილის თვიდან). მისვლისთანავე მის წინ დაგვხვდა მომიტინგეები, ეროვნული სამფერიანი დროშებით, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ზვიად გამსახურდია, მას ხელში ეჭირა „მეგაფონი“ და საამქროებიდან მოიხმობდა მუშა-მოსამსახურეები მათ შეერთებულიყვნენ. ამის შემდეგ კოლონა გაემართა იქვე განთავსებულ აღნიშნული ქარხნის ფილიალში, საწარმო გაერთიანება „ელვაში“, შემდეგ ლიმონათის ქარხანაში, აკაკი

2012 წლის 9-აპრილს 23-ე წლისთავი, „9-აპრილის დაღუპულთა მემორიალი“.
რუსთაველის გამზირი, პარლამენტის წინ. სურათზე: დონი ფანჩულიძე

წერეთლის  გამზირით მიემართებოდნენ „მთავრობის სასახლისაკენ“ რომელ კოლონასაც ნელ-ნელა მივაცილებდით. აღნიშნული შეკრების შემდეგ მომიტინგეები მივიდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ ვარაზის ხევისა და მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, ჩატარდა ორსაათიანი მიტინგი, რის შემდეგ კვლავ მელიქიშვილის გამზირიდან „მთავრობის სასახლისაკენ“ წინ მიუძღოდათ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, თამრიკო ჩხეიძე,ზურაბ ჭავჭავაძე, მამუკა გიორგაძე, ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, ირინა სარიშვილი.... და სხვა ლიდერები. მიტინგმა მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა. ეს იყო 1989 წლის 25 თებერვალს.

1989 წლის მარტის თვის დასაწყისში კვლავ შეიკრიბნენ ჯერ უნივერსიტეტის ეზოში. შემდეგ წამოვიდნენ „მთავრობის სახლის“ წინ, მიტინგის შემდეგ სტუდენტებმა და აქტივისტებმა დაიწყეს შიმშილობა, რომელიც გაგრძელდა ათი დღე. ამის შემდეგ პერიოდულად ეწყობოდა მიტინგები, რა დროსაც აქტიურობდა მანანა არჩვაძე-გამსახურდია, რომლის ძირითად მომიტინგეთა შემადგენლობაში შედიოდნენ ქალები, მიადგნენ ცენტრალური კომიტეტის შენობას, საიდანაც იხმობდნენ გამოსულიყო მოსალაპარაკებლად ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი.

იდგა 1989 წლის  მარტის თვის შუა რიცხვები, ქალაქში შეინიშნებოდა არეულობა, არარითმულად მუშაობდნენ წარმოება-დაწესებულებები, რაც იწვევდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების გულისწყრომას, რომელთა მოთხოვნები გადადიოდა ჩვენს მხრებზე, რის გამოც მიმაგრებული ვიყავით სამხედრო ნაწილებში, ზოგი ვისხედით „ბეტეერებში-ბერდემეებში“, ხოლო სამხედრო მანქანებში შინაგან ჯართან ერთად და პატრულირებას ვაკეთებდით ქალაქში, კერძოდ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

1989 წლის 2 აპრილიდან მიტინგის შემდეგ გადაწყდა, რომ გამოეცხადებინათ შიმშილობა, „მთავრობის სახლის“ წინ მოიტანეს ლეიბები, პოლიეთილენის გადასაფარებლები და რიგრიგობით მორიგეობდნენ, ხოლო დღის საათებში ტარდებოდა საინფორმაციო

მიტინგები, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ირაკლი წერეთლის, თამრიკო ჩხეიძის, ზურაბ ჭავჭავაძის, ქორიძის, გურამ პეტრიაშვილის და სხვა ოპონენტების მონაწილეობით...

1989 წლის აპრილის თვის დასაწყისში მთელი პირადი შემადგენლობა და გარნიზონი გადაყვანილი იყო რა ყაზარმულ მდგომარეობაზე, ყოველ დღეგამოშვებით განყოფილებიდან მილიციის თანამშრომლებს გვიწევდა მორიგეობა, ძირითადად ვიცავდით „მთავრობის სასახლეს," სადაც მიტინგის დარბევამდე ჩვენთან ერთად მორიგეობდნენ საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები, რომლებსაც მიმაგრებული ჰქონდათ ავტომატური იარაღები.

1989 წლის 8 აპრილის დილის 9:00 საათზე შევცვალეთ წინა დღით ნამორიგევი პოლიციის თანამშრომლები დიდუბის (პირველი მაისის) შს განყოფილებიდან ჯგუფის ხელმძღვანელი იყო მილიციის უფროსის მოადგილე, მილიციის ვ/პოლკოვნიკი დავით ანდროს-ძე ლოლაძე, - „ანდრეევიჩი", რომელთანაც მიმაგრებული ვიყავი სატარებელი რადიოკავშირით, როგორც მახსოვს ჩემთან ერთად საზოგადოებრივ წესრიგს იცავდნენ ნოდარ ქუფარაშვილი, ჯუმბერ კოშუაშვილი, ჟორა მუცხვალაძე, ზელიმხან პირმისაშვილი, დავით ლოლაძე, ტარიელ გვენეტაძე, ვანო დონღუზაშვილი, ვანო ვარდიძე, თეიმურაზ ჩიკვილაძე, გიგო არაბული, ზაურ ნამგალაძე, კაკო ინაძე, სოსო ჩიჩუა, თამაზ ბარამიძე, ჯემალ ბარამიძე...

რიგრიგობით გავდიოდით მომიტინგეებთან, კერძოდ მათსა და მთავრობის სახლს შორის ვიმყოფებოდით, რადგან მე მიმაგრებული ვიყავი რადიოკავშირით მილიციის უფროსის მოადგილე დავით ლოლაძესთან შესვენებას ვერ ვახერხებდით. იქნებოდა დილის საათები, კერძოდ 10:00 საათიდან 12:00 საათამდე ხელმძღვანელობაში მოვიდა ინფორმაცია, რომ ჩამოყვანილი იყო სპეცრაზმი მომიტინგეების დასაშლელად, რის შემდეგ მიტინგის ლიდერებს აფრთხილებდნენ, რათა დაშლილიყვნენ რაიმე ექსესების  თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ ისინი მითითებებს რეაგირებას არ უკეთებდნენ.

1989 წლის 8 აპრილის დღის 13:00 საათზე რუსთაველის გამზირზე გამოჩნდა სამი ერთეული სამხედრო ტანკი, რომლებიც არ შეჩერდნენ გაიარეს შუა ადგილზე მთავრობის სახლის წინ რუსთაველის გამზირზე, არ მოერიდნენ არც მომიტინგეებს და არც მილიციის თანამშრომლებს, პირდაპირ გაუფრთხილებლად გადაუარეს სახელმწიფო ავტოინსპექციის ავტომანქანებს ე.წ. „კანარეიკებს“ და წავიდნენ ქალაქის მერიის მიმართულებით “თავისუფლების“ მოედნისაკენ, რაც მიუთითებდა, რომ შეეტანათ მომიტინგეებში შიშის შეგრძნება, მაგრამ რწმენამ და შემართებამ მომიტინგეები და ლიდერები ვერ გატეხა და ვერ შეაშინა. საღამოს საათებამდე გრძელდებოდა საინფორმაციო მიტინგები, რომლებსაც ენაცვლებოდნენ ლიდერები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა...

საღამოს უკვე მოღამებული იყო თუ არა ვცდები 22:00 საათზე მთავრობის სახლის ეზოში შემოიყვანეს სამხედრო ნაწილი, რომლებიც ჩაცმული იყო სპეცტანსაცმლით, სახეზე ემჩნეოდათ რომ რუსი ეროვნების უმრავლესობა არ იყო, უფრო შუაზიური წარმომავლობის წვრილთვალება იერსახის ახალგაზრდა ჯარისკაცები იყო, რომელთა შეიარაღებაში ჯერ შეინიშნებოდა:-ჩაფხუტები, ხელკეტები, საკეციანი ნიჩბები,-რაც შეეხება იქ შემოყვანილ სამხედრო მანქანებში თუ რა იარაღები ეწყო ვერაფერს ვამჩნევდით. მთელი „მთავრობის სახლის“ ეზო ივსებოდა ფორმიანი ჯარისკაცებით, ხოლო შიგა პერიმეტრი ე.ი. შენობებში განთავსებული იყო თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებით, შინაგანი ჯარითა და მილიციის სპეცდანაყოფებით.

1989 წლის 9 აპრილის 03:00 საათია... კვლავ იხმეს მიტინგის ლიდერები მთავრობის სახლის წინ შესასვლელ სვეტებიან კორიდორში, სადაც მილიციის უფროსებთან ერთად რომან გვენცაძეც შევამჩნიე, რადგან ახლოს ვიდექი „ანდრეევიჩთან“, - ყური მოვკარი „შინაურ საუბარ-გარიგებას“, „რომ ახლოვდება საშიშროება!... მოსალოდნელია მიტინგის დაშლა, რაც გამოიწვევდა მსხვერპლს, რადგან „მთავრობის სახლის“ წინ დილით მომხდარი ფაქტის გამო,

მილიციის სპეცმანქანების დაზიანების შედეგად მთელი ქალაქი გამოვიდა მიტინგზე, ხალხი აღშფოთებული იყო ჯარისკაცებისა და მათი მეთაურების დაუდევარი - ხისტი მოპყრობის გამო.

....ღამის 03:00 საათია, მოიყვანეს „ილია II“-ე, საქართველოს პატრიარქი, რომელმაც მომიტინგეებს ერთხელ კიდევ მოუწოდა დაშლილიყვნენ, გაყოლოდათ სიონში, ელოცათ საქართველოს გადასარჩენად. მე მახსოვს მისი სიტყვები: - „ჩემო სულიერო შვილებო!“ ახლოვდება საშიშროება, შედეგი შეიძლება სავალალო გახდეს, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ!. . . დამთავრებული არ ჰქონდა სიტყვა „ილია II“-ეს, რომ ირაკლი წერეთელმა ხელიდან გამოსტაცა მიკროფონი და განაგრძო: „ხალხო არ დაიშალოთ, საქართველოს ბევრი ჭირვარამი გადაუტანიათ, მრავალი ურდოები შემოსულან საქართველოში, მაგრამ ჩვენთვის არაფერი არ დაუკლიათ. . . ამის შემდეგ კვლავ გაისმოდა მომიტინგეებიდან შეძახილები „ძირს რუსეთის იმპერია... სიტყვა გვაქვს ნათქვამი, არ დავიშალოთ!!! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!!!... ღამის 04:00 საათზე მოიყვანეს მიკროფონთან მომღერლები, როგორც შემდგომში გახდა ცნობილი უსინათლოები ყოფილან ლელა ვეფხვაძის ხელმძღვანელობით დაიწყო სიმღერა ფანდურის შესრულებით“ - „დაუკარით რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს“...

შუა სიმღერაში უკვე დაიძრნენ ტანკები ნელი სვლით „თავისუფლების მოედნიდან“, „მთავრობის სახლის“ მიმართულებით, რამოდენიმე ტანკს კი უკან მოყვებოდა ჩაფხუტიანი, ხელკეტებითა და ნიჩბებით შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები, რომლებსაც ვამჩნევდი მთავრობის სახლისა და მომიტინგეებს შორის მდგარი... ტანკებს წინ ხვდებოდნენ მომიტინგეებიდან ახალგაზრდა ყმაწვილები და ხელში დაჭერილი დროშის ტარებით ურტყამდნენ ტანკებს წინა მხრიდან... ტანკების უკანა მხრიდან შევამჩნიე რამოდენიმე გასროლის ხმა, რომელიც გასროლისთანავე ზოლად უკან თეთრ ბოლს ტოვებდა, მცირედ წვიმდა, რომ იტყვიან „ჟინჟლავდა“, ციოდა, რაც აფერხებდა მომიტინგეების სწრაფად წამოდგომას, რადგან მათ გადაფარებული

ჰქონდათ თბილი ადიელა-საბნები და პოლიეთილენის ცელოფნები, ტანკების გასვლის შემდეგ ერთმანეთში აირია: მომიტინგეები, ჯარისკაცები და მილიციის თანამშრომლები, დაბნეულ ბავშვებს, - სტუდენტობასა და ახალგაზრდებს მივანიშნე სწრაფად შესულიყვნენ „მთავრობის სახლის“ შესასვლელთან, მაგრამ უკვე ეზოდან დამატებულმა გამოსულმა ჯარისკაცებმა საშუალება არ მისცეს მათ და ხელკეტებით დაუწყეს ცემა. დავით ლოლაძეს - „ანდრეევიჩს“ ფორმაზე მოხურული ჰქონდა სამოქალაქო-საწვიმარი ლაბადა, ვერ შეამჩნიეს ჯარისკაცებმა და მასაც დაუწყეს ცემა, სანამ არ აუხსნა მილიციის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ვარ, მხოლოდ ეს გავიგონე „სნიმი პლაშ ბლ. . .დო“, ამის შემდეგ რომლებმაც ვერ გაასწრეს მთავრობის სახლის წინა მდებარე ტერიტორიას, დამალვა დაიწყეს იქვე განთავსებულ მწვანე გაზონებში, (რომელიც დღეს უკვე აღარ არის რესტავრირებულია) და ფანტანებია, იქაც აგნებდნენ ჯარისკაცები და ხელკეტებითა და ნიჩბებით უმასპინძლდებოდნენ, იყო საშინელი კივილ-წივილი ქალებისაგან, დატრიალდა საშინელი სპეციფიკური სუნი, რის შემდეგ რამოდენიმე ახალგაზრდა შევიყვანეთ მთავრობის სახლის ეზოში, ვეღარ შევძელით მომიტინგეების დახმარება და ყველა ვცდილობდით ჩვენ-ჩვენი თავის შველას... მთავრობის სახლის შესასვლელ სვეტებიან შენობასთან მდგარი „სათადარიგო ჯარიც“ გამოსულიყო, რის შემდეგ სწრაფად შევარდით რამოდენიმე მილიციის თანამშრომელი ეზოში, შემდეგ შენობაში, ავედით მეორე სართულზე, საიდანაც დავინახეთ, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე 15 წუთის გასვლის შემდეგ ჯარისკაცების გარდა აღარავინ იყო, როდესაც ინათა მთავრობის სახლის წინ მდებარე ტერიტორიაზე მოფენილი იყო: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქალის ჩანთები და გაურკვევლი ნივთები, რომელსაც იქ შეკრებილი ჯარისკაცები ფეხით აგროვებდნენ... იქნებოდა დილის 06:00 საათი დავინახეთ შ/ს მინისტრი შოთა გორგოძე როგორ უახლოვდებოდა ჯარისკაცებს, საიდანაც გამოეყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მოხურული სამხედრო საწვიმარი ე.წ. „ლაბადით“, ორივე ხელებით იმაგრებდა გარედან, ერთმანეთის საპირისპიროდ

დადგნენ და ვამჩნევდით როგორ ეკამათებოდა ჩვენს შინაგან საქმეთა მინისტრს შოთა გორგოძეს ხმამაღლა და ყვირილით, როგორც შემდეგში ჩვენთვის გახდა მომიტინგეთა დაშლის ორგანიზატორი, „ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალი“ იგორ როდიონოვი ყოფილა. . . .

. . .08:00 საათზე გაიცა განკარგულება, დავბრუნებულიყავით ჩვენს-ჩვენს დანაყოფებში, ქუჩაში გვხვდებოდნენ უბრალო მოქალაქეები, ხალხი და გვლოცავდნენ-„თქვენმა დედამ იხარა თქვენი გაზრდა-აღზრდისათვისო“... რაც გამოწვეული იყო მილიციის თანამშრომლების ჰუმანურობისა და დახმარებისათვის მომიტინგეების მიმართ, გადაგვისროლეს ავლაბარში ე.წ. „პროზექტურაში“... იქედან განყოფილებაში, მისვლისთანავე ჩატარდა გაფართოებული ოპერატიული თათბირი, ხელმძღვანელობის ბრძანებით კვლავ გაგრძელდა ყაზარმული მდგომარეობა და გამოცხადდა „კომენდანტის საათი“, რომელიც მოითხოვდა საღამოს 20:00 საათიდან დილის 08:00 საათამდე ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვას ფეხითა და სატრანსპორტო საშუალებებით, სათანადო ნებართვის გარეშე, ხოლო დღის საათებში თავყრილობებისა და მიტინგების ჩატარებას. სამსახურის ინსპექტორს, რომელსაც ერთ-ერთი ფუნქცია და ძირითადი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება იყო რაიონის სამოქმედო ტერიტორიაზე. ჩემთან არსებული კარტოთეკური აღრიცხვიდან ითხოვდნენ „სპეცკონტიგენტის“ სიობრივ მონაცემებს, კერძოდ პატიმრობიდან დაბრუნებულების, ადმინისტრაციული ზედამხედველობის, ნარკომანების, ნასამართლევი პირების, ქრონიკული მომჩივნების, „დისიდენტების“, რადგან მეორე სამსახურის ინსპექტორი, სანებართვო სისტემის ხაზით რაჯი ამირხანაშვილი, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა სანადირო თოფების, ცეცხლსასროლი იარაღების გაფორმება-გაცემა იყო, ერთ სამუშაო ოთახში ვისხედით. ძირითადად გადავერთე სანადირო თოფებისა და ცეცხლსასროლი იარაღების ამოღებას მოსახლეობიდან, ორგანიზაციებიდან, რომელიც შრომატევად

სამუშაოს წარმოადგენდა, ასევე კომენდატის საათის დამრღვევი პირების მიმართ რეაგირებას ვაკეთებდი, დგებოდა სათანადო ოქმები, შედეგები ხსენდებოდა შინაგან საქმეთა სამმართველოს. კომენდანტის საათი გაგრძელებული იქნა სამი დღე. მოსკოვიდან ჩამოსულმა ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს ინტელიგენციამ და ქართველი ხალხის შეთანხმებით კომენდანტის საათის შემდეგ ძალაში რჩებოდა საგანგებო მდგომარეობა, რის შემდეგ სტაბილური ხდებოდა ოპერატიული მდგომარეობა თბილისში, და საქართველოში...

## = საზ. წესრიგის დაცვა დასავლეთ საქართველოში= (სენაკში, ზუგდიდსა და მარტვილში)

1992 წლის მარტის თვეში ედუარდ შევარდნაძის მოსკოვიდან ჩამოსვლისა და „ზვიად გამსახურდიას“ მთავრობის განდევნის შემდეგ პოლიციის შემადგენლობა კვლავ საგანგებო მდგომარეობაზე იქნა გადაყვანილი. ძირითადი გართულებები იყო დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოს რეგიონში: ზუგდიდში, სენაკსა მარტვილში, წალენჯიხაში, ხობში, ფოთში....

1992 წლის ივლისის თვეში მივლინებული ვიყავით ათ-ათი კაცი თითო რაიგანყოფილებიდან, რომელსაც ვხელმძღვანელობდი პირადად მე, განთავსებული ვიყავით ქ. ზუგდიდის N4-ე რუსულ საშუალო სკოლაში, საიდანაც გავდიოდით ღონისძიებაზე, კერძოდ შემოვლებზე და პიკეტირებებზე ქალაქის შემოსასვლელ-გასასვლელ ადგილებში. დიდუბის რაიონის თანამშრომლები მიმაგრებული ვიყავით რუხის ციხესთან განთავსებულ სახ. ავტოინსპექციის საგუშაგოზე, სადაც შემოსასვლელი იყო აფხაზეთიდან, ენგურის ხიდთან ორასი მეტრის დაცილებით. საიდანაც პერიოდულად გადმოდიოდნენ პოლიციის თანამშრომლები და კოლეგიალურად, განგაშის გარეშე გვიხსნიდნენ თუ რა მძიმე მდგომარეობა იყო აფხაზებსა და ქართველებს შორის, მაგრამ ჯერ კიდევ განგაშს არ ტეხდნენ აღნიშნული დაძაბულობის გამო. ჩვენი მივლინების მიზეზი

# „აფხაზეთის ომის დასაწყისი“

მარცხნიდან დგანან: დათო ჯარაშნელი, დათო ლოხიშვილი, სოსო ბუტიკაშვილი, მალხაზ ახვლედიანი, კახა ნადირაძე. მარცხნიდან სხედან: ლევან მჭედლიძე, დათო გურგენიძე, დათო ლალიაშვილი, დონი ფანჩულიძე, ოთარ ნიჟარაძე, ვახტანგ ნარმანია.
ზუგდიდი, სოფ. რუხი, ენგურის ხიდის პიკეტი, 1992 წლის აგვისტო. დონი ფანჩულიძის ფოტოარქივი

იყო საზ. წესრიგის დაცვა, რომელიც მოსახლეობამ მოითხოვა, „მხედრიონი“ გაეყვანათ ქალაქიდან და მომიჯნავე რაიონებიდან, რომლებსაც პერიოდულად ენაცვლებოდა პოლიციის დანაყოფები. „მხედრიონის“ წევრები მხოლოდ შემორჩენილი იყო წალენჯიხის რაიონში და იქაც ცდილობდნენ მოსახლეობა მთავრობის მხარდაჭერით გაეყვანათ და ჩაენაცვლებინათ პოლიციის ძალებით. მოსახლეობა თბილად და სტუმარ-მასპინძლობით გვხვდებოდნენ. ჩვენი ჩასვლიდან გასული იყო უკვე სამი დღე-ღამე, ნახევარი თანამშრომლები სხვადასხვა განყოფილებებიდან ვისვენებდით აღნიშნულ სკოლაში. იქნებოდა დაახლოებით დღის 14-15 საათი, ეზოში ყვირილითა და ტირილით შემოვიდნენ ქალების, მამაკაცებისა და ბავშვების რამოდენიმე პირი, ძირითადი ეროვნება სომხების, რომლებიც ითხოვდნენ დახმარებას, როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, - წალენჯიხის რაიონიდან გამოყვანილი „მხედრიონის“ წევრებს და მათზე მიტმასნილ „მოხალისეებს“, რომლებიც მიემართებოდნენ თბილისისაკენ, სოხუმში მიმავალ დამსვენებლებს გზადაგზა ართმევდნენ თავიანთ კუთვნილ მანქანებს, ყრიდნენ იქიდან დამსვენებლებს, ეუფლებოდნენ საჭეს და აპირებდნენ თბილისის მიმართულებით გამგზავრებას. ჩვენ ჯგუფს ხელმძღვანელობდა პოლიციის პოლკოვნიკი გრიშა შონია, რომელმაც რადიოკავშირით გადასცა ზუგდიდის შემოსასვლელში, კერძოდ სოფელ ჭითაწყალში განთავსებულ ჩვენს საგუშაგოს გადაეკეტათ ქალაქის გასასვლელი, რის შემდეგ ავტომანქანებით გავემართეთ რამოდენიმე თანამშრომლები, გატაცებული მანქანებიდან გადმოგვყავდა ეგრეთწოდებული „მხედრიონელები“ ვითომ მოხალისეები იყვნენ, ვახდენდით ჩამორთმევას და ვუბრუნებდით ისევ თავიანთ მფლობელებს, რის შემდეგ ვახდენდით მათ იძულებით გასვლას ქალაქ ზუგდიდის დასახლებიდან, რომლებიც გვემუქრებოდნენ თბილისში ჩასვლისას გაგვისწორდებოდნენ, მაგრამ მუქარა მუქარად რჩებოდა...

1992 წლის ივლისის თვეში კიდევ განმეორებით მოგვიწია ქ. სენაკში ჩასვლა, სადაც უკონტროლო სიტუაცია იყო. ყველა ავტომატით

დარბოდა და არ ემორჩილებოდა სამთავრობო მოთხოვნებს, რადგან მორიგეობის შემდეგ ნახევარი თანამშრომლები ვისვენებდით და თავისუფალ დროს უწევდათ ქალაქში გასვლა, მოვიფიქრე მათი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები მომეთავსებინა კონსპირაციულად ერთ-ერთი თანამშრომლის მანქანის საბარგულში, რამაც შედეგი გამოიღო. ერთ-ერთმა ფორმირებებმა, სხვა დანაყოფების თანამშრომლები იზოლაციაში მოიყოლა, განიარაღა და სავალალო შედეგი იქნა მიღებული, ხოლო ჩვენი განყოფილების თანამშრომლები იარაღით დავბრუნდით ღონისძიების დამთავრების შემდეგ ქ. თბილისში.

რაც შეეხება მარტვილის რაიონში, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მონაწილეობას ვღებულობდით: სოსო ბუტიკაშვილი, მევლუდი ახალკაცი და შალვა ტიტვინიძე სხვა დანაყოფებთან ერთად. განთავსებული ვიყავით კომბინატის შენობაში, სახანძრო ნაწილის მოპირდაპირე მხარეს, რადგან შევარდნაძის მოწინააღმდეგე ექსტრემისტებს უკვე გადამწვარი ჰქონდათ ყველა ადმინისტრაციული შენობები, რაიონის უნივერმაღთან ერთად პროკურატურაც ჩვენს შენობაში იყო განთავსებული, რაც შეეხება პიკეტირებას მიმაგრებული ვიყავით ხიდის დასაწყისში სოფელ დიდი ჭყონის თავთან. ღამის საათებში ცხადდებოდა „კომენდანტის საათი, ხოლო დღის საათებში „საგანგებო მდგომარეობა“. ჩემი ჩასვლის დროს უკვე ნაწილობრივ წესრიგი დაგვხვდა, მაგრამ იყო შემორჩენილი ელემენტები, რომლებიც კვლავ ცდილობდნენ არეულობისა და დესტაბილიზაციის შეტანას. რადგან წესრიგი მომიწია ზამთრის სეზონის დროს ადრე ღამდებოდა და ართულებდა ოპერატიულ მდგომარეობას, შუქები პერიოდულად მიდიოდა, ძირითადად მუშაობა გვიხდებოდა სიბნელეში.

## გაწეული მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში
## დიდუბის გამგეობაში

**მეგობრებო! ქალბატონებო და ბატონებო!**

დღევანდელი ჩვენი შეკრების მიზეზია ის, რომ თუ რა მუშაობა გასწია დიდუბის რაიონის გამგეობის საუბნო სამსახურთან არსებულ კომიტეტის წევრებმა და პირადად მე, როგორც ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებთან მუშაობის კოორდინატორმა,- დომენტი ფანჩულიძემ რა ღონისძიებები ჩავატარე 2017 წლის განვლილ პერიოდში და დავსახო ახალი პერსპექტიული გეგმები 2018 წელს, ამაზე გესაუბრებით.

მეგობრებო, სანამ დავიწყებდე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენებას, მინდა პატარა ექსკურსით მოგახსენოთ შემდეგი,-

1995 წლის 17 ოქტომბერი (და ეს თარიღი გახდა სიმბოლური და დაარსებულიყო ვეტერანის დღე, რომელიც ყოველი წლის ამ დღეს სამთავრობო დონეზე ავღნიშნავთ) საქართველოს პრეზიდენტის N812-ე ბრძანებით ედუარდ შევარდნაძემ მთელი რიგი შეღავათები დააწესა ომის ვეტერანებზე, რომელიც შეეხებოდა, როგორც დიდი სამამულო ომის ვეტერანებზე, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანებსა და ინვალიდებს.

მეგობრებო! მიუხედავად ომი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ახალი დამთავრებული იყო, „აფხაზეთიდან“ გამოდევნილი 300 ათასი დევნილისა, სოხუმის დაცემისა, უშუქობისა, გაყინული ხელფასისა და პენსიებისა, ომის ვეტერანებს მთელი რიგი შეღავათები ჰქონდათ დანიშნული და დაწესებული, კერძოდ, - მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს (ინვალიდებს) მათთან გათანაბრებულ პირებს, სხვა სახელმწიფოების ომის მონაწილეებს, ძალოვანი სტრუქტურების, მარჩენალდაკარგულების და საქართველოს

**დიდუბის რაიონის აქტივი „დიდუბე-პლაზაში“**
**ქ. თბილისი, 10 მაისი 2017 წელი**

მარცხნიდან: ირმა ზავრადაშვილი, დიდუბის რაიონის გამგებელი,
დონი ფანჩულიძე - ომის ვეტერანი, ციცო ჭელიძე - გამგებლის მოადგილე.
„მადლობის სიგელის“ გადმოცემის დროს.
2016 წელი

Ольга Ивановна Ушакова
2015 год
Ушаков Анатолий Иванович, 1960 г.р., выпускник 1980 года,
преподаватель математики Ивановского
государственного энергетического университета
Ушакова Ольга Ивановна, 1960 г.р., выпускник 1980 года,
преподаватель Ивановского
государственного энергетического университета

დიდუბის რაიონის აქტივი
„დიდუბე-პლაზა“ 2017 წ.

ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეების ძირითადი შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 17 ოქტომბრის N812 კანონით,-

1. დახმარება კუთვნილი საცხოვრებელლი სახლის რემონტი - ერთჯერადი;
2. მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღება - ერთჯერადი;
3. შეშის 50% ფასდაკლებით შეძენა;
4. ბინის გათბობა - ინვალიდებისათვის უფასოდ, დანარჩენებისათვის - 50% / 60%;
5. წყალი - ინვალიდებისათვის უფასო, დანარჩენებისათვის - 50%-ნტი ფასდაკლებით;
6. გაზი - ინვალიდებისათვის უფასო, დანარჩენებისათვის 50%-ნტი;
7. ელექტრო ენერგია - ინვალიდებისათვის უფასო, დანარჩენებისათვის 50%-ნტი;
8. ტელეფონი - ინვალიდებისათვის უფასო, დანარჩენებისათვის 50%-ნტი;
9. უფასო ტელეფონების რიგგარეშე დადგმა - ერთჯერადი;
10. ინვალიდებისათვის ხელით სამართავი ავტომობილი - უფასო;
11. სურსათისა და ტანსაცმლის შეძენა სპეციალურ მაღაზიაში;
12. პოლიკლინიკებში და საავადმყოფოებში უფასო მკურნალობა.
13. რეცეპტებით წამლების უფასოდ გაცემა.
14. კბილის პროტეზების უფასოდ დამზადება.
15. წელიწადში ერთხელ უფასოდ სანატორიუმში დასვენება.
16. წელიწადში ერთხელ ფასიანი შვებულებით სარგებლობა.
17. მეტრო უფასოდ.
18. ქალაქში -ავტობუსი, უფასოდ მგზავრობა.
19. საგარეუბნო რკინიგზით უფასო მგზავრობა.
20. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლების მონაწილეებს უმაღლეს სასწავლებლებში უკონკურსოდ ჩარიცხვა და მათთვის ნორმატიული სტიპენდიის დანიშვნა.

- პენსიონერის გარდაცვალებისას-ოჯახი იღებდა 5-თვის პენსიას.

გაუქმებულია, მის მეუღლეს ენიშნებოდა პენსია 40%-ნტი.

გ ა უ ქ მ ე ბ უ ლ ი ა!!!

- სამამულო ომის მონაწილეები 3-4%-ნტი. ისინი ვინც სასამართლოში მოასწრეს გასაჩივრება იღებდნენ პენსიას-173 ლარს, ხოლო ის სამამულო ომის მონაწილეები 96-97%-ნტს ვინც ვერ მოასწრო გასაჩივრება იღებდნენ პენსიას - 114 ლარს.

თავდაცვის სამინისტროს, შინაგანი ჯარის და პოლიციის პენსიონერებისათვის გაუქმებულია 45 მუხლის თანახმად, - „საქართველოს კანონის სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“

2006 წლის 1-ლი იანვრიდან უნდა მოხდენილიყო პენსიების დაანგარიშება - თითოეულ პენსიონერს ემატებოდა 180-210 ლარი.

გადაანგარიშება არ განხორციელებულა!!!.

ამ შეღავათების ნაცვლად 2007 წლის იანვრიდან პენსია დაემატა - სამამულო ომის მონაწილეებს და ინვალიდებს 44 ლარი.

- დანარჩენ ვეტერანებს - 22 ლარი.

გივი ჩხარტიშვილი, დათო გურგენიძე და დონი ფანჩულიძე
დიდუბის რაიონის გამგეობის აქტივი შაბათობაზე
აგლაძის ქ. N26-ე კორპუსის სკვერში

**- მ ე გ ო ბ რ ე ბ ო !**

იმის მაგივრად, რომ ომისა და შეიარაღებული ძალების და დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანებისათვის 2003 წლის ნოემბრის თავიდან მოსულმა ე.წ., - „ნაციონალურმა“ მთავრობამ, რომლებიც ჯერ ვარდების ქნევით მოვიდნენ მთავრობაში, და შემდეგ, - „დუბინკები“ დაგვიტრიალეს ომის ვეტერანებს გამარჯვების მოედანზე განთავსებულ, - „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა“ მემორიალთან, - 2011 წლის 24 ივნისს „ვეტერანმოშიმშილეებს“ თავები დაგვიხეთქეს და ზოგი დააკავეს, შეუდგინეს ადმინისტრაციული ოქმები და რამოდენიმე ვეტერანი წვრილმანი ხულიგნობისთვის დააჯარიმეს 400-400 ლარით, რომლებიც ითხოვდნენ ელემენტარულ პირობებს. ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ ვეტერანების შეღავათებს თუ შევადარებთ, მათ დაფინანსებას შემდეგნაირადაა, -

- 1. რუსეთის ფედერაცია - 1000 ევროს ექვივალენტი;

- 2. დსთ-ს ქვეყნები - დაახლოებით - 1000 ევროს ექვივალენტი;

- 3. ამერიკის შეერთებული შტატები - 2700 დოლარი, რასაც ემატება უფასო სამედიცინო მომსახურეობა. გრძელვადიანი უპროცენტო სესხები - ბინების, აგარაკის, და სხვადასხვა...;

- 4. ინგლისი - 2000-დან 9000 ევრომდე (გირვანქა სტერლინგის) გადაყვანით) აგრეთვე უფასო სამედიცინო მომსახურეობა - საუკეთესო სამხედრო ჰოსპიტლები;

- 5. ისრაელი - 1500 დოლარი და სოციალური შეღავათები;

- 6. ავსტრია - 1500 დოლარი და სოციალური შეღავათები;

- 7. გერმანია - 2000-დან 8000 ევრომდე, წოდების და დამსახურების მიხედვით (მათ შორის იგულისხმება ყოფილი ფაშისტები, ნაცისტები, ესესელები, გესტაპოელები და თქვენ წარმოიდგინეთ - გერმახტის ჯალათებიც კი);

- 8. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი - 172 ლარი ანუ 72 ევრო (150 ლარი პენსია და 22 ლარი) ომში მონაწილეობისათვის...ეს შემდეგ შეიცვალა და საერთო პენსია რომ გათანაბრდა 180 ლარია, როგორ უნდა იცხოვროს ან

მოქალაქემ, ან ომის მონაწილემ და ვეტერანმა ამ ფინანსებით??!... ზემოთ აღნიშნულიდან დაკავშირებით „ნაციონალების“ პერიოდში მიტინგებს ვმართავდით.

-„ოცნების“ ლიდერების მოსვლისას და სამთავრობო სტრუქტურებში თანამდებობებზე მათი დანიშვნის შემდეგ წერილობით რამოდენიმეჯერ მივმართეთ ვეტერანებმა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, პასუხი ჯერ არ მიგვიღია, მთავარია არ გვცემენ...

მეგობრებო!, - ის მიზერული შეღავათები რაც კი გვქონდა ვეტერანებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ 1995 წლის 17 ოქტომბერს,- - „ნაციონალურმა“ მთავრობამ 2005 წლის 20 დეკემბერს პარლამენტმა (თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე) მიზერული შეღავათები N812 კანონი პარლამენტმა - 141 დეპუტატით (50 დეპუტატი მომხრე არ იყო, 26 არ ესწრებოდა) მიიღო დადგენილება, რათა გაეუქმებინა ვეტერანების შეღავათები...

მ ე გ ო ბ რ ე ბ ო!, - როგორც მოგეხსენებათ ჩვენს საუბნო სამსახურის სამოქმედო ტერიტორიაზე ცხოვრობს 25 ვეტერანი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, ხოლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანი - 565 პირი.

- 2017 წლის განვლილ პერიოდში მცირე, მაგრამ ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისთან დაკავშირებით, გარკვეული მუშაობა იქნება ჩატარებული, - ეს არის სამედიცინო დანიშნულების წამლებზე დაფინანსება (დაწყებული ჩემით), მივიღეთ მონაწილეობა მასიურ ღონისძიებებში კერძოდ დავესწარით „აფხაზეთიდან“ გადმოსვენებული 22 გმირულად დაღუპულ, - გურამ გაბისკირიას, მამია ალასანიას და მათთან ერთად დაღუპული მებრძოლების დაკრძალვას, მონაწილეობა მივიღეთ მელიტონ ქანთარიას შვილიშვილის თამაზ ოჩიგავას დაკრძალვაზე „ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე“.

მ ე გ ო ბ რ ე ბ ო !, - „ავღანეთისა და სხვა ომების მებრძოლთა საერთაშორისო ფონდი“-ს პრეზიდენტი გურამ ალავიძე და მე ამ

ორგანიზაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელი, აღრიცხული გვაქვს რა ვეტერანების საცხოვრებელი ადგილები და ელსმენები, პერიოდულად ვიძახებთ და გადავცემთ ჰუმანიტარულ დახმარებას, მათი დაფინანსება კი ხდება ძირითადად შ.პ.ს. „სალხინოს“ გენერალური დირექტორის როინ ნაჭყებიას დახმარებით საკონდიტრო ფაბრიკა „ბარამბოსა“ და „კოკა-კოლას“ დირექტორ თემურ ჭყონიას მიერ...

მ ე გ ო ბ რ ე ბ ო ! - მინდა აღვნიშნო ასევე იმ ვეტერანებისა და გმირულად დაღუპული ბიჭების მიმართ ყურადღება, რომელთა მიმართ ვატარებთ სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორიცაა (მიუხედავად სხვა რაიონში ცხოვრებისა) მათი სახელის მინიჭება სკოლებზე და ქუჩებზე, სადაც ისინი სწავლობდნენ და ცხოვრობდნენ. ასეთი ღონისძიება ჩავატარეთ თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში 2008 წლის აგვისტოს ომში შმაგი სოფრომაძის მიმართ.

მეგობრებო!, - მინდა აღვნიშნო, რომ საქმიან და ურთიერთკავშირში ვართ ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დიდუბის რაიონის წარმომადგენლებთან ავთანდილ მამნიაშვილთან და ავღანეთისა და სხვა მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტთან გურამ ალავიძესთან. ერთობლივად მიუხედავად მიზერული დახმარებისა, გარკვეული სამუშაოები გვაქვს ჩატარებული, ომის ვეტერანების დახმარებისათვის.

მომავალში 2018 წლის პერიოდში ვეცდებით, უფრო მეტ ყურადღებას გავამახვილებთ, - ვეტერანების მიმართ, რათა იქიდან გამომდინარე ავამაღლოთ ახალგაზრდობაში პატრიოტული გრძნობები, რათა მომავალ თაობას არ დავუკარგოთ რწმენა სამშობლოს დასაცავად.

ომისა და შეიარაღებული ძალების
ვეტერანი: /დ. ფანჩულიძე/

იანვარი 2017 წელი
ქ. თბილისი.

# გაწეული მუშაობის ანგარიში ერთი წლის განმავლობაში

**ბატონებო და ქალბატონებო!,** - დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, დიდუბის რაიონის ომის ვეტერანთა კომიტეტის წევრები, გამგეობის წარმომადგენლები და ჩვენი აქტიური მხარდამჭერები, როგორც დიღმის მასივში მცხოვრები, ასევე აკაკი წერეთლის გამზირისა და მასში შემავალი უბნის ვეტერანი მეომრები.

სანამ შევეხებოდე თუ რა ღონისძიებები გატარდა ომისა და შეიარაღებულ ძალების ვეტერანების მიმართ, მანამ მოგახსენებთ თუ რა და როგორი გზა განვლო თითოეულმა მეომარმა, იმ არასწორი პოლიტიკის გატარებით, რამაც სავალალო შედეგი და დაღი დასვა თითოეულ მათგანზე თავის ეკონომიური კრიზისით დამთავრებული.

ჩვენი ომის ვეტერანები ძირითადად სამ კატეგორიად ვირიცხებით - დიდი სამამულოს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მონაწილე მეომრები და მათი ოჯახის წევრები. მიუხედავად დროის სიმცირისა, მინდა მოვიყვანო რამოდენიმე მაგალითი მათ განვლილ ცხოვრებიდან:

...„ომში რომ წავედი, თითქმის არ მქონდა ჭაღარა და ჭაღარავე დავბრუნდი. ფილმში ასეთი კადრია, რაც ნათელს ჰფენს იმდროინდელ სიტუაციას. ამიტომ არ აჩვენებდნენ...ხელისუფლებას არ უნდოდა. გააჩერეთ ქუჩაში ნებისმიერი  და აფხაზეთის ომის ერთი გმირის დასახელება სთხოვეთ. ვერ დაასახელებენ, ნუთუ წელიწადნახევარში არცერთი ადამიანი არ იყო გამორჩეული? 30 000 კაცი დავკარგეთ ორივე მხარემ... კინოფილმ: „ოცნების სასაფლაოს“ კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა.

**მეგობრებო,** - 1991 წლის იანვრის თვის დასაწყისიდან პოლიციისა და შეიარაღებული ძალების დანაყოფები შევიდნენ „სამაჩაბლოს“ ტერიტორიაზე, კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, რადგან მიმდინარეობდა უმართავი სიტუაცია გარე ძალების შემოგდებული

პოლიტიკით საომარი მოქმედებები გაგრძელდა თითქმის რამოდენიმე თვე, რის შედეგადაც დავკარგეთ ქალაქ ცხინვალი, ხოლო 2008 წლის 7-8 აგვისტოს განახლებული საომარი მოქმედებებით მთლიანად ერთი დიდი რაიონი ახალგორი, თავის შემავალ 150 სოფელთან და დამატებით 30 000 ლტოლვილთან ერთად...

1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებულ საომარი მოქმედებებით აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც გაგრძელდა 1993 წლის 27 სექტემბრამდე, მთლიანად ძირძველი აფხაზეთი, 300 000 ათას დევნილთან და რამოდენიმე ათას გარდაცვლილ-დაჭრილ, უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომრებთან ერთად, შედეგი მივიღეთ.

საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 17 ოქტომბრის N812 ბრძანებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები (ინვალიდები), მათთან გათანაბრებული პირების, სხვა სახელმწიფოების ომის მონაწილეებს, ძალოვანი სტრუქტურის, მარჩენალდაკარგულების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლის მონაწილეები სარგებლობდნენ შეღავათებით.

2005 წლის 23 დეკემბრის პარლამენტის თვმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და დეპუტატებმა ზემოთ აღნიშნული ბრძანება გააუქმეს 141 დეპუტატის მხარდაჭერით (სამწუხაროდ მათ შორის 2-ვეტერანი იყო) მხოლოდ 50 დეპუტატმა არ მისცა ხმა, არ ესწრებოდა 26 დეპუტატი (ესეც არ არის საპატიო მათ მიმართ) მხოლოდ დეპუტატი მანანა ნაჭყებია წავიდა წინააღმდეგი, რომელიც პროტესტის ნიშნად სიტყვით გამოვიდა, და დაგმო იმ პარლამენტარების საქციელი, რომლებმაც დამსახურებულ ხალხს შეღავათები დაუკარგეს-დიდება ქართველ ქალს მანანა ნაჭყებიას, ჩვენი ვეტერანების დაცვისათვის. ისე აღსანიშნავია და მეამაყება, რომ ჩვენს რაიონში გაიზარდა და ჩამოყალიბდა სანიმუშო პოლიტიკოსად იმ ავადსახსენებელ წლებში, როგორც ახლა გზააბნეულები აღნიშნავენ, კომკავშირში ერთად მოვღვაწეობდით, ის რაიკომის ინსტრუქტორი იყო, მე მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის გაერთიანებული კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი...

მეგობრებო, დროის სიმცირის გამო თავს აღარ მოგაწყენთ, მაგრამ რომ ვიბრძვით და მივილტვით ევროპისაკენ და ნატოსაკენ, თვალნათლივ დაინახავთ თუ რა შეღავათებია ევროპაში მცხოვრებ ვეტერანებსა და საქართველოში მცხოვრებ ნაომარ ვეტერანებს შორის? მაგალითად: - ამერიკის შეერთებულ შტატებში, - 2700 ამერიკული დოლარი რასაც ემატება უამრავი შეღავათები. ინგლისი, - 2000-დან 9000 ევრომდე (გირვანქა სტერლინგი), გერმანია 2000-დან 8000 ევრომდე. საქართველოში 172 ლარი ანუ 72 ევრო, 150 ლარი პენსია - ამის შემდეგ გახდა 180, თუ პენსია არ აქვს ომში მონაწილე ვეტერანებს 65 წლამდე მიუღწეველს 22 ლარი.

მეგობრებო!, - ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორ უხერხულობაში ვართ ომის ვეტერანებთან თითეული კომიტეტის წარმომადგენელი, როდესაც იმ მიზერული საჩუქრებით ან ნობათით მივდივართ მათ ოჯახებში, მაგრამ ყველა ღონეს ვცდილობთ არ იყვნენ მიტოვებული მთავრობიდან და რაიონის გამგეობიდან.

აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე პირველი მსხვერპლ პაატა ნათენაძის საგვარეულო სასაფლაოზე ვიმყოფებოდით ვეტერანები ახალციხის რაიონი სოფელ წნისში, ასევე ლეგენდარულ მფრინავ პილოტ ჯიმი მაისურაძის საგვარეულო სასაფლაოზე ლაგოდეხის რაიონი სოფელ გიორგეთში. სულ ახლახანს 25 ნოემბერს თერჯოლის რაიონი სოფელ ძევრში 2008 წლის 7-8 აგვისტოს „სამაჩაბლოში“ დაღუპულ უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელი მივანიჭეთ ერთ-ერთ ქუჩასა და საჯარო სკოლას, რომელიც ოსი სეპარატისტებისა და დაქირავებული ბანდფორმირებების მიერ როგორც ტანკის მეთაური აწამეს, ეროვნული დროშა დაუფინეს, არ იცეკვა, ფეხით არ შესდგა, საფლავი გაათხრევინეს და დახვრიტეს. (ამჟამად დასაფლავებულია „მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე“) აღნიშნულ ღონისძიებების ჩატარებისათვის მხარი დაგვიჭირა ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელობამ...

მეგობრებო!, - დიდუბის რაიონში მცხოვრებ ვეტერანებზეც არ დაგვიკლია მზრუნველობა და თანაგრძნობა, მათზე უფასო სამედიცინო

წამლების, მკურნალობა, ჰუმანიტარული მისიით ოჯახებში მისვლა, რაც მთავარია 2016 წლის 9 მაისის დიდ სამამულო ომში მონაწილე ვეტერანების პატივსაცემად 10 მაისს აკაკი წერეთლის გამზირი N116-ში „დიდუბე-პლაზაში“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ, რომლის ორგანიზებულ ღონისძიებაში ლომის წვლილი მიუძღვის რაიონის გამგებელს ქალბატონ ირმა ზავრადაშვილს და მოადგილე ციცო ჭალიძე, მოწვეულნი იყვნენ ომის ვეტერანები, საპატიო სტუმრები, ოჯახის წევრები.

**მეგობრებო!**, - იმედი მაქვს შემდგომისათვის ქალბატონ ირმა ზავრადაშვილის თანადგომითა და დახმარებით ჩავატარებთ ისეთ ღონისძიებებს დამსახურებულ ომის ვეტერანების მიმართ, რომელიც გააღრმავებს ახალბედებში და ახალგაზრდა მეომრებში „პატრიოტულ გრძნობას“, რომელიც წაადგება ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას.

მადლობთ ყურადღებისათვის.

ომისა და შეიარაღებული
ძალების ვეტერანი:
დომენტი ფანჩულიძე

5/12-2017 წ.

## „სამების საკათედრო ტაძარი“
## = გვარის დალოცვა=

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ
სუფევა შენი, იყავნ ნება შენი,
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა,
პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს,
და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი,
ვითარცა მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა
და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა,
არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ა მ ი ნ !

2012 წლის 11 ნოემბრის მონაცემებით საქართველოში ფანჩულიძეების გვარი შეტანილია „საქართველოში ყველაზე გავრცელებული 100 გვარი“- ს ჩამონათვალში - 1768. ა ქ ე დ ა ნ: თერჯოლის რაიონშია - 845, ქუთაისში - 268, თბილისში - 255 და ა.შ. (ჯ.ფ.)

ფანჩულიძეების ძირითადი დასახლებებია: ძევრი, ჩხარი, სიმონეთი, ნერგეთი. ადგილობრივი საპასპორტო ვარიანტი ფანჩულია: სენაკი, ფოთი, ნოჯიხევი. (ჯ. ფ.)

### მამულ დედული დამილოცე ღმერთო!

შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისაგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შენი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი... დალოცე აკვანი, კალთა და ძუძუ საქართველოსი, გაავსე სახლი ყოვლისა მზითა და სითბოთი, ბეღელი - პურით, მარანი - ღვინით, ახორი - საქონლით, კერა-ნაკვერჩხლით, გული - სათნოებით. ააჟრიამულე ეზო-კარი შვილიშვილებით, შვილთაშვილებითა და მათი შვილებით.

„გვარის წინამძღვრისა და ფონდის თავმჯდომარის“ არჩევა
ორგანიზატორი ჯუმბერ ფანჩულიძე



ფანჩულიძეების გვარის შეკრება სამების საკათედრო ტაძარში

2012 წლის 19 მაისი
ქ. თბილისი



სამების საკათედრო ტაძარი: საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ს მიერ ფანჩულიძეების გვარის დალოცვა 2012 წლის 11 ნოემბერს

მარცხნიდან: გია, ჯემალი, გიორგი, დონი და თენგიზი ფანჩულიძეები
რესტორან „იმერეთში“. 19 მაისი 2012 წელი

ერის ხიყვარული ოჯახისა და გვარის სიყვარულით იწყება. თითოეულ გვარში არეკლილია მთელი ჩვენი წარსული. გვარი, გვარიშვილობა ადამიანის პიროვნული თვისებების, ვენის, გენეტიკური მიდრეკილების მატარებელი იყო.

ყოველმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს არა თუ საკუთარი გვარის წარმომავლობა, არამედ სწავლობდეს კიდეც საგვარეულო შტოსთან დაკავშირებულ ყველა საინტერესო ცნობას, მოძენტს. გვარი, რომელსაც ჩვენ დაბადებიდან ვიღებთ, გადავეცმთ ჩვენსავე შთამომავლობას, ასე იყო ყოველთვის, ასეა ახლაც და ასე იქნება მომავალში.

ფანჩულიძეების გვარის შესახებ გამოქვეყნებული წიგნი სტიმულს მისცემს ფანჩულიძეების გვარის წარმომადგენლებს, ისტორიული სინამდვილის შესწავლის გაგრძელებაში.

ცნობილია, დაწინაურებულ საგვარეულოთა ატრიბუტია გერბი („ემბლემა") - მემკვიდრეობითი განმასხვავებელი ნიშანი, საგანგებოდ განლაგებული ფიგურები და საგნები, რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება და მფლობელის ისტორიულ ტრადიციებს გამოხატავს. ფანჩულიძეების გერბი (ემბლემა-არწივი, კაპარჭი, მზეილდ-ისარი და ნახევარმთვარე), „საგერბო წიგნში" შეტანილი გვარების თანახმად, 172-ე ნომრითაა წარმოდგენილი.

ფანჩულიძეების გერბი

ფანჩულიძეების გერბი (ვადხოლსკის ინტერპრეტაციით)

მიხეილ ვადბოლსკის მიერ რედაქტირებული და „საქართველოს ჰერალდიკურ სიმბოლიკაში“ დაფიქსირებული ფანჩულიძეების გერბი მეტად ორიგინალურია ქართული საგვარეულო გერბთმცოდნეობისათვის: გაკვეთილი პოლონური ფარის თავში - ფრთებგაშლილი არწივი, ფარის მარჯვენა ნაწილში - ერთმანეთზე ირიბად გადაკვარდნილებული მშვილდ-ისარი და კაპარჭი, მარცხენაში კი - შებრუნებული ნახევარმთვარე: ფარს გვირგვინითა და სამი ფრთით დამშვენებული მუზარადი ადგას თავს. აქვე, ამასთან დაკავშირებით იმასაც დავსძენთ, რომ როგორც წესი, გერბის ესთეტიკურ მხარეზე არ დავობენ და გემოვნების თუ იდეოლოგიის მიხედვით არ ცვლიან მას. იგი მემკვიდრეობის ნიშანმა და მისი რომელიმე ელემენტის ამოღება, თუ შესწორება ღირსების შელახვად უნდა აღიქმებოდეს.



ფანჩულიძეების დროშის მოდელად აღებულია საქართველოს რუკა. საერთოდ: სიმბოლიკაში თითოეულ ფერს, თითოეულ გამოსახულებას აქვს თავისი ისტორია და შნიშვნელობა.

საქართველოს რუკას თუ დავხედავთ, ზღვას მოსწყვეტა კოლხეთის დაბლობი, რომელიც გრძელდება ქართლის ვაკით აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის ვაკე მოქცეულია ჩრდილოეთით, კავკასიონის მთიანეთსა და სამხრეთით, სამხრეთ საქართველოს მთიანეთს შორის.

აქედან გამომდინარე, დროშის ფერთა წყობაც ასეა: წინა ვერტიკალურ (კუთხოვან) ზოლს-ლურჯი, მოსდევს ჰორიზონტალური სამი ზოლი: შუა მწვანე, ზემოთ და ქვემოთ კი წითელი ფერები.

ისტორიული თვალსაზრისითაც ფერთა სიმბოლიკის მიხედვით საუკეთესო წყობას ვღებულობთ. საქართველოს სახელმწიფოებრიობის - ცივილიზაციის დასაწყისი ზღვიდან მოვიდა - ლურჯი ზოლი, რაც საფუძვლად დაედო საქართველოს აგრარულ ქვეყნად (გეოგრაფიული საერთაშორისო სახელწოდება) ჩამოყალიბებას - შუა მწვანე ზოლი, ხოლო წითელი ზოლები კი ქართველთათვის მრავალჭირნახული, ომგადახდილ დროთა მატიანეა - ჩრდილოეთიდანაც და სამხრეთიდანაც.

ჰიმნი ძველ საბერძნეთში თავდაპირველად ღვთაების სადიდებელ სიმღერას ნიშნავდა. ამასთან, ზოგიერთ მათგანს პერსონიფიცირებული ფორმაც ჰქონდა. მაგალითად, პეანი აპოლონის სადიდებელი ჰიმნი, ხოლო დითირამბები დიონისეს სადიდებელი ჰიმნი იყო. დროთა განმავლობაში ჰიმნი სახელმწიფოებრივი (ნაციონალური) ერთიანობის სიმბოლო გახდა. არსებობს ჰიმნის სხვადასხვა სახეობებიც: კლასობრივი ერთიანობის („ინტერნაციონალი"), სტუდენტური, სპორტული, რელიგიური, კორპორაციული და ა.შ. ფანჩულიძეების „ამშობლოს სადიდებელი" ჰიმნი:

*ჩვენთანაა სიმართლე და*
*ჩვენთანაა ღმერთი*
*მე მაქვს ერთი სიცოცხლე და*
*სამშობლოც მაქვს ერთი.*

*მიყვარს შენი სიმღერა და*
*შენი მთა და მდელო*
*შენი წინსვლა დამელოცოს*
*ჩემო საქართველო.*

(წიგნის, დროშის და ჰიმნის ავტორი:
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**ჯუმბერ ნიკოლოზის-მე ფანჩულიძე**). 2012წ. ქ. თბილისი

2012 წლის 11 ნოემბერს შედგა ფანჩულიძეების
გვარის კურთხევა; დაიწერა საგვარეულო ხატი;

ოფიციალურად დარეგისტრირდა „ფანჩულიძეების გვარის ფონდი".

დარეგისტრირებული ფონდის ანგარიშზე შემოტანილი ნებისმიერი თანხა მოხმარდება მრავალშვილიანი და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების დახმარებას. ღმერთი გფარავდეთ.

**ლიბერთი ბანკი**

**LIBERTY BANK**

ანგარიშის დასახელება:

ფანჩულიძეების საგვარეულო ფონდი

**ა/წ GE821BO115115167246000**

ანგ/ვალუტა: ლარი

**თიბისი ბანკი**

**TBC BANK**

საბანკო კოდი: **TBCBGE22**

ფანჩულიძეების საგვარეულო ფონდი

**ა/ა GE67TB7278436080100003**

მიმღები ბანკის დასახელება: **სს „ლიბერთი ბანკი"**

მიმღების ბანკის კოდი: **LBRTGE22**

ფანჩულიძეების გვარისა და საგვარეულოს წინამძღვარი,

ფონდის თავმჯდომარე:

**დომენტი „დონი" ფანჩულიძე**

**ტელ: 599 14 28 00; 593 51 68 15**

დაუშრეტელ მდინარედ იდინე, ბედნიერებავ, ჩემს ქვეყანაში! არ მოუშალო გონიერი ერისკაცი და მწყემსი საქართველოს. ნატვრისთვალი დაუდე ამ ახალი წლის ღამეს სასთუმალთან ყველას, რათა დილით ადგნენ, ნახონ და მამულის უკვდავება ინატრონ.

## „ბოროტების კრიალოსანი“

დიდუბის რაიონის პოლიციის 2-ე განყოფილების უფროსის მოადგილემ, მაიორმა ომარ ახმეტელმა გვიამბო: ოპერატიული მონაცემების თანახმად, თბილისში მოქმედებენ რაიონიდან ჩამოსული მძარცველთა ჯგუფები, რომლებიც საცხოვრებელ ბინებს ქურდავენ. გასული წლის 30 დეკემბერს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ინსპექტორმა, - ნოდარ ქუფარაშვილმა, დომენტი ფანჩულიძემ, თემურ ბურდულმა და დათო ლალიაშვილმა დააკავეს ორი მოქალაქე. მათი დაკითხვის შედეგად დადგინდა, რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია... მაგრამ ჯერ წარმოგიდგენთ ამ პირებს: გოგა გამყრელიძე დაბ. 1969 წ. და დათო მიქელაძე დაბ.1968 წელს. უმუშევრები, საშუალო განათლებით, პირველი მათგანი იძებნებოდა ხობის პოლიციის მიერ მკვლელობისათვის, მეორე კი კარგა ხანია უკვე შემჩნეული იყო, რომ თბილისში გასტროლიორობდა, როგორც ქურდი. გამოძიება თანდათან ადგენდა ჭეშმარიტებას და ამის შედეგად, თანმიმდევრულად იმარცვლებოდა „ბოროტების კრიალოსანი“, სულ უფრო იზრდებოდა დამნაშავეთა რიცხვი.

დავაკავეთ აგრეთვე სოხუმის ქუჩაზე N8-ში სტუმრად მყოფი თენგიზ თოთიბაძე (აღნიშნული ბინა, სადაც ნაქურდალი ნივთების საკმაოდ დიდი ნაწილი იქნა ნაპოვნი, ეკუთვნოდა გლდანის პოლიციის IV ქ/ განყოფილების თანამშრომელს ტატო გიორხელიძეს).

ასევე ცნობილი გახდა, რომ შატბერაშვილის ქუჩის პირველ შესახვევში დამნაშავეთა ჯგუფს ნაქირავები ჰქონდათ ბინა, სადაც ნაქურდალ ნივთებს მალავდნენ.

განყოფილების ხელმძღვანელობამ შექმნა ოთხი ოპერატიული

მარცხნიდან, სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორები: სოსო ბუტიკაშვილი, კაკო ინაძე, თეიმურაზ ბურდული, ლავრენტი სუხიშვილი, უფროსის მოადგილე: ომარ ახმეტელი, პოლიციის უფროსი: გოჩა სისაური, ს/ს ინსპექტორი: დონი ფანჩულიძე, კახა ცალქალამანიძე, ზურაბ ქუთათელაძე, მამუკა გვაზავა, გადაღებული 1994 წლის იანვარს. დაკავებული იქნა 12 პირი, 4 ჯგუფის შემადგენლობით. აქედან 2 ძებნილი, გახსნილი იქნა 37 ბინის ქურდობა და 6 საკომისიო მაღაზიის ყაჩაღობა. მათგან, ამოღებული იქნა ეიდეტექნიკა და საოჯახო ნივთები. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის მე-2 ქვეგანყოფილება

ჯგუფი, რომელმაც ალყა შემოარტყა ამ ბინას. დამხვდურნი წინააღმდეგობის გაწევას შეეცადნენ, მაგრამ არ დასცალდათ... ადრე შეპყრობილ ბოროტმოქმედებს კიდევ სამი კაცი შეემატა: მამულო ძებნიაშვილი, უმცროსი ძმა ზემოთხსენებული გოგა გამყრელიძისა, 18 წლის მიშა თედიაშვილისა, რომელსაც კარგა ხანია პოლიცია დაეძებდა და 22 წლის ლევან კოვზირიძე.

შეტაკებისას დაშავდა განყოფილების თანამშრომელი, ლეიტენანტი მალხაზ ქავთარაძე, რომელიც ამჟამად საავადმყოფოში წევს. ამ საქმესთან დაკავშირებით ქ. ხობში დააკავეს აგრეთვე ბოროტმოქმედთა თანამონაწილე, ნაქურდალი ნივთების რეალიზატორი ბუბა თევზაია, რომელიც რა საოცარიც არ უნდა იყოს, ამ დროს „სასჯელს იხდიდა „რუსთავის ერთ-ერთ სპეცკომენდატურაში...“

პოლიციის განყოფილების უფროსმა გოჩა საისაურმა დაგვათვალიერებინა თავისი სამუშაო კაბიბეტი, რომელიც ნაპარავი ნივთებით იყო სავსე. რას არ ნახავდით იქ, ავეჯს, ანტიკვარულ ნივთებს, ხატებს, ქალის, ბავშვისა და მამაკაცის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ხალიჩებს და ნოხებს, ჩაის, ყავის და სასადილოს ძვირფას სერვიზს, საათებსა და სხვა ნივთებს, რომელთა საერთო ღირებულება 200 მილიონ მანეთს აღემატება.

განყოფილების უფროსმა, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას, ჩამოთვალა მასში მონაწილე პოლიციის მუშაკები: მაიორი - ომარ ახმეტელი, აკაკი ინაძე, ნოდარ ქუფარაშვილი, დომენტი ფაჩულიძე, ლავრენტი სუხიშვილი, ს/ს ინსპექტორი, ლეიტენანტი თემურ ბურდული, მალხაზ და ირაკლი-ქავთარაძეები, გიაკო ბაჩიშვილი, იოსებ ბუტიკაშვილი, ზურაბ ქუთათელაძე, კახა ცალქალამანიძე, თამაზ ციცქიშვილი, დავით ლალიაშვილი, ალექსანდრე გვაზავა, გიორგი მაკანტალაშვილი.

რაღა თქმა უნდა, თითოეულ მათგანს მოვალეობის პირნათლად შესრულებისა და მამაცობისათვის საზოგადოების გულწრფელი მადლობა ეკუთვნით.

*ჟურნალისტი ტიტე ბარამიძე, გაზეთი „მაცნე“ 1994 წ.*

## = უხუცესი დინამოელი =



ქრისტეფორე ნინიაშვილი

- კარგი სიტყვა, - კარგ ადამიანებზე

***ქრისტეფორე ივანეს-ძე ნინიაშვილი***

დაბადების დღეს გილოცავთ ღმერთისგან მოვლენილო: - „ბერმუხა“.

დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და რუსთაველის საქართველოში ვერავის გააკვირვებ უანგარო სიყვარულით და ურთიერთობით, საქმის მიმართ უდიდესი თავდადებით, მაგრამ მაინც მთელი თქვენი ცხოვრება, მოღვაწეობა, აღტაცებას და პატივისცემას იწვევს, თქვენი ნიჭის, პატიოსნების და ვაჟკაცური შემართების თაყვანისცემელთა შორის.

ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილი დაიბადა 1921 წლის 15 აპრილს კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში (დიდი მამულიშვილის, ისტორიკოსის, საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის) ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელში.

ქრისტეფორე ნინიაშვილი ძმებთან და მეგობრებთან ერთად ნახერხმოყრილ მოედანზე ჭიდაობდა და იხვეწდა „ქართული ჭიდაობის“ ილეთებს.

1941 წელს სამივე ძმები სამამულო ომში გაიწვიეს, ქრისტეფორე და უმცროსი ძმა აკაკი დაბრუნდნენ ომიდან, ხოლო ერთი ძმა დაეღუპათ „ქერჩის ფრონტზე“. 1945 წელს დაოჯახდა, შექმნა სანიმუშო ოჯახი და ვარჯიშთან ერთად მუშაობა დაიწყო „დინამო“-ს სპორტდარბაზში და ფიზკულტურის ტექნიკუმში.

# 2017 წლის 15 აპრილს ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილს 96 წელი შეუსრულდებოდა

## ყარგი სიტყვა ყარგ ვლაქმიანზე – ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილი

**დაბადების დღეს გილოცავთ ღმერთისგან მთელენიოდ „ბებმუნა"**

დავეთ აღმშენებლის, თამარ მეფისა და რუსთაველის საქართველოში ეერავერ ეაკეერვეს უანგარო სიყვარული და ერთიერთობით, საქმის მიმართ ულალესი თავდადებით, მაგრამ მაინც მთელი თქვენი ცხოვრება, მოღვაწეობა, ბიეიგებას და პაეიეისეეებს იწვევს. თქვენი ნაშრომ, პაეიეისრების და ვეგეაეური შემრთუნის თაეეანსმყოფელია მორის.

**ქრისტეფორე ივანეს-ძე ნინიაშვილი** დაიბადა 1921 წლის 15 აპრილს კასპის რაიონის სოფელ ხოცოეში (ღიდი მამეალიშეილის, ისტორიკოსის, საბოეიდო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის დამაარსებლის) ოეანე ჯიეიანშვილის მშობლიერ სოფელში.

ქრისტეფორე ნინიაშვილი ძმეთან და მეეიერეთან ერთად ხახერმიმფრილ მოედინმე ჭიდაობდა და იზეეწა „ქართული ჭიდაობის" ილეეიეს.

1941 წელს სამეეე ძმა სამაშველი ომში გაიწეეს. ქრისტეფორე და ა.წ. გარდაეიეცალეს მისმა ძმამ ეკა.კიმ, მარუსეეიანად დაიწეს „სამმის" ბეჭეწალა. 1952 წლამდე ორჯერ გახდა საბჭოთა კიეშარის ჩემპიონი, რამდენჯერმე პრიზიორი.

ბაგონი ქ. ნინიაშვილი 1950 წლიდან ინიშნება საქართველოს მთავარ მწერთნელად ჭიდაობა „სამმონ"-ში, პარალელურად ასწავლიდა „ეროული ჭიდაობასაც". შედეეეა გამოიყო. აღსარდა მრავალი ფალეანი, მათ შორის ეამორჩეული იყო ანმრო კიკნაეე, რომელიც ჯერ გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭიდაობაა „ძიედო"-ში, შემდეგომში კი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ბაგონი ქრისტეფორე 33 წელი იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწერთნელი, „ძიედის" ფეეემდეგეი საქართველეში, მისი ალზრდილები: ე. სამოხსმეელი, შდაეშეალი და ი. მინჯიკაშეილი 1957 წელს ქალაქ ბუდაპეშტიდან ბენერურ პორეეულებიმი ეამარჯვებულები დაბრუნდნენ.

ბაგონმა ქრისტეეეფორემ მოამზადა მწერთნელები, სახელოვანი ბიძაა ბაბიაშეილი, ეკრამ პაიგაშეილი, ბაერ სახეაძე, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით აღწეეტენ სახელოვანი სპორეემენების მომმზადებლ. მათგან აღსანიშნავია მწერთნელი ჭიდაობა „სამბოსა" ბაერ სახეაძე, რომელიც ეეეგერსაეს მორის სამყერ ეახდა მსოფლიოს ჩემპიონი აღსიშნელ სახეობაში. ქრისტეეეფორე და ბაერ სახეაძე ხელმძღეანელობენენ საქართველოს მს სამხისგროს ნაკრების მომმზადებას ჭიდაობა „სამმოსა".

ბაგონ ქრისტეეეფორე ნინიაშეილს თამამად შეიძლება ეწოდოს „ეროიანი ჭიდაობის მამამთავარი" საქართველოში, იგი ბაგონმა ქრისტეეეფორემ ა.წ. გარდაეიეცალეს მისმა ძმამ ეკა.კიმ, მარუსეეიანად დაიწეს „სამმის" ბეჭეწალა. 1952 წლამდე ორჯერ გახდა საბჭოთა კიეშარის ჩემპიონი, რამდენჯერმე პრიზიორი.

ბაგონი ქ. ნინიაშვილი 1950 წლიდან ინიშნება საქართველოს მთავარ მწერთნელად ჭიდაობა „სამმონ"-ში, პარალელურად ასწავლიდა „ეროულ ჭიდაობასაც". შედეეეა გამოიყო. აღსარდა მრავალი ფალეანი, მათ შორის ეამორჩეული იყო ანმრო კიკნაეე, რომელიც ჯერ გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭიდაობაა „ძიედო"-ში, შემდეგომში კი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ბაგონი ქრისტეეეფორე 33 წელი იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწერთნელი, „ძიედის" ფეეემდეგეი საქართველეში, მისი ალზრდილები: ე. სამოხსმეელი, შდაეშეალი და ი. მინჯიკაშეილი 1957 წელს ქალაქ ბუდაპეშტიდან ბენერურ პორეეულებიმი ეამარჯვებულები დაბრუნდნენ.

ბაგონმა ქრისტეეეფორემ მოამზადა მწერთნელები, სახელოვანი ბიძაა ბაბიაშეილი, ეკრამ პაიგაშეილი, ბაერ სახეაძე, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით აღწეეტენ სახელოვანი სპორეემენების მომმზადებლ. მათგან აღსანიშნავია მწერთნელი ჭიდაობა „სამბოსა" ბაერ სახეაძე, რომელიც ეეეგერსაეს მორის სამყერ ეახდა მსოფლიოს ჩემპიონი აღსიშნელ სახეობაში. ქრისტეეეფორე ნინიაშეილი ეამსახურებული მეეიერეთ, ალზრდილი ეამეალ ეამეალ ეამეალ

ბატონმა ქრისტეფორემ და აწ. გარდაცვლილმა მისმა ძმამ აკაკიმ ძირფესვიანად დაიწყეს „სამბო“-ს შესწავლა. 1952 წლამდე ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, რამდენჯერმე პრიზიორი.
ბატონი ქ. ნინიაშვილი 1950 წლიდან ინიშნება საქართველოს მთავარ მწვრთნელად ჭიდაობა „სამბო“-ში შესაბამისად ასწავლიდა „ქართულ ჭიდაობას“. შედეგმა გამოიღო: აღზარდა მრავალი ფალავანი, მათ შორის გამორჩეული იყო ანზორ კიკნაძე, რომელიც ჯერ გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა „ძიუდო“-ში, შემდგომში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ბატონი ქრისტეფორე 33 წელი იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, „ძიუდოს“ ფუძემდებელი საქართველოში, მისმა აღზრდილებმა: გ. სიმონიშვილმა, შ. დაუშვილმა, და ო.სინჯიკაშვილმა 1957 წელს ქალაქ ბუდაპეშტიდან გუნდურ პირველობაში გამარჯვებულები დაბრუნდნენ.

ბატონმა ქრისტეფორემ მოამზადა მწვრთნელები, სახელოვანი ბიძინა მაზიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ზაურ სახვაძე, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებებით აღწევდნენ სახელოვანი სპორცმენების მომზადებას. მათგან აღსანიშნავია მწვრთნელი ჭიდაობა „სამბოში“, ლეგენდარული ზაურ სახვაძე, რომელიც ვეტერანებს შორის სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი აღნიშნულ სახეობაში. დიდი წვლილი მიუძღვის საქ შ/ს სამინისტროს ნაკრების მომზადება ჭიდაობა „სამბოში“, რომელსაც კურატორობას უწევდა ქ. ნინიაშვილი.

ბ-ნ ქრისტეფორე ნინიაშვილს თამამად შეიძლება ეწოდოს „ჩოხიანი ჭიდაობის მამამთავარი“ საქართველოში, რომელიც დასახელებული იქნა მე-20 საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად ჭიდაობა „სამბო“-სა და „ძიუდო“-ში. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე, - მონაწილეობდა „სტალინგრადის დაცვისათვის“, მიღებული აქვს ჭრილობები, შინაგან ჯარის თადარიგის მაიორი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის „საპატიო მოქალაქეა“. ბევრი

# 2017 წლის 15 აპრილს ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილს 96 წელი შეუსრულდებოდა

## ვეტერან სპორტსმენებს დავიწყება არ უწერიათ

# «დინამოელი ბერმუხა»

### ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილი

დაეთი აღმშენებლის, თამარ მეფისა და რუსთაველის საქართველოში ვერავის ჯაკეთრვეს უანარო სიყვარულთ და ერთიერთობათ, საქმის მიმათ ულდღეხი თავდადებით, მაგრამ მაინც მთელი თქვენი ცხოერება-მოღვაწეობა, აღგიკეთის და პატეოსანემს აწვევს. თქვენნ ნიჭის, პატეოსნების და ვეკკუცერი შეშლროვის თაყვანსმეცემლთა შორის.

90-წელს გადაცილებული ჭარმაეი „ბერმუხა" ქ.ი. ნინაშვილი დაიბადა კიპანის რაიონის სოფ ხოეულეში, ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელში. ბავშობიდან ძმებთან და მეგობრებთან ერთად ნახერხმოყრილ მოედანზე ჭიდაობდა და ხეეწდა „ქართული ჭიდაობის" ილეთებს. სამამულო ომიდან დაბრუნებულმა 1945 წელს მუშაობა დაიწყო „დინამოს" სპორტდარბაზში, ხოლო 1950 წლიდან ინიშნება საქართველოს მთავარ მწერთნელად ჭიდაობა „სამბოში", შესაბამისად ასწავლიდა „ქართულ ჭიდაობას", რომელმაც საქართველოს აღუბარდა მრავალი ფალვანი, მათ შორის: გ. სამონიშვილი, შ. დეკუშელი და მინჯიკაშვილი, რომლებმაც 1957 წელს ბუდაპეშტიდან გუნლერ პირველობაში გამარჯვებულები დაბრუნდნენ, ხოლო ანმორ კიკნაძე. რომელიც ჯერ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი გახდა ჭიდაობა „ძიუდოში", შემდგომში „ოლიმპიური თამაშების" ჩემპიონი გახდა „ძიუდოში".

ქ.ი. ნინაშვილი 33 წელი იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწერთნელი ჭიდაობა „სამბოსა" და „ძიუდოში", რომლის პირველი ფუძემდებელი ამ სახეობის, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაკრების მომზადებას წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა პოლიციის პო

რამ შემიძლია ვისაუბრო თქვენს მოღვაწეობასა და გამარჯვებებზე ბატონო „ივანიჩ“, მაგრამ თქვენ ხომ ეს ყველაფერი მორიდებით მიაღწიეთ, ყოველგვარი „აფიშირების“ გარეშე, არ გიყვარდა და არ გიყვარს ზემდგომი ორგანოების შეწუხება, პირად თავზე ქება და დიდება, მაგრამ თქვენი კეთილი ადამიანობა, მიღწევები და წარმატებები თქვენმა აღზრდილებმა არ დაგიმალეს, ვერ დავმალეთ, რომ ბრძანდებით შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების თადარიგის მაიორი, სამამულო ომის მონაწილე, ღირსების ორდენის კავალერი, დაჯილდოებული სამამულო ომში მიღწევებისათვის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი „სამბო“-ში, აღიარებული ხართ „სამბოსა“ და „ძიუდოს“ პირველ ფუძემდებლად, საკავშირო და საქართველოს კატეგორიის მსაჯი „სამბოსა“ და“ძიუდოში“, წლების მანძლზე იყავით სახოგადოება „დინამო“-ს მთავარი მწვრთნელი ჭიდაობა „სამბოსა“ და „ძიუდო“-ში. საპატიო „დინამოელი“, გამოცემული აქვს სახელმძღვანელო „ქართულ ჭიდაობაში“ მეთოდური ხელმძღვანელობისათვის. აღზრდილი ყავს მრავალი საერთაშორისო კლასის სპორცმენი და მწვრთნელები.

ბატონ ქრისტეფორემ მილოცვა მიიღო საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდიდან“ და ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოდან, სადაც აღნიშნულია ის თბილი დამოკიდებულება თითოეული მათგანისაგან, რასაც თქვენ იმსახურებთ. დღევანდელი მდგომარეობიდან თქვენ ეკონომიურად არ უნდა გიჭირდეთ, რადგან საბჭოეთის დროს შემოთავაზებული გქონდათ უცხოეთში გაგეტანათ და დაგემკვიდრებინათ ჭიდაობის ახალი ილეთები „სამბოსა“ და “ძიუდოში“, რომელიც „ქართული ჭიდაობიდან“ ეტაპობრივად გადმოჰქონდათ. მაგრამ უმნიშვნელოვანეს საკითხად მაინც ამჯობინეთ საქართველოში გაუმჯობესებულიყო აღნიშნული სახეობა, რა მიზეზითაც წლების მანძილზე ჩვენი სპორცმენები „უმაღლეს მწვერვალებზე“ იმყოფებოდნენ.

# აღლუმი „დინამოს“ სტადიონზე

**გუშინწინ** თბილისელ და ერევნელ ფეხბურთელთა მატჩის შუალედში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი 60 ათასი მაყურებელი მოწმე გახდა საზეიმო აღლუმისა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს მილიციის მე-60 წლისთავს. მისი ორგანიზატორი იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

...სტადიონის სარბენ ბილიკებზე შემოდიან მედროშენი, მოტოციკლისტები, მოაქვთ დინამოელთა მიერ სხვადასხვა შეჯიბრებებში მოპოვებული თასები. მწყობრი ნაბიჯით მოაბიჯებენ ლენინის ორდენოსანი სპორტსაზოგადოების ფიზკულტურელები, მშთ-ის წარჩინებული ნიშნოსნები, სამომსახურო-გამოყენებითი სპორტის სახეობათა წარმომადგენლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასულე ორკესტრი, მილიციის პოდპოლკოვნიკის ალ. ჟელტუხინის ხელმძღვანელობით სპორტულ მარშს ასრულებს. მოდიან სახელოვანი დინამოელი სპორტსმენები, ვეტერანები — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები, პრიზიორები,

(დასასრული მე-8 გვ).

◆

**თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართული საქართველოს მილიციის 60 წლისთავის ზეიმის მომენტები.**

ვ. გენგიურის ფოტოები.

**მარცხნიდან დონი ფანჩულიძე, მესამე ბორის პაიჭაძე, მეხუთე რაფაელ ჩიმიშკიანი, მეორე სურათზე მარცხნიდან პირველი ქრისტეფორე ნინიაშვილი, მესამე ზაურ სახვაძე, მეოთხე დავით რაფავა. გად. სტანიონი „დინამო" მილიციის 60 წლისთავი.**

ბატონო ქრისტეფორე არ დაგვავიწყდება თქვენს მიერ აღზრდილ სპორცმენებს თქვენი თავმდაბლობა, პატიოსნება, კაცთმოყვარეობა, „ხმაურის გარეშე“ მიღწევები, თითეულის წარმატებები, რომელსაც მამაშვილური გრძნობით აღიქვამდით.

გაზეთ „თაობიდან-თაობამდე“-ს რედაქცია, მომქმედი და თადარიგში გასული პოლიციის თანამშრომლები, ვეტერანი სპორტსმენები ერთხელ კიდევ გილოცავთ ბატონ ქრისტეფორე ნინიაშვილს საიუბილეო დღეს 90 წლისთავს და უსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად.

ვეტერანი პოლიციელებისა და სპორტსმენების სახელით,
სპორტის ოსტატი „ჭიდაობა სამბოში“

/დონი ფანჩულიძე/

„1“ მაისი 2011წ.
ქ. თბილისი.

გაზეთი „თაობიდან-თაობამდე“
ივნისი 2011 წ.
ჟურნალი „გზა“ - ივნისი 2011 წელი.

## ბოდიშის წერილი, დონი, მეგობარო!

ბატონ დონის და მის ოჯახის წევრებს დიდ ბოდიშს ვუხდი, რომ ჩემი ყოფილი „სამბისტი“, რომელიც ახალგაზრდობის დროს ჩემთან „დინამოს“ საჭიდაო დარბაზში სამბოს ითვისებდა არ გაამჟღავნა, რამდენი ბოროტი და ქურდი დააკავა. საეჭვო არ არის. ისევ ესეთი გულმართალი დარჩება, განათლებული, თავის საქმის მუშაობის პერიოდშიც და ახლაც. მე ჩემი ორი ვაჟიშვილი დიდ ბოდიშს ვიხდით დაბადების დღესთან დაკავშირებით. ჩვენ მაინც მეგობრები დავრჩებით. მე მძიმე ავადმყოფი ვარ და ხშირად ძლივს ვიღვიძებ, მრავალი ძლიერი ავადმყოფობა შემეყარა, გთხოვთ მაპატიოთ დაბადების დღე რომ თავის დროზე არ მოგილოცეთ... გამრავლდი დონი, საყვარელი კაცი ბრძანდებით, ჩემი მოღვაწეობა თქვენს მეტმა ვერავინ გაიგო რა გავაკეთე სამშობლოსათვის, სამამულო ომიდან დაბრუნებულმა. მე ხომ მრავალი სპორცმენი, მწვრთნელი და მსაჯი აღვზარდე დაწყებული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, - ანზორ კიკნაძე, გურამ პაპიტაშვილი, ომარ მერებაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, იოსებ მაღალაშვილი, ანზორ ქიბროწაშვილი, ფარნაოზ ჩიკვილაძე, ანზორ მარტყოფლიშვილი, როინ მაღალდაძე, გივი ონაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი, ჯემალ ნათელაშვილი, გოდერძი ნონიკაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ელგუჯა ნინიაშვილი, გივი კასაბრიშვილი და სხვანი...

95 – წლის, მოხუცებული თქვენი
„ბერმუხა“ ქრისტეფორე ნინიაშვილი

15 იანვარი 2013 წელი.
ქ. თბილისი

„დანამცელი ბერმუნა" საქართველოში ბარველი დამაარსებელი ქადაობა „ბამბისა და ძოუდისი" სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ქრისტეფორე ნინიაშვილი აღრეზდილ სსრკ სპორტის ოსტატი ქადაობა „ბამბოში" დინი ფანჩულიძესთან ერთად. გადაღებულია 15.07.12 წელი მასთან სტუმრობის დროს.

**ბატონო დონი!**

თქვენ ხომ კარგად იცით, რომ მე და ჩემი ძმა აკაკი „დინამოს“ საჭიდაო დარბაზში ვმუშაობდით 50-დან 80 წლამდე. ჩვენ განსაკუთრებით ყურადღებას ვუთმობდით გარნიზონის დივიზიის სამმართველოს, უშიშროების და მილიციის სკოლებში აგვემაღლებინა ფიზიკური მომზადების დონე. მე მოხარული ვარ, რომ შენ ჩემთან ვარჯიშობდი და სანიმუშო ადამიანი და ჟურნალისტი გამოხვედი. დიდება შენს ვაჟკაცობას. ისიც იცი, რომ მილიციის ნაკრები გუნდები მონაწილეობას ღებულობდნენ ჩემი მონაწილეობით და ვიყავი მწვრთნელიც, როგორც „სამბოს“ შემსწავლელად როგორც რიგით შემადგენლობაში ასევე ოფიცერთა უმაღლეს წოდების თანამშრომლებთან, ხოლო ჩემი ძმა აკაკი ციხის თანამშრომლებთან. რაც შეეხება „ძიუდოს“, ის ხომ ჩემი ინიციატივით შემოვიტანეთ როგორც ს.ს.რ. კავშირში, ასევე საქართველოში 1957 წლიდან 1967 წლამდე. სოციალისტურ ქვეყნებში ჩემი მომზადებული სპორცმენები გამოდიოდნენ.

ჩემო პატარა მეგობარო დონი! „როგორც თქვენთვის ცნობილია ორჯერ ვიყავი ს.ს.რ. კავშირის ჩემპიონი „სამბოში“, რამდენჯერ გუნდური პირველობა მომიპოვებია „სამბოსა“ და „ძიუდოში“. ჩემი აზრით თქვენი დიდი იმედი მაქვს ჩემი წვლილი სპორტში გააცნოთ ახალგაზრდა თაობებს. ჩემი შრომა რად უნდა დაიკარგოს? მადლობელი ვიქნები სიმართლის გამჟღავნებაში,. შენი ძმაკაცი „ბერმუხა“, ველოდები თქვენს პასუხს სანამ კარგად ვარ და ცოცხალი ვარ 93 წლის ლოგინად ჩავარდნილი მოხუცებული....

ჭიდაობა „ძიუდოს“ და „სამბოს“ ფუძემდებელი საქართველოში და ს.ს.რ. კავშირში, ს.ს.რ. კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ს.ს.რ. კავშირის დამსახურებული სპორტის ოსტატი, შინაგან ჯარების თადარიგის მაიორი, „ჩოხიანი ჭიდაობის“ მამამთავარი, დიდუბის რაიონის საპატიო მოქალაქე, -ქრისტეფორე ნინიაშვილი.

25 იანვარი 2013 წელი.

ქ. თბილისი.

## 60-წლის იუბილეს გილოცავთ
## ბატონო პოლკოვნიკო, - დონი

რაფაელ ჩიმიშკიანი

დომენტი დონი ფანჩულიძე იმ ვეტერან თანამშრომელთა და სპორტს-მენტთა თაობას ეკუთვნის, რომელმაც მთელი მისი ახალგაზრდული ცხოვრება დაუთმო სისხლის სამართლის დამნაშავე პირებთან წინააღმდეგ ბრძოლას, იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს მიმაგრებულ სამოქმედო ტერიტორიაზე.

ამასთანავე ყურადღებას უთმობს ვეტერან სპორტსმე-ნებს და ძალოვან სისტემიდან, თადარიგში გასულ პენსიონ-ერებს.

მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, „დინამოს" საჭიდაო დარბაზში სტუმრობის დროს 1976 წელი, ქ. თბილისი

დაბადების დღეს და 60-წლის იუბილეს გილოცავთ ბატონო, - დონი.

ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში,
სსრკ-ის სპორტის დამსახურებული
ოსტატი: რაფაელ ჩიმიშკიანი

10.01.2013 წელი, ქ. თბილისი



დონი ფანჩულიძე „თბილისის მილიციის გარნიზონის პირველობა“
ჭიდაობა „სამბოში“, თბილისი, 1978 წელი

მარჯვნიდან: დონი ფანჩულიძე „ფალავანთა კლუბი„ 1975წ ქ.თბილისი

ტოტიკაშვილი, დონი ფანჩულიძე,
ჟივიძე, გად: „ფალავანთა კლუბში„
1976წ. ქ.თბილისი

„საოჯახო მუზეუმი"

1984 წლის ივნისის თვე. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის შს განყოფილების თანამშრომლები, მილიციის გარნიზონის სპარტაკიადა "შინი ფეხბურთში". მარცხნიდან: ნუგზარ ბარაბაძე, დათო ჭელიძე, ბიჭი ალავიძე პოლიციის კურანტი, პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი, პოლიციის კურსანტი, გუნდის ხელმძღვანელი დონი ფანჩულიძე. ჩოგბჯენში: აჩიკო ჩომახიძე, ვაჟა თათრიშვილი.

მარცხნიდან :მეხუთე პოლკოვნიკი თეწგიზ ცკიტიშვილი(ხელმძღვანელი)მეერვე დონი ფანჩულიძე.ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით ესტაფეტისმონაწილეები.1985 წელი 9 მაისი"დინამოს კორტები"

თბილისის მილიციის გარნიზონის "საბრძოლო სამბისტთა" ნაკრები „დინამოს" საჭიდაო დარბაზში შეკრების დროს. მწვრთნელი გარიკ ჩუტლაშვილი. ქ. თბილისი, 1978 წ.

მარცხნიდან პირველი:დონი ფანჩულიძე ზელიფხან ახმედოვი ,თოფიკ ჯურბანოვი, ნური ზეინალოვი.სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის თანამშრომელთა პირველობა"საბჭოში".ქ.ყარაგანდა 1982 წელი

# „წარსულის ფიქრებთან შემობრუნება“

## სექტემბერი 1956 წელი

მშობლებმა მიმიყვანეს სოფლის ბაგა-ბაღში, რომელიც ფინურ კოტეჯს წარმოადგენდა, აშენებული იყო მშენებარე ჰესის მუშამომსახურე პერსონალისთვის. საპირფარეშოში გასვლისათვის ნებართვა მომერიდა, ჩავიფისე, ტირილი დავიწყე, აღმზრდელმა ნაზი ფანჩულიძე - გოგუამ მომეფერა, მე უფრო ტირილს მოვუმატე...

## ოქტომბერი 1956 წელი

ბაღში ვთამაშობდით ბავშვებთან ერთად, ჩხუბი მომივიდა ტარიელ ყურაშვილთან, ქვა ვესროლე, თავი გავუტეხე, სისხლს ვეღარ აჩერებდნენ, დედამისმა, რომელიც მზარეულად მუშაობდა ყვირილი დამიწყო, დამტუქსა...

## ნოემბერი 1956 წელი

ჩემს ბიძაშვილს მზიას ბაღში მოაკითხეს და წაიყვანეს, მშობლებს ვარლამ ბიძიას და მარგალიტა ბიცოლას ტყიბულში მიმავალთ სატვირთო მანქანა გადაბრუნებიათ, საღამოს ჩემმა მშობლებმა თერჯოლის საავადმყოფოში მეც წამიყვანეს მათ სანახავად. . .

## დეკემბერი 1956 წელი

წინასაახალწლო კარნავალზე ბაღში კანფეტები და ნამცხვრები დაგვირიგეს. ყველამ ჭამა, მე არ შემიჭამია, გამოგვიშვეს ბაღიდან, თოვჭყლაპია, ჯერ მზიას სახლი უნდა გამომევლო მზია შემეკითხა, რატომ არ შევჭამე ნამცხვარი, მე ვუპასუხე - ნატალია ბებიას უნდა მივუტანოთქო, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენთან ცხოვრობდა. ვინც მაგ ნამცხვარს ღელეში არ გადააგდებს, დედა მოუკვდებაო, მე შემეშინდა და ნამცხვარი წყლიან ღელეში გადავაგდე. . .

მარცხნიდან: ლუარა, გულინა, ინეზა, ნატო, დონი და მურმანი ფანჩულიძეები
გადაღებულია 2018 წლის 8 აპრილს "აღდგომა".
თერჯოლა, ჩხარი, „ოქონა“

„ჩვენ ყველა ერთნი ვართ!“

ფანჩულიძეების, მუჯირების, ფორჩხიძეების, ჯანელიძეების, აბულაძეების შთამომავლობა.
გადაღებულია 2018 წლის 8 აპრილს "აღდგომა".
თერჯოლა, ჩხარი, „ოქონა“

„ქორწინებათა სასახლე“
მარცხნიდან: თამაზ ნაჭყებია, დონი ფანჩულიძე, მაია ბოჭორიშვილი, სოფიკო ბოჭორიშვილი



ქ. თბილილი რესტორანი„ მეტეხის ჩრდილი„ 2012წლის მაისი მაია ბოჭორიშვილი დონი ფანჩულიძე

ანსამბლი „განძი“
ნათია ფანჩულიძე
ქ. თბილისი, 2005 წ.

მარცხნიდან: ვახტანგ - „ბურნუთა“ და დონი ფანჩულიძეები.
2019 წელი, ქ. თბილისი

## ივლისი 1957 წელი

მამამ სტუმრად წამიყვანა რობაქიძეების უბანში, თავის თანამშრომელ გენო რობაქიძესთან, ეზოში ქეიფობდნენ, მე სახლის წინ მწვანე მოლზე დავუწყე პატარა შავ თიკანს მოფერება, ისე შემეჩვია თამაში დამიწყო, როდესაც ჭიშკართან ერთმანეთს დაემშვიდობნენ, თიკანმა გამბული ხმით კნავილი დაიწყო, რის შემდეგ იძულებული შეიქმნენ ოჯახის წევრები, ჩემთვის თიკანი ეჩუქებინათ. მთელი ღამე ჩემს საწოლქვეშ მყავდა, არ მცილდებოდა, (ზოდიაქოთი თხის რქა ვარ)...

## სექტემბერი 1957 წელი

წამიყვანეს ბაღში, რამდენიმე ხნის შემდეგ დედამ თიკანთან ერთად ბაღში მომაკითხა, მისი კნავილისათვის ვეღარ გაუძლია. სადილის შემდეგ ბავშვები დაგვაძინეს, თიკანი ეზოში დაბმული იყო, მის ყვირილზე აღმზრდელებს ვეღარ გაუძლიათ, შემოიყვანეს და ჩემს საწოლქვეშ იატაკზე დაფენილ ნაჭერზე დააწვინეს. ეს გრძელდებოდა რამდენიმე დღე. ერთ-ერთი მშობელი პრეტენზიულად წარსდგა აღმზრდელების წინაშე, თიკანი გარეთ ეზოში გამიგდეს. ნაზი მასწავლებელთან ტირილით მივედი, - შენ ქალი უნდა იყო და მაგ თხათქო? გაჯავრებულმა რამოდენიმე ხანს „ღამის ქოთნების“ შესახან ოთახში ჩამკეტა, ჯერ ტირილი დავიწყე, გარეთ ბავშვები დამცინოდნენ, შემდეგ მათ ჯინაზე სიმღერა... აღმზრდელებისა და დედაჩემის შეთანხმებით თიკანი ბაღში აღარ წამიყვანია. ჩემი სახლში არყოფნის დროს, შროშიდან მოსულ სტუმრებს თიკანი დაუკლეს და თონეში შეუწვეს, ნერვიულობის გამო ტანზე დამაყარა, ღამეც აღარ მეძინებოდა...

## 21 სექტემბერი 1957 წელი

მიუხედავად კომუნისტური რეჟიმისა ჩვენს სოფელში, კერძოდ მდინარის გაღმა აღნიშნავდნენ ქრისტიანულ დღესასწაულს, - „ამაღლებას“, ხოლო მეორე მხარეს ჩვენს უბანში, „ღვთისმშობლობას“.

დილიდანვე ჩემი ოჯახი სამზადისში იყო, ბებია და მამიდა ჩვენთან ერთად ცხოვრობდნენ, მიახლოებით ვიცოდით ვინ მოვიდოდა დაუპატიჟებლად სტუმარი.

სუფრა მზადდებოდა დაახლოებით ორმოცდაათ კაცზე. დედა დილიდან ორი გოჭი და ერთი თხა თონეში შეწვა, პურები და მჭადები ამოაცხო, ხაჭაპურები დააცხო. სტუმრები ნელ-ნელა შემოდიოდნენ ეზოში, იყო ოვაციებით შეხვედრა და ერთმანეთის ამბორი. მუხურიდან მამის მამიდაშვილი მერიკო, რომელიც ბარბაქაძეზე იყო დაქორწინებული, ჩხარიდან მამის მამიდა ალექსანდრა და მისი მეუღლე ზალიკო ფოფხაძე, თერჯოლიდან მისი ქალიშვილი, რომელიც მაკარიძეზე იყო დაქორწინებული, ალისუბნიდან იუზა და სოსიკო ზარნაძეები, მისი და ცისანა, პატარიძის ოჯახიდან, მეუღლესთან ერთად, მამაჩემის მამიდაშვილები, სვირიდან მამიდა პაშა და მისი მეუღლე ვანო ჯუღელი, ჭუჭული ოჯახით ასევე სვირიდან, მამიდა თამარი და მისი მეუღლე დავით ბერძული ოჯახით, ქუთაისიდან ნადია მამიდა და მისი მეუღლე მანუელ ბარბაქაძე, ბოლნისიდან ბიძია ტერენტი, მისი მეუღლე ანეტა ელიკაშვილი, ვარლამი „ვალა ბიძია“ მეუღლით მარგალიტა დარახველიძე, ბიძია შალვა მეუღლით სონა ვერულაშვილი... დასხდნენ სუფრასთან, დაიწყო ქეიფი, რომელიც გრძელდებოდა... ახალი დაბინდებული იყო, დედას მუცელი ასტკივდა, ჩემმა დებმა ლუარამ, გულინამ და ინეზამ, ფეხით ჩხარის სამშობიარო სახლში წაიყვანეს, მე სახლის ქვედა მხრიდან თვალი გავაყოლე, თან ვტიროდი, პატარა ბავშვი ვგრძნობდი დედას უჭირდა... როგორ მიყავდათ დედა ხელკავით, გამთენიამდე შემეძინა ძამიკო, - მურმანი... ქეიფი მეორე დღესაც გაგრძელდა... როგორ გამოიყვანა სამშობიაროდან, სახლში პატარა ძამიკო მახსოვს, დედამ პატარა ოთახში დამიძახა, მე მორცხვად დავუახლოვდი, დედა ძუძუს აწოვებდა და თან ღიმილით მიყურებდა. . .

## ივლისი 1958 წელი

ჩვენს სახლში სოფ. ძევრში მკურნალობდა ქუთაისელი ჯონდო მაჭარაშვილი, რომელიც დაავადებული იყო ეგზემით, გამაკი კაკლის ჩრდილში იყო დაკიდებული, მის გვერდზე კუსტარული ოჭივარა იყო გაკეთებული, პატარა მურმანი ფეხს იდგამდა. ასევე მამიდამ უმკურნალა სამხედრო მფრინავს, მოსამსახურე კოპიტნარის აეროდრომზე საპატივცემულოდ ჩვენი სახლის თავზე რეაქტიული თვითმფრინავით ზოია დააწერა...

## აგვისტო 1958 წელი

ახალი ნაწვიმარი იყო, მე ინეზა და ნატო ეზოში ვთამაშობდით, ინეზამ გამხმარი მიწა მესროლა და შუბლი გამიტეხა. ტირილზე დედა სახლიდან გამოვარდა, ყვირილით შემეკითხა ვინ მესროლაო, ინეზამ პასუხი აღარ დამამთავრებინა, ნატომ ესროლაო, ნატო შალვა ბიძიას სახლისკენ გაიქცა... მე ბებია ნატალიამ თავი შემიხვია, კამფეტები და ფული მაჩუქა, იმ ღამით ბებიასთან გვერდით ვიწექი ზალაში.

## აგვისტო 1959 წელი

ზოია მამიდა გათხოვდა, სამტრედიელ ვიტალი ბაბუხადიაზე, ყოფილი ფეხბურთელი, სტუმრები მოვიდნენ, რომლებიც მათ ახლდნენ მე დიდი დოლი მომიტანეს, სექტემბრის თვეში ქორწილიც გაიმართა, ჩვენ ძველ ფიცრულ სახლში დარაბები ამოიღეს, ოთახი და ზალა გაერთიანდა, ბევრი ხალხი ისხდა, შუაში ბუხართან დამკვრელები ისხდნენ ამოყვანილი ქუთაისიდან, მამიდა თამარის მეუღლე დათუნა ბერძული თავკაცობდა, მეორე დღეს ნაწვიმარი იყო, დამკვრელები საცეკვაოს უკრავდნენ, შანგო და ტიტიკო ფანჩულიძეები ცეკვავდნენ, შანგოს გალიფე შარვალ-კიტელი ეცვა, აზიაცკების ჩექმები, მასზე წამოცმული რეზინის კალოშები ცეკვისას ძვრებოდა, ეს ყველაფერი სახლის წინ მსხლის ქვეშ, ჭის გვერდით ხდებოდა. . .

## მაისი 1960 წელი

დილიდანვე ზოია მამიდამ, ზალისა და მის უკანა ოთახის დაცლა დაიწყო, ყველაფერი ვეში და ინვენტარი ეზოში ჩაჰქონდა, გადადიოდნენ ახალ აშენებულ სახლში, სახლის წინ იდგა მრგვალი მაგიდა, სხვადასხვა ნივთებთან ერთად იდო ბაბუა-დომენტისა და ბებია ნატალიას გადიდებული კედლის სურათი, მამა ეზოში შემოვიდა შეატყობინეს და სამსახურიდან წამოსულა, გულმოსულობით სურათს ხელი დასტაცა, ეს მაინც ჩემი გადიდებულიაო. ისევ ზალაში ამოიტანა და თავის ადგილზე ჩამოჰკიდა. ზოია მამიდა და ვიტალი ბიძია ახალ სახლში გადავიდნენ, ბებიაც ჩვენგან წაიყვანეს. . .

## პირველი სექტემბერი 1960 წელი

პირველ კლასში მიმიყვანა ჩემმა დამ გულინამ, საკლასო ოთახში რომ შევედი გოგონა დამხვდა, გულინას თანაკლასელი გოგო გამოელაპარაკა, ჩემი დააო, მე მას მორცხვად ვუყურებდი, ისიც ჩუმად თვალს გამოაყოლებდა ჩემსკენ. სწავლა გრძელდებოდა, ის გოგონა ვენერა მეფარიძე აღმოჩნდა.

## ოქტომბერი 1961 წელი

ღამის ოთხ საათზე ყვირილის ხმამ გამაღვიძა, მამაჩემი ხმამაღლა საუბრობდა, სანადირო თოფს ეძებდა, შემდეგ სწრაფად ჩაიცვა, ბნელოდა, იმ ღამით ჩვენს უბანში შუქები გათიშული იყო, მეც გამოვფხიზლდი, აივანზე გავედ, უკვე მოცილებით მამამ რამდენიმეჯერ გაისროლა, ფერდობზე მამიდა ზოია ყვიროდა, მამიდა და ბებია დაუყაჩაღებიათ, რამდენიმე დღის შემდეგ დაკავებული იქნენ, - „ზესტაფონის დაჯგუფება“, - ნებიერიძე, მუმლაძე, ბაბუაძე, ჭულუხაძე, არაბიძე, უნგიაძე. მე ვთხოვე მშობლებს სასამართლო პროცესზე წავეყვანე, ყაჩაღების ნახვა მაინტერესებდა, წარმოდგენა შემექმნა ბავშვს, ადამიანებისაგან განხვავებული აღნაგობის იქნებოდნენ... მიუხედავად ტირილისა, სასამართლოზე არ წამიყვანეს.

მათ შორის მრავალი დანაშაულისა და გაუპატიურების ფაქტებზე უნგიაძე დავხრიტეს...

## ოქტომბერი 1962 წელი

კვირა დღეა, ავდექი, ვკოჭლობ, რამდენიმე დღის წინ ფეხი ლურსმნით დავიზიანე, გამიღიზიანდა, ქუსლი მტკივა, რამოდენიმე ხანს ვიმეცადინე, მესამე კლასში ვსწავლობ... თამაშით ვერ ვთამაშობ, დღის 12:00 საათია, ღობესთან მიხმობს მეზობელი რესიმე ბიცოლა, მთხოვს ყურძენი დავუწურო, მეუღლე დიდი სამამულო ომიდან აღარ დაუბრუნდა, მის ორ ძმასთან ერთად, ორი ტყუპი ბიჭი რიგ-რიგობით სამი წლის ვადით სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ჩავედი, შევედი მის მარანში, დიდი ზომის ხის საწნახელია, რამოდენიმე დღე ყურძენი უკრეფია, მომზადებული აქვს ჩემთვის წყალი, საპონი და პირსახოცი. მე მერიდება, ფეხის ტკივილს არ ვუმხელ, ვიწყებ მესამე კლასის მოსწავლე ცალი ფეხით ერთი ტონა ყურძნის დაწურვას, შევუმსუბუქო ფიზიკური შრომა. მაკვირდება, მე არ ვიმჩნევ, თავისებური ჩახლეჩილი სიცილით შენიშვნას მაძლევს, რატომ არ გავუმხილე. კვლავ დამბანა ფეხები და სახლში გამომიშვა...

## აგვისტო 1964 წელი

მე და ჩემი დაძმანი ნატო და მურმანი ყანაში ვართ, დარჩეილ სოიოს ბარდებს ვთხრით, მეზობელმა გაგვაგებინა მამას საწარმოო ტრამვა მიუღია, დილის ათი საათია, მივირბინეთ სახლში, დედა ტირის, თან ტანსაცმელს იცვამს, თავს იწესრიგებს, ჩვენ რომ დაგვინახა ტირილი შეწყვიტა, ცდილობდა პანიკა არ გამოეწვია, გავიგეთ თერჯოლის საავადმყოფოში გადაუყვანიათ, ზოია მამიდამ მანქანა დაიქირავა, თბილისში გადაიყვანა, იქედან შეგვატყობინეს, დააწვინეს შეროზიას ქუჩაზე თვალის კლინიკურ საავადყოფოში, სადაც ოდესიდან ჩამოფრენილმა პროფესორმა ფილატოვმა ჯერ ოპერაცია ცეკას მდივანს გეგეშიძეს გაუკეთეს, მის შემდეგ პროფესორმა მამას.

ველოდებით 45 წლის ასაკში, ექვსი შვილის მამის თვალიდან მხედველობის დაბრუნებას...

**აგვისტო 1964 წელი**

გეოლოგების მიერ აღმოჩენილ სასმელი წყლის საცავთან ჩემი და გულინა რეცხავს მამაჩემის სისხლიან ტანსაცმელს, თან მოთქმით ტირის... მისი ემოცია ჩემზეც გადმოდის, მეც ტირილი დავიწყე...

**აგვისტო 1964 წელი**

წამიყვანეს თბილისში მამის სანახავად, ღამე საავადმყოფოში დავრჩი, სანიტარმა პალატაში შემოიტანა სკამები, მასზეც დედა წამოწვა, მე იატაკზე დაფენილ ლეიბზე. ჩვენს გვერდიტ პალატაში ტეკას მდივანი გიორგი „ჟორა“ გეგეშიზე იწვა, რომელზეც ლეგენდები დადიოდა. მეორე დღეს ჩემი სიძე ჯემალ აბულაძე ჩამოვიდა დედამისთან ერთად, წამომიყვანა თბილისიდან, სახლში რომ მოვედი, ჩემს მეზობელს ზაური პატარიძეს თავის ნათლული ჩემი ძმა მურმანი წაუყვანია თბილისში მამაჩემის სანახავად...

**ივნისი 1965 წელი**

მეხუთე კლასიდან მეექვსე კლასში გადასაყვანი გამოცდები მაქვს, მათემატიკის საგანში, დალიდა ბუბაშვილი მათემატიკის მასწავლებელია. ცუდი საკითხები შემხვდა ბილეთში, საშემოდგომო გამოცდა გამომყვა, უნდა მოვემზადო, სად? დედამ გადაწყვიტა ქალაქ ქუთაისში მამიდის, ნადიას მეუღლესთან ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელ, სკოლის დირექტორ მანუელ ბარბაქაძესთან მოვემზადო... სექტემბრამდე გამოცდა ბრწყინვალედ ჩავაბარე, ოთხიანი დამიწერეს. ამის შემდეგ კარგად ვისწავლი, თავს არ შევირცხვენ, _ მშობლებთან და მასწავლებლებთან...

## ივნისი 1966 წელი

ერთი კვირის დაწყებულია არდადეგები, მინდორში გავიყვანე ძროხა საბალახოდ, გავიცანი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც მამას თბილისიდან ჩამოყვანილი ჰყავდა, ასრულებდნენ აზომვით ნახაზებს. მეორე დღეს გავიპარე გამთენიისას სახლიდან, მივედი გეოლოგიის სამმართველოში უფროსთან, დავუწყე ლოდინი. ვფიქრობ თვეში 70 მანეთი მექნება, ვიყიდი წიგნებს და სკოლის ფორმას. ხელმძღვანელობამ არ მიმიღო, მოვედი სახლში, ცემა დამიწყეს, რატომ შეგვარცხვინე ოჯახიო. ბავშვი ვფიქრობ რა დავაშავე? მე ხომ ჩემი შრომით მინდა ოჯახს დავეხმარო?... ჩემმა დამ გულინამ მიატოვა დღის სწავლა მეათე კლასში, გადავიდა ღამის მუშაახალგაზრდობის საშუალო სკოლაში, შეთავსებით მუშაობა დაიწყო ინვალიდთა და მოხუცებულთა სახლინტერნატში სანიტრად, მისი მიზერული ხელფასი, მამაჩემის მიზერულ პენსიას დაემატა, მგონი შიმშილით არ მოვკვდებით, ასე ვფიქრობ...

## აგვისტო 1966 წელი

გარდამეცვალა მამიდაშვილი ვალერიან –ვალკა- ბერძული, რომელიც ცხოვრობდა მდინარე ძევრულას გაღმა, ბანაობისას თავი დაურტყამს ქვაზე, დედას არ გაუმხილა, დათუნა ბიძია 1962 წელს გარდაიცვალა, როგორი ტრაგედიაა? ექიმები უძლური შეიქმნენ, ვერ გადაარჩინეს, ორივე ერთ დღეს დაბადებულნი ვართ, მაგრად განვიცდი, გლოვობს ყველა ჩვენი სანათესაო, ვალკა ერთი წლით ადრე შეიყვანეს სკოლაში, ის მეექვსე კლასსში რომ იყო, მე მეხუთეში ვსწავლობდი, ერთ დღეს რომ მე მასთან ვრჩებოდი ღამით, მეორე ღამით ჩემთან მოდიოდა. მიუხედავად მშობლების გაკიცხვისა, არ ვიშლიდით, ერთად ვმეცადინეობდით, ვთამაშობდით და ვცელქობდით... ისეთი ნიჭიერი იყო, ერთი წაკითხვით სწავლობდა გაკვეთილებს. დიდი დანაკლისი განიცადა სოფელმა, ოჯახმა და სკოლამ. ისეთი ნიჭით იყო დაჯილდოებული, _ მღეროდა, ცეკვავდა, ლექსებს მხატვრულად

გადმოცემდა, ალბათ ყველაფერს ასწრებდა, ისეთი ნიჭით დაჯილდოებული „ძევრელი ბიჭი“...

## ივლისი 1967 წელი

ტყიბულში მცხოვრებმა მამაჩემის მეგობრების დავით და ლუდმილა ცირეკიძეების შვილმა, მამაჩემის ნათლულმა „კუსურამ“, რომლის ორივე ძმები მამაჩემის ნათლულები იყვნენ, მამა ქალაქ სოხუმში თვალის ექიმ-პროფესორ მიმინოშვილთან წაიყვანა, მეც თან ვახლდი, მიგვიყვანა დეიდის სახლში, ბენიძეების ოჯახში, რომლებიც სოხუმში „წითელი მაიაკის” დასახლებაში ცხოვრობდნენ, ზღვა პირველად ვნახე ბავშვმა, აღფრთოვანებული ვარ, ვიბანავე, რამოდენიმე დღე ვიყავით. სოხუმიდან მატარებლით ზესტაფონში ჩამოვედით...

## ნოემბერი 1967 წელი

ჩემმა სიძემ სიქთარვაში მცხოვრებმა ჯემალ აბულაძემ მამა ოდესაში წაიყვანა პროფესორ ფილატოვთან, კონსულტაცია-სამკურნალოდ, მაგრამ შედეგი არ გამოიღო, მამას მხედველობა ვერ დაუბრუნეს...

## დეკემბერი 1967 წელი

ზოია მამიდამ ლენინგრადში ოპერაცია გაიკეთა, მკერდზე ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, 1968 წლის ზაფხულზე სოფელში სტუმრად მოიწვია მკურნალი პროფესორი, - ევგენ ეფრემოვიჩი, რომელიც გვესტუმრა თავისი ცოლ-შვილით. მამიდამ შემოატარა, - თბილისი, ბორჯომი, საირმე, ბათუმი, გელათი, საქართველოს ღირშესანიშნავი ადგილები... წინა დღით ჩემმა დებმა გულინამ, ინეზამ და ნატომ მის მეუღლესთან ერთად მდინარე ძერვულაზე კაბებით იბანავეს, ის კი კუპალნიკით ბანაობდა, რის გამოც ზოია მამიდამ ქალბატონიდან შენიშვნა მიიღო. მეორე დღეს მამიდამ ჩემს დებს საცურაო კუპალნიკები შეუძინა, მაგრამ მე ჩაცმამდე მივეპარე

და სამთავეს მაკრატლით დავუჭერი ნაჭერ-ნაჭერ, - ჯერ კიდევ ჩვენს სოფელში მდინარეზე, ქალები კაბებით ბანაობდნენ...

## ივნისი 1968 წელი

დავამთავრე ძევრის (ტყიბულჰესის) რვაწლიანი სკოლა, სწავლა გავაგრძელე ჩხარის საშუალო სკოლაში, მეცხრე კლასში. პირველი სექტემბერია სკოლაში ვერ მივდივარ, შარვალი ახალი არ მაქვს. ორი სექტემბერია ზოია მამიდამ ქუთაისში წამიყვანა თერჯოლიდან გამოძახებული ტაქსით, შარვალი და ტუფლები მიყიდა. სამ სექტემბერს სკოლაში მივედი, გავიცანი მეცხრე კლასელები, კარგად მიმიღეს, შევეჩვიე ახალ გარემოს...

## თებერვალი 1969 წელი

ძალიან ცუდი ამინდია, წყალთოვაა, ზოია მამიდას გაურთულდა მდგომარეობა, დაუკავშირდნენ ლენინგრადში მკურნალ პროფესორს ევგენ ეფრემოვიჩს, მისი კონსულტაციით მამიდა უნდა გადაეფრინათ ლენინგრადში, მანქანის მოძრაობა ტალახის გამო ჭირს, ურმით აგვყავს მამიდა ჩხარის ბოლოზე, იქ გამოვიძახეთ თერჯოლიდან სასწრაფოდახმარების მანქანა. ჩემი ბიძაშვილები ციმა და ბიჭიკო მიჰყვებიან... აპრილში მამიდა ლენინგრადიდან გარდაცვლილი ჩამოასვენეს, დავკრძალეთ “ოქონის” საგვარეულო სასაფლაოზე...

## ივნისი 1970 წელი

დავამთავრე ჩხარის საშუალო სკოლა, ბანკეტი გადავიხადე ს. ქარხანაში, მანანა თორთლაძის სახლში, მასწავლებლებთან მოფერებით და სიყვარულით, რომლებიც უკვე დამიახლოვდნენ, თავი ვეღარ მოვზომე, დავითვერი, ცუდად გავხდი, მანანამ ნემსი გამიკეთა, გადავრჩი, მეორე დღეს ექსკურსიაზე შაორზე ავედით, გოგო-ბიჭებმა ფეხბურთი ვითამაშეთ, შემდეგ კალმახი დავიჭირეთ, ვიქეიფეთ და სახლებში დავბრუნდით...

## ივნისი 1970 წელი

წამიყვანეს თბილისში სწავლის გასაგრძელებლად, მეგზურობა ზოია მამიდის მულის ქმარმა, ოთარი ნანეიშვილმა გამიწია, მის სახლში ვცხოვრობ, ტაშკენტის ქუჩაზე. უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ვერ ჩავაბარე, მსურს იურისტი გამოვიდე, მამას მფრინავი, დედას გინეკოლოგი. გაჭირვებულ კაცს სად მიმიღებენ?!... მისაღები გამოცდებისათვის საბუთები, ოთარ ნანეიშვილმა თავისი ნათესავის პროტექციით თბილისის საავიაციო სასწავლებელში შემაქვს, სწავლა რუსულ ენაზეა, დილით ადგომა 7:00 საათზეა, გვარბენინებენ, შემდეგ ტანვარჯიში, გვარად მეგრელი ბიჭია, ქართულს ამტვრევს, გარუსებული ქართველი. სომხები, ბერძნები, ყველა რუსულად საუბრობს. ერთი თვე გავიდა, ვფიქრობ გავუძლებ ასეთ რეჟიმს?, მათ საერთო საცხოვრებელში ცხოვრებას ვერ ვეწყობი, სოფელშიც უსწავლელი ხომ ვერ დავბრუნდები?, ხშირად კითხვას ვუსვამ ჩემს თავს. ერთი თვის შემდეგ ჯგუფის კურატორმა ექსკურსიაზე აეროპორტში, თვითმფრინავების შესაკეთებელ ბოქსში მიგვიყვანა, მისვლისთანავე მცირეგაბარიტიანი თვითმფრინავი მიწიდან ოდნავ აიწია, ცეცხლი გაუჩნდა, სახანძრომ ჩააქრო, ღამე არ დამძინებია, მეორე დღეს სასწავლებელში აღარ მივდივარ, ისედაც მათი ლექციები ჩემთვის ჩინურია. გამოვიპარე, საბუთები ქუთაისის რადიოტექნიკუმის ხელმძღვანელობამ გამოითხოვა, სწავლას ქუთაისში ვაგრძელებ, თვითმფრინავის რადისტად ვერ ჩამოვყალიბდი...

## მაისი 1973 წელი

გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სახლში ჩემს წასვლას განიცდიან, მოაწყვეს წვეულება, დაპატიჟეს ახლობლები, მშობლები ტირიან, ქეიფი კი არა, უფრო გლოვის სუფრა გამოვიდა, უსინათლო, ბრმა მამის გვერდში ვარ. იცის სამხედრო სამსახური რა არის, ის ხომ ყოფილი სამხედრო მფრინავი იყო ომის დროს. ტირის მეხვევა, სასმელს ეძალება, მეფერება, მეც თანავუგრძნობ, თვალცრემლიან დედას რომ ვუყურებ გული მიკვდება, რა ვქნა? მეორე

დღეს თერჯოლის კომისარიატში ვცხადდები, შემდეგ მათ თანამშრომელს თბილისში მიყვავართ, გამანაწილებელ პუნქტში. მეორე დღეს ჩაგვსვეს მატარებელში, თოთხმეტი დღე და ღამე მოვუნდით ქალაქ ვლადივასტოკში ჩასვლას, - შკოტოვის რაიონი, წყნარი ოკეანის დასახლება, სამხედრო ქალაქია. ახალ მისულებმა გადავწყვიტეთ გავიპაროთ და წყნარ ოკეანეში ვიბანაოთ, ყველაფერი ერთ საათში მოვასწარით, „პრავერკამდე“, როდესაც ჩვენი გასეირნება „სტარიკ ქართველებს“ საიდუმლოდ მოვუყევით, ზუსტად იმ ადგილას გვიბანავია, სადაც ზვიგენები თავს იყრიან. კარანტინის შემდეგ ვმორიგეობთ, ზოგი იარაღის საწყობს ვიცავთ, ზოგი სად და ზოგიც უჩენიებზეა. ყარაულობიდან ჯერ მზარეულად გადავყავარ, შემდეგ საწყობში, რუსულ ენას დამაკმაყოფილებლად ვსწავლობ, მე მგონი ავითვისებ. 1974 წლის იანვრის თვეა, ჩემი ჯარის მეგობრებმა ბადრი ფულარიანმა და ნუგზარ ყიფიანმა მოპირდაპირედ განთავსებული ნაწილის სერჟანტი სცემეს რომელიც ყინვიან ამინდში, ღამით ახალ მიღებულ ქართველებს „პლაშატკაზე“ სამწყობრო სიარულში ავარჯიშებდა. მათ მითითება მიუციათ სერჟანტისათვის, რომელიც ჩხუბში გადაზრდილა, შემოელახათ სერჯანტი. სამხედრო პროკურატურამ მოკვლევა დაიწყო. მისი სტარშინა მიგელი გვარად ჩვენი ნაწილიდან გაგდებული იყო. ბიჭებმა თანხა შეძლებისდაგვარად ავკრიფეთ, მივიტანე კაზარმაში, მწოლიარე სერჟანტს ვუთანმხდები, საქმე არ გაამწვავოს. ჩვენს საუბარს შემოესწრო სტარშინა მიგელი, გამიჩხრიკა ჯიბე, ამოიღო თანხა და სიობრივი მონაცემები. სამი დღე სამხედრო პროკურატურა არკვევს ჩემს საქმეს... მემუქრება „დისციპლინარული ბატალიონი“-თ დავკარგე უნივერსიტეტში ჩასაბარებელი ლიმიტი, პარტიის რიგებში მისაღებ რეკომენდაციასაც დავემშვიდობე...

მარჯხნიდან ნინა რიგში:გიგლა ზარანდია,ვახტანგ გეგუჩაძე,დონი ფანჩულიძე.
მარჯხნიდან უკანა რიგში:იაშარ ახმედოვი,ნუგზარ ყიფიანი. გად: 1974 წ ქ.ვლადივასტოკი

## ივლისი 1975 წელი

თერჯოლის რაიონის კომკავშირის რაიკომი საგზურით თბილისში, მილიციის სამმართველოში გამომაგზავნა, რიგითი მილიციელი ვარ, მაგრამ ოფიცრებთან და მამისტოლა გამოცდილ „ჩეკისტებთან“ მიწევს მუშაობა. ბინა საერთო საცხოვრებელში გამომიყვეს. ოთხ კაცს ერთ ოთახში გვძინავს, თავისუფალ დროს ვვარჯიშობ „დინამოს” საჭიდაო დარბაზში, ჩემი მწვრთნელებია: სახვაძე, ნინიაშვილი, ჩუთლაშვილი, ნახაპეტოვი... გამოვდივარ შეჯიბრებებზე - ძირითადად მილიციის გარნიზონის პირველობებზე ჭიდაობა „სამბოში” და მძლეოსნობაში. ვამთავრებ პოლიციის სკოლას, ფიზკულტურის ინსტიტუტს, პარტიულ „სკოლას“, ამირჩიეს რაიონის დეპუტადად, დელეგატად, მაგზავნიან საკავშირო შეკრებაზე ქალაქ კოსტრომაში, შემდეგ მაჯილდოვებენ ქ. მოსკოვში „საპატიო სიგელით“... მიმიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში, გამომიყვეს ერთი ოთახი მილიციის ბალანსზე დავით აღმაშენებლის გამზირი #148-ში... რიგითმა მილიციელმა თენგიზ გურგენიძემ ცოლი მოიყვანა, ბავშვი შეეძინა, ქირას ვერ იხდის. დავუთმე აღნიშნული ბინა, მე საერთო საცხოვრებელში გადავდივარ, ის თუ არა ღმერთი დამლოცავს...

## დეკემბერი 1977 წელი

რიგითი მილიციელი ვარ, პასუხისმგებელი მორიგის თანაშემწე, მარჯანიშვილის ქუჩიდან ახალგაზრდა ბიჭი მოიყვანეს, რომელსაც ხულიგნობა ჩაუდენია, თან მილიციელებს არ დაემორჩილა, გადავიყვანე ფიროსმანის ქუჩაზე სამედიცინო გამოსაფხიზლებელში, სხეულზე დაზიანებები აქვს, არ მიიღეს, დავუკავშირდი პასუხისმგებელ მორიგეს ანზორ მღებრიშვილს, მივიღე მისგან თანხმობა, წამოვიყვანე ისევ სამორიგეოში. მთელი ღამე გინებით აგვიკლო, გამთენიისას ჩაეძინა, ჩვენც ყურადღება აღარ მივაქციეთ, დროებით საკანიდან მეორე დაკავებული მიყვირის ვენები გადაიჭრა, სისხლისგან იცლებაო, შევვარდი საკანში, მოვიკიდე ბეჭზე, თან

ვყვირივარ „გეორგევიჩ!”, ვიხმობ მძღოლს მილიციელს ხუბუას, ჩავსვი სამორიგეოს მანქანაში, ყინვის გამო მანქანა ვერ ავამუშავეთ, მოვიგდე ზურგზე, ჩავიყვანე კამოს ქუჩაზე #2 საავადმყოფოში, გავაღვიძე მორიგე ქირურგი, ესაჭიროება სისხლი, ვემუდარები ჩემი სისხლი შეამოწმონ, 1-ლი დადებითი, სწრაფად გადაუსხეს ჩემი სისხლი, ახალგაზრდა მამაკაცს სიცოცხლე შევუნარჩუნე...

## ივლისი 1979 წელი

დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, ხუმრობით ვესაუბრები პასუხისმგებელ მორიგე „ანზორ გიორგევიჩს”, უკვე საღამოს შვიდი საათია, დაგვირეკეს რესტორან „სალხინოდან”, მკვლელობა მოხდა, ზოგი დაჭრილიაო... მილიციელებმა ყველა იქ შემსწრე, თავისი მომსახურე პერსონალით მოიყვანა მილიციის განყოფილებაში, ყველა კაბინეტებში ტევა აღარ არის, საეჭვო პირები გაჩხრეკვამდე დაკავების საკნების წინ დგანან. ერთ ერთმა მათგანმა, რომელიც უდანაშაულოდ მოუყვანიათ, ნასვამმა სახეში გამარტყა მოულოდნელად, წარბი გამისკდა, კახა ხმალაძემ წამიყვანა მიხაილოვის საავადმყოფოში, სამი ნაკერი დამადეს. მეორე დღეს საქმე თეთრი ძაფით აიკინძა, ერევა „მაღალჩინოსანი”, მთავაზობენ თანხას, მე სასტიკი უარი ვუთხარი, საქმე ჩააწყო...

...რამდენიმე თვის შემდეგ პირველი მაისის რაიკომმა, კომკავშირის მდივანი, პარტიულ სკოლაში გამაგზავნეს. აუდიტორია ნელნელა ივსება, მოგვიანებით შემოვიდა ახალგაზრდა ბიჭი, მხოლოდ ადგილი ჩემს გვერდითაა თავისუფალი. მომიჯდა გვერდით, თვალთვალში ვუყრით. იმ ახალგაზრდა ბიჭმა სამი წელი ჩემთან ერთად ისწავლა და გვერდიგვერდ ვიჯექით, დამამთავრებელ ბანკეტზეც ერთად მოვილხინეთ. მის შემდეგ ჩვენი გზები სხვადასხვა მიმართულებით წავიდა...

## აგვისტო 1980 წელი

ოცდახუთი წლის დაცვის პოლიციის სამეთვალყურეო პულტის დაკავების ჯგუფში რიგითი მილიციელი ვარ, ღამის 04:00 საათზე მივიღე განგაშის სიგნალი დიღმის მასივში. გავედით თევზაძეს და მინასიანთან ერთად დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი, 12-ე კორპუსში, ავედით მეშვიდე სართულზე, სადარბაზოში მხოლოდ მესამე სართულზე იყო განათებული, მეშვიდე სართულზე ბინის საკეტი გარშემო „დრელით“ დახვრეტილია, ბუდე ამოღებულია, ვიწყებ სართულების დათვალიერებას, უკან მომყვება თევზაძე და მინასიანი. 14-სართულიან სადარბაზოში, მეცხრე სართულზე შევეფეთე ბინის ქურდებს, რომლებმაც დაკეტილი სხვენიდან ჩერდაკში გადასვლა ვერ შეძლეს, ხელში ხის გარბილით ცდილობენ თავში ჩამარტყან, მე ბჟუტავი ფარნით სახეში ვანათებ მათ და ვუყვირი დამორჩილებას. ვისვრი იარაღიდან გამაფრთხილებელს, უკან შემოვტრიალდი, თევზაძე და მინასიანი შიშისაგან გაიქცნენ და მიმატოვეს, ჩამოვირბინე მესამე სართულზე, სადაც შუქი მეგულებოდა, კიდევ ვაფრთხილებ შეძახილებით, მეორე გამაფრთხილებელი გავისროლე, მოპირდაპირედ კარები გამიხვრეტია, მობინადრე კვერნაძე „გლაზოვკიდან“ იხედებოდა, მის ფეხებში ტყვიას გაუვლია, მათგან ერთ-ერთი რომელიც აქტიურობდა ფეხის არეში დაიჭრა. დილაა, მიმდინარეობს მოკვლევა, პროკურატურისა და გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ, ტელეფონზე რაიონიდან შემატყობინეს, მამა ცუდად არის, სიკვდილს ებრძვის, მე რაიონში გავრბივარ...

## 1982 წლის 10 სექტემბერი

ახალი დანიშნული ვარ თბილისის (პირველი მაისის) სახელობის მილიციის არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორად მდებარე დ. აღმაშენებლის გამზირი #113-ში. დილის 11:00 საათზე დამთავრდა თათბირი, თანამშრომლები, _ ნორა დოლიძე, ლია ბატიაშვილი, აჩიკო ჩომახიძე, ქეთევან მელაძე, ჟუჟუნა ძუკაევა ვაგრძელებთ გზას კარგარეთელის ქ. #1-ში, სადაც ლია ბატიაშვილის სამუშაო ოთახია, იქ

ტარდება უშუალოდ ჩვენი ხაზით მეორე თათბირი, როდესაც დავუახლოვდით პირველი მაისის რაიკომის შენობას, ტროტუარზე შევნიშნეთ გაზეთში გახვეული უცხო ნივთი, გავხსენით, აღმოჩნდა რუსული რუბლი, დაახლოებით შვიდიათასი მანეთი. აღნიშნული თანხა ავიტანეთ მეორე სართულზე და ჩავაბარეთ პარტიის საორგანიზაციო განყოფილებას... თუ დავიანგარიშებთ იმ დროისათვის ახალი, მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული-06“-ის საბაზრო ღირებულება 5000 რუსული რუბლი იყო. . .

მეორე დღეს შესვენებაზე პეჩენია მივირთვით და ლიმონათი დავაყოლეთ. ჩვენი კოლეგა თამარ შავიშვილი იუმორით დაგვცინოდა, მაგრამ იმ დროს პატიოსნება უპირველეს ყოვლისა იყო. . .

## 1984 წლის 14 სექტემბერი

სამთავრობო გადაწყვეტილებით ქ. თბილისის ყველა უმაღლესი სასწავლებლის პირველი კურსის სტუდენტები 5 სექტემბრიდან, ოცდახუთი დღით მივლინებული იქნა კახეთის რეგიონის ყველა რაიონის სოფლებში დიდი რაოდენობით მოსულ რთველთან დაკავშირებით. არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტყორის თანამდებობაზე ვარ, უშუალოდ მიმამაგრეს ზოოვეტინსტიტუტზე, რომელიც განათავსეს დედოფლისწტაროს (იმჟამინდელი წითელწყაროს) რაიონის სოფელ საბათლოში, ალაზნის ველზე.

10 სექტემბერს ვერტფრენით ჩამოფრინდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ ილიას-ძე პატიაშვილი, რომელმაც დაათვალიერა რთველის აღების მიმდინარეობა... სტუდენტებთან, ლექტორ-მასწავლებლებთან ერთად განთავსებული ვიყავით კარავებში, ასევე ვსადილობდით საველე სასადილოში...

11 სექტემბერს ცუდი ამბავი შევიტყვეთ, _ გარდაიცვალა საყვარელი მწერალი _ ნოდარ დუმბაძე. რამოდენიმე დღე რთველის პლანტაციებში მხიარულება აღარ შეინიშნებოდა, სტუდენტებში გლოვა

გამოცხადდა. მე თანამგზავრი მანქანით ჩამოვედი თბილისში და დავესწარი სამგლოვიარო პროცესს.

დღეს 25 სექტემბერია, გამოგვიცხადეს თავისუფლება, რთველი მიილია, ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედნიდან სასტუმრო „ივერიის“ წინ ჩამწკრივებული წითელი „იკარუსებით“ ზარზეიმით გამოგვამგზავრეს რთველში მთავრობის წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ ცერემონიალს ესწრებოდნენ, ხოლო საბათლოდან წამოსულებს ჩამოგვიყვანეს ქალაქის სამარშუტო „ლაზის“ მარკის ავტობუსები, რომლებსაც გზადაგზა პრობლემები ექმნებოდათ. წვალებით ჩამოვაღწიეთ თბილისში. . .

## 8 აპრილი 1989 წელი

სამსახურის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე ვარ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უზრუნველყოფა ძირითადი დარგობრივი ფუნქციაა, მილიციის უფროსის მოადგილე დავით ლოლაძე, „ანდრეევიჩი“ და მე ოცდაათ მილიციის თანამშრომლებთან ერთად მთავრობის სასახლესთან ვართ, წესრიგს ვიცავთ, ერთი კვირაა მომიტინგეები, სტუდენტები, არაფორმალები საქართველოზე გულანთებული ხალხი არ იშლებიან, კიბეებზე შიმშილობენ, საღამოს ცივა, უკვე ღამის 02:00 საათია, ჯარი გარშემორტყმულია, ჯავშატნტექნიკა ალექსანდროვის ბაღს, სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლებისა და მილიციის ხელმძღვანელობის თხოვნით ლიდერები მომიტინგეებს დაშლისკენ არ მოუწოდებს.

მე ვდგევარ პარლამენტის შენობასთან, პირველი მაისის რაიონის შს განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად. ღამის 04:00 საათია, ილია II მოუწოდა მომიტინგეებს დაიშალონ და გაჰყვნენ სიონის საკათედრო ტაძარში, შეძახილებია არ დავიშალოთ!!! მღერის ჩონგურზე უსინათლო ლელა ვეფხვაძემ, - „დაუკარით“... დაიწყო მომიტინგეების დარბევა, ერთ-ერთმა რუსმა ჯარისკაცმა „ანდრეევიჩს“ ზურგზე ხელკეტი დაარტყდა, ვერ შეამჩნია მილიციის თანამშრომელი რომ იყო, სამოქალაქო ლაბადა ჰქონდა მოცმული ფორმაზე... ისვრიან

ჩერიომეხებს, ზოგი გამაფრთხილებელ გასროლებს, თვალები მეწვის, იქვე წყლიანი ბოთლით ვასველებ ცხვირსახოცს, ვიფარებ ცხვირზე, უკვე რუსი ჯარისკაცები მილიციის თანამშრომლებსაც გვირტყამენ, შევრბივართ პარლამენტში... საშინელება ვნახე. საშინელი სანახაობა, როგორ გაგვიმეტეს, ჯოჯოხეთში მგონია თავი...

უკვე აღარავის ინდობენ, იარაღიდან გასროლა, მომწამლავი აირის გაშვება, ნიჩბებისა და ხელკეტების ტრიალი, დილით მიტოვებული ფეხსაცმელები, ხელჩანთები, საბნები და ლეიბები ეყარა კიბეებზე, გადაგვისროლეს საავადმყოფოებში, უძილობასა და დაძაბულობას ვეღარ ვგრძნობ, შემდეგ „არმიანის“ საავადმყოფოში, სადაც პროზექტურაა, ამის შემდეგ განყოფილებაში გამოგვიძახეს. . .

## იანვარი 1991 წელი

დაბა წყალტუბო, სანატორიუმ „აია“-ში ვარ მეუღლესთან ერთად, უკვე ხუთი იანვარია, ჩვენი მილიცია შევიდა ქალაქ ცხინვალში, მე დერეფანში, განთავსებულ ტელევიზორს ყოველ საღამოს ვუსმენ, დაჭრილების და გარდაცვალების შესახებ, ვერ ვუძლებ, უნდა შევწყვიტო შვებულება, ცხრა იანვარს უკვე თბილისში ვარ, მეორე დღეს, ათში ჩემი დაბადების დღე არის, გამოვცხადდი დავით აღმაშენებლის გამზირი #113-ში, სამორიგეო ნაწილში პასუხისმგებელი მორიგე „ანზორ გიორგევიჩი“ ნერვიულობს, მილიციის უფროსის ანზორ ალაშვილის დავალებით დროულად ვერ კრიბავს, ოცი უკვე პირველი ნაკადი ქ. ცხინვალშია, შეიკრიბნენ 20 თანამშრომელი, ჩამსვეს მანქანებში, ორ საათში უკვე ცხინვალის საოლქო კომიტეტის ძველ შენობაში ვარ, გიგო არაბულმა გადმომაბარა პირადი შემადგენლობის რაციები, ტყვია-წამალი, ერთ-ერთ ოთახში მოვძებნე საბეჭდი მანქანა, ბიჭები იცინიან, ომის დროსაც ბეჭდვას არ იშლისო, მე იმ ღამით საგუშაგოებზე გამსვლელი მილიციელების გვარსახელი და დრო დავბეჭდე. ვინ ვის შეცვლის, რაციები დამჯდარია, იქვე გვერდით შტაბში გადავიტანე, კაკო ბოჭორიშვილი ვინახულე, რომელიც პოლიციის სკოლაში მასწავლიდა, შემაქო, მოწესრიგებული დარჩიო.

გადაღებულია 1991 წლის 4 იანვარს წყალტუბო, სანატორიუმი „აია“ მარცხ. ეთერ ხუბაშვილი, მაია ბოჭორიშვილი-ფანჩულიძე, დონი ფანჩულიძე ამირან ქამხაძე. 6 იანვარს შევწყვიტე შვებულება, 10 იანვარს ჩავერთე საბრძოლო მოქმედებებში „სამაჩაბლოში“ ქ. ცხინვალში

მარცხნიდან: გონერი დარბაიძე, ფორე მოსულიშვილი, მამია ცნობილაძე, დემური ცხვედიანი, დომენტი ფანჩულიძე, შოთა მწარიაშვილი. ფოტო გადაღებულია დიდუბის რაიონის ავღანელთა კავშირის თავმჯდომარის - გურამ ალავიძის მიერ. ქ. ცხინვალი, 1991 წლის 16 იანვარი. საოლქო კომიტეტის წინ.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო**
**თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო**

მისამართი: 380059 თბილისი დიღმის მასივი II კვარტალი
ტელ: 52-85-02; 52-83-63

№ 3/3/44-579 02. 11. 2004 წ.

# ცნობა

ეძლევა *დოშენტი ყაფლანის ძე ფანჩულიძეს* მასზედ, რომ იგი საქ. შსს 1991 წლის 25 იანვრის №60 ბ/შ ბრძანების დავალდებულებულ იყო 100 (ასი) მანეთის ოდენობით ქ. ცხინვალში და ჯავის რაიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღებისას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი სიმამაცისა და საზრიანობისათვის და ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 03 ივლისის №2/1423 გადაწყვეტილების თანახმად 1991 წელს 10 იანვრიდან — 20 იანვრამდე ცხინვალსა და ჯავის რაიონში, და 1993 წლის თებერვლის თვეში ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრაში ღებულობდა მონაწილეობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში.

ცნობა შედგენილია *დ. ფანჩულიძის* საარქივო პირად საქმეზე დართული ბრძანების და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ინახება ქ. თბილისის შს მს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამსახურის არქივში.

ცნობა ეძლევა ვეტერანთა საბჭოში წარსადგენად.

ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამსახურის დაკომპლექტებისა და ზონალური მუშაობის განყოფილების უფროსი, პოლიციის კაპიტანი

**ზ. ზუბადალაშვილი**

**ავტორისაგან**: თქვე ნაძირლებო! თოვლსა და ყინვაში ტყე-ტყე ყინვაში ავტომატით დავრბოდი, სამშობლოს ვიცავდი, რათა გადამთიელები თქვენი მშობლების და ცოლშვილის საწოლში არ შემძვრალიყვნენ უცხოელი გადამთიელები!!!

ყოველთვის მაქებდა. უკვე ერთი კვირაა არ გამიპარსია წვერი, არ დამიბანია, 16 იანვარია, საერთო ხელმძღვანელი გენერალი გივი კვანტალიანია, მისი თანაშემწე პოლკოვნიკი ჯიმი სხირტლაძე და ანზორ ალაშვილი... ღამის 18:00 საათი, ზამთრის სეზონი, მშრალად თოვს, ე.წ. „ძველ ხიდთან“ 50 მეტრის დაცილებით პოსტზე ვდგევართ, გვენეტაძე, თვაური, ჩიკვილაძე, ბაბუაძე. ლეჟავა, ჩომახიძე, ჩობანიანი, თემურ ჯღამაძე. ისმის გამაყრუებელი აფეთქების ხმა, რაციაზე მეგრულ-ქართულად ისმის განკარგულება, შტაბში იხმობენ ხელმძღვანელებს. დგინდება ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქებულების ვინაობა, თბილისის მილიციის თანამშრომლები: ჭიპაშვილი, ქირია, დოლიძე. გვავალებენ მიმდებარე ტერიტორია დავათვალიეროთ, ბნელა ერთ-ერთ ჩემს მეწყვილეს „ღამის ხედვის“ აპარატი აქვს, ლიახვის პირას ყინულის უბე, რომელიც ვერ შევამჩნიე სიბნელის გამო, ჩამიტყდა, წელამდე ყინულიან წყალში ჩავარდი, გამოვბრუნდი უკან, ერთ-ერთ შენობაში, ფარულად შუა ცეცხლი აქვთ დანთებული ოქტომბრის რაიონის მილიცია, ვშრები მილიციელ ჰამლეტ ტოტოშვილის დახმარებით, რომელიც „დინამო“-ში ჩემი თანაგუნდელი იყო.

ძველ ობკომის შენობაში მოვიდა ჯიმი სხირტლაძე, მასთან ერთად ანზორ ალაშვილი, საგუშაგოებზე სხვები გააგზავნა, მე, ჩომახიძე, გვენეტაძე, ლეჟავა, მწარიაშვილი შოთა, მე ახალი შეცვლილი ვარ საგუშაგოზე, გავყევი მათ. ხელმძღვანელები დანიშნულების ადგილამდე არაფერს გვეუბნებიან. ჩვენ ცნობისმოყვარეობით შევცქერით. ჩერდებიან ერთ-ერთ კერძო საცხოვრებელ სახლთან, ეზოში კავკასიური ნაგაზი ყეფს, ერთ-ერთი თანამშრომელი ძაღლს ლიკვიდაციას უკეთებს, მისი სამბული დიდი ზომისაა, ცელოფანში, ტომრებში ჩაწყობილია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები და ტყვია წამალი. ანზორ ალაშვილმა ღრმად თავი შესწია სამბულში, ჭერზე დამაგრებული ცელოფანის პატარა ზომის პარკია, შიგ რუსული

1991 წლის 16 იანვარს საღამოს 18:00 საათზე „სამაჩაბლო“ ქ. ცხინვალი „ძველ ხიდზე“, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა - დოლიძე, ჭიპაშვილი და ქირია. ჭიპაშვილი და ქირია გარდაიცვალა.

რუბლი და მობინადრეების სიობრივი მონაცემები, დახმარება ტყვია წამლის შესაძენად, ეზოში უნომრო ორი მსუბუქი მანქანაა, ახალ მდგომარეობაში, ოჯახის უფროსი ოსი ეროვნებისაა, სამწუხაროდ დედა ქართველი, ქართული ძუძუთი აღზრდილი, ჩოხელი აღმოჩნდა...

## იანვარი 1994 წელი

ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი ვარ, ახალი დაბინდებულია. ჯერ თანამშრომლები არ გასულა შემოვლაზე, მშრალი თოვაა, კიდევ თოვს, აკ. წერეთლსი გამზ. #113-ში, მილიციის სამორიგეოში შემოვიდა მოქალაქე ბუდუ ჭიჭინაძე, აღელვებული, რომელმაც გადმოქვცა, დააყაჩაღეს სამმა ავტომატური იარაღით შეიარაღებულმა ახალგაზრდებმა, საკუთარ მოსკვიჩს სეკრეტი ჩაურთო და გადმოვიდა, შემოსასვლელ კარებთან ვდგავარ, მილიციის მოპირდაპირედ ჩაგვიარა აღნიშნულებმა გატაცებული წითელი ფერის მოსკვიჩით, ორნი აწვებიან, ერთი საჭესთან ზის, მე სწრაფად ვაცხადებ იარაღები მიიღონ, პასუხისმგებელ მორიგეს ვალიკო ადეიშვილს მივუთითე, ნომრების ჩაწერის დრო არ იყო, სიობრივი მონაცემები გაეკეთებინა ვინც ავტომატურ იარაღს მიიღებდა, ბოლოს იარაღი მიიღო ნუგზარ თვაურმა, მის შემდეგ მეც ავიღე ავტომატური იარაღი გავედი შენობის წინ აღარავინ დამხვდა, ყველა საცხოვრებელი კორპუსის ზემოდან გაქცეულან, მე სამტრედიის ქუჩის კუთხეში მივედი თუ არა გამოფენის შესასვლელთან დაიწყო ორმხრივი სროლები, მესმის შეძახილები პოლიციის თანამშრომლები ვართ. ჩემსკენ მორბის ავტომატური იარაღის სროლით ერთ-ერთი მათგანი, ჩამოვეფარე ტროლეიბუსის ბოძს, ისე დაბნეული იყო, ვერ მამჩნევდა, უკან მივახტი, წავართვი ავტომატი, წავაქციე ძირს, მყავს დაკავებული, პოლიციის განყოფილების წინ მდგომს პოლიციის  თანამშრომლები წამომეშველენ... ერთი ლიკვიდირებული იქნა, მეორე დაჭრილი, ხოლო მესამეს სიცოცხლე მე შევუნარჩუნე.

## მაისი 1999 წელი

ჩემს სამუშაო ოთახში, საცხოვრებელი კორპუსის I-ლ სართულზე, სადაც განთავსებული იყო პოლიციის შენობა, უკანა მხრიდან, ჩატეხილ სარკმლიდან მერცხალმა შემოაღწია. ე.წ. „ჩულანში“, რომელიც ჩემს კაბინეტს ემიჯნებოდა, - ბუდე გაიკეთა. ანაგვიანებდა იატაკს, რაზედაც დამლაგებლის შენიშვნაც კი მივიღე. პოლიციის უფროსის მოადგილეს ფელიქს ძიმისტარაშვილს რომ შევეკითხე, გამიმარტა, რომელიც ადრე სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობდა, მიპასუხა, ციხეებში და ადმინისტრაციულ ძალოვან სისტემაში მერცხალი ბუდეს იშვიათად იკეთებსო, ეს რაღაც ბედნიერების მომტანი უნდა იყვესო, ამიხსნა მან... იმავე დროს „ელიავას“ ბაზრის დამფუძნებელმა და გენერალურ დირექტორმა ღუღუნი ანდრიაძემ შემომთავაზა სარემონტო სამუშაოები ჩემს ოთახში, რომელიც თანადაფინანსებით ჩაატარებდა სარემონტო სამუშაოებს...

პოლიციის თანამშრომლებმა მერცხალს ბუდე არ დავუნგრიეთ, ბარტყების გაზრდა ვაცალეთ და თბილ ქვეყნებში გავისტუმრეთ დაზამთრებამდე...

## თებერვალი 2003 წელი

გადავდივარ სამოქალაქო სექტორში, როგორც ავტოსადგურ დიდუბის ხელმძღვანელობა, ვანო ჭოლაძე და რამაზ თავაძე მთავაზობენ ე.წ. დაცვის უფროსის თანამდებობას, ვთანხმდები, ჩავუდექი ხელმძღვანელად ათკაციან სამსახურს, გადავამოწმე საინფორმაციო ცენტრში, ზოგი ნასამართლები აღმოჩნდა, ზოგი ნარკომანი, მუშაობა გავაგრძელე, სუფთა „ხალხთან“. . .

## მარტი 2009 წელი

სამუშაო ოთახში ვარ, დილის 11 საათია, ვეცნობი პრესას საგაზეთო სტატიებიდან, შემოვიდა დირექტორის მოადგილე ბატონი შოთა ლომიძე, მატყობინებს - მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში ახალგაზრდა ბიჭი არ ემორჩილება, მზესუმზირას ჯამს და ნარჩენებს

ახალ მოწმენდილ იატაკზე ყრის. მე ვთანხმდები, რამოდენიმე წუთის შემდეგ გავალ, კვლავ შემობრუნდა, მთხოვს გავყვე და ჩემთან ერთად მივუთითო. სკამზე ზის ახალგაზრდა ბიჭი, მიირთმევს მზესუმზირას, ნარჩენებს ყრის ძირს, ვაძლევ შენიშვნას, შეეწყვიტა დანაგვიანება ან გასულიყო გარეთ და იქ გაეგრძელებინა ჭამა. მიუხედავად მითითებისა, კვლავ განაგრძობს ჭამას, იქცევა გამომწვევად და ცინიკურად, რეაგირებას არ აკეთებს. ვპასუხობ შოთა ლომიძეს, - უზრდელია, დაანებე თავი და შემოვტრიალდი. უკნიდან მომაძახა, - მე პოლიციის თანამშრომელი ვარ! რატომ მიბედავო! შევბრუნდი კვლავ მისკენ, გავესაუბრე.

აღმოჩნდა რიგითი პოლიციელი ვაჟა ქიტესაშვილი, - დიდუბე ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომელი... „ბედაურები გადაშენდნენ, ვირებს დარჩათ მოედანი“.

**19 ივლისი კვირა, 2009 წელი**

**„დაწყევლილი თაობის შვილები“**

**(რვა საათი ნაძირლების გარემოცვაში)**

ქართული სიტყვა ნაძრილები უფრო ნაზია, რუსულად უფრო კარგად ჟღერს. „პადონკი“ არქიმანდრიტი ანთიმოზი (თამაზ ბიჩინაშვილი) გაზ. „ალია“, N186, 9/XII-2015წ.)

...ახლა რასაც გიამბობთ, არც სამეგრელოში დაწერილა სცენარი ან კინოფილმ „რეკორდის“ გადაღება, ეს სცენარის გარეშე მოხდა ქ. თბილისში, სააქციო საზოგადოება „დიდუბის ავტოვაგზლის“ ტერიტორიაზე, დიდუბის რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების პოლიციის თანამშრომლების მიერ, უფროს გივი ბჟალავას ხელმძღვანელობით. სამეგრელოში მილიციის თანამშრომლები ხალხს ქვებს ასროლინებდნენ, აქ კი ტაბელური, ცეცხლსასროლი იარაღი გაისროლა საზოგადოების თავშეყრის ადგილზე, ქალებისა და ბავშვების თანდასწრებით, რომელსაც ეს

სამსახურებრივი უფლებამოვალეობის გადამეტება შერჩა, „ხახვივით“ გამეფებულ განუკითხაობის დროს.

2009 წლის 19 ივლისს, კვირა დღით, ჩვეულებრივ გამოვცხადდი სამსახურში, იმ დროს დაცვის უფროსის მოვალეობას ვასრულებდი. მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში, კერძოდ ჭერის აკვრა. დაახლოებით 12:00 საათზე მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში შემოვარდა ერთ-ერთი დაცვის თანამშრომელი გიორგი შონია, ცხვირიდან სისხლი სდიოდა. სანამ შევეკითხებოდი, თვითონ სწრაფად მიხსნის, - ეზოში მოძრაობის საწინააღმდეგო მხრიდან შემოვიდა ორი მსუბუქი ავტომანქანა, არ დამემორჩილდნენ, ავუხსენი სადგურის უკანა მხრიდან შემოსულიყვნენ. ერთმა მანქანიდან გადმოსულმა გამარტყა ხელი, მეორემ იარაღი ამოიღო და გაისროლა, მესამე დისპეჩერ მარლენ რეხვიაშვილს სცემს და იძულებით სვავენ მანქანაშიო... მე ადგილზევე ჩემი მობილური ტელეფონიდან, ჯერ საპატრულო პოლიციაში დავრეკე, შემდეგ დიდუბის პოლიციის მე-2 განყოფილების სამორიგეო ნაწილში, ორივეზე დაკავებას იძლეოდა, თან მივყვებოდი უკან, მითითებულ ადგილზე. მისვლისას შეკრებილი ხალხი დავინახე, მათ შუაგულში დისპეჩერი მარლენ რეხვიაშვილი, რომელსაც ახალგაზრდა ბიჭები ექაჩებოდნენ, ძალით სვავდნენ მანქანაში. დამინახა თუ არა, დისპეჩერმა მარლენ რეხვიაშვილმა, ჩემი იმედი მიეცა, პანიკაში ჩავარდნილს, გადმოუხტათ მათ მანქანიდან და შევარდა იქვე განთავსებულ სასაუზმეში. გამოიყვანეს ძალით. მე მას რამოდენიმეჯერ დავუყვირე, - დაემორჩილე!!!. ერთ ერთ მათგანს ხელში იარაღი ეჭირა. შეკრებილ ხალხს რომ შევეკითხე ვინ არიან, ერთ ერთმა მათგანმა მიპასუხაა, -პოლიციის თანამშრომლები ყოფილანო. იარაღიანი ბიჭი პოლიციის უფროსი გივი ბჟალავა არისო. ჩასვეს მანქანაში, გაიყვანეს ეზოდან. შემოვედი სამუშაო ოთახში, რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ მომიცვივდნენ მძღოლები, დისპეჩერები, მოლარეები, მათთან ერთად გენერალური დირექტორი რამაზ თავაძე. თქვენს დაცვის

თანამშრომელს დაეხმარა, რა ზომებს ღებულობთ?, პრეტენზიულად წარსდგნენ ჩემს წინაშე.

გავედი სადგურის ტერიტორიაზე, დავაპირე პოლიციის განყოფილებაში წასვლა, წინ შემომხვდა პოლიციის რიგითი თანამშრომლები თეიმურაზ მუმლაძე და ვაჟა ქიტესაშვილი. მუმლაძეს რომ შევეკითხე, მან უზრდელად და უხეშად მიპასუხა, რატომ არ შემოუშვეს პოლიციის თანამშრომლები?!... მასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა, შეიძლება ძველი ნაწყენობის გამო ბოღმა ჰქონდა, მე ტერიტორიაზე იმ პოლიციის თანამშრომლებს არ ვუშვებდი, ვინც იმ დროს შემჩნეული მყავდა ე.წ. „ჯიბის ქურდებთან“ კავშირში და ურთიერთობაში, რომელიც იცოდა ქალაქ  თბილისის გარნიზონის პოლიციის ყველა თანამშრომელმა და მერიდებოდნენ... შემოვტრიალდი, წინ რიგითი პოლიციელი ვაჟა ქიტესაშვილი შემომხვდა, - თქვენი დრო წასულიაო! აიწია რაღაც გაურკვეველი ჟესტით საზაფხულო „მაიჩნი სვიტრი“ ორივე იდაყვების დახმარებით, გამოაჩინა შიშველი მკერდი, ჯერ მის ახალგაზრდა მკერდზე თმები არ შემიმჩნევია, კიდევ კარგი, გადავრჩი, შარვალი არ ჩაუწევია... მე არც ამისთვის მიწყენებია, წინა დღეებში მხოლოდ მზესუმზირის ჭამისა და იატაკზე დანაგვიანებისათვის მივეცი შენიშვნა. თქვე კაი დედმამიშვილებო! ჩაიცვით პოლიციის ფორმა და ისე მაინც იხულიგნეთ, ხალხი გაიგებს და მოგერიდებათ!... დღეის მდგომარეობით, „გადახრებისათვის“ პოლიციის სისტემიდან გაშვებულია... შემოვედი ისევ სამუშაო ოთახში, დავაპირე პოლიციის სამორიგეო ნაწილში დარეკვა, კარების ზღურბლზე მოვიდა თეიმურაზ მუმლაძე, მას ახლდა ვაჟა ქიტესაშვილი და უცნობი პოლიციის თანამშრომლები, - „გრუპაზახვატა“, სიტყვიერად გადმომცა, პოლიციის განყოფილებაში მიბარებდა ბატონი გივი ბჟალავა. გავიფიქრე, შემეკითხება, თუ როგორ ხასიათდება ჩვენი დისპეჩერი მარლენ რეხვიაშვილი, წარმოდგენა არ მქონდა ასეთ შანტაჟს თუ მომიწყობდა და გაბედავდა ეს ნაძირალა, -„ქუჩის ბიჭი“... ნეტავ ქართული სისხლი და გენი გაქვს?! მე მგონი ქართველი კაცი ისე არ მოიქცეოდა და

საერთოდ; - „ქართული ღირებულებები” არ გაგაჩნიათ!... გასასვლელ კარებში ჩემი დაცვის თანამშრომელი გიორგი შონია აღარ დამხვდა, „პროვინციელ“ რაიონიდან სამუშაოდ ჩამოსულ ბიჭს, შეშინებულს, მიუტოვებია სამგზავრო ავტობუსების გასასვლელი კარები. წინ შემოგხვდა სპეცმანქანა, - „ლუდი ნატახტარი”, შემობრუნდა წინ მჯდომი თეიმურაზ მუმლაძე, ყვირილით მელაპარაკება პოლიციის პოლკოვნიკს, - ეს მანქანა რატომ შემოუშვა დაცვის თანამშრომელმაო?!. აი როგორი ნაძირალა დავტოვე პოლიციის რიგებში და სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მივეცი თავის დროზე. ბატონო თეიმურაზი რეგალიებაყრილს მომერია. მე კი სულ სხვა დამოკიდებულება მქონდა თადარიგის პოლიციის თანამშრომლებთან და პენსიონერებთან მიმიყვანეს „ხულიგანი პოლკოვნიკი“ პოლიციის იმ განყოფილებაში, იმ სისტემაში, იმ ყოფილ ხელქვეითებთან, სადაც სამი ათეული წლის მანძილზე, უშუალოდ იმ უბანს, თორმეტი წელი 1991 წლიდან 2003 წლამდე ვემსახურებოდი, სადაც „ხულიგნობა ამკიდეს” არაკაცებმა. – სისხლით, ოფლით, დაძაბულ პერიოდში და განუკითხაობაში საზოგადოებრივ წესრიგს და იარაღით შეტაკება მიხდებოდა თვითმარქვია, - „გვარდიელებთან“, „მხედრიონელებთან”, „საძმოებთან” და „დამნაშავე სამყაროსთან”... შემიყვანეს ბატონ გივი ბჟალავას სამუშაო კაბინეტში. ჩემზე დაბოღმილი, დამბეზღებლები და რეკომენდაციის მიმცემი რიგითი პოლიციელები თეიმურაზ მუმლაძე (ამჟამად გლდანი-ნაძალადევის მე-9 განყოფილებით თანამშრომელი) და ვაჟა ქიტესაშვილი გაუჩინარდნენ. ამასაც ადმინისტრაციული ოქმი შეუდგინეთ!, ბრძანების კილოთი მიმართა ჩემთვის უცნობ პოლიციის თანამშრომელს, რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა ინსპექტორ-გამომძიებელი ზვიად ვერულაშვილი. გამიყვანეს ე.წ. სამუშაო დარბაზში, სადაც კუთხეში ნაცემი მათი მამის ტოლი, ხელზე ბორკილდადებული დისპეჩერი მარლენ რეხვიაშვილი დამხვდა. მე როგორც თადარიგის პოლიციის პოლკოვნიკი ხელზე ბორკილი არ დაუმაგრებიათ შეღავათი გამიწიეს... დამსვეს საწერ მაგიდასთან, მოპირდაპირე მხარეს მჯდომმა ზვიად ველურაშვილმა მთხოვა,

გამომერთო ჩემი კუთვნილი მობილური ტელეფონი. პირველი მისი კითხვა იყო, -„დონი ბიძია, რამდენი კაცი გეყოლებათ პოლიციაში, მუშაობის დროს გაფუჭებული?!“, ამ კითხვას არ მოველოდი თქვენგან, ჩემო პატარა შვილო, ჩემზე ლეგენდები დადიოდა და დადის, მოქალაქეებთან და დამნაშავე პირებთან წინააღმდეგ ბრძოლისას როგორ ვექცეოდით. მიუხედავად გათვალისწინებული პოლიციის კანონებისა და უფლებებისა, ზოგისთვის იარაღი არ მისვრია. ზოგ დაჭრილს ჩემს სისხლს ვუსხამდი, რათა გადამერჩინა. ჩვენ ხომ თბილისის კოლორიტ, ლეგენდალური პოლიციის გენერალ, რომან გვენცაძის საგმირო საქმეების მაგალითით ვიზრდებოდით. თქვენ კი ჩემო პატარა კოლეგა, - დაკავებულ პირს ერთლარიანი ბრელოკი მოპარეთ, წარწერით, - „ზვიადი“. გენერალუღი ინსპექციის მიერ შემოწმებისას, საწერ მაგიდის ქვეშ გადამალვა მოასწარით. მე კი დამნაშავე სამყაროს სიცოცხლეს ვუნარჩუნებდი, მხოლოდ, თავის დანაშაულზე, ცოცხალ მდგომარეობაში პასუხს ვაგებინებდი, რაზედაც ჩემს პირად საქმეშია აღნიშნული. დაინტერესებულმა პირებმა კადრების განყოფილების არქივს მიმართოს... „ნაციონალების“ დროს თავიანთი დამცველი პოლიციის თანამშრომლებს საგანგებოდ და საჯაროდ არ სჯიდნენ, ციხესა და პასუხისმგებლობას გადაურჩით!, მხოლოდ სამოქალაქო სექტორში გადაგაბრძანეს... რომ არ იცით შვილო!, ვინ დგას თქვენს წინაშე, უნდა დაუფიქრდეთ, მაგრამ მთლად თქვენი ბრალი არ იყო, წინა პრეზიდენტმა აკადემიკოსები და პროფესორ-მასწავლებლები „ჩარეცხილების“ ნუსხაში შეიტანა, თქვენც იმ იდეოლოგიის წნეხის ქვეშ მოექეცით. დაიწამლებოდით... შეავსო ადმინისტრაციული ოქმი და მეუბნება, - „ეს ერთჯერადი მოხმარების საგანი“, ხელი მომიწერე, რომ თქვენ წინააღმდეგობა გაუწიეთ პოლიციის თანამშრომლებს და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდითო! რომელმაც მოსამართლეს ამ ნამირალამ სხდომის დარბაზში ეს ჩვენებაშიც მისცა. შემდეგ გამოიძახეს საპატრულო პოლიციიდან თანამშრომლები, -დიდუბის რაიონის IV ოცეულის პატრულ-ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი ლევან ჩართოლანი (სვანები

მეგობრები მყავდა და მყავს, ვაჟკაცი ბიჭები არიან) ადგილზევე მამოწმებს სიმთვრალე-სიფხიზლეზე, სამჯერ ჩამაბერინა, - „აწითლებს აპარატიო”!, სამივეჯერ მპასუხობს, - ნასვამი ხარო!, უსირცხვილოდ მელაპარაკებოდა, აპარატი წითლდებოდა, მისი ლოყები და „მორდა“, არ წითლდებოდა ამ უმსგავსოების გამო. ბოლოს ეყო ნამუსი, აპარატი შეცდომას უშვებსო. დღის პირველ საათზე ნასვამი გამოვყავდი, - ფხიზელი ყოფილხარო. ჩემთან ერთად უკეთესი იყო პოლიციის უფროსი გივი ბჟალავა შეემოწმებინათ რამდენიმე ტესტზე, ისეთ „ტრიუკებს” აკეთებდა, ახალი გამოსული გეგონებოდათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან... ვაი ჩვენს პატრონს და საერთოდ საქართველოს შს სამინისტროს პოლიციის კადრებს, დამსახურებულ, თადარიგის კადრს ასე რომ ექცეოდნენ და გივი ბჟალავას ტრიუმფალური სვლებით აწინაურებდნენ რომელსაც „ქართული ღირებულებები“ არ გააჩნია... განმეორებით ერთხელ კიდევ შემომთავაზა ზვიად ვერულაშვილმა, ხელი მომეწერა ადმინისტრაციულ ოქმზე. ჩვენს კამათს შემოესწრნენ ქალბატონი პოლიციის თანამშრომლები, - ლანჩავა და მარშავა, ჭკუის დარიგება დამიწყეს შვილის ტოლა გოგონებმა, - პოლიციის პოლკოვნიკს, სპორტის, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანს, ავღანეთისა და სხვა ომების მონაწილე მეომართა პრესსამსახურის ხელმძღვანელს, გაზეთ - „თაობიდან თაობამდე“-ს რედაქტორს, ს.ს.რ.კ.-ის სპორტის ოსტატს ჭიდაობა, - „სამბოში“, რამდენიმე წიგნის ავტორს, საგვარეულოს წინამძღვარსა და ფონდის თავმჯდომარეს, - „დამსახურებული პოლიციელის“ მედლის და სამგზის მედლის კავალერს, - „უმწიკლო სამსახურისათვის“... ვზივარ და ველოდები მათ განკარგულებას. ჩემი ყოფილი ხელქვეითი ზვიად ბერიაშვილი პასუხისმგებელი მორიგეა, მორიდებით კედელს ეფარება, მემალება, რა ქნას კოლეგიალობა მათთან იმ დროს ხომ არ არსებობდა, ასეთი ატმოსფერო სუფევდა. ხოლო თორნიკე ლომთაძეს და ვანო ფიროსმანაშვილს საერთოდ პოლიციის განყოფილება დაეტოვებინათ და მასთან ერთად ნაცნობი პოლიციის თანამშრომლები სამორიგეოს ტელეფონით აკონტროლებდნენ როდის გამიყვანდნენ პოლიციის

განყოფილებიდან სასამართლოში. ვზივარ საწერ მაგიდასთან, ჩემს თავს კითხვებს ვუსვამ, - რა დავაშავე და რა დავუშავე ახალბედა პოლიციის უფროსს ბატონ გივი ბჟალავას?, რომელსაც არც მე ვიცნობდი და არც ის მიცნობდა?, ჩემს წინააღმდეგ რომ ყველა პოლიციის თანამშრომელი ჩართო და ყველა ბინძური მეთოდი გამოიყენა... დაგერეკათ „თქვე დედა აფეთქებულებო!!!“, სათითაოდ ბეჭზე მოგიკიდებდით და ისე შემოგათრევდით ტერიტორიაზე თქვენ ხომ ფეხით სიარული არ გეკადრებათ... შემოდის დიღმის მასივში მდებარე პოლიციიდან, პოლიციის პოლკოვნიკი გოდერძი „ჩურჩხელა“ გუგეშაშვილი, ვეამბორებით, კითხვას ვუსვამ ჩემს თავს, რა პასუხი გავცე?... დაკავებულ დისპეჩერს გულშევმატკივრობ, ვპასუხობ, მომერიდა წლების განმავლობაში, ამ ბავშვებს სანამ მშობლები გააჩენდნენ „ქართული ღირებულებების“ მოსაწამლად, როგორ ვექცეოდით „უფროს თაობას“, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს გაერთიანებული კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, თადარიგში გასულ, პენსიონერ თანამშრომლებს დაბადების წელი, თვე და რიცხვი ჩანიშნული მქონდა, ხელფასზე შემლებისდაგვარად პირადი შემადგენლობა თანხას ვაგროვებდით, სუვენირებსა და საჩუქრებს ვიძენდით და გაფართოებულ ოპერატიულ თათბირზე გადავცემდით „ახალბედა მილიციის” თანამშრომლების თანდასწრებით, მე კი 400 ლარიანი „პრემია“ გამომიწერეს და დამასაჩუქრეს...

საღამოს 18:00 საათია, ნელნელა შემოდიან ჩემთვის უცნობი პოლიციის თანამშრომლები, ნაცნობები სამორიგეო ნაწილის ტელეფონით კვლავ აკონტროლებენ, ერთმანეთის ჩაშვების ეშინიათ, კოლეგიალობა ხომ იმ დროს ნულის ტოლი იყო (კოლორიტ პოლიციელ პოლკოვნიკ ჯიმი სხირტლაძის გულის ტკივილი ჟურნალისტთან საუბრისას). პოლიციის პოლკოვნიკის სდევნაში და შანტაჟის მოწყობაში ჩართულ ახალბედა პოლიციის უფროს გივი ბჟალავას სამტრედიის ქუჩის კორპუსები ოპერატიული თვალსაზრისით გადაუხურავი დარჩა, დღისით მზისით ახალგაზრდა გოგონა -

შაყულაშვილი თავისივე საცხოვრებელი ბინის სადარბაზოსთან დაუყაჩაღეს. ეხლა იქედან შემოვარდა „გაბოროტებული ჩეკისტი“, რომელმაც პოლიციის გასასვლელ კარებში, ჩვენი გაყვანის დროს, ზვიად ვერულაშვილსა და ირაკლი შენგელიას დაუყვირა, - „მოსამართლეს გადაეცით!!!, ორთავე გაჭედოსო!!!“. რათა შვილო, რათა, რა დაგიშავე?!... ჩაგვსვეს მანქანაში, გზადაგზა ქალაქურ სიმღერებს გვასმენინებდნენ სასამართლომდე, ვთხოვე ჩაეწიათ ან საერთოდ გამოერთოთ. ამაში ცუდი კი არაფერია, მაგრამ მაშინ დავრწმუნდი - „დამრიგებლობის ინსტიტუტი“ და კოლეგიალობა იმ სისტემამ როგორი ნულსტოლი გახადა?, როგორი კოლორიტულ მილიციისა და პოლიციის თანამშრომლებთან მიმსახურია?, მათზე ხომ წიგნი დავწერე და გამოვეცი? და ამჟამად წიგნს ვამზადებ, გარდაცვლილ თანამშრომლებზე, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობდნენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ჩემთან ერთად იბრძოდნენ, სპორტულ შეჯიბრებზე ერთად გამოვდიოდით, რომ ისტორიამ შეინახოს მათი გმირობა და ვაჟკაცობა. ხოლო ეს ორივეს ერთობლიობა ღირსების ერთადერთი სამოსია, რომელსაც ვერავინ გაგხდის!!!

ერთი საათი მოსამართლეს ველოდეთ, მობრძანდა, - „მოსამართლე გამოძახებით“, როგორც შემდგომში ცნობილი გახდა, - გიორგი ტყავაძე, ამჟამად მცხეთის რაიონის „წმინდა მიწაზე” მოსიარულე მოსამართლე. შემოვიდა სხდომათა დარბაზში „მანტია მოსხმული”, არც კი დაინტერესებულა ვინ ვიყავი, - პოლიციის პოლკოვნიკი, ნარკომანი, ლოთი თუ ქუჩის ბიჭი. მიუხედავად ჩემი ახსნა-განმარტებებისა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოეძახებინა კონპეტენტური პირები და იქვე პასუხისგებაში მიეცა ცრუმოწმეები, ხუთ წუთში გამოიტანა გადაწყვეტილება, მე და დისპეჩერ მარლენ რეხვიაშვილი, ფასიანი უნივერსიტეტის ორი სტუდენტი შვილის მამა, ხოლო იმ დროისათვის მიზერული პენსიის მიმღები, დაგვაჯარიმა 400-400 ლარის ოდენობით, აუნაზღაურებელი მორალური შეურაცჰყოფით, რომელიც წლების განმავლობაში ვერ

მოვიცილე შინაგანად, ჯანმრთელობა განახევრებულმა (იხილეთ გვერდი #....). ადმინისტრაციულ ოქმში მინიშნებული აქვს, - თითქოს დანაშაული ნაწილობრივ ვაღიარე. ბატონო მოსამართლე, - „გიორგი ტყავაძე!!!“, ტრაფარეტული შაბნოლური ოქმის ნიმუშები მაინც შეცვალე, ყველაზე არ გამოგადგება, მითუმეტეს თუ თქვენ წინაშე, დამსახურებულ პოლიციის პოლკოვნიკს მოიყვანენ. ტრაფარეტულ ადმინისტრაციულ ოქმებს შეცვლა სჭირდება, განათლებასთან და კაცობასთან ერთად, რომელსაც ვერც „სუპერმარკეტში“ შეიძენთ და არც „სახადით“ აიკიდებ, - ეს გენებიდან და ოჯახიდან მოდის!!!... (იხილეთ გვერდი #... გაზეთ „ქრონიკა“-ის გიორგი ტყავაძეზე საგაზეთო სტატიიდან).

ნახევრად ღია კარებში, სასამართლოს სხდომის დარბაზში თავი შემოყო ლევან ჩართოლანის მეწყვილემ, პატრულ-ინსპექტორმა, კედლის საათ, - „გუგულივით“ სამჯერ დაიყვირა, - „ესენი იგინებოდნენ!!!“... და გაეცალა კარებს, მოსამართლე არც დაინტერესებულა... იმ დღით „გოლგოთას” დღე გამითენეს ე.წ. „წესრიგის დამცველებმა“. მათ აღვირახსნილი მოქმედებისათვის პასუხი რომ არ მომეთხოვა, ყველა ბინძური მეთოდი გამოიყენეს, პოლიციის უფროსს გივი ბჟალავას არაკაცური, არაპროფესიული მოქმედების დასაფარავად. თქვე კაი დედმამიშვილებო, - სად, ვისთან უნდა მეჩივლა?, იმ დროს ჰაერში აგდებულ, უსამართლო დაკავებულ პირებს, ძირს დაუშვებლად რეზინის ხელკეტებითა და ბოთლებით აუპატიურებდნენ, რაზედაც ტელევიზიის საშუალებით იხილა ამაყმა, ტრადიციებზე აღზრდილმა საქართველოს მოსახლეობამ. არც დღევანდელი სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენლები არ შეწუხებულან, - „კოჰაბიტაციურ“ სიტუაციაში (იხილეთ განცხადებები და ჩიქორთული პასუხები #.... გვ ისე თუ ვინმეს დაწინაურება სურს ისან-სამგორის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ და შემდგომში ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის 1-ლი განყოფილების უფროსად, განუკითხაობამდე, ამაზე ნაკლებ

„ტრიუკებსა“ და ხულიგნობას არ უნდა აკეთებდეს. იური ვაზაგაშვილს აღარ დააცალეს, უფრო წინ წაგწევდა, დაგაწინაურებდა...

იმ ღამით მთელი დრო ფიქრში გავატარე, ველოდებოდი გათენებას და თავს კითხვებს ვუსვამდი, - როგორც ოთხმოციან წლებში გლდანის რაიონის ერთ ერთმა მობინადრემ ჩამოუარა და თითო ტყვია ჩამოურიგა, - მოსამართლეს, უბნის ინსპექტორსა და აღმასრულებელს, ის მეთოდი ხომ არ  გამოვიყენო?? მეორე დღეს იარაღი სანებართვო სისტემას ჩავაბარე ქავთარაძის ქუჩაზე, შემდეგ გამოვცხადდი „პლანაქეშ“ და „გამოფხიზლებულ“ გივი ბჟალავას საკუთარ, - „დუქან-პოლიციის“ განყოფილებაში. შევდივარ მის კაბინეტში, მხოლოდ ერთ კითხვას ვუსვამ, - რატომ შემარცხვინეს და რატომ შეირცხვინეს თავი პრიმიტიული აზროვნებით?, არაპროფესიონალური, არაკაცური მოქმედებით?... მხოლოდ მისი მოადგილე ბატონი ნოკოლოზ ჭელიძე აქტიურობდა. შარი მომდო, რატომ პოლიციის თანამშრომლების ტელეფონის ნომრები არ მქონდა აღნიშნული პირად ბლოკნოტში. ჩემო პატარა კოლეგა, - თადარიგის, პოლიციის პოლკოვნიკმა, პენსიონერმა, - ბატონო ნიკოლოზ!, - ხუთი ალბომი დაგიტოვეთ, მთელი „დამნაშავე სამყაროს“ პრიმიტიული ტექნიკური შეიარაღებით, მონაცემები ვაგროვე, სიმდიდრის გარდა... მე პოლიციის სისტემას და მაგ შენობას ჩემს მეორე ოჯახად აღვიქვამ. ოთხი ნარკომანის ფაქტი რომლებიც მთელ ჩემს დასაცავ ობიექტს წამლავდა, ორი ძებნილი, ერთი ნომრიანი ძებნილი თქვენი განყოფილებიდან გაპარული დაგიდგინეთ და დაგაკავებინეთ, გასალანძღავები რომ არ გალანძღულიყავით. ერთი ჯიბის ქურდი, რომელსაც ვერ ადგენდნენ, რაიონში მიმავალ მგზავრებს აწიოკებდა და ამწარებდნენ, რომლებსაც ისევ ნაძირალა პოლიციელები მფარველობდა, ერთი ჩემ მიერ კაცისმკვლელობაზე თხუთმეტი წლის წინ ძებნილი, თქვენს სააღრიცხვო ნუსხაში შევიტანე, მე რაღა ჯანდაბად მინდოდა... მიუხედავად ჩემდამი თქვენი და თქვენი ხელმძღვანელის მოქმედებისა, პოლიცია ჩემს მეორე ოჯახად რჩება და დარჩება. როგორც სოხუმელი კაცი, თქვენ ბავშვი რომ იყავით, მე თქვენს დაუძიენებლ მტრებს იარაღით დავზდევდი. ქალაქ სოხუმის დაცემამდე, რომელიც

ჩემს გამოცემულ წიგნში მაქვს ასახული, მოვეფეროთ, ჩავეხუტოთ ერთმანეთს, დრო ხომ კოსმოსური სიჩქარით გარბის? იქ წასაღებ მოპოვებულ ავტორიტეტთან ერთად, აქაც ხომ უნდა დარჩეს, ხალხმა რომ მოგიგონოს?... რომელი ავტორიტეტი და სამ ათეულ წელში მოპოვებული დაფასება, რვა საათის განმავლობაში წყალში ჩამიყარეთ! და ტალახი მესროლეთ კისრამდე. ეცადეთ, ეს ბინძური მეთოდები სხვა თადარიგის კადრთან არ გაიმეოროთ და ბუმერანგივით არ შემოგიბრუნდეს. ისე კარგია წაიკითხოთ ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებები, ფრანგ ვაჭრებთან გასაუბრება, სადაც პასუხობს, - აქ მწყემსები ყველა ფრანგულად ლაპარაკობსო. ავტორიტეტი აუმაღლა გაუნათლებელ მწყემსებს. მე ჯერ „ტრუპი“ არ ვარ, როდესაც უცხოსთან საუბრობ ბატონო ნიკოლოზ ჭელიძე, შენი კოლეგა არ უნდა გალანძღო... გარდაცვლილი პოლიციის თანამშრომლებზე საგაზეთო სტატიებში ნეკროლოგებს ვაქვეყნებ, ამჟამად გამზადებული მაქვს წიგნი პოლიციის კოლორიტ პიროვნებებზე, რომლებიც გამოირჩეოდნენ; - ადამიანობით, კაცობით, განათლებით და სიტყვაპასუხით. რომელთა ავტორიტეტი წლების შემდეგაც გაგრძელდება და მომავალ თაობებს გადაეცემა, - ეცადეთ თქვენც დააგროვეთ ასეთი სიმდიდრე, რომელსაც, - „ქართული ღირებულება“ ჰქვია...

## ივლისი 2010 წელი

დაახლოებით დღის 15:00 საათზე ჩემს მეგობარ დიმიტრი გოგობერიშვილთან ერთად ვდგევარ მეტრო „დიდუბის“ გამოსასვლელ გვირაბთან, გვიახლოვდება, _ ერთჯერადი მოხმარების საგანი, წვრილმანი ქურდობისათვის დათხოვნილი, _ პოლიციონერი - ზვიად ვერულაშვილი, ვიხმობ, მიახლოვდება, ვახსენებ მის მიერ არაკაცურ მოქმედებას იწყებს თავის მართლებას და ტირილის იმიტაციას... მეცოდებიან ასეთი არაკაცები“. თავს იმართლებს, ვპირებდი ყურის მოჭმას და ცალი ყურით გაშვებას, რაღაც შინაგანი ძალები მაჩერებს, გადავიფიქრე... ვუხსნი რომ სხვასთან მაინც არ გააკეთოს ასეთი არაკაცობა, ხალხური გამოთქმაა: - „უნამუსო კაცს ყურში შარდავდნენ,

პასუხი მარტივი ჰქონდა, „მაისის წვიმას რა სჯობიაო“, იმ დროს შენს გულში რომ ჩამეხედა, ნეტავ რა გრძნობა ჰქონდა... გამოუცდელმა ხალხური გამონათქვამი ვერ გაითვალისწინე, - „მთა მთას შეხვდება, და კაცი კაცს არ შეხვდებაო! - მაგრამ შენ კაცობა გაქვს? სწორედ მაგ ადგილზე პატიმრობიდან განთავისუფლებულმა ბენტურიმ იქვე მდგომ ყვავილების „ტელეშკიდან“ თაიგული გადმომცა, რომელიც ჩემს მიერ გამოცემულ წიგნშია ასახული...

## სექტემბერი 2010 წელი

სამუშაო ოთახში ვარ, მოვიდა უცნობი ქალბატონი პატარა გოგონასთან ერთად, გადმომცა ნაპოვნი დიდი ზომის კონვერტი, სიტვიერად განმიმარტა, უპოვნია ბაქანზე, მხოლოდ საოჯახო ფოტოებიაო, ამიხსნა, სოფლის მიკროავტობუსი ასწრებდა და სწრაფად წავიდა... გავხსენი ხელახლა კონვერტი, ამოვიღე ფოტოები, კუთხეში სალფეტკში გახვეული ოქროს ჯვარი დაახლოებით ათგრამინი იყო. რამოდენიმე ტელეფონის ნომრებია შიგთავს ქაღალდზე დაწერილი, ფოტოების მფლობელს მივაგენი, სამტრედიის ქუჩაზე მცხოვრები პაპასკირი. გამომახებულს ფოტოებიც გადავეცი და ათგრამიანი ოქროს ჯვარი... მადლობის მაგივრად ძველი დრო გამახსენა, „კაპეზეში“ გადამიყვანე სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის, მაგრამ ეს შენი ბრალი არ იყო, შენ ოპერატორი მორიგე იყავი და დაგავალესო.

## მარტი 2011 წელი

დღის 16:00 საათია, დიღმის მასივში „თიბისი ბანკიდან“ გამოვედი, რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ტროტუარზე შავი ფერის ლაპტნიკი აგდია, ავიღე, მობილური ტელეფონი, - „აიფონი“-ს სისტემის, დაახლოებით ხუთასლარიანი, თავისი ძვირფასი ჩასადებით, არ ვთიშავ, მირეკავენ დაინტერესებული პირები, ვპასუხობ, - ტელეფონი ნაპოვნია, ვაძლევ ჩემს მობილური ტელეფონის პირად ნომერს, რამოდენიმე საათის გასვლის შემდეგ ჩემს სამუშაო ოთახში

შემოვიდა მოქალაქე, _ „საქართველოს კინოლოგიის ფედერაციის პრეზიდენტი“... მადლობა დავიმსახურე, სამუშაო ოთახიდან გავიდა...

## 9 აპრილი 2011 წელი

დილის 08:00 საათია, ვემზადები სამსახურში წასასვლელად, მობილურზე ზარი შემოვიდა, რაიონიდან ჩემი ძმა მურმანი მიკავშირდება, - დედა გარდაიცვალა! ვტირი, განვიცდი, ჩემი მშრომელი, ექვსი შვილის აღმზრდელი დედიკო გარდაიცვალა, რომელმაც 16 წელი უსინათლო მეუღლეს და სამი წელი ლოგინად ჩავარდნილ დედამთილს სანიმუშოდ მოუარა, რომელიც რძლად ოჯახში 18-წლის იყო რომ შევიდა და ცხოვრება გააგრძელა სამ გაუთხოვარ მულთან და დედამთილთან ერთად... ჯერ გავრბივარ რუსთაველის გამზირზე, სანთლებს ვუნთებ ჩემთან ერთად 1989 წლის 9-აპრილს თანამებრძოლ დაღუპულ „საქართველოს გმირებს“, პარლამენტის შენობის წინ ობელინსკთან, იქედან მივდივარ რაიონში... დედა, ჩემი მშრომელი, მორწმუნე, ოჯახზე, შვილებზე თანგადაყოლილი დედა მკვდარი დამხვდა, რომელზეც მზრუნველობა და ამაგი შვილებს არ დაგვიკლია.

2001 წლის 15 ივნისს 80 წლის იუბილე გადავუხადეთ, დამკვრელებიც კი მყავდა. ვიდეო გადავიღეთ, რაზედაც პატარა ბავშვივით უხაროდა, ნათესავებთან ერთად როგორი ბედნიერი იყავი, უფრო შვილების, - ლუარას, გულინას, ინეზას, დონის, ნატოს და მურმანის ნაშიერთან ერთად. დედა! - ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როგორ ყვარებიხარ მეზობლებს, შენ ხომ მათი „უდიპლომო ექიმი“ იყავი, როგორ ტიროდნენ ასევე მეზობლის ბავშვები 90-წლის მოხუცებულს? შენ ხომ მათი მკურნალი იყავი? თბილისელი, ჩემი მეგობრები, თანამშრომლები გაკვირვებული მიყვებოდნენ და გადმომცემდნენ ყოველივე ამას. . .

## 5 აპრილი 2012 წელი

დღეს მე და ჩემმა ძმამ მურმანიმ, დედა წავიყვანეთ ქ. ქუთაისში ექიმთან, რადგან დასვენების დღე იყო, ბინაში მივედით მასთან, გულისყურით მოუსმინა და მოგვისმინა. დედა ეხვეწებოდა ექიმს, მხოლოდ ისეთი წამალი გამომიწერე, ორი თვე გამიხანგრძლივო სიცოცხლე, 15 ივნისს ჩემი დაბადების დღე ახლოვდება, 90 წლის ვხდები და აღდგომის დღეს მომასწარიო... ექიმმა მეორე ოთახში გამიყვანა, ნახევრად ხუმრობით და მომღიმარი სახით ჩუმად მითხრა, - სამოცი წლის მეუღლე რამოდენიმე თვის წინ გარდამეცვალა, ვერაფერი ვერ ვუშველეო, დედათქვენი კი 90 წლის სრულდებაო. მე, ჩემმა ძმამ, რძალმა და დედმამიშვილებმა ყველაფერი ვიღონეთ დედაჩემისათვის სიცოცხლე გაგვეხანგრძლივებინა.

მეორე დღეს დედას დავემშვიდობე, მაგრად ჩამიკრა გულში, მე ტირილი შევიკავე, ცუდად არ გამხდარიყო, ხოლო როცა მას გამოვემშვიდობე და ეზოდან გავედი, მთელი დღე ტიროდა, დონი აწი ცოცხალს ვეღარ მნახავსო... დილით 9-აპრილს დილის 8:00 საათზე ჩემი ძმა მურმანი მობილურ ტელეფონზე მიკავშირდება, - დედა ღამით გარდაიცვალაო... ჩემი მშრომელი, ექვსი შვილის აღმზრდელი დედა, მრავალი ჭირვარამის მნახველი, ვაჟკაცურად შეხვედრია სიკვდილს, რძალსა და ჩემს დებს სთხოვა, ჩემი ძმა ოთახიდან გასულიყო, მოითხოვა ზეწრის გადაფარება, რამდენიმე წამში მისი ნათელი სული მარადისობაში გადაბრძანებულა. . .

## 10 იანვარი 2013 წელი

...არ მიყვარს ჩემი დაბადების დღე, ეს იცის, ვინც ჩემი ხასიათი ბუნება და ჯოჯოხეთური წარსული იციან, მაგრამ მე ხომ ქრისტიანი მართლმადიდებელი ვარ? 10 იანვარს 60 წლის ვხდები, რომ არ ავღნიშნო არ შეიძლება რამდენჯერ დავუსვი კითხვა ჩემს თავს. თუ გავასაჯაროვო, სად ავღნიშნო? რესტორანში? შინ? _ ჩემს კოლექტივთან, რომლებმაც ძალოვანი, დამსჯელ ორგანოდან, სამოქალაქო სექტორში მიმიღეს და მენდვენ, ოჯახის წევრად მიმიღეს... საღამოს 17:00 საათია,

ძირითადი შუქი ჩაქვრა, იკრიბებიან ჩემი დედმამიშვილები, საგვარეულოს წარმომადგენლები, რაიონიდან მოწვეული სტუმრები, მეგობრები, თანამშრომლები, - „დიდუბის ავტოვაგზლის“ კაფეში, ვცდილობ სათადარიგო ხაზი ბაზრიდან გამოვჭიმო, აქტიურობს ჩემი თანამშრომელი და მეგობარი, - „შტუკის კაცი“, როლანდი გაბრიჩიძე, შუქი გააკეთა, ძირითადი ხაზიც ჩაირთო, ვნერვიულობ, - არ ვიმჩნევ, განწყობა არ შევუცვალო მოწვეულ სტუმრებს... სუფრას თამადობს ჩემი „სიყვარულის ადამიანი“, ბატონი ვანო ჭოლაძე, - „გიორგევიჩი“, რომელსაც თითოეული კოლექტივის წევრი მას სიყვარულით მივმართავთ უფროსის მაგივრად. ყველა მეფერება, წარსულს იხსენებენ, ზოგი ჩემს მიერ განვლილი გზის კურიოზებს ყვება, ცდილობენ ამ დღეს მომეფერონ, მეც ვაგრძნობინებ, რომ მათთან ვალში ვარ... ეხლა კიდევ ვრწმუნდები, - პოლიციელი მშრომელ ხალხს როგორ ვყვარებივარ... ვალში ვარ თქვენთან მეგობრებო და ჩემო ხელმძღვანელო, უფროსო ძმა და მეგობარო, - ვ ა ნ ო ჭ ო ლ ა ძ ე!..

## 3 თებერვალი 2015 წელი

„ავღანეთსა და სხვა ომების მეომართა დახმარების ფონდის“ პრეზიდენტმა გურამ ალავიძემ და ამავე ორგანიზაციის პრესსამსახურის უფროსმა, ჟურნალ „ვეტერანის“ რედაქტორმა და ჟურნალისტმა ზაირა მიქატაძემ 2015 წლის 3 თებერვალს დაბადების დღესთან დაკავშირებით ვიმყოფებოდით „სამაჩაბლოში“ მებრძოლ და „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე გმირულად დაღუპულ მფრინავ-პილოტ ჯიმშერ-ჯიმი დიმიტრის-ძე მაისურაძის საგვარეულო სასაფლაოზე, ლაგოდეხის რაიონი, სოფელ გიორგეთში. ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან, ვეტერან თანამებრძოლებთან ერთად გვირგვინით შევამკეთ როგორც რაიონის ცენტრში მისი ობელინსკი, ასევე საგვარეულო სასაფლაო, სადაც თავი მოიყარა, როგორც ოჯახის წევრებმა, ასევე ჯიმი მაისურაძის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა...

## 12 ივლისი 2015 წელი

ავღანეთსა სხვა ომების მეომართა დახმარების ფონდის პრეზიდენტმა გურამ ალავიძემ ამავე ორგანიზაციის პრესსამსახურის უფროსმა დომენტი ფანჩულიძემ, ჟურნალ „ვეტერანის“ მთავარმა რედაქტორმა და ჟურნალისტმა ზაირა მიქატაძემ, 2015 წლის 12 ივლისს დაბადების დღესთან დაკავშირებით ვიმყოფებოდით „აფხაზეთში“, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გმირულად დაღუპულ პირველ მსხვერპლ, პოლიციის მაიორ პაატა ნათენაძის საგვარეულო სასაფლაოზე, ახალციხის რაიონი სოფელ წნისში. ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან, ვეტერან მებრძოლებთან ერთად გვირგვინით შევამკეთ როგორც საგვარეულო სასაფლაო, ასევე ომში დაღუპულ მეომართა სკვერი.

## 4 ოქტომბერი 2015 წელი

...2015 წლის 4 ოქტომბერს „ავღანეთსა და სხვა მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის“ პრეზიდენტმა გურამ ალავიძემ, ამავე ფონდის პრესსამსახურის უფროსმა დონი ფანჩულიძემ, ავღანეთის მებრძოლმა ვეტერანმა მამუკა შუკაკიძემ, დუშეთის რაიონი სოფელ ოძიშში, „საზღვრის პირა“ სოფელში მოვინახულეთ, ავღანეთში 1984 წელს დაღუპულ „წითელი ვარსკვლავის“ პრეზიდიუმის საპატიო სიგელის და სამთავრობო მედლებით დაჯილდოებულ, გმირულად დაღუპულ ჯემალ ნავროზაშვილის მამის, 80 წლის „ჯარისკაცის მამა“ ვალიკო ნავროზაშვილის ოჯახი, რომელსაც გადავეცით ფასიანი საჩუქარი და სამახსოვრო წიგნი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომრებზე „ჯარისკაცის მამას“ ვუსურვეთ მხნეობა და ჯანმრთელობა. . .

# „ჩემი პირველი მასწავლებელი“

1961 წლის 1-ლ სექტემბერს მიმიყვანეს ტყიბულჰესის 8-წლიან სკოლაში, ამჟამად უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის, ძევრის საშუალო სკოლაა. პირველი დღეებიდან დამამახსოვრდა, რომ სკოლაში წამიყვანა ჩემმა დამ გულინამ, რომლის თანაკლასელმა, თავისი დაც ჩემთან ერთად შემოიყვანა საკლასო ოთახში. სანამ ზარი დაირეკებოდა, ადრე მივედით, მახსოვს ვენერა მეფარიძე და მე, როგორ გვქონდა ხელები ზურგსუკან დაწყობილი და მიყრდნობილი მერხის საზურგეს. ერთმანეთს შეპარვით და ცნობისმოყვარეობით მორცხვად ვუყურებდით. რამდენიმე წუთის შემდეგ ნელ-ნელა შემოდიოდნენ ჩვენი თანატოლი პირველკლასელი ბიჭუნები და გოგონები, რომლებიც მშობლებთან განშორების შემდეგ ტიროდნენ...

ჩემი პირველი მასწავლებელი იყო გალინა სოფრომაძე-აბულაძე, რომელიც ზემო ეწრიდან ფეხით დადიოდა. ამოყვებოდა მდინარე ძევრულას, გადმოდიოდა ე.წ. საცალფეხო „ბონდის ხიდზე“, მოვიდოდა თუ არა ასფალტირებულ გზაზე, იცვლიდა ფეხსაცმელს, რომელიც ორი ფეხსაცმლით დადიოდა, ერთ ტალახიანი გზისათვის, რომელსაც ჩანთით დაატარებდა.

გალინა მასწავლებელი მთელი ოთხი წლის მანძილზე პირველი კლასიდან მეოთხე კლასამდე გვასწავლიდა ყველა დაწყებით საგნებს, - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, სიმღერა, შრომა, ფიზ. აღზრდის საგანსაც... ძალიან თბილი, მოწესრიგებული და მაგალითის მომცემი იყო, თავიდან შვილი არ უჩნდებოდა, მიუხედავად, მზრუნველი დედასავით გვევლებოდა, დედაჩემის რჩევით მკურნალობა განაგრძო თბილისში ჩემს ნათლიასთან, მეან-გინეკოლოგთან ვასილ ვერულაშვილთან, შეეძინა ვაჟი, რის შემდეგ უფრო ყურადღებიანი და თავაზიანი იყო ჩემს მიმართ, მიუხედავად სიცელქის გამო. მისი მეუღლე შოთა აბულაძე ბიოლოგიისა და შრომის მასწავლებელი იყო, შესანიშნავი პიროვნებები იყვნენ, ღმერთმა გაანათლოთ.

რაც შეეხება შემდგომ კლასებს, როდესაც დაწყებითი განათლების შემდეგ მე-5 კლასში გადავედი მათემატიკის მასწავლებელი დალიდა ბუბაშვილი მზრუნველობას არ გვაკლებდა თითოეულ მათგანს, მიუხედავად მარტოობისა, დედასავით გვეპყრობოდა მოსწავლეებს. მათემატიკის საგანი მიჭირდა. სკოლის დამთავრების შემდეგ უსასყიდლოდ გვტოვებდა და დამატებით გვამეცადინებდა. ასეთი პიროვნებები ერთეულები იყვნენ იმ დროს.

1966 წელს მეექვსე კლასში მიმდინარეობდა გამოცდები მათემატიკაში, გამომყვა ე.წ. „საშემოდგომო“, სკოლის დაწყებამდე აგვისტოს თვეში განმეორებით უნდა გავსულიყავი გამოცდაზე, რაზედაც ოჯახთან ერთად განვიცდიდი. მშობლებმა ჩემი მომზადება გადაწყვიტეს ნადია მამიდის მეუღლესთან ქალაქ ქუთაისში მცხოვრებ ცნობილ მათემატიკის მასწავლებელ მანუელ ბარბაქაძესთან. განმეორებით გასვლისას გამოცდაზე მივიღე დამსახურებული ნიშანი: - „ოთხი“.

მამიდის მეუღლე უკეთილშობილესი პიროვნება იყო, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ნათესავების მიმართ, მათ სახლში გაიზარდა და აღიზარდა მრავალი სტუდენტი, რომელსაც კვებისა და ბინის ფულს არ ახდევინებდა. ასწავლიდა ქალაქ ქუთაისის N3-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი თამარ დახუნდარიძე). სკოლაში თუ აკადემიური მოსწრებით ჩამორჩებოდნენ, მაშინ ამზადებდა უსასყიდლოდ, წვიმიან ამინდში ქოლგით მიაცილებდა ტროლეიბუსის გაჩერებამდე. ბედნიერი ვიყავი, რომ მათ ყურადღების ქვეშ ვსწავლობდი ორი წელი ტექნიკურ სასწავლებელში, ხოლო ერთი წელი ვმუშაობდი ქუთაისის ტელევიზიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევამდე. ეს შესანიშნავი „აღმზრდელი პედაგოგები“ დაკრძალულნი არიან . ქუთაისში, - „საფიჩხიის სასაფლაოზე“.

## პაატა ნათენაძე - აფხაზეთის ომის პირველი მსხვერპლი

„დღის ოთხი საათი იქნებოდა. ოჩამჩირის სოფელ არადუში ვიმყოფებოდით. მოუმზადებლები ვიყავით, არ გვიფიქრია, რომ აფხაზები ჩაგვისაფრდებოდნენ. სნაიპერის ტყვია პაატას მოხვდა. მისი სიკვდილის შემდეგ ქაოსი შეიქმნა, აქედან დაიწყო აფხაზეთის ომი“, - ვიცე-პოლკოვნიკი დონი ფანჩულიძე.

27 წლის წინ, აფხაზეთის 13-თვიანი ომი მესხი მებრძოლის, პაატა ნათენაძის სიკვდილის შემდეგ დაიწყო. ის აფხაზეთში თავის დაქვემდებარებაში მყოფ 60 მებრძოლთან ერთად, 13 აგვისტოს გაუშვეს. მათი მთავარი მიზანი სტრატეგიული ობიექტებისა და რკინიგზის დაცვა იყო.

„პაატას კრიმინალური პოლიციის უფროსმა ბორია ივანოვმა უთხრა, დარჩი, ეს მალე არ დასრულდება და შენს საქმეს მიხედეო. კაბინეტში სამხედრო ფორმა გაიხადა და სამოქალაქო ჩაიცვა. ეზოში რომ ჩამოვიდა დაინახა წასასვლელად გამზადებული პატარა ბიჭები და თქვა არა! მე რომ აქ დავრჩე, რომელიმეს რამე რომ მოუვიდეს მის დედასთან ვერ მივალ და ვეტყვი: მე სახლში ვიჯექი და შენი შვილი იქ დაიღუპა. აბრუნდა, გამოიცვალა და წავიდა“, - გვიყვება როგორ ნახა უკანასკნელად ქმარი მარინა ჟუჟუნაძემ.

იმ დღეს სენაკში დაბინავდნენ. მეორე დღეს, დილის ექვს საათზე, თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანის ბრძანებით ზუგდიდის გავლით გალში შევიდნენ.

„გზადაგზა აფხაზი მებრძოლების ბლოკპოსტები გვხვდებოდა. ჩვენი მხრიდან იარაღის ჩამორთმევა ხდებოდა და გზას ვაგრძელებდით“, - იხსენებს დონი ფანჩულიძე.

რიგითი პოლიციელი
ომარ ფურცელაძე

ოჩამჩირესთან უთხრეს, რომ შინაგანი ჯარის რიგით ომარ ფურცელაძეს სნაიპერის ტყვია მოხვდა. მის დასახმარებლად პაატა ნათენაძე და რამდენიმე სამართალდამცველი შემთხვევის ადგილისკენ დაიძრა. „სნაიპერი გვიმიზნებდა, მისი ტყვია პაატას მოხვდა. 5 წუთში ორი თანამშრომელი დაგვეღუპა - ომარ ფურცელაძე და პაატა ნათენაძე“.

მესხი მეომარი ახალციხის სოფელ წნისშია დაკრძალული.

## ეძღვნება პაატა ნათენაძის მარადიულ ხსოვნას

დონი ფანჩულიძე და
ელენიკო შამვიანშვილი
პაატა ნათენაძის
საგვარეულო სასაფლაოზე
ახალციხე, სოფ. წნისი

1992 წლის 12 აგვისტო, დილის 12$^{00}$ საათი. რაციით მესმის ხმა პასუხისმგებელ მორიგე ვალიკო ადეიშვილისგან პოლიციის უფროსი გიბარებთ! შევდივარ უფროს თენგიზ ჯიაძესთან. გისმენთ „ემელიანოვიჩ!“, - მიხვალ გუდაუთის ქუჩა #2-ში „საქმიან ეზოში“, სთხოვე ხვალისთვის გამზადებული მიკროავტობუსი „რაფი“ გამოგზავნონ პოლიციაში მივლინებისათვის...

...1992 წლის 13 აგვისტოს დილის 6-00 საათია, ტრანსპორტი და მძღოლი აკაკი წერეთლის გამზირი N113-ტ კორპუსის წინ დგას. დავიწყეთ ჯერ პროდუქტების დატვირთვა, შემდეგ საბრძოლო მასალის, ავტომატების, ჩავიცვით და გამოვჩნდით მანქანასთან სამხედრო სპეცფორმით. როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა, მძღოლს ვთხოვე საჭესთან დამჯდარიყო, ვატყობ ფეხს ითრევს, სახეზე დაბნეულია, მომიგდო გასაღები, „არა ძმებო! - მე ცოლშვილი და ოჯახი მელოდება

და სწრაფად გამეცალა... რადგან დათო ლალიაშვილს კუთვნილი მანქანა „ჟიგული“ ჰყავდა ვთხოვე საჭესთან დამჯდარიყო, რადგან უკვე ვაგვიანებდი. დავსხედით მე, დათო ლალიაშვილი, ზაზა „ბაევიკა“ ციმაკურიძე, სოსო ბუტიკაშვილი, მიშკა ცხვედაძე. დილის 7-00 საათზე უკვე თბილისის შ/ს მთავარი სამმართველოს უფროსს დავით ზეიკიძის განკარგულებაში გადავედით.

დღის 12-00 საათზე როდესაც დაუახლოვდით ქარელს, ავტობუსების სპეც.გაჩერებასთან ხალხმრავლობა შევნიშნეთ, გავაჩერეთ თუ არა მანქანა, დავინახეთ ხალხის უმეტესობა სეირის მაყურებელი იყო, ორ ახალგაზრდა ბიჭს ხელი ისე ჰქონდათ ჩაჭიდებული, ხალხი ვერ აშველებდა, ერთ - ერთი მათგანი ყვიროდა ამ ნაძირალამ „სამაჩაბლოში“ ძმა მომიკლაო!!!, როდესაც ჩვენ ჩავერიეთ და ხელი გავაშვებინეთ, დრო იხელთა და ჭალებისკენ გაიქცა, დაედევნა მიშკა ცხვედაძე, რომელმაც ბუნებრივად შექმნილ „ბალოტაში“ დაიჭირა, მაგრამ წელს ქვემოთ სველი და ტალახიანი იყო. უკვე პოლიციაც მოსული იყო და ორთავე მათ ჩავაბარეთ. განვაგრძეთ გზა, ნელნელა ვეწეოდით ჩვენს დანაყოფებს, საბრძოლო ტანკებს გადასწრება აღარ ჭირდებოდათ. ბუქსირით გადაბმულები ერთმანეთს მიათრევდნენ. შორი მანძილის გავლის შემდეგ, - „გზის ტყვეობაში“ აღმოჩნდა, რომლებიც გამოყვანილი იყო ახალციხის რუსული ბაზებიდან... საღამოს დაგვაბინავეს ქალაქ სენაკი, სანატორიუმ „მენჯი“-ს ეზოში, ხოლო დილის 06$^{00}$ საათზე საერთო ბრძანებით მოვეწყვით ეზოში, ჩვენს წინ იდგა სამართველოს უფროსი, გენერალ დავით ზეიკიძე. თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და მფრინავი - პილოტი ჯიმი მაისურაძე სენაკის საავიაცო პოლკიდან, რომელიც რჩევებსა და დარიგებებს გვაძლევდა ჩვენ ჩვენი ტრანსპორტებისათვის ზემოდან დაგვემაგრებინა თეთრი ზეწრები ერთგვარი - <პაროლი - მინიშნებისათვის>... გავაგრძელეთ გზა ზუგდიდის მიმართულებით, დავუახლოვდით თუ არა სოფელ ცაიშს ძრავა „გაიჭედა“, შევაგორეთ გზის პირას მობინადრესთან. დავდექით ტრანსპორტის სავალ გზაზე, უკვე ქალაქ გალის დასახლება დაიწყო, გავაჩერეთ სამგზავრო

თანამებრძოლები პაატა ნათენაძის <<60 წლის>> შესრულებასთან დაკავშირებით
მარცხნიდან: ელენიკო შაშვიაშვილი, დონი ფანჩულიძე, მურთაზ გაბიტაშვილი,
გურამი ალავიძე, დავით ფეიქრიშვილი, ნინო ნათენაძე
09.07.2019 წელი, ახალციხე, სოფელი წნისი.

ავტობუსი „იკარუსი“, ნახევრად შევსილი, რომ დამხვდნენ პირტიტველი წვევანდელები, რომლებსაც მხოლოდ ახლად მიღებული სამხედრო ფორმა ეცვათ, ავტომატები „მჭიდის“ გარეშე. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩამძინებია, გამაღვიძა უკანა მხრიდან დაჯახების ბიძგმა და ხმამ, გამისროლა წინ ორ მეტრამდე, დამაკავა ხარიხარგადაკიდებულმა ავტომატმა და სავარძლებმა, რომ გავიხედე მარცხენა მხარეს, ჩაგვიქროლა ტანკმა, რომლის ზემოთ შემომსხდარი წვერიანი, ფორმიანები იყვნენ, ერთ საზღვაო მაიკით, ცალ ხელში შამპანურის ბოთლს ატრიალებდა, გააგრძელეთ ბიჭებო გზა!!! გააგრძელეთო!! გვიყვიროდნენ. რამოდენიმე მეტრში თვითსვლით მომავალმა გააჩერა, მე უკანა კარებიდან ჩავხტი, რომ გავიხედე „რადიატორი“ გზის პირას სარწყავ არხში იყო ჩავარდნილი...

გავაჩერე მიკროავტობუსი, შიგ დამხვდა მგზავრები, „აფხაზები“ აღმოჩნდნენ, რომლებიც ცნობისმოყვარეობით მეკითხებოდნენ, სად მივდიოდით და რა მიზეზით, რომლებიც ბათუმიდან მოდიოდნენ.

წინ ჩაიხერგა მოძრაობა, ტრანსპორტი ვეღარ მოძრაობდა, უკვე, ოჩამჩირის ტერიტორია იყო, სოფელი არადუს დასაწყისში ვიყავით მისული, რადგან ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი, მიშკა ცხვედაძე აღარ ჩანდა. ასევე საერთო ხელმძღვანელი ომარ ფოფხაძისათვის უნდა მომეხსენებია ჩვენი ბიჭების ადგილმდებარეობა, წავიწიე, ჩემს წინ სწრაფად გაჩერდა მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული“, გვიხმეს დასახმარებლად მოსახვევს, რომ გავცდი, დაიწყო ე.წ. „პერესტრელკა“, „სნაიპერს“ რიგითი ომარ ფურცელაძე მოუკლავს, როდესაც ერთი მჭიდი დავცალე და მეორეს ვუნაცვლებდი, ძირს გადამივარდა, დავიხარე თუ არა გვერდით შევნიშნე წაქცეული თანამებრძოლი, რომელიც პოლიციის მაიორი პაატა ნათენაძე აღმოჩნდა. უკვე შეტევის მაგივრად დაცვაზე გადავედით... ეს იყო 1992 წლის 14 აგვისტო $16^{00}$ საათი, აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. არადუ. 30 წუთში ორი კოლეგა და თანამებრძოლი, - პაატა ნათენაძე და ომარ ფურცელაძე დავკარგე.... 9/07–2019 წელს, პაატა ნათენაძეს <<60 წელი>> შეუსრულდა.

*დონი ფანჩულიძე.*

გმირი მეომარ პაატა ნათენაძისა და ჯიმი მაისურაძის აღმზრდელი მშობლები

პაატა ნათენაძის ოჯახის წევრები, ახლობლები და თანამებრძოლები
<<60 წლის>> უბილესთან დაკავშირებით. ქ. ახალციხე, 09/07/2019 წ.

# ეძღვნება პოლიციის მაიორის პაატა ნათენაძის ხსოვნას 1959–1992

ქუმბარიკი პოლიციელის ცხოვრების გზა ბენეს ხიდი. ყოველდღიური მოდი-მოდელური ბმენე და სად შეგვიმოკლდება საკალი, არავან ეუწყა.

ასე იყო, ასეა ახლა და მომავალშიც იყოს ყველგან.

ეფიოდ, ხალხისეს უნდა ეფრინდეთ, რომ პოლიციის მუნდირთან, მის სახელთან ასოცირდება ეფიდენი ვიდეკეთა, მაგალი პასუხისმგებლობის ეროვნია, ეროვნ და სამშობლის სიყვარული.

ყველასათვის ცნობილია, რაოდენ რთული და პრობლემური იყო ჩვენი ქვეყანისთვის მეოთეე საუკუნის ბოლო ათწლეული. 90-ანი წლები სამხედროდ და ტერიტორიულ სტრუქტურათა ბალწერა ჩვენი სამშობლის ისტორიაში და იგი არაერთხელ შეგვახსენებს თავს, რადგან ამ ათწლეულში ჩვენი მეკობრეობის, ახალგაზრდობის და კოლეგების მრავალი სიცოცხლე ისაფლა.

ალბა არ წაშლილა ათიოდენი. ალბა მეუფე ქორონიკონი დიენდოლიდან ბარეულის გაფიანან წლებს – პაატას ოცანისთვის, მისი მეგობრებისთვის და კოლეგებისთვის.

რიგორ მოხდა ჩვენი მეგეელი პაატა ნათენაძესთან? ამ საბედისწერო დღეს იგი პირველად გვიყვანა, მიგრამ რამდენიმე საათის შემდეგ „ინციდენტის“ ტერიტორიაზე.

... 1992 წლის 13 აგვისტის თანელის დიდებულ-ზეგენერალის რაიონის პოლიციის სამმართველის მეორე გინეკოლოგიის თანამშრომლები: მე, დავთი ალიევი, ირეკ ბეგიკაშვილი და აწ-ბარიაშვილი მოსულ ცხელებულ ვართ ინფორმაციის ბინადარ-ბინადრებისა ზენრეფიანი და კონტროლიორი ესაფრთხილების დიდებ მიმოთ. ჩვენს მიერიალეგობებში მოვალიესეი პროდუქტები, საბრძოლი მასალა – ტანკი-ზენილი, ავტომატური ეფენილარი ალრალები და ხელყუმბარები, ამავე დროს მოვალიეფეს სენიკეს „ეფრონ ბეფ ეფ“ სასაფარეფში, ხოლო ეფანიფოსის 3, მიიყარა სამმართველის ეფრონის, ბეგონი დიდი ზეკალის ხელმძღვანელობით, ეკვეთეთეთ ბეფალის ეკალი ეფალ-ში, სადაც ეფალეფა ეფეფეფილი ინფორმაციებიდან ჩამოყალიბებულ „ალეკეფილებს“, ეფალეფალი ეფალიალეფას და ეფის ეკეფალეფილი.

... ჩვენ კი ეფიმე ეფალეფი და პერალიდეალ ეფალალეალეფას ეფალეფალი წინ. ეფალეფალი, რომ ჩვენი ბიეფონი არიყენ იყო, ჩვენ ხალეფარი თავის ამეფალ ეფალ ეკეფონალა, რაოდენ ხელმძღვანელობის ეკეფ ეფალ წინ, ჩვენკენ მიმართული იყო. ეფალეფალ დრო... ჩვე ჩვენს მოალეფეთან ეფარეფალეფალი. ეფონალეალ დეფიანეფი ეფონალეფ ბიეფონალეფ ბიეფალეფალეფალ და ეფალეფალეფალ. ბიეფალეფალ ალეფალეფ ალეფალეფ ალეფალეფ

## პაატა ნათენაძე << მოგონება >>

„დიდუბის პანთეონში უნდოდათ დაკრძალვა, მაგრამ მისი სურვილი და თხოვნა იყო, რომ მშობლიურ სოფელში დაეკრძალათ. თითქოს წინასწარ გრძნობდა, ამბობდა თუ რამე მომივა, სუფთა ჰაერზე მინდა მშვიდად ვიყოო“, - გვიყვება მარინა ჟუჟუნაძე.

პაატა ნათენაძე 1959 წელს ქალაქ ვალეში დაიბადა. 1987 წელს შსს-ს პოლიციის აკადემია დაამთავრა და გამომძიებლად იმ წელსვე დაიწყო მუშაობა. როცა აფხაზეთში მიდიოდა, 33 წლის პოლიციის მაიორმა სახლში ცოლი და ცხრა წლის შვილი დატოვა. ოჯახმა მისი გარდაცვალების შესახებ, დილის შვიდ საათზე შეიტყო.

„ფიზიკურად და სულიერად უძლიერესი ადამიანი იყო, რომელსაც თუ რამე მოერეოდა ვერ წარმოვიდგენდი. უცებ დავდექი ფაქტის წინაშე, რომ აღარ არის. ნინოსთვის (შვილი) ძალიან დიდი ტრაგედია იყო. ერთი წელი არ ლაპარაკობდა, არავისთან კონტაქტობდა. ძალიან გაუჭირდა იმის მონელება, რომ მამა აღარ ჰყავდა“, - 27 წლის წინანდელ მოვლენები მარინა ჟუჟუნაძემ „მეცხრე არხთან“ გაიხსენა.

აფხაზეთის ომის პირველ მსხვერპლს დღეს, ცხრა ივლისს 60 წელი შეუსრულდებოდა. მის დაბადების დღეზე ოჯახის წევრები და თანამებრძოლები ჯერ საფლავზე, შემდეგ კი ახალციხის ცენტრალურ პარკში, სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალთან იკრიბებიან.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსი დავით ფეიქრიშვილი.

პაატა ნათენაძე პოლიციის პოლკოვნიკის წოდებაზე იყო წარდგენილი, რომელიც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. მესხ მეომარს ერთი შვილი და სამი შვილიშვილი ჰყავს.

„მეგონა რომ არ დამტოვებდა. ალბათ იფიქრა, რომ მე აქ უფრო მეტი პატრონი მყავდა, ვიდრე იქ თავის ბიჭებს. აფხაზეთში წასვლა იყო მისი შეგნებული გადაწყვეტილება“, - ამბობს პაატას და ია ნათენაძე.

1992 წელსვე, ახალციხის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ დედა ენის ქუჩისთვის სახელი შეეცვალათ. ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა 27 წელია აფხაზეთის გმირის სახელს ატარებს.

ნათენაძის ქუჩის მოსახლეობას და აქ განთავსებული ობიექტების თანამშრომლებს ვკითხეთ, ვინ იყო პაატა ნათენაძე. 16 ადგილობრივიდან აფხაზეთის ომის პირველი მსხვერპლის შესახებ მხოლოდ სამმა პირმა იცოდა.

დონი ფანჩულიძე პაატა ნათენაძის სახელობის ქუჩაზე
ქ. ახალციხე

## ღიმილის ბიჭები“
## = გმირებს დავიწყება არ უწერია =

დონი ფანჩულიძე და ავთანდილ მამნიაშვილი ჯიმი მაისურაძის საფლავთან. 30/05/2019 წ. ლაგოდეხი, სოფ. გიორგეთი

ჯიმშერ „ჯიმი“ დიმიტრის-ძე მაისურაძე, ლეგენდარული პილოტი-მფრინავი, იბრძოდა ვიეტნამში, ლაოსში, ავღანეთში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე.

*„სანამ იყო ცოცხალი*
*ვერავინ შეაშინაო,*
*სიცოცხლე ძვირად გაყიდა,*
*მერე კი დაიძინაო“.*

...შეტევაში ჩვენი ვერტმფრენი ჩაერთო. ეს ჯიმი მაისურაძეა, გვარდიის ავიაციის შვეულმფრენთა პოლკის მეთაური. ჯიმი ჰაერში სასწაულებს აკეთებს, ჯიმი თუ აფრინდა, შიში აღარაფრისა უნდა გქონდეს. საღამოს პირზე ჩვენმა შენაერთმა ფლანგებზეც გაარღვია მტრის დამცავი ჯებირები, მათ უკან დახევა დაიწყეს... (ზურაბ ლეშკაშელის წიგნიდან, გიორგი მიროტაძე - აფხაზეთი - გმირები დაკარგული თაობიდან).

...თანამებრძოლი დონი ფანჩულიძე იხსენებს: „1992 წლის 13-14 აგვისტოა, აფხაზეთის ომის დასაწყისი. თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს გარნიზონის პოლიციის პირადი შემადგენლობა თბილისიდან ქ. სენაკში, სანატორიუმ „მენჯში“ მოგვათავსეს. დაახლოებით 300 კაცი ვიყავით, სადაც შეძლებისდაგვარად ღამე გავათენეთ და ნამგზავრი ვისვენებდით ჩვენზე გამოყოფილ ტრანსპორტთან და მძიმე ტექნიკასთან ერთად.

14 აგვისტოს დილის 6:00 საათზე თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ დავით ზეიკიძისა და თავდაცვის

მინისტრ თენგიზ კიტოვანის ბრძანებით წამოვდექით და მოვემზადეთ გზის გასაგრძელებლად. აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზისა და სტრატეგიული ობიექტების დასაცავად უნდა გავსულიყავით. ხელმძღვანელობასთან ერთად ახალგაზრდა მამაკაცი იმყოფებოდა, რომელიც მითითებებს და რჩევებს გვაძლევდა, რომ ჩვენი ტრანსპორტისთვის ზემოდან თეთრი ზეწრები დაგვემაგრებინა. ეს იყო ერთგვარი მინიშნება პაროლისთვის. ეს ახალგაზრდა მამაკაცი გახლდათ ლეგენდარული პილოტი, მფრინავი, პოლკოვნიკი ჯიმი მაისურაძე, ქალაქ სენაკის სამხედრო ავიაციიდან., რომელთან ერთად 1991 წლის იანვრიდან მაისამდე „სამაჩაბლოშიც“ მომიხდა საბრძოლო დავალებების შესრულება...

1992 წლის დეკემბრის თვის დასაწყისია, განმეორებით მომიხდა მიმეღო მონაწილეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ოჩამჩირის რაიონი, სოფელ ლაბრაში, უკვე საბრძოლო ოპერაციებში. დილის საათებია, ბრძანება გაიცა ტყვია-წამლის, საბრძოლო მასალისა და პროდუქტების მომარაგებისათვის, რისთვისაც გამოყოფილი იქნა რამოდენიმე მებრძოლი კინდღის დასახლება ე.წ. „ცხელ წყლები“, გასამგზავრებლად. მიხეილ ცხვედაძესთან, კაკო ინაძესთან, დავით ლალიაშვილთან, სოსო ბუტიკაშვილთა, ტარიელ გვენეტაძესთან და ოთარ ნიჟარაძესთან ერთად შევასრულეთ აღნიშნული დავალება. რამოდენიმე წუთს მომიხდა მიმდებარე ტერიტორიაზე, მოშორებით გასვლა, რათა მომეხადა „მხედრული ვალი“ ჩემი ახლობლის - გოგა ვაწაძის საფლავზე მისვლით, რომელიც აფხაზი სეპარატისტების მიერ დახვრეტილი იქნა თავისივე საცხოვრებელ ბინაში, რის შემდეგ მეზობლების მიერ დასაფლავებული იყო თავისივე საცხოვრებელ ეზოში.

ჯიმი მაისურაძემ - „ავღანელმა“, რომელსაც სიყვარულით მოიხსენიებდნენ თანამებრძოლები, გვიხელმძღვანელა, რათა დროულად შეგვესრულებინა დავალებები. შემდეგ რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ ე.წ. „ცხელ წყლებთან“ რუსებმა საზღვაო დესანტი გადმოსხეს… მიუხედავად მსხვერპლისა, დესანტი მოვიგერიეთ...

თანამებრძოლები დაბადების დღის აღსანიშნავად მფრინავ-პილოტ
ჯიმშერ „ჯიმი“ მაისურაძის საგვარეულო სასაფლაოზე
ლაგოდეხის რაიონი, სოფელი გიორგეთი
3 თებერვალი 2019 წ.

_ **ვლადიმერ მამფორია:** გულრიფშის რაიონი, სოფელ ფშაფის მკვიდრი (ამჟამად ლტოლვილი თბილისში). 1992 წლის 26 დეკემბერია, დაახლოებით 10:00 საათი, ვიმყოფებოდი აღნიშნული სოფლის ტერიტორიაზე, მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები. ძირითადად მეომრები ადგილობრივი მაცხოვრებლები და სხვადასხვა შენაერთების მებრძოლები იყვნენ. მდინარე კოდორის ხეობაში, რომელიც ესაზღვრება ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონს, პატრულირებდა საბრძოლო ვერტფრენი, რომელიც მოძრაობდა საშუალო სიმაღლეზე.

გაისმა საარტილერიო ქვემეხის ხმა აფხაზეთის კონტროლირებად ტერიტორიიდან. ჩვენ ყურადღება გადავიტანეთ ხმის მიმართულებით. ლესელიძისა და ვლადიმირის ტერიტორიაზე განთავსებულ სასაფლაოსთან, ჩამოვარდა ვერტფრენი, საიდანაც მეომრებმა გადმოიყვანეს მფრინავი პილოტი, რომლის გადარჩენის შანსი არ არსებობდა. მეომრებმა ამოიცვნეს ჩამოვარდნილი მფრინავი. ის აღმოჩნდა ლეგენდარული „ავღანელი“ - ჯიმი მაისურაძე.

ჯიმშერ „ჯიმი“ დიმიტრის-ძე მაისურაძე დაიბადა 1949 წლის 3 თებერვალს, ლაგოდეხის რაიონში, სოფელ გიორგეთში. მომავალ მფრინავს მე-7 კლასში მისი კუმირის, ოთარ ჩეჩელაშვილის წიგნი წაუკითხავს, რის შემდეგ უფრო განუმტკიცებია საკუთარი აზრი. მისი მამა, ბატონი დიმიტრი შვილზე ამგვარ ამბავს იხსენებს: „სახლში ზეწრები გაქრა. მე და ჩემი მეუღლე ვფიქრობდით, რა მოხდა. საწოლზე ზეწრები აღარ იყო. თურმე ჯიმის აუტანია სახლის სახურავზე და საკერავი მანქანით მისგან პარაშუტები შეუკერია. ჩვენი სახლში არყოფნის პერიოდში აივნიდან ხტებოდა. ეს ყველაფერი მეზობლებს დაუნახავთ, მათ შემდეგ მშობლებს გაგვიმხილეს, რომ თავიდან თურმე ცდის სახით კატა გადაუფრენია და კატას კუსტარული პარაშუტები სულ ბრჭყალებით დაუხევია. სახლში რომ მოვდიოდი ფეხებს იტკიებდა, გვიან მივხვდი თუ რა იყო მისი ტკივილის მიზეზი. მერე და მერე მართლაც გავუგეთ და ვირწმუნეთ მისი შესაძლებლობები.

მფრინავი-პილოტი ჯიმშერ „ჯიმი“ მაისურაძე ყოველთვის მზადყოფნაშია

„აფხაზეთი“ 1992 წლის დეკემბრის თვის დასაწყისი

ავღანეთის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის ვეტერანს არ გასჭირვებია მოყვარეთა გულის მოგება და მტრის გულის გახეთქვა, მისი ვერტმფრენის ჩამოგდებისათვის აფხაზ სეპარატისტებს ათასობით მანეთი დაუწესებიათ და ეს ყველაფერი მათ 1992 წლის მიწურულს მოახერხეს. როგორც მას შეარქვეს - „ვოზდუშნი ხულიდანი“ აფხაზ სეპარატისტებმა... 26 დეკემბერს მათი სურვილი ასრულდა, დილის საათებში ჩამოგდებული იქნა მტრის კონტროლირებად ტერიტორიულ სივრციდან.

ჯიმი მაისურაძის მეუღლე - ნათელა მაისურაძე იხსენებს, რომ მთელი დღის მანძილზე უმალავდნენ მეუღლის დაღუპვის ამბავს. ნათესავმა დამირეკა წყალტუბოდან და ცუდი ამბავი გავიგეო მითხრა. მე ლაპარაკი ვეღარ გავაგრძელე და არც მან თქვა სათქმელი ბოლომდე. მეზობელთან გავედი და რამდენჯერმე დავაკაკუნე, მაგრამ მან კარები არ გამიღო. რაღაცას მივხვდი, ვკითხე კიდევაც ხომ არ დაიღუპა მეთქი? მაგრამ მომატყუეს დაჭრილიაო. წასვლა გადავწყვიტე, ვიფიქრე ჩემი შველა სჭირდება, ახლა მის გვერდზე უნდა ვიყო-მეთქი. თურმე სულ ტყუილად, ის უკვე აღარ იყო. ეს კოშმარული, ტკივილიანი დღეები არასოდეს დამავიწყდება. მასთან 18 წლის მანძილზე თანაცხოვრებიდან ბევრი კეთილი მოგონებები დამიგროვდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო ოპერაციებში, 22-25 წლის ბიჭების დაღუპვის შესახებ ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, მე რა მიჭირს, ჯიმშერი 43 წლის მაინც იყო და ქვეყანას სამი ვაჟიშვილი დაუტოვა, რა ჰქნას იმათმა მშობლებმა, რომლებმაც უწვერულვაშო შვილებს ოჯახის სითბოც არ განუცდიათო, ჩემი მეუღლის გვერდით 11 ახალგაზრდა ქართველი მფრინავი დაიღუპა, რომელთა ცხედრები ვერ იპოვეს.

ჯიმი მაისურაძე სიკვდილი შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს და ეროვნულ გმირად აღიარეს. მისი ორი ვაჟი მამის კვალს გაჰყვა და დღეს  პროფესიონალი მფრინავები არიან…

მარცხნიდან: გურამ ხიზანიშვილი, ზვიად ბერიაშვილი, დონი ფანჩულიძე, ნიკა ჯამასპიშვილი, დათო ჭანტურია - ჯიმი მაისურაძის ობელისკთან ლაგოდეხი, 3 თებერვალი 2017 წ.

ომის ვეტერანები და ლაგოდეხის რაიონის გამგეობის წევრები ჯიმი მაისურაძის ობელისკთან,
მის დაბადების დღესთან დაკავშირებით
ლაგოდეხი 3.02.2019 წელი

<<კიდევაც დაიზრდებიან!>>

=ცხოვრება გრძელდება=

მარცხნიდან : პატარა ჯიმი მაისურაძე, დონი ფანჩულიძე, საბა მაისურაძე. გად. 2015 წლის 22 თებერვალს ქ. თბილისი

**სოფელ ძევრის საჯარო სკოლასა და ამავე სოფლის ერთ-ერთ ქუჩას 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული უშანგი სოფრომაძის სახელი მიენიჭა**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრის საჯარო სკოლას ვეტერანთა საქმეების **სახელმწიფო სამსახურის, ვეტერან დომენტი ფანჩულიძისა** და ქ. **თერჯოლის** საკრებულოს საერთო ძალისხმევით 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცის, **შმაგი სოფრომაძის** სახელი მიენიჭა.

ქ. თერჯოლის საკრებულოს გადაწყვეტილებით, სოფელ ძევრში გმირის სახელი მიენიჭა ასევე, ქუჩას, სადაც იგი დაიბადა და ცხოვრობდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, **25 ნოემბერს, პარასკევს 14.00 საათზე,** სოფელ ძევრში მდებარე გმირთა მემორიალთან ჯარისკაცის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის ჯავშან-სატანკო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურე, უშანგი სოფრომაძე, 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაიღუპა, რისთვისაც იგი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

საკონტაქტო პირი: გელა ცინაძე 551 900 017

**(032) 2 48 16 26**
http://veterans.gov.ge/

**ძვირფასო მეგობრებო!**

**რაიონის წარმომადგენლებო! მოწვეულო სტუმრებო!**

სოფო სოფრომაძე და დონი ფანჩულიძე
შმაგი სოფრომაძის საფლავთან „მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე"

დღეს ჩვენი გმირის უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის მნიშვნელოვანი დღე არის. მიუხედავად სევდანარევი ღონისძიებისა, რომელიც ძირითადად აქ შევიკრიბეთ სოფელ ძევრის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის, რომლის სახელი დღეიდან უკვე საზეიმო ვითარებაში აღვნიშნავთ უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის იქნება, ხოლო იმ საავტომობილო გზას, რომელიც გზით ჩვენ აქ მოვედით, ასევე მისი სახელია მინიჭებული.

2008 წლის 4 ივნისს N2934 ბრძანებით, უფროსი სერჟანტი უშანგი ომარის-ძე სოფრომაძე დაინიშნა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების I ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის მე-2 სატანკო ასეულის მე-3 სატანკო ოცეულის ტანკის მეთაურად.

I ქვეითი ბრიგადის მეთაურის N171 ბრძანებით სახმელეთო ჯარების I ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები 2008 წლის 7 აგვისტოს მივლინებული იქნენ ქართულ ოსური კონფლიქტის ზონაში, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად.

2008 წლის 8 აგვისტოს I ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონი საბრძოლო დავალებების შესასრულებლად განთავსებული იქნა ქარელის რაიონის სოფელ ავნევში, საიდანაც იმავე დღეს გადაადგილდნენ ცხინვალის მიმართულებით.

ცხინვალის შესასვლელში სოფელ ტბეთთან მოწინააღმდეგე მხარის მიერ განხორციელებულ საავიაციო და დაბომბვის შედეგად I ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის II სატანკო ასულის III სატანკო ოცეულის ტანკის მეთაური, უფროსი სერჟანტი უშანგი სოფრომაძის ტანკი „ტ-72“ საბორტო ნომრით N125, შევიდა ცხინვალში დაჭრილების დასახმარებლად, რა დროსაც განხორციელდა საავიაციო დაბომბვა და ვეღარ შეძლო უკან დაბრუნება, რის შემდგომაც იგი ჩავარდა ტყვედ, რომელიც შემდგომ დახვრეტილი იქნა.

თ ა ნ ა მ ე ბ რ ძ ო ლ ი: - დავით ნოდარის ძე მალაჩინი - 2008 წლის 8 აგვისტოს ბრძანება მივიღეთ ქ. ცხინვალიდან დაჭრილებისა და გარდაცვგლილი თანამებრძოლების გამოსაყვანად. მოვყევით საჰაერო დაბომბვისა და ინტენსიური სროლების ქვეშ, სადაც ტყვედ აგვიყვანეს. ოსი სეპარატისტებისა და დაქირავებული მებრძოლებისაგან იყო დამამცირებელი მოპყრობა თითოეული ქართველი მებრძოლის მიმართ. ჩემს თანამებრძოლს უშანგი სოფრომაძეს წინ დაუფინეს „საქართველოს ეროვნული დროშა“ უბრძანეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მუქარის ქვეშ ფეხით შემდგარიყო და ეცეკვა. მათი ბრძანება არ შეასრულა. მის თვალწინ აყურებინიეს მისი კუთვნილი საფლავის გაჭრა. ყოველივე ამას უშანგი სოფრომაძეზე რეაგირება არ მოუხდენია, იგი დახვრეტილი იქნა მუხანათურად. უშანგი ომარის ძე სოფრომაძე დაკრძალულია „მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე“.

ქალბატონმა მარინე გზირიშვილმა <<33 ვარდი>> მიიტანა
უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის საფლავთან
მის საიუბილეო წელთან დაკავშირებით

გმირის მშობლები: ქეთევან გოგიაშვილი და მარინა გზირიშვილი
დონი ფანჩულიძესთან ერთად „მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე"
2018 წლის 5 აგვისტო.

## 2016წ. 25 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა 2008 წლის 8 აგვისტოს „სამაჩაბლოში“ სამამარ მოქმედებების დროს გმირულად დაღუპულ უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელი მიენიჭა თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლა

2016 წლის 25 ნოემბერს „სამაჩაბლოში“ 2008 წლის აგვისტოს ომში, გმირულად დაღუპულ, ტანკის მეთაურ უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელი მიენიჭა თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლასა და ქუჩას.

2016 წლის 25 ნოემბერს ჩატარებულ ღონისძიებას ესწრებოდნენ, - თერჯოლის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ ჩუბინიძე, საკრებულოს წევრი მალხაზ გურგენიძე, გურამ თურქაძე. რაიონის დეპუტატი, თადარიგში ავიაციის პოლკოვნიკი, - ვეტერანი გიორგი ლილუაშვილი, ვეტერანთა საქმეების სამსახურის წარმომადგენელი იმერეთის რეგიონში ვალერი ვაშაკიძე. თერჯოლის რაიონის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსი ქეთევან შეყრილაძე. უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის თერჯოლის რაიონის, სოფელ ძევრის საჯარო სკოლის დირექტორი, ღონისძიების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი მანუჩარ ფანჩულიძე, სოფელ ძევრის რწმუნებული ფრიდონ კუტალაძე. პედაგოგმასწავლებლები, - იმედა მეფარიძე, ნანა ისაკაძე, ლუიზა ხუჯაძე, მანანა შურღაია, ავთანდილ ჯიბლაძე... მშობლები - ომარ და ქეთო სოფრომაძეები, მეუღლე თეა ტაბატაძე, მცირეწლოვანი შვილები გიგი და ზაზა, და სოფო სოფრომაძე - შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახურის თანამშომელი, სოფ. ჩხარის საკრებულოს რწმუნებული ვასილ ფანჩულიძე.

მოწვეული სტუმრები, - საქართველოს ვეტერანთა საქმეების სამსახურის უფროსის მ/შ, შეიარაღებული ძალების გენერალი - ვეტერანი მირონ ჩიგოგიძე, თანამშრომლები სოლომონ ბრეგაძე, მალხაზ თოფურია, სულხან აბესაძე, ჟურნალ „ვეტერანი“-ს მთავარი რედაქტორი ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი ზაირა მიქატაძე, ალა უჩავა, დავით ჭანტურია, გურამ ალავიძე, დონი ფანჩულიძე, არჩილ ერთისთავი, დავით ჩახმახაშვილი, ავთანდილ მალაციძე, ავთანდილ მამნიაშვილი, შალვა არჯევანიძე, ვანო ოჩიგავა.

უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრის საშუალო სკოლის დირექტორი, ღონისძიების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი მანუჩარ ფანჩულიძე-25/XI-2016წ.

დონი ფანჩულიძე, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, თადარიგში პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი, თერჯოლის რაიონი, სოფ. ძევრის საჯარო სკოლისათვის უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელის მინიჭების ღონისძიების დროს. 25/XI-2016წ.

უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის სკვერში გვირგვინით, - ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები, არჩილ ერისთავი და დავით ჩახმახაშვილი. გად. 25/XI-2016წ. თერჯოლის რაიონი, სოფელი ძევრი

მარჯვნიდან: ავთანდილ ჩუბინიძე - თერჯოლის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე, დონი ფანჩულიძე, დავით ჭანტურია, - ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები, თადარიგის პოლკოვნიკები. გადაღებულია თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლისათვის უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელის მინიჭების სხდომის ღონისძიების დროს 25/XI-2016 წელი.

უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის ქუჩისა და თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლისათვის მისი სახელის მინიჭების ღონისძიება - 25/XI-2016 წელი.

მარცხნიდან: ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები - ავთანდილ მალაციძე, არჩილ ერისთავი, დავით ჭანტურია, დონი ფანჩულიძე, ავთანდილ მამნიაშვილი, შალვა არჯევანიძე, ვანო ოჩიგავა, დავით ჩახმახაშვილი. უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის ქუჩისა და თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლისათვის მისი სახელის მინიჭების ღონისძიება - 25/XI-2016 წელი.

მარცხნიდან: ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები - დონი ფანჩულიძე, სულხან აბესაძე, გიორგი ლილუაშვილი, გურამ ალავიძე, დავით ჭანტურია, ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსის მ/შ, გენერალი მირონ ჩიგოგიძე, დავით ჩახმახაშვილი, მალხაზ თოფურია, ჟურნალ „ვეტერანი“-ს მთავარი რედაქტორი ზაირა მიქატაძე. უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის ქუჩისა და სკოლის მინიჭებაზე საზეიმო სხდომის დროს - 25/XI-2016 წელი.

**საქართველოს პრეზიდიუმის 2009 წლის 6 იანვრის N7 განკარგულებით დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I-ლი ხარისხის ორდენით (N00811).**

2016 წლის 28 იანვარს სატელევიზიო გადაცემა „რუსთავი 2“-ზე საგანგებო განცხადების დროს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა - ჰააგის სასამართლოს თანამშრომლებთან შეხვედრისას ერთხელ კიდევ გაიხსენა უშანგი სოფრომაძის გმირობა და მის მიმართ ოსი სეპარატისტების მიერ არაადამიანური მოპყრობა.

2008 წლის 7-8 აგვისტოს, ქ. ცხინვალში, საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე I ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის II სატანკო ასეულის, III სატანკო ოცეულის ტანკის მეთაური, უფროსი სერჟანტი უშანგი ომარის-ძე სოფრომაძის მიერ გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის.

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N132/ნ 5 ოქტომბერი 2016 წ. ქ. თბილისი, სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძვერის საჯარო სკოლისათვის უშანგი სოფრომაძის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N132/ნ ბრძანებით 5 ოქტომბრის 2016 წლიდან სოფელ ძევრის საჯარო სკოლას მიენიჭა უშანგი სოფრომაძის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრის საჯარო სკოლა.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო ვეტერანთა დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს კობა კობალაძეს, ბრიგადის გენერლებს ვლადიმერ იმნაძეს და მირონ ჩიგოგიძეს, ომი ვეტერანს, ჟურნალ „ვეტერანი“-ს მთავარ რედაქტორს ქ-ნ ზაირა მიქატაძეს, დამსახურებულ ომის ვეტერანს დავით ახრახაძეს,

თერჯოლის საკრებულოს დეპუტატს, თადარიგში ავიაციის პოლკოვნიკს, ომის ვეტერან გიორგი ლილუაშვილს, თერჯოლის რაიონის გამგებელს თემურ ჯაფარიძეს, საკრებულოს თავმჯდომარეს ავთანდილ ჩუბინიძეს, უშანგი სოფრომაძის სახელობის სოფელ ძევრის საჯარო სკოლის დირექტორს მანუჩარ ფანჩულიძეს, ვეტერანთა დეპარტამენტის თერჯოლის რაიონის რწმუნებულს ვალერი ვაშაკიძეს, „ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტს გურამ ალავიძეს, თავდაცვის სამინისტროს და საჯარისო ნაწილის ხელმძღვანელობას და თითოეულ ჯარისკაცს, პედაგოგ-მასწავლებლებს, რაიონისა და სოფლის მცხოვრებლებს, ვინც გულშემატკივრობდა და გულშემატკივრობს აღნიშნულ ღონისძიებას.

ვეტერანების სახელით
დ ო მ ე ნ ტ ი ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე
25.11.2016 წ.

თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის საჯარო სკოლაში 1968 წელს რვაკლასდამთვრებულის, - ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერან, - დომენტი ფანჩულიძის გამოსვლა პედაგოგ-მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან 2017 წლის 17 მარტს, მიწვევის დროს.

უშანგი „შმაგი" სოფრომაძის სახელობის საშუალო სკოლაში სიტყვით გამოსვლის დროს.
2017 წლის 17 მარტი, თერჯოლის რაიონი, სოფ. ძევრი

მეგობრებო! - მასწავლებლებო, მოსწავლეებო, მშობლებო, წინასწარ გიხდით მადლობას ჩემი და თანამებრძოლების მოწვევისათვის.

მინდა შევეხო იმ მთავარ საკითხებს, იმ მომენტებს, რაც კონკრეტულად ეხება ჩვენი სკოლის ისტორიას, რათა

თითოეული მასწავლებელი და მოსწავლე გათვითცნობიერებული იყოს თუ როგორ ვითარდებოდა ეტაპობრივად სკოლის განვითარება.

1954 წლის ივნისიდან აგვისტოს თვის ჩათვლით, იმდროინდელი „ტყიბულჰესის“ 8-წლიანი სკოლის დირექტორი ალფეზ ბოჭორიშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე დავით ბერძული, სოფლებში უბან-უბან დადიოდნენ სკოლისათვის, მოსწავლეების შესავსებად. ერთი ძირითადი შენობა იყო განთავსებული, სადაც ქართულ სექტორთან ერთად რუსული სექტორიც ფუნქციონირებდა, (დირექტორი - დინა დავიდოვნა), რადგან 1950 წლიდან 1957 წლამდე მიმდინარეობდა ე.წ. „ტყიბულჰესის“ მშენებლობა, რუსეთიდან მობილიზებული და ჩამოყვანილი იყო ათასობით მუშა-მოსამსახურე.

1960-61 წლებში, როდესაც პირველ კლასში მიმიყვანეს, სკოლის ეზოში ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი ტერიტორია იყო. მახსოვს როგორ ასწორებდა ბულდოზერი ამ უსწორმასწორო ადგილს ჩვენი სწავლის პროცესში და ამ ხმაურიან ფონზე მიმდინარეობდა მეცადინეობის სასწავლო პროცესი.

როდესაც მოიმატა მოსწავლეთა რაოდენობამ, დაემატა ამავე ეზოში განთავსებული ორი კორპუსი, რომელშიც ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ მობინადრეები. რაც შეეხება სკოლის წინ მიმდებარე გამწვანებას და შემოსასვლელ გაზონს, აღნიშნული ნაძვები ჩამოტანილი იქნა წყალტუბოს სანერგე მეურნეობიდან ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელ სერგო „პაჭო“ მეფარიძის მიერ 1967 წლის მარტის თვეში. (ე.ი. მარტის თვეში ეზოში განთავსებულ ნაძვის ხეებს საიუბილეო წელი უსრულდება - (-50- წლისთავი). მან 7-ე კლასის მოსწავლეები თავისი კუთვნილი ავტომანქანა „მოსკვიჩით“ წაგვიყვანა ნაძვების ჩამოსატანად, რომელიც მე ამჟამად მეგობრებო მეამაყება. მეამაყება ასევე ის, რომ მოსწავლეებს ფიზიკური შრომა გვიწევდა სასწავლო პროცესების შუალედებში, მონაწილეობას ვღებულობდით ჩაის კრეფაში და ყურძნის მოსავლის აღებაში, - რთველში. ასევე ჩვენს სკოლას გააჩნდა მიწის ნაკვეთი, შრომის მასწავლებელი შოთა აბულაძე

ბავშვებს გვასწავლიდა თეორიულად და პრაქტიკულად სოფლის მეურნეობის სხვადსხვა დარგებს.

მეგობრებო! - ბევრი მომენტების გახსენება შეიძლება, რომ დროის სიმცირე ამის საშუალებას არ მაძლევს, მიუხედავად ამისა ნაწილობრივ მოგაწვდით ინფორმაციას ჩვენს სასკოლო პროგრამაზე და საზოგადოებრივ დატვირთვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სკოლა რვაწლიანი იყო, რამოდენიმე წრე იყო ჩანოყალიბებული, - ცეკვის, სიმღერის შახმატისა და შაშის, ფეხბურთისა და ა.შ. ცეკვის წრეს ხელმძღვანელობდნენ ალიმ და გურამ აბულაძეები, სიმღერის გუნდის შესაქმნელად სოფელ ჩხარიდან მოწვეული იყო ღუღუნი სახელაშვილი, ხოლო ფეხბურთის გუნდს წვრთნიდა ფიზაღზრდის მასწავლებელი ზურაბ ბეღელაძე, კონსულტანტი ანტონ ჩარექიშვილი.

1965 წელს ქ. ტყიბულში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ზონის სასკოლო ოლიმპიადა, - ცეკვისა და სიმღერის განყოფილებით, სადაც კარგად მომზადებული აღმოჩნდა ჩვენი სკოლა. სანიმუშო მოცეკვავედ დასახელებული იქნა მე-5 კლასის მოსწავლე ვალერიან „ვალკა“ დავითის-ძე ბერძული, რომელმაც სოლო შეასრულა ფეხის წვერებზე. (სამარადისო დიდება მის სახელს), ხოლო ცეკვის მასწავლებელ ალიმ აბულაძეს გადასცეს სამახსოვრო დიპლომი.

მეგობრებო! - მეამაყება ის ფაქტი, რომ პირველი კლასიდან მერვე კლასის ჩათვლით, სწავლის პერიოდში რაიმე სისხლის სამართლის დანაშაული ან მართლწესრიგის დარღვევის ფაქტი არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვცელქობდით.

ყოველი წლის პირველ სექტემბერს, სწავლის დაწყებისას საზეიმო სხდომას ესწრებოდა სახანძრო ნაწილიდან უსაფრთხოების ინსპექტორი აწ გარდაცვლილი ბიქტორ შოთაძე, რომელიც გვაფრთხილებდა ბავშვებს დაგვეცვა უსაფრთხოების ნორმები, ხოლო რაც შეეხება მილიციის თანამშრომელს, არასდროს დაგვჭირვებია. ამ საკითხს იმიტომ შევეხე, რომ ამჟამად მასიურად შემოვიდა სკოლებში ფორმიანი პირების მიმაგრება, - „მანდატურების“ სახით.

მეგობრებო! - არ მინდა ჩემი გამოსვლით ამ შეხვედრას სევდიანი განწყობა შევმატო, მაგრამ ამ თემას ვერ გადავუხვევ. ჩვენ ვამაყობთ, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულით, - უშანგი „შმაგი“ ომარის-ძე სოფრომაძით, ის 2008 წლის აგვისტოს ომში იყო, საბრძოლო ტანკი - ტ-72, საბორტო ნომრით N125-ის მეთაური. ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქ ცხინვალში, სადაც ბრძოლა გადაიზარდა დიდ იმპერიასთან - რუსეთთან საბრძოლო მოქმედებებში. შმაგი სოფრომაძე მეორედ შევიდა ქ. ცხინვალში დაჭრილების და გარდაცვლილი ბიჭების გამოსაყვანად. მოულოდნელი საავიაციო დაბომბვისა და ინტენსიური სროლების შედეგად მას ტანკი დაუზიანდა და ტყვედ შეიპყრეს უცხო ქვეყნის გადამთიელმა მებრძოლებმა და მოხალისეებმა, აწამეს, მაგრამ მან არ გასთქვა საიდუმლოება, ქართველ მებრძოლს ძირს დაუფინეს საქართველოს ეროვნული დროშა, უბრძანეს ფეხით შემდგარიყო და მასზე ეცეკვა. აყურებინეს კუთვნილი საფლავის გაჭრა, მაგრამ შმაგი ვერ გატეხეს, - ის დახვრიტეს. ორი თვის შემდეგ ქართველი ვაჟკაცი გადმოასვენე და დაკრძალეს, - „მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე“, სიკვვდილის შემდეგ საქართველოს პრეზიდიუმის 2009 წლის 6 იანვრის განკარგულებით დაჯილდოებულია - „ვახტანგ გორგასლის“ I-ლი ხარისხის ორდენით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (მინისტრი ირაკლი ალასანია), ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის (დირექტორი ირაკლი შიხიაშვილი და კობა კობალაძე), განათლების სამინისტროს, (მინისტრი თამარ სანიკიძე), თერჯოლის რაიონის გამგეობის გამგებელი თეიმურაზ ჯაფარიძის, საკრებულოს თავმჯდომარის ავთანდილ ჩუბინიძის ვეტერეანთა სახელმწიფო სამსახურის, იმერეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსმა გელა ცინცაძემ თერჯოლის რაიონის ვეტერანთა წარმომადგენელმა ვალერ ვაშაკიძემ, ჟურნალ, - ვეტერანის“ მთავარმა რედაქტორმა, - ვეტერანმა ქალბატონმა, ზაირა მიქატაძემ, სოფელ ძევრის საკრებულოს თავმჯდომარემ ფრიდონ კუტალაძემ. აღნიშნული ღონისძიების ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა, თერჯოლოს რაიონის სოფელ ძევრის საჯარო სკოლის

დირექტორმა ბატონმა მანუჩარ ფანჩულიძემ, დიდი წვლილი შეიტანეს სკოლისა და ერთ-ერთი ქუჩისათვის მიენიჭებინათ უშანგი "შმაგი" სოფრომაძის სახელი, რომლის მოქმედება ერთხელ კიდევ გააღრმავებს პატრიოტული გრძნობით აღვზარდოთ მომავალი თაობა.

მთელი რვა წლის განმავლობაში ჩემს გარემოცვაში იმყოფებოდნენ ჩემი მეგობარი თანაკლასელები, რომლებიც დღე ჩვენს გვერდით აღარ არიან, - ავთანდილ კუტალაძე, მანანა ვერულაშვილი, გიული მეფარიძე, (სამწუხაროდ მისი გარდაცვალება გვიან გახდა ჩემთვის ცნობილი, ჩვენ წლების მანძილზე ერთ მერხთან ვისხედით), ილო ბერიშვილი...

მასწავლებლები, - დავით ბერძული, ალფეზ ბოჭორიშვილი, თინა კახიძე, დალიდა ბუბაშვილი, ნელი ბერეზოვსკაია, გოგონა კაკაბაძე, დინა დავიდოვნა, (რუსული სექტორის ხელმძღვანელი), გალინა სოფრომაძე - (ჩემი პირველი მასწავლებელი), ელენე აბულაძე, ვაჟა ბოჭორიშვილი, გოგოცა პატარიძე, ზურაბ ბეღელაძე, გურამ და ალიმ სოლომონ აბულაძეები, სერგო მეფარიძე, ბაბო ჭულუხაძე, რეზო ნადარეიშვილი, რევაზ ქოჩიაშვილი...

მეგობრებო! - ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენს ამერიკელ პარტნიორ - მეგობრებს, ბატონ რ ო ი ს ა უ რ ს ო ს და ქალბატონ: - ქ ე თ ი მ ა კ ლ ე ო ნ ი ს ჩვენი სკოლის თანადგომისა და დაფინანსებისათვის, ჩვენი კურსდამთავრებული ბავშვების ფინანსურად მხარდაჭერისათვის, რომლებიც აგრძელებენ სწავლას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მინდა ასევე მადლობა გადავუხადო მათ ვინც ჩვენ მოგვიწვია და ორგანიზაცია გაუკეთა ამ თბილი შეკრებას, ესენი არიან ბატონი მანუჩარ ფანჩულიძე და მისი კოლექტივი, - პედაგოგ-მასწავლებლები, მოსწავლეები. მადლობა მინდა გამოვთქვა დღევანდელ ღონისძიებაზე დასწრებისათვის ჩემს თანამებრძოლებს, ომისა და შეიარაღებული ჯარების ვეტერანებს - გურამ ალავიძეს, დავით ჭანტურიას, ავთანდილ მამნიაშვილს და მურმან შუკაკიძეს.

ასევე დიდ მადლობას გიხდით ჩემი მოწვევისათვის და დაფასებისათვის, მადლობთ ყურადღებისათვის.

ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი
მილიციის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი:
დ ო მ ე ნ ტ ი ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე
„17“ მარტი 2017 წელი /თერჯოლა, ს. ძევრი.

## შმაგი სოფრომაძის ხსოვნას

- - - - - - - - - - - - - - - - - - - -

დადუმებულა ქვემეხის ლულა,
ტანკს მუხლუხები დაჟანგებია,
ნატყვიარ ჩაჩქანს ყვავილი ფარავს,
ნაღმტყორცნს ნაღმები მონატრებია.

არ ისმის „ვაშა“ ომახიანი,
ყურს არ ჩაესმის დაჭრილის გმინვა,
სანგარში არ ზის „გოდერძის მამა“,
არ ისმის მისი კახური ხვრინვა.

კაცის ცრემლებით იტირა შვილი,
ბოღმა „მახორკით“ ჩაიკლა გულში,
გურჯაანელი - კახელი გმირი,
მთელმა მსოფლიომ ჩაიკრა გულში.

არ გვინდა ომი, არც გმირი გვინდა,
ტანკისტმა მოხნას, დათესოს პური,
მშვიდობის საქმეს ვესწრაფოდ მხოლოდ,

მშვიდობის მსურველს ვათხოვოთ ყური.

დ ო ნ ი  ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე

2016 წელი 5 ივნისი
თერჯოლის რაიონი, სოფელი ძევრი.

ვეტერანი 2

ოფიციალურ რაიონი სიფელ ბეფლია-ეგნარეში ამიფეთქა (დონი ფანჩულიძე)

უმცროსი სერჟანტი უშანგი (შმაგი) სოფრომაძე

იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის ტანკისტი იყო. 2008 წლის აგვისტოს ომში ტანკის ეკიპაჟს მეთაურობდა. ერთ-ერთი ბრძოლისას ცხინვალში დაჭრილი მეგობრების გამოსაყვანად შეეფდა. რამდენიმე მათგანი გამოიყვანა კიდეც. მორიგი მესვლისას ტყვედ ჩავარდა. ქართველ ჯარისკაცს სეპარატისტები დღეების განმავლობაში ანამებდნენ. მაინც არ გატყდა. ბოლოს საკუთარი საფლავის გათხრას აიძულებენს. სამარის პირას საქართველოს სახელმწიფო დროშა გიეფენეს და ცეცხლი უბრძანეს. არ იეცვა ქართული დროშაზე, მტერმა ვერ შეძლო 25 წლის ქართველი მეომრის დაჩოქება და... დახვრიტეს.

საკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

დაკრძალულია მეხათგეკერდის ძმათა სასაფლაოზე.

**2016 წლის 5 ივნისს უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის დაბადების დღეა!**

საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის, თერჯოლის რაიონის გამგეობისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით წარდგენილია სამთავრობო კომისიაზე, რათა მისი სახელი ეწოდოს სოფელ ძევრის საჯარო სკოლას და ერთ-ერთ ქუჩას. ველოდებით მათ პატრიოტულ გადაწყვეტილებას. ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სახელით, თადარიგში პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი

დ ო ნ ი  ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე



2019, 5 ივლისი, №157

# ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი ნიკა მელიას შინდისის გმირების ხსენებას უკრძალავს

მსახიობი და პროდიუსერი ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი პოლიტიკოს ნიკა მელიას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს გარდაცვლილი შინდისის გმირების ხსენებას უკრძალავს:

— ნიკანორ მელიავ! შენ და სრულიად ნაციონალურ მოძრაობას მოგმართავთ, ნუ ახსენებთ შინდისის გმირებს! თქვენ მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე. თქვენ მათი სახელების ხსენების არც მორალური და არც მოქალაქეობრივი უფლება არ გაქვთ. იგივე ითქმის თქვენი შვილობილი პარტიების წევრებზეც!

ნუ კადრულობთ მათი სახელებით მანიპულირებას! ისინი გმირები არიან! ჩვენი ქვეყნის საამაყო გმირები! ისინი თქვენ ბრძოლის ველზე მიატოვეთ! და სანამ შინდისის გმირებს ახსენებთ, ჯერ მე შემომხედეთ თვალებში, მე გეტყვით ყველაფერ სიმართლეს, თან აგიხსნით, ვინა ხართ თქვენ!

მარცხნიდან: -დონი ფანჩულიძე და ედმუნდ აბაშიძე-მინაშვილი,
<<შინდიშის გმირების>> კინორეჟისორ-სცენარისტი.
<<შინდიშის გმირების ძმათა სასაფლაოზე>>
11 აგვისტო 2018 წელი.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი“

# თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველო

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №47

4 მარტი 1991 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის დიდუბის შინაგან
საქმეთა რაიგანყოფილების
თანამშრომელთა წახალისების შესახებ

### შ ი ნ ა ა რ ს ი

სამაჩაბლოში პოლიტიკური ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით იქ მივლინებულნი იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჯგუფი, მათ შორის ქ. თბილისის დიდუბის შს რაიგანყოფილების თანამშრომლები, რომლებმაც ბრწყინვალედ გაართვეს თავი მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და ამასთანავე გამოიჩინეს სანიმუშო პირადი დისციპლინა, თავდადება და სამშობლოსადმი ერთგულება.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

სამსახურებრივი მოვალეობის დროს გამოჩენილი თავდადებისა და გულადობისათვის, დაჯილდოვდნენ 600 მანეთის ოდენობით თითოეული:

– მილ. პოლკოვნიკი ანზორ დავითის-ძე ალაშვილი - განყოფილების უფროსი;
– მილ. პ/პოლკოვნიკი გიგო ხვთისოს-ძე არაბული - პროფილაქტიკის განყოფილების უფროსი;

- მილ. კაპიტანი შოთა შალვას-ძე მწარიაშვილი - სსს ქ/განყოფილების უფროსი;
- მილ. მაიორი ნოდარ ქუჩოს-ძე ქუფარაშვილი - უბნის უფროსი ინსპექტორი;
- მილ. მაიორი გიორგი შალვას-ძე პირმისაშვილი - უბნის უფრ. ინსპექტორი;
- უფრ. ლეიტენანტი ნიკოლოზ უშანგის-ძე თვაური - უბნის ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი ჯემალ პარმენის-ძე ბაბუაძე - უბნის ინსპექტორი;
- მილ. მაიორი - ავთანდილ ზაქარიას-ძე ივანოვი - უბნის ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი ტარიელ ელგუჯას-ძე გვენეტაძე - უბნის ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი არჩილ ილარიონის-ძე ჩომახიძე - უბნის ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი ნუგზარ თეიმურაზის-ძე სტეფნიაშვილი - უბნის ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი დავით ჯუმბერის-ძე შარაშიძე - სსს ინსპექტორი;
- მილ. მაიორი როსტომ ივანეს-ძე მაჩხოშვილი - სსს ინსპექტორი;
- მილ. ლეიტენანტი ელგუჯა რობერტის-ძე ტუხაშვილი - უბნის ინსპექტორი;
- მილ. ლეიტენანტი მალხაზ გიორგის-ძე ჭულუხაძე - არასრულწ. საქმ. უბნ. ინსპ.
- მილ. მაიორი იური ცოლაკის-ძე ირემაძე - სსს ინსპექტორი;
- მილ. მაიორი ჯემალ თედოს-ძე ფიცხელაური - საპასპორტოს ქ. განყოფილების უფროსი;
- მილ. მაიორი სერგო (ჯუმბერ) სერგოს-ძე ნადარეიშვილი - შრომა-გამას. ს/ინსპექტორი;
- მილ. სერჟანტი - თამაზ ავთანდილის-ძე სულაბერიძე - კავშირგაბმულობის ინსპექტორი;

მარცხნიდან დგანან: ვახტანგ ბაქრაძე, ელგუჯა ნიშნიანიძე, გურამ მჭედლიშვილი, დემურ მანჯიკაშვილი, დემურ ცხვედიანი, დონი ფანჩულიძე, ჯუმბერ ბაბუაძე, დათო კაჭარავა, ჯუმბერ ნადარეიშვილი, ალიოშა ხვედელიძე, ჯემალ ბარამიძე, სოსო მარღიშვილი, ვანო დონღუზაშვილი, ყაზბეგ ლოლაშვილი.
მარცხნიდან სხედან: გივი წიქარიძე, ტარიელ მარგველანი, ზაურ ნამგალაძე, მერაბ უჭუჭიშვილი, გიგო არაბული, მევლუდ ახალკაცი, სერგო ხარაიშვილი. გადაღებულია: 1.05.1982წ. ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, "ოპერის" წინ, საპირველმაისო პარადზე საზ. წესრიგის დასაცავად.

– მილ. რიგითი ბორის დავითის-ძე სპანდერაშვილი - საპ. საგ. სამს. რიგ. მილიციელი.

**დაჯილდოებულნი იქნან 500 მანეთის ოდენობით თითოეული:**

**დ ა ჯ ი ლ დ ო ვ დ ნ ე ნ**

– მილ. მაიორი ამროსი (კუსა) ოთარის-ძე ლეჟავა - სსს ინსპექტორი;
– მილ. კაპიტანი თემური დავითის-ძე ჩიკვილაძე - უბნის ინსპ.;
– მილ. მაიორი ივანე პავლეს-ძე ჩილინგარაშვილი (ვარდიძე) უბნის ინსპ.;
– მილ. კაპიტანი დომენტი ყაფლანის-ძე ფანჩულიძე II-ე ქვეგანყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორი;
– მილ. პ/პოლკოვნიკი დავით ანდროს-ძე ლოლაძე - განყ. უფროსის მოადგილე;
– მილ. კაპიტანი კობა ოთარის-ძე ბერიშვილი - სსს ინსპექტორი;
– მილ. პ/პოლკოვნიკი - გურგენ ვარლამის-ძე მურცხვალაძე - უბნის უფრ. ინსპ.;
– მილ. უფრ. ლეიტენანტი - თამაზ ვლადიმერის-ძე ბარამაშვილი - სსს ინსპექტორი;
– მილ. ლეიტენანტი დავით კაკოს-ძე ჭელიძე - ა/სრულწლოვანთა საქ. ინსპექტორი;
– მილ. უფრ. ლეიტენანტი დიმიტრი ლევანის-ძე ხუციშვილი - სსს ინსპექტორი;
– მილ. კაპიტანი ზამან ორუჯის-ძე გასანოვი - სსს ინსპექტორი;
– მილ. მაიორი კარლო ალექსის-ძე ლეკიაშვილი - უბნის ინსპექტორი;
– მილ. ლეიტენანტი ივანე აკაკის-ძე აღდგომელაშვილი - უბნის ინსპექტორი;
– მილ. კაპიტანი ჯუმბერ ბესარიონის-ძე კოშუაშვილი - უბნის ინსპექტორი;
– მილ. მაიორი ნოდარ დავითის-ძე ციხელაშვილი - უბნის ინსპექტორი;

მარცხნიდან დგანან: ხვთისო ხიზანიშვილი, ელგუჯა ნიშნიანიძე, ომარ ჩახუნაშვილი, ჯემალ ლანჩავა, ვანო დონგუზაშვილი, კაკო ბერძული, აკაკი ინაძე, დიმიტრი (მიტო) ნამიჭეიშვილი, გურამ მჭედლიშვილი, ყაზბეგ ლოლაშვილი, მევლუდ ახალკაცი, დონი ფანჩულიძე.

მარცხნიდან სხედან: თემურ ჩიკვილაძე, სოსო მარღიშვილი, თამაზ ქაჯაია, დემურ მანჯიკაშვილი, უშანგი ზურაშვილი (შტაბის უფროსი), ზაურ ნამგალაძე, ვანო ვარდიძე, ჯუმბერ ბაბუაძე, იური მსუქნიძე. გადაღებულია 1983 წლის აპრილში, სამწყობრო დათვალიერებაზე პლეხანოვის გამზირი, "არტოს" ბაღში.

- მილ. კაპიტანი - ავთანდილ დავითის-ძე ცხვედიანი - უბნის ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი თეიმურაზ ზურაბის-ძე მშვილდაძე - უბნის ინსპექტორი;
- მილ. მაიორი გივი ვასილის-ძე წიქარიძე - უბნის ინსპექტორი;
- მილ. უფრ. ლეიტენანტი თეიმურაზ გრიგოლის-ძე ჯღამაძე - სსს ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი მეთოდე (ბაჩია) არსენის-ძე მერკვილაძე - ობეხეესის ინსპექტორი;
- მილ. მაიორი მამია ალექსანდრეს-ძე ცნობილაძე - სსს ინსპექტორი;
- მილ. მაიორი გიორგი ამირანის-ძე მოსულიშვილი - სსს ინსპექტორი;
- მილ. ლეიტენანტი მიხეილ ირაკლის-ძე დარბაიძე - ა/ს წლ. საქ. ინსპ.;
- მილ. კაპიტანი ჯემალ შალვას-ძე ბარამიძე - უბნის ინსპექტორი;
- მილ. უმცროსი სერჟანტი თამაზ ავკარის-ძე ბუდაგაშვილი - რიგითი;
- მილ. რიგითი შალვა ელდარის-ძე ქუბრიაშვილი - საპ. საგ. სამს. მილიციელი;
- მილ. კაპიტანი არჩილ გუველის-ძე კოშაძე - სოც. საკ. მტაც. სპეკ. ქვ. ინსპექტორი;
- მილ. მაიორი ვახტანგ გიორგის-ძე ქოჩორაშვილი - სოც. საკ. მტაც. სპეკ. ქვ. ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი ვალერი შოთას-ძე ჩობანიანი - სოც. საკ. მტაც. სპეკ. ქვ. ინსპექტორი;
- მილ. მაიორი გურამი გრიგოლის-ძე ვაჭარაძე (გიმელო) - სოც. საკ. მტაც. სპეკ. ქვ. ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი დემური ჭიჭიკოს-ძე ცხვედიანი - საპასპ. სამსახ. უფ. ინსპექტორი;
- მილ. რიგითი იგორი გალაქტიონის-ძე ხურცილავა - პას. მორიგის თანაშემწე;

მარცხნიდან დგანან: გიშელო მაჭარაშვილი, იური მსუქნიძე, იური არუთინოვი, ოთარ ნიკოლაიშვილი, რამაზ ფირცხალავა, ჩვოიხო ჩიჩანიშვილი, დონი ფანჩულიძე, ჯემალ ლანჩავა, ელგუჯა ნიშნიანიძე. მარცხნიდან სხედან: ნოდარ ბუაძე, დათო წიქარიძე, დიმიტრი ნამიქეიშვილი, იუსტიციის გენერალი - ვახტანგ გვარამია, მოლიციის გენერალი - ამური კვირნაძე, თენგიზ პატარიძე. გადაღებულია 1985წ. 1 მაისი. სამირგელმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით ხარ. წესრიგის დაცვა, რუსთაველის გამზირზე.

- მილ. უფრ. ლეიტენანტი კაკო ნიკოლოზის-ძე კეჟერაშვილი - სახავტოინსპ. ჯგუფ. ინსპექტორი;
- დავით გიორგის-ძე ასანიძე - სსს ოპ. რწ.;
- მილ. ლეიტენანტი გიორგი ამირანის-ძე კობახიძე - საპ. საგ. სამსახ. ოცმეთაური;
- მილ. კაპიტანი ჰამლეტ შალვას-ძე ხიზანიშვილი - მომკვლევი უფრ. ინსპექტორი;
- მილ. უფრ. ლეიტენანტი გიორგი მურმანის-ძე ნებიერიძე - გამომძიებელი;
- მილ. მაიორი ბადრი დავითის-ძე სვანიძე - საგამომძ. ქ/განყ. გამომძიებლი;
- მილ. მაიორი ელგუჯა ზაალის-ძე ნიშნიანიძე - სოც. საკ. მტ. სპეკ. წინ. ინსპექტორი;
- მილ. რიგითი თეიმურაზ ლევანის-ძე რუხაძე - სსს უმცროსი ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი ნოდარი შოთას-ძე იშხნელი - მორიგეს თანაშემწე.

**დაჯილდოვდნენ 400 მანეთის ოდენობით თითოეული:**

- მილ. მაიორი გოდერძი შოთას-ძე გენგაშვილი - განყ. უფროსის მოადგილე;
- მილ. პოდპოლკოვნიკი ვაჟა გერონტის-ძე ასათიანი - I-ლი ქ/განყ-ის უფროსი;
- მილ. უფრ. სერჟანტი ომარი ქრისტეფორეს-ძე ჭადაშვილი - მძღოლ-პოლიციელი.

**დაჯილდოვდნენ 300 მანეთის ოდენობით თითოეული:**

- მილ. კაპიტანი თეიმურაზ ოთარის-ძე რუხაძე - განყ. უფრ. მოადგილე;
- მილ. უფრ. ლეიტენანტი რაჯი ამბერგის-ძე ამირხანაშვილი - სანებართვო სის. უფ. ინსპექტორი;

- მილ. მაიორი - გიორგი ზაქარიას-ძე გოგოლაძე - ოპერატიული მორიგე;
- მილ. პ/პოლკოვნიკი ვაჟა გიორგის-ძე ბუღაძე - სოც. საკ. მტ. სპეკ. წინ. ქ. უფრ.;
- მილ. სერჟანტი თენგიზ (მალხაზ) ვახტანგის-ძე ჩაჩხიანი - მძღოლ-პოლიციელი;
- მილ. მაიორი სერგო გურგენის-ძე ოგანეზოვი - გამომძიებელი.

**დაჯილდოვდნენ 200 მანეთის ოდენობით თითოეული:**

- მილ. მაიორი ბადრი ვარლამის-ძე ჭანტურია-გამომძიებელი;
- მილ. კაპიტანი მევლუდი ლევანის-ძე ახალკაცი - ოპერატიული მორიგე;
- მილ. კაპიტანი თამაზ იოსების-ძე ბარამიძე - უბნის ინსპექტორი;
- მილ. უფრ. ლეიტენანტი - სამსონ ტიტეს-ძე ჩიჩუა - უბნის ინსპექტორი;
- მილ. კაპიტანი - გურამი ვასილის-ძე ბუჩუკური - სსს ინსპექტორი;
- მილ. უფრ. ლეიტენანტი ვასილ მიხეილის-ძე ნასყიდაშვილი - სსს ინსპექტორი;
- მილ. მაიორი ხუტა ლავრენტის-ძე ნაჭყებია - ოპერატიული მორიგე;
- მილ. მაიორი ანზორ გიორგის-ძე მღებრიშვილი - სახავტოინსპექტორი;
- მილ. ზემდეგი ჯემალ ვლადიმერის-ძე ლანჩავა - მილიციელი;
- მილ. კაპიტანი თეიმურაზ სერგოს-ძე ქაჯაია - უბნის უფროსი ინსპექტორი;
- მილ. რიგითი ვაჟა გიორგის-ძე თათრიშვილი - მძღოლ-მილიციელი;
- მილ. უფროსი სერჟანტი თამაზ ამირანის-ძე ნაჭყებია - ქვემორიგე;
- მილიციის რიგითი რომანი ბადრის-ძე ჩხიკვაძე - საპ. საგ. სამ. მილიციელი.

მარცხნიდან მეორე რიგი, მეექვსე, საქ. შს სამინისტროდან — დონი ფანჩულიძე. მეოთხე რიგი, მეოთხე, საქ. უშიშროების კომიტეტიდან - გია ცინცაძე. ქ. მოსკოვი, 1980 წელი, 10 ნოემბერი, მილიციის დღესთან დაკავშირებით საბატით სიგელით დაჯილდოება.

მარჯვნიდან მეორე რიგი, მეოთხე — დონი ფანჩულიძე. შინაგან საქმეთა სამინისტროს კომკავშირის მდივნების საკავშირო შეკრება-სემინარი. კოსტრომა. ქ. "ვოლგარი". 1979 წელი, სექტემბერი.

გადაღებულია: 2000 წლის 10 ნოემბერს "რესპუბლიკის მოედანზე"
მარჯხნიდან: სტეფანე ტონკონაური, როლანდი კურმაშვილი, დონი ფანჩულიძე,
პეტრე სალარეიშვილი, მამუკა თაქთაქიშვილი, შალვა როსიტაშვილი და სოსო ჩუტკერაშვილი

## ბრძანება გაეცნოს დიდუბის შ/ს რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობა.

ხელს აწერს: ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს
უფროსი, შინაგან სამსახურის პოლკოვნიკი:
/გრიშა შონია/
(ხელმოწერილია, დასმულია ბეჭედი)

– აღნიშნული ბრძანებიდან გადმობეჭდილი იყო იმ კოლექტივთა მონაცემები, კერძოდ, გვარი, სახელი, მამის სახელი, წოდება და თანამდებობა, რომლებთანაც წლების მანძილზე მომიწია მუშაობა და საბრძოლო ღონისძიებების ჩატარება როგორც ბოროტმოქმედებთან ბრძოლის საქმეში, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის „სამაჩაბლოში“ კერძოდ ცხინვალის რეგიონში. აღნიშნული თანამშრომლებიდან ნაწილი გარდაცვლილია, სამარადისო დიდება და ხსოვნა მათ.

1991 წლის იანვრიდან მონაწილეობდნენ საბრძოლო ღონისძიებებში.

1992 წლის 14 აგვისტოდან აფხაზეთის ტერიტორიაზე კიდევ თუ მოგვიწევდა საბრძოლო ოპერაციები, არ მოველოდით. ზემოთ აღნიშნული თანამშრომლებიდან გარკვეულმა ნაწილმა ისევ გამოიჩინეს თავი, სამწუხაროდ ოფიციალური ბრძანებები წასვლასა და წახალისებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობიდან არ მომხდარა.

მოამზადა: დონი ფანჩულიძემ 17/01-2010 წელი.

## 2018 წელი 17 ოქტომბერი
## „ომის ვეტერანების დღეა!“

ომის ვეტერანებთან გამოსვლის დროს
ქალაქი თერჯოლა, 2018 წლის 17 ოქტომბერი

<u>**მეგობრებო!**</u> - დღეს 17 ოქტომბერს, „ვეტერანის დღეს“ მნიშვნელოვან დღედ აღვნიშნავთ, რომელიც სულიერად ავსებს და ამაღლებს თითოეულ ომის ვეტერანს. ამ დღეს ვგრძნობთ, რომ სამთავრობო სტრუქტურები აფასებენ ჩვენს მიერ ბრძოლის დროს ჩადენილ გმირობას. აქ შეკრებილო საზოგადოება, - „დიდი სამამულო ომის“, „სამაჩაბლოს“ და „აფხაზეთის“ ომებში მონაწილეებო, როგორც თითოეული მათგანისათვის ცნობილია, ჩვენი საბრძოლო მოქმედებები დაიწყო 1991 წლის იანვრიდან, - „სამაჩაბლოში“, ხოლო „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე 1992 წლის 14 აგვისტოდან. ჩვენი იქ შესვლის მიზეზი იყო ის, რომ აყაჩაღებდნენ სტრატეგიულ ობიექტებს და სარკინიგზო მაგისტრალს, რომელიც კოლოსალურ ზარალს აყენებდა, - საქართველოს, სასომხეთსა და აზერბაიჯანს.

1992 წლის 13 აგვისტოს თბილისის გარნიზონის პოლიციის პირადი შემადგენლობა - 300 თანამშრომელი, თავდაცვის სამინისტროს შენაერთებთან ერთად გავემგზავრეთ „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე, სტრატეგიული ობიექტებისა და სარკინიგზო მაგისტრალის დასაცავად. იმ ღამით შეგვასვენეს ქალაქ სენაკში, სანატორიუმ „მენჯში“. დილის 6$^{00}$ საათზე ბრძანებით მოვემზადეთ გზის გასაგრძელებლად. ჩვენ გვხელმძღვანელობდა პოლიციის გენერალი დავით ზეიკიძე, ხოლო თავდაცვის სამინისტროდან თენგიზ კიტოვანი. ჩვენი მწყობრის წინ იდგა ახალგაზრდა მამაკაცი, როგორც შემდგომში ცნობილი გახდა და რამოდენიმეჯერ მივიღე მასთან ერთად საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა, - ლეგენდარული მფრინავი - პილოტი, ავიაციის პოლკოვნიკი ჯიმშერ „ჯიმი“ მაისურაძე აღმოჩნდა, რომელიც

ხელმძღვანელობდა და რჩევა - დარიგებას აძლევდა, ჩვენ-ჩვენი ტრანსპორტისათვის ზემოდან დაგვემაგრებინა „თეთრი ზეწრები“ ერთგვარი მინიშნება - პაროლისათვის.

საჯარისო ნაწილები და მძიმე საბრძოლო ტექნიკა ნელ-ნელა შევდიოდით „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე, - გალისა და ოჩამჩირის გავლით. სოფელ არადუში აფხაზმა სეპარატისტებმა, შენიღბულად დაგვახვედრა ჩასაფრებული „სნაიპერები“. დღის 15$^{00}$ საათზე მათ მიერ ნასროლი ტყვია მოხვდა პოლიციის თანამშრომელს, ომარ ფურცელაძეს, ეს პირველი მსხვერპლი, 21 წლის ახალგაზრდა ბიჭი იყო. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შემთხვევის ადგილზე სწრაფად გავემართეთ, გადავუსწარით გაჩერებულ სატანკო ნაწილებს, რათა დავხმარებოდით წინა ხაზზე განლაგებულ ჩვენს მებრძოლებს. რამდენიმე მანძილის გავლის შემდეგ, თავის არეში „სნაიპერის“ ტყვიით სასიკვდილო ჭრილობა მიიღო პოლიციის მაიორმა, 33 წლის პაატა ნათენაძემ, ხოლო ხელში დაიჭრა კაპიტანი, გია გვენცაძე, რომელიც სისხლისგან იცლებოდა და დახმარებას მთხოვდა, რადგან ჩემს ზურგჩანთაში მომზადებული მქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები. ეს იყო ომის დასაწყისი. ამის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა უშუალოდ მომიხდა, განმეორებით ბრძოლები - „ლაბრაში“, „კინდღაში - ცხელ წყლებთან“. ომი მიმდინარეობდა 13 თვე და 13 დღე და 1993 წლის 27 სექტემბერს, - „სოხუმი დაეცა“!

ამ ძმათა ომს შედეგად მოყვა, - 300 000 დევნილი, 5000 გარდაცვლილთან, საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვით.

<u>**მეგობრებო!**</u> დღევანდელ ჩვენთან შეკრებილ საზოგადოებას მინდა მოვახსენო და გავიხსენო ის გმირი მებრძოლები, მათ შორის, _ ვიეტნამში, ლაოსში, აცღანეთში, სამაჩაბლოში ნაბრძოლი და აფხაზეთის ტერიტორიაზე გმირულად დაღუპული, მფრინავი, - პილოტი, ავიაციის პოლკოვნიკი ჯიმშერ „ჯიმი“ მაისურაძე, ომარ ფურცელაძე, პაატა ნათენაძე, გენერალი გენო ადამია, ჯოკია მეშველიანი, ჟიური შარტავა, გურამ გაბისკირია, მამია ალასანია. ჩვენი

ოქმის და შეიარაღებული ძალების
veteranebi, თეთრწყაროს მუნიციპალიტეტის
მერიის მიერ ვეტერანთა დღის" აღსანიშნავად
ქ. თეთრწყაროში 17 ოქტომბერი 2018 წელი
17/10/2018 05:51 PM

რაიონის მკვიდრები, რომლებიც „დიდ სამამულო ომში“ მონაწილე მფრინავ საბჭოთა კავშირის გმირ დავით ჯაბიძესთან ერთად იბრძოდნენ; სამი ძმა გრიგოლი, ნინოსი და ალექსანდრე პატარიძეები, სიმონ და დანიელ ფანჩულიძეები, რომლებიც შინ ცოცხლები არ დაბრუნებულან.

გურჯაანელ, - „ჯარისკაცის მამის“ მიმდევარი სოფელ ძევრშიც გვყავდა, 70 წლის მიხეილ გოგოლაშვილი, როდესაც შვილის „ჭაჭვის“ ბოლო წერილი „ქერჩიდან“ მიიღო და კავშირი გაწყდა, ფეხით წავიდა შვილის მოსაძებნად. სტალინის ბრძანებით გზად მიმავალი, იმ დროისათვის, როგორც ომისთვის ხანდაზმული შინ მოაბრუნეს. ამ გმირების მაგალითზე „აფხაზეთში“ იბრძოდნენ ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა, - ამირან კირკიტაძე, ანდრია ჭანტურიძე, ტრისტან სოფრომაძე, კახაბერ ბრეგვაძე... „სამაჩაბლოში“ 2008 წლის აგვისტოს ომში დაიღუპნენ, - ვალერი გოგნაძე, ბადრი ბასილაძე, გიგა სახელაშვილი, ალია ბარდაველიძე. ამ ბიჭებთან ერთად გმირულად დაიღუპა უშანგი „შმაგი“ სოფრომაძე, რომელიც ტანკის მეთაური იყო. რამოდენიმეჯერ შევიდა ცხინვალში დაჭრილებისა და გარდაცვლილების გამოსაყვანად. ერთ-ერთი მორიგი შესვლის დროს, თავის თანამებრძოლებთან ერთად მოჰყვა საავიაციო დაბომბვაში, ტყვედ ჩავარდა, როგორც ტანკის მეთაური ოსმა სეპარატისტებმა სამაგალითოდ დასაჯეს, სხვა ტყვედ აყვანილ თანამებრძოლებს შორის, მიწაზე დაუფინეს საქართველოს ეროვნული დროშა, რათა შემდგარიყო მასზედ ფეხით და ეცეკვა, აყურებინეს მისი კუთვნილი საფლავის გაჭრა, რათა ზემოქმედებით სამხედრო საიდუმლოება გაეცა, მაგრამ ვერ გატეხეს. ეს გმირი ვაჟკაცი ჩვენი რაიონის მკვიდრია და მე როგორც მებრძოლი ვეტერანი, მეამაყება მისი საგმირო საქციელი. მე პირადად ვალში აღმოვჩნდი მასთან, შევეცადე დაეფასებინათ მისი ამაგი. ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელებს, - ირაკლი შიხიაშვილს და კობა კობალაძეს, ამჟამინდელი ხელმძღვანელის, - ვლადიმერ იმნაძის, მოადგილეების მირონ ჩიგოგიძის, ჯანრი უბირიას, ჟურნალ „ვეტერანის“ ყოფილი მთავარი

რედაქტორის ზაირა მიქატაძის, განათლებისა და თავდაცვის სამინისტროს, თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის, - მანუჩარ ფანჩულიძის ორგანიზებით, ხელშეწყობითა და ხელმძღვანელობით. ძევრის რწმუნებულ, ფრიდონ კუტალაძის, თერჯოლის რაიონის ყოფილი გამგებლის თემურ ჯაფარიძის და საკრებულოს თავმჯდომარის ავთანდილ ჩუბინიძის, საკრებულოს წევრის, - მალხაზ გურგენიძის, გურამ თურქაძის, რაიონის დეპუტატის, თადარიგში ავიაციის პოლკოვნიკის, ომის ვეტერანის გიორგი ლილუაშვილის, ვეტერანთა საქმეების იმერეთის რეგიონში, - ვალერი ვაშაკიძის, გელა ცინაძის, ენვერი აბჟანდაძის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, - ქეთევან შეყრილაძის მხარდაჭერით და ხელშეწყობით, სოფელ ძევრში, სადაც შმაგი სოფრომაძე ცხოვრობდა და სწავლობდა, მთავარ ქუჩას და სკოლას მისი სახელი მიენიჭა, რაც საწინდარია ახალგაზრდობა და მომავალი თაობა აღვზარდოთ პატრიოტული სულისკვეთებით.

<u>**მეგობრებო!**</u> ყველა ამ სასიკეთო საკითხების მოგვარებაში ჩვენი მოწვევისათვის ერთხელ კიდევ მადლობას ვუხდი, თერჯოლის რაიონის გამგებელს ბონდო სოფრომაძეს, მის მოადგილეს მანუჩარ ფანჩულიძეს, საკრებულოს თავმჯდომარეს ნინო ჯანელიძეს, მოწვეულ და დამსწრე საზოგადოებას, მე როგორც რიგითი ჯარისკაცი ვალში ვარ რაიონის ხელმძღვანელობასთან და თითოეული რაიონის მკვიდრთან.

მე პირადად მინდა სამძიმარი გამოვთქვა მათი მშობლების, დედმამიშვილების, მეუღლეების, შვილების და ახლობლების წინაშე, ასეთი გმირების გაზრდა - აღზრდისათვის.

მადლობა ყურადღებისათვის.


შეიარაღებული ძალების ომის ვეტერანი,
თადარიგში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი:
დომენტი (დონი) ფანჩულიძე
599-14-28-00; 593-51-68-15


17 ოქტომბერი 2018 წელი, ქალაქი თერჯოლა

დიდუბის რაიონის მილიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლები. მარცხნიდან პირველ რიგში: დომენტი (დონი) ფანჩულიძე, აკაკი ინაძე, ზაზა „ბაევიკა“ ციმაკურიძე, ოთარ ნიჟარაძე, ზაზა მაღრაძე. მეორე რიგში: ზაზა დევდარიანი, ნუგზარ თვაური, პეტრე საღარეიშვილი, გია დარჩიაშვილი, მამუკა შუკაკიძე. მესამე რიგში: გოგა კენჭაძე, გია ალავერდაშვილი, ზაზა ქავთარაძე, ზაზა თეთრაძე, დათო ლალიაშვილი, სოსო ბუტიკაშვილი. აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. ლაბრაში გამგზავრების წინ. 1992 წლის დეკემბერი. დონი ფანჩულიძის ფოტოარქივიდან.

მარცხნიდან: გონერი დარბაიძე, ფორე მოსულიშვილი, მამია ცნობილაძე, დემური ცხვედიანი, დომენტი ფანჩულიძე, შოთა მწარიაშვილი. ფოტო გადაღებულია დიდუბის რაიონის ავღანელთა კავშირის თავმჯდომარის - გურამ ალავიძის მიერ. ქ. ცხინვალი, 1991 წლის 16 იანვარი. საოლქო კომიტეტის წინ.

მარცხნიდან დგანან: აკაკი ინაძე, დათო გურგენიძე, უცნობი, ტარიელ გვენეტაძე, უცნობი, უცნობი...
სხედან მარცხნიდან: დომენტი ფანჩულიძე, უცნობი, უცნობი.
აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. ლაბრა. 1992 წლის თებერვალი.

# ჩვენ ვიცავდით „სამაჩაბლოს“ მოსახლეობას!

მარცხნიდან დგანან: კახა ცალქალამანიძე, ბიჭიკო აღდგომელაშვილი, აკაკი ინაძე, კოტე გიგიტაშვილი, „უცნობი-შიმშილა“, ავთო ჩაჩუა. მეორე რიგში: ჟენია და გაიოზ დვალიშვილები, თეიმურაზ „კუკარაჩა“ ჩიკვილაძე, ზაზა „ბაევიკა“ ციმაკურიძე.
სხედან მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, თენგიზ სუბელიანი. ცხინვალი, სოფ. ერგნეთი. 1991 წლის ივლისი.

# მოხალისე „პარტიზანებთან“

მარცხნიდან მეხუთე - დონი ფანჩულიძე, დავით ზმანაშვილი, თემურ ჩიკვილაძე, „სამაჩაბლო“, სოფ. მეღვრიკისის მებრძოლ მოხალისეებთან ერთად.
1991 წლის ივნისი

# „ტყის ძმები“

დიდუბის რაიონის მილიცია.

„სამაჩაბლო“, სოფ. თამარაშენი, 1991 წლის ივნისი. დონი ფანჩულიძის არქივიდან

დომენტი (დონი) ფანჩულიძე №1 საგუშაგოზე. „სამაჩაბლო“, ლიახვის ხეობა, 1991 წლის მაისი.

აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. ლაბრა. 1992 წლის დეკემბერი.
დონი ფანჩულიძის ფოტოარქივიდან.

ოსმა სეპარატისტებმა, ერედვის გზაზე დააკავეს, მერაბ „ვირო“ მინდიაშვილი, მიაბეს ხეზე და ისე დაწვეს.
ფოტოზე: თბილისის გარნიზონის მილიცია, „ბლოკირებულია“ რუსი სამშვიდობოების მიერ.
დონი ფანჩულიძის ფოტოარქივიდან.

# „სამი ტანკისტი“

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები. მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, აკაკი ინაძე, ტარიელ გვენეტაძე. აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. ლაბრა, 1993 წ. თებერვალი.
ფოტოარქივიდან

ოსი „სეპარატისტების“ მიერ გადამწვარი გაიოზ და ჟენია დვალიშვილების ოჯახი.
ცხინვალი, სოფ. ერგნეთი, 2008 წლის აგვისტო.

ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის მიერ
20 წლისთავთან დაკავშირებით ანგარიში
პრეზიდენტი - გურამ ალავიძე, პრესსასმსახურის ხელმძღვანელი დონი ფანჩულიძე

მარცხნიდან: ნიკოლოზ კვეზერელი, ვლადიმერ იმნაძე, მირონ ჩიგოგიძე და გურამ ალავიძე

მარცხნიდან დონი ფანჩულიძე, გია ბერძენიძე, თემურ ლორია და ვანო ჭოლაძე

<<გმირებს დავიწყება არ უწერიათ!>>
ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის უფროსი, გენერალი ვლადიმერ იმნაძე,
მოადგილე გენერალი მირონ ჩიგოგიძე ერთ-ერთი გამოფენის დროს

13.07.2018 წელი

ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის
20 წლისთავთან დაკავშირებული ანგარიში
დავით ჩიხლაძე და დონი ფანჩულიძე

უკრაინელი ვეტერანი მფრინავი-პილოტები თავდაცვის სამინისტროში, რომლებმაც 1993 წლის 27 სექტემბერს ჭუბერის უღელტეხილიდან ათასობით ლტოლვილი ქალი და ბავშვი გადმოიყვანეს სამშვიდობო ადგილებში

ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის უფროსი, გენერალი - ვლადიმერ იმნაძე, მოადგილე - გენერალი მირონ ჩიგოგიძე „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთში“ ომის მონაწილე ვეტერანებთან

ქ. თბილისი 13.07.2018 წელი

ვეტერნთა სახელმწიფო სამსახურის უფროსი მოადგილე ჯანრი უბირია, „აფხაზეთში“ დაღუპულ პაატა ნათენაძის სახელობის სკვერში ომის ვეტერანებთან ერთად

ქ. ახალციხე, 2015 წელი

მარცხნიდან: ელგუჯა ბერუაშვილი, დონი ფანჩულიძე, გიორგი (ჟორა) კენჭოშვილი, გურამ ალავიძე, გია ბერძენაძე, დავით თევზაძე - გენერალ-პოლკოვნიკი **1997 - 2000** წლებში თავდაცვის მინისტრი. გად. 09.05.2015წ. „ვაკის პარკში“ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 70-წლისთავთან დაკავშირებით.

ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის უფროსი მოადგილემ ჯანრი უბირიამ და ომის ვეტერანებმა გვირგვინი მიიტანეს „აფხაზეთში“ დაღუპულ პაატა ნათენაძის სახელობის სკვერში

ქ. ახალციხე 12.07.2015 წელი

მარც: ამბროსი „კუსა" ლეჟავა, გიორგი ბოსტონაღაშვილი ..., სოსო ცომაია, ზაალ სიხარულიძე, ზაზა ნეფარიძე, შოთა ზღულაძე ..., სხედან: ..., გელა ათაქიშვილი, ზაირა მიქატაძე ჟურნალ: „ვეტერანი"-ს მთავარი რედაქტორი, დონი ფანჩულიზე გად. 17.10.2015წ „ვეტერანის დღე, - აბანოთუბანში"

ომის ვეტერანები „მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე“

2018 წელი

მარცხნიდან დგანან: ლერი მანგიაშვილი, დავით ჩახმახაშვილი, გურამ ალავიძე, - მეომართა ფონდის პრეზიდენტი, რომა „პაპა“ დოდაშვილი, დომენტი (დონი) ფანჩულიძე, დავით მუხიგულაშვილი. სხედან მარცხნიდან: ოთარ ტუხაშვილი, ზვიად გოგია, ირაკლი კელენჯერიძე... გადაღებულია თბილისის ზღვაზე „ვეტერანთა პარკში“, 2014 წლის 17 ოქტომბერს ვეტერანების დღესთან დაკავშირებით.

მარცხნიდან  დგანან:-ბეგლარ მიქუჯიშვილი, ფრიდონ ნადიბაიძე, დონი ფანჩულიძე
ზვიად ბერიაშვილი, ნიკა ჯამასპიშვილი, გურამ ალავიძე, ნუგზარ გოგშელიძე
სხედან მარცხნიდან: დავით ჩახმახაშვილი, შალვა არჯევანიძე, მურმან შუკაკიძე
გად. 12.07.2015 წ.  ქ. ახალციხე აფხაზეთში დაღუპულ მეომარ პაატა ნათენაძის სახ. ქუჩაზე

სამამულო ომის მონაწილე „ლეგენდარული ჩეკისტი“, პოლიციის პოლკოვნიკი, ორგზის საპატიო „ჩეკისტი“ - ვახტანგ ჯაფარიძე, დონი ფანჩულიძე. გად. 09.05.2015წ. „ვაკის პარკში“ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 70-წლისთავთან დაკავშირებით.

ომის ვეტერანები „ვეტერანის დღე“-სთან დაკავშირებით გმირთა მოედანზე მემორიალთან
17 ოქტომბერი 2019 წელი

"სამაჩაბლოში" და "აფხაზეთში" დაღუპული მეომრების სულის
მოსახსენიებელი პარაკლისი - ქაშვეთის ეკლესია.
მარცხნიდან: ლაშა ბარათაშვილი, თომა თომაძე, დონი ფანჩულიძე,
მამუკა ჭანუყვაძე, გურამ დამენია, ზაირა მიქატაძე


ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ
17/10/2019 10:16 AM

## = თადარიგში გასვლის სამზადისში =
## (2003 წლის იანვრიდან)

7/02-03 წ.

1975 წლიდან ერთიდაიგივე რაიონში მუშაობის შემდეგ გადავწყვიტე გავსულიყავი თადარიგში, უფრო სწორად რომ ვთქვა- პენსიაზე, რადგან შემეძლო წოდების და დამსახურების მიხედვით კიდევ ათი წელი მემსახურა მაშინდელი კანონმდებლობის თანახმად, მაგრამ ბევრმა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა მაიძულა გავსულიყავი ე.წ. „შევარდნაძის მმართველობიდან, სამოქალაქო სამსახურში და სამსახური გამეგრძელებინა დაუყვედრავად, ალალი შრომით, როგორც ამჟამად ვასრულებ ჩემს დაკისრებულ მოვალეობას...

2003 წლის დასაწყისიდან მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში, კერძოდ თბილისში, სამოქმედო უბანში, სადაც ვახშმითა და სადილით მხვდებოდნენ და მიმასპინძლდებოდნენ, იმ დროინდელი მთავრობაზე განაწყენებული მოსახლეობა უკვე სხვა თვალითა და განწყობით მხვდებოდნენ, რაც გამოწვეული იყო ეკონომიური კრიზისით, რაც გამოიხატებოდა მაშინდელი შეთქმული ტერმინოლოგიით: - „გაყინული პენსიები და ხელფასები“... რომელსაც მოისმენდით მოსახლეობიდან, განაწყენებული ხალხისაგან, მაგრამ მთავრობა იტოვებდა ბოლო შანს... რაც გამოიხატებოდა მთავრობის მიერ ლიბერალობით, გასაქანს აძლევდა მოსახლეობას თავისუფალი ვაჭრობისათვის ვისაც რა და სად მოესურვებოდა ვაჭრობდა ყველა საშუალებებით, საარსებო მინიმუმის მისაღწევად...

2003 წლიდან გააქტიურდა „ქურდული სამყარო“ და “რეკეტი“, რომლებმაც უკვე წარმოება-დაწესებულებებშიდაც კი შეაღწიეს ე.წ. „წილებში“ ჩაჯდნენ ხელმძღვანელებთან და ბიზნესმენებთან...

2003 წლის 7 თებერვლიდან ბრძანების საფუძველზე უკვე თადარიგში გავედი ვ/ პოლკოვნიკის წოდებით, მიზერული პენსიით 125 ლარის ოდენობით, არც წოდების, არც სტაჟის და არც დამსახურების მიხედვით, საერთო სტაჟით 30-წელი ძალოვან სტუქტურებში. თვის,

კვარტლის და წლის ანგარიშით რაიონში და გარნიზონში ყოველთვის მოწინავეთა რიგებში ვიყავი.

**= 2002 წლის XII-თვეში ჩატარებული ანგარიში =**

ქ. თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის შ/ს რაისამმართველოს სექტორების მიერ საზ. წესრიგის დაცვის ხაზით 2002 წლის XII-თვეში გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

- რეგისტრირებული - 83 ს/ს დანაშაული;
- გახსნილია - 66;
- რეგისტრირებულია ს/ს დანაშაული ქუჩაში - 20 (გახსნილია)

## N23- სექტორი

- სექტ. უფრ. ინსპ-რი: დ. ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე
- სამოქმ. ტერიტორია მომხდარია - 28 ს/ს დანაშაული, საიდანაც გაუხსნელია - 2
  ს/ს დანაშაული (ავტომანქან. გატაცება).

**= გაწეული მუშაობის შესახებ =**

1. ყაჩაღობისათვის - 2, 5 - პირის მონაწილეობით ( თანამ-ით).
2. ქურდობა - 8 (თანამონაწილეობით).
3. ძარცვა - 7, 4 - თანამ-ით, 3 - უშუალოდ.
4. დააკავა ძებნილი - 4 (თანამ-ით).
5. თაღლითობისათვის - 1 (1 - უშუალო).
6. ხულიგნობისათვის - 1 (თანამ-ით).
7. წვრილმანი ხულიგნობისათვის - 26 (17 - უშუალოდ, 9 - თანამ-ით).
8. გარე ვაჭრ. წეს. დარღვევისთვის - 6 პირი.
9. ფსიქონერვ. სავ. მოათავს.- 3 პირი.

10. ფერად. ლითონის მიმღ. პუნქტში წეს. დარღ. დააჯ. – 1, სასამ. - 7 ლ. 50 თ.
11. ამოიღო - 1 „გადაჭრილი თოფი“ - „აბრეზი“.
12. ამოიღო - 2 ხელყუმბარა „რგდ“.
13. ამოიღო - 13 კგ. მალე ფუჭებადი თევზი „სიგა“.
14. გამოავლინა უნებართვო მშენებ-ბა - 2 ფაქტი.
15. შეასრულა - 39 საჩივარ-განცხადება.
16. მიმოწერითი ფოსტა - 40.
17. გამოიტანა - 11 არ აღძვრის დადგენილება.
18. კავშირზე ყავს - 11 აქტივი, ატარებს რეიდებს ერთობლივად.
19. საზ. წესრიგის დასაცავ მონაწ. მიიღო - 162-ჯერ.

- აღსანიშნავია ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი სექტორის ინსპექტორები, რომლებთანაც ერთად რამოდენიმე წლების განმავლობაში ვმუშაობდით, ბევრი სიხარული, დაძაბულობა, მწუხარება, დამნაშავე პირებთან უთანასწორო ბრძოლის დროს ვაჟკაცური გვერდში დადგომა, ბედნიერი ვარ, რომ მათთან დღემდე კავშირი მაქვს, ვკითხულობ პერიოდულად მათ ბედ-იღბალსა და მშვიდომაზე. ესენი არიან:

| | |
|---|---|
| N24-ე სექტ. ინსპექტორი: როლანდი კურმაშვილი | კაპიტანი |
| N25-ე სექტ. ინსპექტორი: რობიზონ გვრიტიშვილი | უფრ. ლეიტ. |
| N26-ე სექტ. ინსპექტორი: სულიკო ვაშაკიძე | მაიორი |
| N27-ე სექტ. ინსპექტორი: მირიან ჭკადუა | მაიორი |
| N28-ე სექტ. ინსპექტორი : ჭაბუკა მელაძე | კაპიტანი |
| N29-ე სექტ. ინსპექტორი: თემური შაბაშვილი | ვ/პოლკოვნიკი |
| N30-ე სექტ. ინსპექტორი: პეტრე საღარეიშვილი | უფრ. ლეიტენ. |

2003 წლის მარტის თვიდან დამენიშნა კვლავ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურში ვარ, ხელშეკრულებით დავინიშნე ს/ს „დიდუბის ავტოვაგზლის“ დაცვის უფროსად, რის შემდეგ

ჩამოყალიბდა შ.პ.ს. „რეინჯერი“, რომლის დირექტორად ვიყავი და კვლავ ვასრულებდი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ამავე დაწესებულებაში, სადაც ამჟამად განვაგრძობ მუშაობას...

2003 წლის 23 ნოემბრიდან „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა მთავრობამ დაიწყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, წინა ხელისუფლებიდან გადმობარებული იმ ნაკლოვანებების გამოსწორება და აღმოფხვრა, რაც ქართველ ხალხს წლების მანძილზე მოუწია დადებითი შედეგები მიეღო... გავიდა წლები და პრეზიდენტის გარემოცვაში მოყვნენ „ყვარყვარე თუთაბრები“, რომლებმაც სწორი კუთხიდან შემოატრიალეს პრეზიდენტის აზროვნება და მისწრაფებები და ჯერ-ჯერობით ვიმკით იმას, რაც წინამდებარე ხელისუფლებიდან ჩავიბარეთ, საქართველო ხომ ექსპერიმენტების ქვეყანაა?!...

2003 წლის მარტის 7 თებერვლიდან დავინიშნე და დამენიშნა 125 ლარი პენსია დამატებული 22 ლარი „მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის“ სულ 147.00 ლარი.

2004 წლიდან „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ პოლიციის თანამშრომლებს ხელფასები გაუზარდა სამმაგად, ხოლო ვინც იმ პერიოდში მომატებული ხელფასებით პენსიაზე გავიდნენ, პენსია ენიშნებოდა თანამდებობისა და დამსახურების მიხედვით: 10000, 5000, 3000 და დაბალი ზღვარით 1500 ლარის ოდენობით. სერჟანტს, რომელსაც ნამსახურები ჰქონდა 20 წელი, პენსია ენიშნებოდა 4 500 ლარი, და მის შემდეგ იმატებდა თანამდებობისა და წოდების მიხედვით, ხოლო „ვარდების რევოლუციამდე“ გასულ პოლკოვნიკს 35-40 წლის სტაჟის მქონეს 150-180-ზე მეტი ლარის ოდენობის პენსია. ისმის კითხვა - „როგორ დავწნათ კალათა?!!“ ამ საკითხზე უფრო დეტალურად გიპასუხებთ, - ძვირფასო მკითხველო! კენჭისყრის შედეგები გამოცხადდა 2005 წლის 23 დეკემბერს 13:00 საათზე. ზემოთ აღნიშნული პარლამენტის დეპუტატებმა, პარლამენტის თავმჯდომარის - ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 17

ოქტომბრის კანონი შეცვალეს, 2005 წლის 23 დეკემბერს მე-II მსოფლიო ომის მონაწილეებს (ინვალიდებს) მათთან გათანაბრებულ პირებს, სხვა სახელმწიფოების ომის მონაწილეებს, ძალოვანი სტრუქტურების, მარჩენალ დაკარგულებისათვის შეღავათების გაუქმების საკითხს 147-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 48 დეპუტატმა თავი შეიკავა, მახსოვს მხოლოდ დეპუტატმა ქ-ნმა მანანა ნაჭყებიამ იყვირა ხმამაღლა, - რას შვებით ხალხო!!! რას აკეთებთო!!!... მაგრამ უშედეგოდ, დღეს ომის ვეტერანი - „ვაი ვეტერანია“... აღნიშნული გადაწყვეტილების დროს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იყო...

**ავტორისაგან დამატება**! (დ. ფ.)

ნუ ვაწყენინებთ ღმერთს! - ის არ გაპატიებს... მშობლები, უახლოესი ადამიანები, რომლებმაც იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხელმძღვანელობით „ფაშიზმი“ უკუაქცია და გაანადგურა, ფეხით მიყვნენ გერმანიამდე, ჯანმრთელობის და სიცოცხლის ფასად ეს შედეგი მიიღო შთამომავლობიდან, ომის მონაწილეებს შეღავათები მოუხსნეს!!!, „მოტეხილი თანხით“ გააგრძელეთ „ვოიაჟები“ ევროპაში და ამერიკაში, პარლამენტში ასეთი საკითხების გადაწყვეტისათვის დაღლილი იქნებით, ოთხი წლის შემდეგ, როდესაც პარლამენტიდან პენსიაში გახვალთ, მიუხედავად შრომის წიგნაკის იქ შევსებისა, მშვიდობაში მოიხმარეთ თქვენთვის დანიშნული 500 ლარი, ყოველი თვის ბოლოს მიღებული. ჩვენ, ვეტერანები 22 ლარსაც დავჯერდებით...

## = დამდეგ ახალ 2020 წელს ვულოცავ ძალოვან სტრუქტურას =

შინაგან საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილ ხელმძღვანელობას, მოქმედ და თადარიგში გასულ პოლიციის თანამშრომლებს, მათ ოჯახის წევრებს, ყველას, ვინც გულშემატკივრობდა პოლიციის მიერ 2019 წელში მიღწეულ წარმატებებს

ყოველდღიური ცხოვრება ჩვენს წინ და ჩვენს გარშემო ასტრონომიული სისწრაფით მირბის, რომლის გაჩერება შეუძლებელია. ამ დროის მცირე მონაკვეთში ღმერთისა და ბუნების ძალისხმევით ვემსახურებით დედასამშობლოს და მთლიანად საქართველოს. თითოეული მათგანი ხომ ვცდილობთ იმ ტიტანური შრომის შედეგად განსაკუთრებული წვლილი შევიტანოთ ჩვენი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

დასაბამიდან დღემდე საქართველოს მოსახლეობას მრავალი ჭირვარამი გადაუტანიათ, მაგრამ ქართველი კაცის გენმა, ბუნებამ და ფენომენალურმა ნიჭმა დღემდე მოგვიტანა და შემოგვინახა: - „ენა, მამული, სარწმუნოება“. როგორი თავდადებული წინაპრები გვყოლია? რომ დღემდე, მიუხედავად შინაური და გარეული მტრებისა ვინარჩუნებთ და ეტაპობრივად გადავცემთ „თაობიდან თაობას“ შენარჩუნებულ კულტურასა და ადათწესებს. მიუხედავად პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისისა, საქართველო ადგას აღმშენებლობის გზას, რომელიც განპირობებულია საკადრო პოლიტიკით. მართალია ახლებური ხედვა ზოგიერთ დარგს მტკივნეულად შეეხო, მაგრამ ეტაპობრივად და დროულად უნდა გადახალისებულიყო, რადგან კორუფციამ და ე.წ. „შავი ფულის“ არალეგალურმა ბრუნვამ დაღი დაასვა ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლებს. გახშირებულმა უცხოელი ბიზნესმენების გატაცებამ, და ტერორებმა, შეკვეთილმა მკვლელობებმა, ქუჩის მძიმე დანაშაულმა საჭიროდ ჩათვალა მიღებული ყოფილიყო ქმედითი ღონისძიებები, რამაც გაზარდა პოლიციის თნამშრომელთა ავტორიტეტი.

აღნიშნული ღონისძიებების, - დასახვის, გატარებისა და მოქმედებაში მოყვანისათვის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მათ დაქვემდებარებაში მყოფ ძალოვან უწყებებს. ეს კიდევ ერთხელ თვალნათლივ მიუთითებს, თუ როგორი საკადრო პოლიტიკა განახორციელა, - კორუფციის, მექრთამეობის, „ელიტარულ-ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ, რის შემდეგ გარანტია მისცა ქართველ ერს მშვიდად ეცხოვრა.

1999 წლის 31 დეკემბერი, 23:00 საათი, სიურპრიზს
ვუმზადებ შემოვლით ჯგუფებს ჩემს სამუშაო ოთახში
დამდეგ ახალ წელთან დაკავშირებით.
ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის
მე-2 განყოფილება, აკაკი წერეთლის გამზ. N113-ში

*სურათზე: დონი ფანჩულიძე*
*ფოტო: ხვიჩა ხუბაშვილის*

მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, ალღოიანმა გათვლებმა, მთლიანად მობილიზაცია გაუკეთა ქალაქსა და რეგიონებში ოპერატიულად დაზიანებულ ადგილებში მომხდარიყო წესრიგის დაცვა, რამაც გაადვილა მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულის დროულად გახსნა-აღმოფხვრა. ამაღლდა პოლიციის თანამშრომლების იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონე, კულტურა, პროფესია, იერსახე და განათლება. ჩვენ ხომ იმედიანი, პერსპექტიული ახალგაზრდობა გვყავს, რომლებიც ეუფლებიან ევროპული ცოდნის დონის სტანდარტებს, რამაც განაპირობა ძველი კულტურის შენარჩუნება და ახლის დანერგვა. შევსებული იქნა რა ახალგაზრდა ენერგიული თანამშრომელით, მიზნობრივად შეივსო ასევე ქალთა პერსონალი, რამაც უფრო გაზარდა პოლიციის ავტორიტეტი  და ნდობა ხალხის მასებში, ხოლო ის თანამშრომლები, რომლებმაც ვერ დაიმსახურეს ხელმძღვანელობისა და ხალხის ნდობა, განთავისუფლებულნი იქნენ დაკავებული თანამდებობიდან, და დღემდე გრძელდება... განვლილმა დრომ ნათლად დაგვანახა, რომ ეფექტი გამოიღო ხალხის  მასებთან დაახლოებამ. წინა ისტორიებიდან ცნობილია, რომ ძალოვანი სტრუქტურისა და დამსჯელი ორგანოს წარმომადგენლები მშრომელ ხალხთან „გაბზარული ხიდით“ უკავშირდებოდნე, ცდილობდნენ მკაცრი პოლიტიკა გაეტარებინათ მათ მიმართ, მტკივნეული რეფორმების გატარების დროს, რაც ხალხის ნდობას აუფერულებდა. ნათქვამია ხალხი ბრძენიაო... გამოცდილებასთან ერთად საჭიროა ლმობიერება და მოყვასის სიყვარული, რაც იმ „გაბზარულ ხიდს“ გაამთელებს. ჩემო კოლეგებო, თქვენ ხომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კვლავ საზოგადოებას უნდა დაუბრუნდეთ, რომლის მდიდრული გამოცდილება უკვე გამაჩნია. დაინერგოს შეხვედრები თადარიგში გასულ გამოცდილ თანამშრომლებთან, დადებით შთაბეჭდილების გაზიარების თვალსაზრისით, არ დაიკარგოს დღემდე მოტანილი საქართველოს ერთიანობა, ჩვენ ხომ ამ აზრმა და მოწოდებამ გადაგვარჩინა: - “ ენა, მამული, სარწმუნოებამ“.

ჩემო ახალბედა პოლიციის თანამშრომლებო, მომქმედ და თადარიგში გასულო ვეტერანო პოლიციელებო, ღმერთი გფარავდეთ, გილოცავთ დამდეგ 2020 წელს, ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის და სრულიად საქართველოსათვის.

/ დ ო ნ ი  ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე /

გაზეთი: „თაობიდან თაობამდე“-ს
რედაქტორი
„1“ იანვარი 2016 წ.

მარცხნიდან: სამსონ ბრეგვაძე და დონი ფანჩულიძე
„ჭადრაკის სასახლეში“, ქ. თბილისი 2017 წელი.

# შეგირდები „ნასტავნიკთან“ ერთად

ზაზა ზანგური და დონი ფანჩულიძე
ს/ს „დიდუბის ავტოვაგზალი“. 2019 წ.

„ძველი და ახალი თაობა“
დონი ფანჩულიძე და ნიკა ჯამასპიშვილი
რესტორანი „მირზაანი“. 13 მარტი 2020 წ.

„თამადა და მზარეული“, სტუმრების მოლოდინში.
დონი ფანჩულიძე და დიმიტრი გოგობერიშვილი, 2018 წელი.

მარცხნიდან: ელდარ შოშიტაშვილი, ვანო ტატიაშვილი, რობიზონ გიგაური, აჩიკო ალავერდაშვილი, ზაური წერეთელი დონი ფანჩულიძე
რესტორანი "იმერეთი" სოფ. ნატახტარი. ანსამბლი „ქსოვრელები“. 2019 წელი

# „დიდგორის ბრძოლა“
# ჩემი სიამაყეა!

*დიდგორის ომიდან 899 წლისთავზე*

დიდგორის ბრძოლა ან ძლევაი საკვირველი 1121 წლის 12 აგვისტოს მოხდა.

იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება თურქ-სელჩუკებს და საქართველოს სახელმწიფოს აშკარად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ყველაფრიდან ცხადი იყო, რომ ეს ძლიერი წინააღმდეგობა დღეს თუ ხვალ იარაღით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ საიმდღისო ამოცანად იგი საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ განდევნილ და შევიწროებულ თურქთა და ქალაქების, თბილისი, დმანისი და განჯის თავკაცთა ელჩობამ აქცია. ამან დააჩქარა კოალიციური ლაშქრის შექმნა და „დიდგორის ბრძოლაც“. ყველა ძველი ისტორიკოსის (დავითის ისტორიკოსი, მათეოს ურჰაეცი, ალ-ფარიკი) მოწმობით დავითის მიერ აწიოკებულმა თურქმანებმა და აღნიშნული ქალაქების მმართველი ზედაფენის წარმომადგენლებმა მწუხარების ნიშნად შავად ხელპირშეღებილებმა, ტანსაცმელშემოფლეთილებმა და თავზე ნაცარდაყრილებმა გადაწყვიტეს „მათ ზედა მოწევნულნი ყოველნი ჭირნი მოეთხროთ და დახმარება ეძიათ ძლიერ მაჰმადიან მფლობელებს შორის.“ ეს ელჩობა დავითის ისტორიკოსის ცნობების მიხედვით, 1121 წლის აპრილ-მაისში შემდგარა. ვის მიმართეს თურქებმა და ქალაქის წარმომადგენლებმა? ამ კითხვაზე საისტორიო წყაროებს სხვადასხვაგვარი ცნობები აქვთ დაცული, ასე მაგალითად, დავითის ისტორიკოსის ცნობით, - „შეიწრებულნი თურქმანნი“ და მოქალაქეთა წარმომადგენლები „წარვიდეს სულთანს წინაშე და ყოველსა სპარსეთს“ ე.ი. ისინი უპირველესად სულთანს ხლებიან, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილებულან და სხვა მაჰმადიანი მფლობელებისათვის მიუმართავთ. ისტორიკოსის განცხადება „წარვიდეს... ყოველსა სპარსეთსა“ სწორედ ამაზე მიუთითებს.

დონი ფანძულიძე
„დიდგორი„ 12,08,2019 წ.

სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის მიხედვით კი, შავტანსაცმლიანი და თავდაუხურავი ელჩები „გაჰკიოდნენ თავიანთ სულთანთან ქალაქ განჯაში მელიქთან თაფარის ძესთან და ტირილით ჩიოდნენ მის წინაშე თავიანთ დაღუპვას. ხოლო სხვები მივიდნენ არაბთა ოლქში, კარმიანის (კაბადოკიის) ქვეყანაში ამირა ხაზისთან არდუხის ძესთან და დიდი ტირილით უამბნენ მას... ასე, რომ მათეოსის ცნობით, თბილელთა და სხვათა წარმომადგენელთა ერთ ნაწილს, უწინარეს ყოვლისა, განჯაში მყოფი მალიქისათვის მიუმართავს, ხოლო მეორე ნაწილს - ამირა ღაზისათვის, არდუხის ძისათვის... ამრიგად უდავოა, რომ თბილისის მოსახლეობის წარმომადგენლებმა დახმარება, უპირველეს ყოვლისა, სთხოვეს სულთანს, ერაყის სელჩუკინთა იმდროინდელ გამგებელს მაჰმუდ მოჰამედის-ძეს (1117-1131 წ.წ.) სწორედ ის იყო მაჰმადიანთა ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი, ყურადსაღებია აგრეთვე დავითის ისტორიკოსისა და მათეოს ურჰაეცის ცნობები, რომელთა მიხედვით თბილისელთა წარმომადგენლები არ დაკმაყოფილებულან სულთანთან მისვლით...

...1119 წელს ილღაზმა, როგორც სარდალმა, დიდად გაითქვა სახელი ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ აირჩია იგი სულთან მაჰმუდმა გაერთიანებული ლაშქრის სპარსალარად.

...კოალიციური ლაშქრის რაოდენობა:

დიდგორის ომში მონაწილეობის მისაღებად მოწოდებულთა ვინაობის გარკვევის შემდეგ საჭიროა დაახლოებით მაინც განისაზღვროს მათ მიერ გამოყვანილი ლაშქრის რაოდენობა...

(სომეხი ისტორიკოსი) მათეს ცნობით 150 000 მოლაშქრე გამოუყვანია „არაბთა მეფეს“ დუბეისს ათი ათასი და მოკავშირენი 160 000-იანი ლაშქარით განძაში დაბანაკებულან. განძაშივე მოვიდა სულთანი მელიქი ოთხასიათასი მხედრით, გულადი კაცებით. ისინი დაიძრნენ საშინელი სიმრავლით და შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში ქალაქ თბილისის მხარეს. ...ამრიგად თუ მათეოს ურჰაეცის დავუჯერებთ, მაჰმადიანთ მფლობელთა გაერთიანებული ლაშქრის რიცხვი 560 000-ისათვის გამოყვანა შეძლებოდა.

მარცხნიდან: დიმიტრი გოგობერიშვილ და დონი ფანჩულიძე
„დიდგორი“ 12 აგვისტო 2019 წ.

მათე 260 000 მოლაშქრეს ასახელებს, გოტიე კი 600 000-ათას. ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით 300 000 ათასი ...„თურქ-სელჩუკთა“ ლაშქრის შემოსვლა მანგლისით უნდა შემოსულიყო დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ.

გოტიეს სიტყვით მეფე დავითი 80 000 ათასი მეომრით იდგა ერთ ხეობაში, ორ მთას შორის მდებარე დაბურულ ტყეში. გოტიეს ორთავეს ლაშქარი გაზვიადებული რაოდენობით აქვს მოხსენიებული. სომეხ ისტორიკოს მათეოს ურჰაეცის თუ დავუჯერებთ დავითს 56 000-იც კი არ ყოფილა.

თურქ-სელჩუკთა ლაშქრის განლაგება ძირითადად იყო თრიალეთ-მანგლისი - დიდგორის კალთებზე დაბანაკება. ეს იყო 1121 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს სამეფო ლაშქარი, დავით აღმაშენებლის მეთაურობით, დიდგორის ველს ნიჩბისის საკმაოდ გაშლილი ხევით მიუახლოვდა. სწორედ ნიჩბისის ხევს მიჰყვება გზა დიდგორ-მანგლისისაკენ.

„დიდგორის ბრძოლა“ საბოლოოდ დადგენილია, 1121 წლის 12 აგვისტოს მოხდა. ამ არც ისე დიდი რაზმის მოულოდნელმა თავდასხმამ ერთხანს დააბნია მტერი. საქართველოს ლაშქარმა მტრის ფლანგებს ორი მხარიდან შეუტია. ლაშქრის ერთი ნაწილი თვითონ მეფის სარდლობით ნიჩბისის ხევით ალფერიკის ცნობით დასავლეთიდან უტევდა მტერს, ხოლო დიდგორის ერთ-ერთი მხრიდან „დემეტრე უფლისწული“ დაეშვა თავისი ლაშქრით და მთის ძირში საომრად განლაგებულ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს შეუტია. როგორც კი ბრძოლა შენივთდა, შეიკრა და გამარჯვების სასწორი ქართველთა მხარეს გადაიხარა, მტრის ლაშქრის დიდმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ბრძოლის ველს. შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და სივლისტოლად მიდრიკნა იგინი“-ო. ასევე წერს მათეოს ურჰაეციც, ბრძოლის შეკვრისას [ქართველებმა] გააქციეს თურქთა მთელი ჯარიო.

მარცხნიდან დგანან: გურამ დამენია, მარინა ჯანაშვილი, მწერალი ერეკლე საღლიანი, ჟურნალ "მეციხოვნე"-ს მთავარი რედაქტორი ზაირა მიქატაძე, დონი ფანჩულიძე
მარჯვნიდან: ლაშა ბარათაშვილი, მამუკა ჭანუყვაძე ...
დიდგორი, 31 მაისი 2020 წელი.

მარცხნიდან: მარინა ჯანაშვილი და დონი ფანჩულიძე
დიდგორი

„ვახტანგური"

მარინა ჯანაშვილი და დონი ფანჩულიძე
„ერთობის მადლს გაუმარჯოს!"
31 მაისი 2020 წელი

დავითის ისტორიკოსის მიხედვით, ეს სისხლისღვრის ბრძოლა მხოლოდ სამ საათამდე გაგრძელდა.

„დიდგორის“ ბრძოლის აღწერა ისტორკოსებს ზოგიერთი ცნობა აქვთ დაცული თურქ-სელჩუკთა ლაშქრის ზარალის საერთო რაოდენობის შესახებ.

მათეოს ურჰაეცის (სომეხი ისტორიკოსი) მონაცემებით, მისი სიტყვით, - „იქმნა რიცხვი თურქთა ამოწყვეტილი ჯარისა ორმოცი ბევრი (40 000), ხოლო შეიპყრეს ოცდაათიათასი კაცი“. საერთოდ მათეს ცნობით, მტრის ყოველი ათასი მოლაშქრიდან ასიც კი არ დარჩენილა ცოცხალი და გაქცეული.

...რა თქმა უნდა, დიდგორის ბრძოლამ დაჭრილებისა და დახოცილების სახით ბევრი ქართველი, ყივჩაღი, თუ ოსი მოლაშქრეც შეიწირა, მაგრამ საქართველოს ლაშქარის დანაკლისი, მტრის ჯარის დანაკლისთან შედარებით, იმდენად მცირე ყოფილა, რომ არც ერთ ძველ ისტორიკოსს მისი აღნიშვნა საჭიროდაც არ მიუჩნევია.

საქართველოს ლაშქარმა მრავალრიცხოვან ტყვეებთან ერთად დიდძალი ალაფიც იგდო ხელთ.

მათეოს ურჰაეცის სიტყვებით, მტრის უპატრონო „ცხენებისა და დაყრილ იარაღ-საჭურვლისაგან დაიფარა ყოველნი პირნი ველთანი“.

„დიდგორის ველზე“ მტრის კოალიციური ლაშქრის დამარცხების, მისი საკმაოდ ხანგრძლივი დევნისა და საბოლოო განადგურების შემდეგ, დავით აღმაშენებელს გზა გაეხსნა თბილისისაკენ. „დიდგორის ბრძოლაში“ მეფემ დაამარცხა არა მარტო თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი, არამედ იმ ქალაქების დამოუკიდებლობაცა და გაერთიანებაც, რომლებიც საქართველოში კოალიციურ ლაშქარს იწვევდნენ დავითის წინააღმდეგ. დიდგორის არსებითად გადაწყდა თბილისი-დმანისისა და სხვა ქალაქთა ბედიც, იწყებოდა მათი დამოუკიდებლობის აღსასრული. მას შემდეგ, რაც საქართველოს ქალაქების კავშირმა (თბილისმა და დმანისმა) ასეთი დიდი ომი გამართა სამეფო ხელისუფლებას, დავითი სავსებით დარწმუნდა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ქალაქები

„დიდგორზე ბაიკერებთან“

უბრძოლველად არ დასთმობდნენ პოზიციებს და მათ კიდევ ახალი დამხმარე ძალების მოწვევა რომ არ ეცადათ, მეფემ გეზი პირდაპირ თბილისისკენ აიღო. ასე რომ 1122 წელს თბილისი, ხოლო 1123 წელს დმანისის აღება, არსებითად, სწორედ „დიდგორის ბრძოლის“ გაგრძელებას წარმოადგენს.

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება და დასაბამი მისცა ოქროს ხანას საქართველოს ისტორიაში, ამასთანავე საქართველომ საბოლოოდ დაიმკვიდრა რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი.

ავტორისაგან: (დ.ფ.) ...ჩვენმა სასიქადულო არქიტექტორმა მერაბ ბერძენიშვილმა 1995 წელს შექმნა, - „დიდგორის სკულპტურულ-არქიტექტორული მემორიალი თამაზ გაბუნიასთან ერთად. დაწესდა ყოველი წლის 12 აგვისტოს უშუალოდ თეთრიწყაროს რაიონის მესვეურებისაგან, დღესასწაული, - „დიდგორობა“, სადაც იკრიბებიან სამთავრობო სტრუქტურებიდან, დამთავრებული რიგით ადამიანებამდე.

...2015 წლიდან რამოდენიმეჯერ დადგა საკითხი საკანონმდებლო ორგანოების წინაშე, რათა ყოველი წლის 12 აგვისტოს „დიდგორობა“ გამოეცხადებინათ, <<უქმე დღედ>>!... ჩვენ, ქართველები ხომ ტოლერანტი ერი ვართ?!... როგორ შეიძლება ვაწყენინოთ, - ირანელ და თურქ დიპლომატებს?! (რომლის წინაპრები აკვანში გვიხოცავდნენ ჩვილ ბავშვებს, ქალებს აუპატიურებდნენ და ახალგაზრდები მონებად მიჰყავდათ...), რომლებმაც 2017 წლის 12 აგვისტოს გაფრთხილების ნოტა გამოუგზავნეს ჩვენს ხელისუფლებას, როგორ შეეძლო დავით აღმაშენებელს, - „ბრძოლაი საკვირველი“ მოეგო 300 000 ათასიან თურქ-სელჩუკებთან 56 000 ათასიანი „ქართული ლაშქრითო?!...

ცივილური, დიპლომატიური ომი“ 2021 წლის 12 აგვისტოს, <<900 წლისთავთან>> დაკავშირებით თქვენთვის მომინდვია მომავალო თაობა!

დომენტი (დონი) ფანჩულიძე

„დიდგორი“ 1 ივნისი 2020 წელი

„ბავშვთა დაცვის დღე“

## „სიკეთის კეთებას რა უნდა ბიძია?!

ადექი დილას, დოუყარე საჭმელი ქათმებს, ღორებს, ძროხა გადადენე საძოვარზე, ძაღლს აჭამე, მერე ქე მოტრიალდი სახლში, გაახურე შეშის „ფეჩი“ ბოვშებს რომ არ შეცივდეთ. ღმერთის დიდება თქვი და ამისათვისაც მადლობა გადოუხადე ღმერთს, ქერო გაახსენდი და დღეს საჭმლის გარეშე არ დაგტოვა, დოუძახე ახალგაღვიძებულ ბოვშებს, გაატანე საგზალი სკოლაში მიმავალს, ქალს დოუძახე დაუყვავე და უთხარი, რომ ამდენი წელი გევიდა და ქე მოხვედით აქამდე და არც აწია საშიში რამე, ანუგეშე ქალი, მშიშარა და მოწუწუნე კაცზე მეტად არაფერი ეზარება ქალს, პატარა შემართება თუ მიცემ მთას გადადგამს, ასეა მისი ტვინი მოწყობილი, ადექი მერე გამეისახე პირჯვარი და შეუდექი საქმეს, ორი ხელი და ორი ფეხი რომ გაქვს, რამ უნდა გამაჩეროს კაცი ტყუილად, გადი გარეთ იქაც დაგხვდება ქვეყნის გასაკეთებელი სიკეთე, მეზობელს კაი გამარჯობა უთხარი და მშვიდობა უსურვე, ესაა მთავარი, თუ გლახა სახით დეინახო? ქე კითხე რა ამბავია მის თავს. ზოგი მისთანა უჟმურია, გლახაც, რომ არ სჭირდეს მაინც ქე ჩამოსტირის სახე, ეეე, მაგისთანები არ უყვარს ღმერთს, თუ კი არავინ არ მომკვდარა და ავად არავინ გყავს, რა ჯანდაბამ მოგიჯღანა ეგ სახე, - მაგისთანა კაცსაც უთხარი კაი გამარჯობა და შენი სიხარული გადადე, ზოგს შეიძლება სულელი ეგონო ან უდარდელი მარა ღმერთმა ხომ იცის რაცხა ხარ, მარა მეორე შემოგხვდება იმნაირი გულიანი მეზობელი სულ გადაგესარკება გული, მაშინ მიხვდები თლა წასული, რომ არაა ჩვენი საქმე... სიკეთის კეთებას რა უნდა ბიძია?... სიკეთე საცხა გულის კუნჭულში უნდა აცხოვრო და რავარც ჰაერი გჭირდება ისე უნდა გინდოდეს მისი კეთება, ფული კი არაა ყველაფერი... ფული ქონდა ჩემს მეზობელ ხახუტა ლოლაძეს მარა ქე არის მისი სახლკარი დაქცეული და ეზო მოჯეგილი, ფული კი არა გული ჭირდება ადამიანს გული...

მინდა ყველა დაგვაფიქროს ამ სიტყვებმა, მართლა რაზე ვუთვლით ისედაც ხანმოკლე წუთისოფელს დღეებს და რატომ ვანგარიშობთ ფულით... იქნებ სიკეთის კეთებას მართლაც არაფერი ჭირდება, მხოლოდ გული!!!

ღმერთს არ აწყენინოთ,
უფალი განაგებს!

ღმერთს არ აწყენინოთ,
უფალი განაგებს!

## რატომ მოკლეს ლიბიის ლიდერი
## მუამარ კადაფი?!

„ახლა კი მისმინეთ, მივმართავ ნატოს! თქვენ ბომბავთ კედელს, რომელიც აკავებს აფრიკელების მიგრაციას ევროპაში, რომელიც ტერორისტებს აკავებს. ეს კედელი ყოველთვის ლიბია იყო. თქვენ მას ანგრევთ. იდიოტები ხართ. აფრიკელი მიგრანტების და ტერორისტების მიღების გამო მალე ჯოჯოხეთის ცეცხლში გაეხვევით. მე არასდროს ვიტყუები და ეს მალე ახდება“

მუამარ კადაფი

=*მუამარ კადაფი*=

(დ.ფ.) **გადახედეთ ლიბიაში მუამარ კადაფის მიღწევის სიას:**

1. ბენზინი წყალზე იაფი ღირს 1-ლიტრ ბენზინი - 0,14 $
2. ახლად დაქორწინებულებს ბინის შესაძენად 64 000 $-ს ჩუქნიან.
3. განათლება და მედიცინა სრულიად უფასოა.
4. წელიწადში, თითოეული ოჯახის წევრს სახელმწიფო $ 1,000 ჩუქნის.
5. უმუშევარს ყოველთვიურად 730 $.
6. გააუქმა ნატოს სამხედრო ბაზები!!!
7. მედდის ხელფასი 1,000 $.
8. ყოველ ახალშობილს ეძლევა 7,000 $.
9. ბიზნესის წამოსაწყებად ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 20,000 $.
10. მსხვილი გადასახადები და მოსაკრებლები აკრძალულია.
11. ქვეყანაში წარმოებული საქონელი გაყოფილი მოსახლეობაზე (დაახლოებით) 14,192 $

12. საზღვარგარეთ განათლება და სტაჟირება - ქვეყნის ხარჯზე.
13. მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ქსელურ მაღაზიებში, პროდუქტებზე სიმბოლური ფასები.
14. ვადაგასულ პროდუქტების გაყიდვისას - ჯარიმა.
15. ნაწილ აფთიაქებში - მედიკამენტები უფასო.
16. წამლების გაყალბებისათვის - სიკვდილით დასჯა.
17. ბინის, საცხოვრებელი ადგილის გადასახადი (ქირა) არ არსებობს.
18. ელექტრო ენერგიის გადასახადი არ არსებობს.
19. ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და მოხმარება აკრძალულია - „მშრალი კანონი“.
20. კრედიტი ავტომობილის ან ბინის შესაძენად - უპროცენტო.
21. უძრავი ქონების სააგენტოს მომსახურეობა აკრძალულია.
22. ავტომობილის შესაძენი თანხის 50% იხდის სახელმწიფო, სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირების შემთხვევაში - 65%.
23. ხელისუფლებაში მოსვლისას, ქვეყანა დაატოვებინა საერთაშორისო კორპორაციებს.
24. მხოლოდ კადაფის დროს სამხრეთ ლიბიის ფერადკანიანებმა მოიპოვეს ადამიანის უფლება.
25. მისი <<40 წლიანი>> მმართველობის პერიოდში ლიბიის მოსახლეობა 3-ჯერ გაიზარდა.
26. სიკვდილიანობა ბავშვებში 9-ჯერ შემცირდა.
27. სიცოცხლის ხანგრძივობა გაიზარდა 51,5-დან 74,5-მდე.
28. საბედისწერო გადაწყვეტილებაა მისი, - კადაფმა მიიღო გადაწყვეტილება გაეყვანა ლიბია საერთაშორისო საბანკო სისტემიდან და ამ გადაწყვეტილებების გაზიარება სურდა 12 არაბულ სახელმწიფოს.

... მეგობრებო! არ დაფიქრდებით, რატომ მოკლეს - მუამარ კადაფი?

90-იანელი მოზარდ თაობას ისე მოუწამლეს, - სისხლი და გონება, ძველ, წარსულ ცხოვრებაზე კარგს ვერ ათქმევინებ... როგორი წვალებით და მძიმე ტვირთად აგებდნენ, - მეტროს, საგზაო

ინფრასტუქტურებს, ჰესებს, ფაბრიკა - ქარხნებს, თუ გინდ, - „ფაშიზმის“ განადგურება... ძველი და ახალი ისტორია წარსულის გააყოლეს...

## რას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი?

მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჯერ მეოთხედი საუკუნეც არ გასულა, მაგრამ უკვე ბევრს დაავიწყდა, რას წარმოადგენდა იგი. ხანდახან ვხვდებით ნოსტალგიას იმ ეპოქაზე, როდესაც „ფასები არ იცვლებოდა ათწლეულების განმავლობაში“, „ყველა ერის წარმომადგენელი მეგობრულად ცხოვრობდა“, „დიდ სტალინს მსოფლიო პატივს სცემდა!“ და ა. შ. ზოგიერთი ადამიანების აზროვნებით საბჭოთა კავშირი იყო ქვეყანა, სადაც მუდმივად არსებობდა ყველანაირი სამომხმარებლო საქონლის დეფიციტი, „ხალხთა მეგობრობა“ იყო ყალბი ლოზუნგი, „რომელიც რეალურად ემსახურებოდა რუსიფიკაციას, ხოლო სტალინის დროს დაწყებული ქვეყნის მილიტარიზაცია მხოლოდ საგარეო ექსპანსიაზე იყო ორიენტირებული ... ავტორისაგან: (დ.ფ.).

**როგორი იყო საბჭოთ საქართველო?**

მითი და რეალობა (რომელიც არ გვაწყობს) 1990 წლიდან საქართველოში დაარსდა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ქვეყანაში აღიქმება, როგორც საბჭოთა ოკუპაცია. (როგორც მინიმუმ ასე ცდილობდა მიეწოდებინა ეს ინფორმაცია წინა ხელისუფლებას საქართველოს მოსახლეობისათვის და ამაში ძალ-ღონეს არ ხარჯავდა) მაგრამ რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, „საბჭოთა ოკუპაციის“ დროს საქართველოში აღმშენებლობის გზაზე იდგა.

დღეს, როდესაც საქართველოში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი, - დაბალია შობადობა, მაღალი სიკვდილიანობა, დიდია ემიგრაციაში წასულთა და ქვეყანაში შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, კატასტროფულადაა გაუარესებული ეროვნული ვალუტა,

მაღალია უმუშევრობის დონე, ძალიან ცოტაა პენსია და საარსებო მინიმუმი, უტევენ მართლმადიდებლობას, ქართულ ტრადიციულ ფასეულობებს და ყველა სახელმწიფო სტრუქტურა დაძეძგვილია ანტიქართული, ე.წ. სოროსელი კადრებით.

ბევრ ადამიანს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდნენ, - 1960 წლიდან 1980-იანი წლების საქართველო მოენატრათ, საქართველო, რომელშიც ქართველი, სხვა საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობასთან შედარებით, პრივილიგირებულ პირობებში ცხოვრობდა, რადგან 4-ჯერ მეტს მოიხმარდა, ვიდრე აწარმოებდა. დასავლური პროპაგანდისტული მანქანა და ადგილობრივი პროდასავლელები ცდილობენ, საბჭოთა კავშირი და, შესაბამისად, საბჭოთა საქართველო ბნელ, ჩამორჩენილ ქვეყნად წარმოაჩინონ, მაგრამ არის კი ასე?

XX საუკუინის 70-იან წლებში საქართველოს ტერიტორია 69,7 ათას კვ.მ-რი იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში საქართველოში ცხოვრობდა 2,4 მილიონი ადამიანი (გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამდე 1770 წელი - 761 ათასი) 1972 წელს 4,7 მილიონი, ხოლო 1989 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, - 5,4 მილიონი.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში 3,7 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, დაბალი შობადობის, მაღალი სიკვდილიანობის, ემიგრანტისა და იმიგრანტთა უარყოფითი სალდოს („საქსტატის“ მონაცემებით 2016 წელს საქართველოდან გავიდა 98,288 კაცი, შემოვიდა (უცხოელი) 90,228 ათასი, ანუ სალდომ შედგინა მინიმუმ 8,1971 (ათასი კაცი) გათვალისწინებით საქართველოში ქართველები მალე აღმოვჩნდებით უმცირესობაში!!!...

1970-იან წლებში საქართველო იყო ინდუსტრიული ქვეყანა, რომელშიც განვითარებული იყო კვების და მსუბუქი მრეწველობის, მუშაობდა მეტალურგიული, ქიმიური, სამშენებლო და მანქანათმშენებლობის ქარხნები, რომლებიც აწარმოებდნენ ელმავლებს, გამომთვლელ მანქანებს, ავტომობილებს, წყალქვეშა

ფრთიან საზღვაო კატერებს, ტრაქტორებს, ელექტროტექნიკურ მოწყობილობებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ჩაის საკრეფ მანქანებს და სხვა.

1970-იან 1980-იან წლებში საქართველო საექსპორტოდ აწარმოებდა 300 სახის პროდუქციას, რომლებიც მსოფლიოს 70 ქვეყანაში გაჰქონდათ, მათ შორის აშშ-ში! დიდ ბრიტანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, საფრანგეთში, იტალიაში. ამჟამად კი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 8,8 მილიონ დოლარს შეადგენს და იმპორტი გაცილებით აჭარბებს ექსპორტს. სალდო უარყოფითია - 4,1 მილიონი.

1971 წელს საქართველოს ეროვნული შემოსავალი 4,2 მილიონი მანეთი იყო, იმხანად მანეთის ოფიციალური საშუალო კურსი, - 1,5 დოლარი ღირდა, ანუ 1971 წელს საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი 6,04 მილიარდი დოლარი იყო, ამჟამად კი „საქსტატის“ მონაცემებით 3,5 მილიარდი დოლარია(!), თანაც 1970 - წლებში დოლარის შემსყიდველობითი უნარი დღევანდელთან შედარებით გაცილებით მეტი იყო.

...საპენსიო ასაკი მამაკაცის - 60 წელი იყო, ქალის - 55, მძიმე პირობებისათვის, მამაკაცები - 50, ქალების - 45 (მუშაობის 20 - წლიანი სტაჟის შემთხვევაში) საერთო პენსია 70/120 მანეთი იყო, მეტი სტაჟის მქონეს - 300 მანეთი (პერსონალურ პენსიონერს).

## „ერთი მანეთის ყიდვის უნარიანობა“ 1960-1990 წწ.

= 1 მანეთით 100 კოლოფი ასანთი მოდიოდა, 50 ცალი - 12 ფურცლიანი რვეული, 33-ჯერ იმგზავრებდი ტრამვაით (ბილეთი 3-კაპიკი ღირდა) 25-ჯერ ტროლეიბუსით, 20-ჯერ ავტობუსით და მეტროპოლიტენით. შეიძენდი 10 ცალ ხორციან ღვეზელს, თითო 10 კაპიკად, 5 პლომბირიან ნაყინს, 3 - ლიტრა რძეს, 5 კათხა ჩამოსასხმელ ლუდს, 10 კილოგრამ კარტოფილს, 5 ცალ თეთრ პურს, 20 ლიტრ ბენზინს, 10 კვერცხს, და ა.შ. სტუდენტის სტიპენდია 40 მანეთი იყო ფრიადოსნის - 50 მანეთი...

ავტორისაგან: (დ.ფ.) მეგობრებო! 1970-იან წლებიდან საქართველო, - „თევზის საჭერ-სასროლ ბადეში“ ვართ და ნელ-ნელა „ხელის ცეცებით“ მარყუჟისაკენ მოდის, „მამა - მარჩენალი“ ედუარდ შევარდნაძის დასმის შემდეგ!...

...საქართველო 1990 წლიდან დაღმავლობის გზას დაადგა, გავაძევეთ ქართველი ერის მიერ არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, შემდგომ მოვუსწრაფეთ სიცოცხლე. 1991 წლიდან იურიდიული მართველობა დავკარგეთ „სამაჩაბლოში“ მსხვერპლთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან ერთად... 1992/93 წლებში ომი წამოვიწყეთ „აფხაზეთში“. მივიღეთ, 300 000 ათასი ლტოლვილი, 30 000 მსხვერპლთან და 20%-ნტი ტერიტორიის დაკარგვასთან ერთად.

2008 წლის აგვისტოში განმეორებით შევედით „სამაჩაბლოში“, მივიღეთ ახალი ლტოლვილთა რაოდენობა, ათასობით მსხვერპლთან და ერთი დიდი რაიონის (ახალგორის) 150 - ორმოსავლიან სოფლების დაკარგვასთან ერთად.

... ეკონომიკამ და მისმა განვითარებამ უკუსვლა მიიღო, მოიშალა მძიმე და მსუბუქი მრეწველობა. ექსპორტს, იმპორტმა გაასწრო, შევიძინეთ ათასობით პარტიები, - „ლელო“, „გირჩი“, „ფოთოლი“ და

„მაცი ხვიტია“... ყურადღება დაუთმეთ ქუჩის მაწანწალა ძაღლებს და სოფლის განაპირა მოხეტიალე მგლებს, ჩვენი „ოკეანეგაღმელი მეზობლები“ მათ დამცავ პარტიებს კოლოსალურად აფინანსებენ, ხოლო ადამიანის ინტერესების დამცველი „სხვა განედზეა“. ჩართავ ტელევიზორს, - მოკლეს, დაჭრეს, დააპატიმრეს, გაძარცვეს, დააყაჩაღეს, გამოასახლეს, დაწვეს სავაჭრო ცენტრები და ა.შ... ეს ხდება იმ საათებში, როდესაც სამსახურიდან დაბრუნებულმა ადამიანმა უნდა დაისვენოს და დაიძინოს. ჯერჯერობით არ მოქმედებს ღამის საათებში ხმაურზე მიღებული კანონები... პარლამენტის ან ბიუროს სხდომას ჩართავ, - იწყება ურთიერთ ბრალდებები, თითო დეპუტატს ორი მანდატური აკავებს... არჩევნებამდე შარა შარა დადაინ, ავირჩევთ, ტელეეკრანიდან ჭკუას გვარიგებენ...

2020 წლის მონაცემებით ემიგრანტებს, იმიგრანტებმა გაასწრო და თუ ასე გაგრძელდა დღევანდელი შობადობის მაჩვენებლებით, შესაძლებელია საქართველოში, ქართველი ერი უმცირესობაში მოხვდეს!!! მაგალითისთვის „აფხაზეთიც“ გვეყოფა.

დროებით მომავალ შეხვედრამდე.

დონი ფანჩულიძე
ივნისი 2020 წელი

*ოტია იოსელიანი*

გაჭირვება არ ამართლებს ხელმრუდობას, უწესობას. მუდამ უჭირდა ჩვენს ხალხს, მაგრამ ქვეყანას არ ვაქცევდით, არ ვქურდობდით, არ ვძარცავდით, არ ვუსაქმურობდით. ყველაზე დიდი დანაშაული „გაჭირვება არ ამართლებს უზნეობას, გაჭირვება უსაქმურობაა. სამსახური არ იშოვებაო, რომ ამბობენ, რა, ყანა არ იშოვება?! მიდი და დარგე ხე! თუ არ გაქვს ეზო,

ქუჩაში დარგე! პარლამენტში რომ მიძვრებიან, იმათ ერთი ხე დაურგამთ და გაუხარებიათ?! საქმე უნდა გაიჩინო და გექნება! მთავრობა სასურველი არასდროს ყოფილა თუნდაც მდიდარ ქვეყანაში. მთავრობა ძალადობრივია თავისი ბუნებით და არავის უყვარს მოძალადე! მიწის ყველა ნაგლეჯი შენი ქვეყანაა და მოაუარე. ერი შობს კულტურას, რა დონეცაა ერი იმ დონეს ქმნის.

- ოტია იოსელიანი.

## დიდ ბელადს, – იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს მიძღვნილი დაბადების 120 წლის თავზე

მეორე ათასწლეულის ხარ საოცარი გენია,
კაცობრიობას ანცვიფრებს დღეს შენი ფენომენია,
შენს შეფასებას ვერ შეძლებს ვერც ერთი ქვეყნის ბრძენია,
შოთაც რომ იყოს ცოცხალი, დიდი რუსთველი ჩვენია.

სიჭაბუკიდან იყავი სპეტაკი და შორს მჭვრეტელია,
მუშა და გლეხი გიყვარდა ქვეყნად სიკეთის მთესველი,
ქვეყანას ბურჯად ედექი როგორც ურყევი კედელი,
გარდაცვალებულს შეგბედეს, გიწოდეს რკინის მკვნეტელი.

ფაშიზმი გაანადგურე, მსოფლიოს შიშის ზარს სცემდა,
არ მეგულება სხვა ვინმე ჰიტლერს რომ პასუხს გასცემდა,
ამერიკას და ევროპას შიშისგან აცახცახებდა,
და მათი ყველა ლიდერი შენს ვაჟკაცობას აქებდა.

შექმენი უზარმაზარი და უმდიდრესი ქვეყანა,
გართობა, სასმელ-საჭმელი საკმაოდ იყო ჩვენთანა,
კურორტები კი მსურველებს კარებს გიღებდა ყველგანა,
ცოტა გვაკლდა რომ ევროპა ჩვენს მხარეს გადმოგვეყვანა.

შენი გინება დაიწყო მოყოლებული იქიდან,
რაც სათავეში მოექცა სულმაღლიანი ნიკიტა,

რომელმაც ქვეყნის ქონება გაზიდა აქეთ-იქითა,
კახეთში ვაზს დაემუქრა ღვინო არ გვესვა ჭიქითა.

მოთხარეს შენი ძეგლები მტრებს გულს უტკლეცდა შიშითა,
ტანკები ძლივს ერეოდნენ ვაგლახითა და ვიშითა,
ზოგი ტყვიებად გაადნეს, ზოგი დაფარეს მიწითა,
აივსო მთელი ქვეყანა, ბოროტებითა და ქიშპითა.

ხანი გავიდა სიცოცხლე ისევ და ისევ გრძელდება,
მაგრამ კაცური ცხოვრება ამ ქვეყანაზე ძნელდება,
მომავლის უიმედობით ყოველი დილა თენდება,
სიყვარული კი შენს მიმართ არასდროს არ შენელდება.

გიდგამენ ძეგლს და მონუმენტს, ვისაც ეს როგორც ეწყობა,
ზოგს მოსწონს, ზოგსაც არ მოსწონს ამჟამინდელი ეს წყობა,
შენ კი ბელადო შექმენი ისეთნაირი ეპოქა,
რომ გამოცანად მსოფლიოს საუკუნეები ეყოფა.

*რევაზ როყვა*
*2015 წელი*

**რევაზ როყვა ჟურნალისტთან ერთად**
**ლანჩხუთი, სოფელი მამათი**

**Каплан Доментович Панчулидзе -**
**от однополчанина летчиков с 2 февраля 1942г.**
**Через 20 лет после разгрома Фашисткой**
**Германии в Сталинграде.**

**Город Сталинград**
**20.02.1962 г.**

ᲒᲘᲜᲐᲠᲘᲡ „ᲑᲐᲠᲑᲐᲚᲘ“
ᲩᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ
ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘᲐ!!!

ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალ ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ესეც ერთად სახსენებელი არ არის, იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს.

*ილია ჭავჭავაძე*

## სერგი კაკაჩიას!
## „იმედი“

ქ. თბილისის N207-ე საჯარო სკოლის
მე-9 კლასის მოსწავლე 15 წლის სერგი კაკაჩია

გამჩენს, გამზრდელს დაგილოცავ,
იდღეგრძელე შვილო!
საქციელი ჩაიდინე,
შენ, - საშვილიშვილო!
            არაფერში არ ჩააგდე,
            უწმინდური „ტაბუ“,
            ათასობით ვაჟკაცს გული,
            მოუოხე „ბაბუ“...
შენს მომავალს მირონი სცხოს,
რიონმა და მტკვარმა...
- იმრავლოს და გაიხაროს,
ბიჭო, - შენმა გვარმა!

„პედერასტ“ - ნიქო გორგილაძეს „გეი-აქციაზე“ კანცელარიის წინ =დინგში= მოსდო.

=მუშვან ვარმი= მიშა იოსელიანი
2018 წლის 18 მაისი „მილანი“

ავტორისაგან: (დ.ფ.) ჩემო პატარა შვილო!, არ მქონდა უფლება არ მოგფერებოდი, მოგფერებოდი იმ მიზეზის გამო, რომ თქვენ, თქვენს თავზე აიღეთ 3,500 მილიონი ქართველი ერის ღირსების გამოსწორება, იმ ერისა, რომლებსაც თავზე „წამოაცვეს“ ისეთი იდეოლოგია, რასაც ჰქვია, - „მამათმავლობა“, ერთსქესიანთა ქორწინება, რჯულის, სარწმუნოების და ოჯახური ტრადიციების ლანძღვა...

- თქვენ, ჩემო შვილო!, გმირი ხარ და გმირად დარჩები!!!

დონი ფანჩულიძე
ივნისი 2020 წელი
ქ. თბილისი

* * *



ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
მრავალს უწია ცოდვამ.
ვინ რა ყოფილა - გამოჩნდა!
კაცი აღმოჩნდა ცოტა!

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
ცოდვის კითხვაა... ჰოდა!
ყველა ისეთი აღმოჩნდა,
რა წარმოდგენა მქონდა!

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
მიხვდით, ბრძანება ვინ ვინ!
ღმერთი! - თვით ღმერთი გაოცდა!
ამდენი დამპლის ხილვით!

*მუხრან მაჭავარიანი*

# „ოდაო“

გოჩა რევაზიშვილი

ჩემო ბებერო ოდაო,
გადამივიდა მოდაო...
ახლა მთვრალი ვარ ჰოდაო...
შემინდე ენით ბოდვაო.

სად არ ვიყავ და სადაო,
მეც გადამსვლია ვადაო?!
რას გვერჩის წუთისოფელი,
ჭამაში მოსდის მადაო?!

თუმცა არც არის სადავო!
სოფელო ჩემო - ხადაო!
საბანი ღმერთმა დაგვფარა
და მანვე გადაგვხადაო!

*გიორგი (გოჩა) რევაზიშვილი*
*27 ოქტომბერი 2016 წელი.*

# ს ა რ ჩ ე ვ ი


შ ე ს ა ვ ა ლ ი ..... 3
ბ ა ვ შ ვ ო ბ ა ..... 15
ბავშვობის მოგონებები ..... 19
= ჩემი ბავშვობის პირველი ტრაგედია = ..... 24
= შრომითი საქმიანობა = ..... 28
ჩემი გამზრდელი მშობლები ..... 31
= დ ე დ ა = ..... 31
= მ ა მ ა = ..... 35
„...გზა, - რომელიც, რომ შორია!“ ..... 39
= წახალისებები = ..... 52
= წარუმატებელი წელი = ..... 56
“პ ო ლ ი ც ი ე ლ ი ს ა ს ა ვ ა ლ - დ ა ს ა ვ ა ლ ი” ..... 57
ტელეფონოგრამა N666 ..... 94
გამამართლებელი განაჩენები საქართველოში ..... 105
(ჩვენი ქვეყანა ნაძირლების თავშესაფარი გახდა. . .) ..... 105
გაზეთი = ქ რ ო ნ ი კ ა + = ..... 106
ე.წ. - დამატებით მოკვლევის ორგანოები ..... 117
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ..... 118
332-ე მუხლის პირველი ნაწილი ..... 118
არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეების ..... 122
წინააღმდეგ პროფილაქტიკა და მისი ..... 122
გამომწვევი მიზეზების დროული აღმოფხვრა ..... 122
მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა ..... 124
„კარგი სიტყვა, კარგ ადამიანაზე“ ..... 136
= 1989 წლის 9 აპრილი = ..... 139
= საზ. წესრიგის დაცვა დასავლეთ საქართველოში= ..... 147
(სენაკში, ზუგდიდსა და მარტვილში) ..... 147
გაწეული მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში ..... 151
დიდუბის გამგეობაში ..... 151
გაწეული მუშაობის ანგარიში ერთი ..... 161
წლის განმავლობაში ..... 161
„სამების საკათედრო ტაძარი“ ..... 165
= გვარის დალოცვა= ..... 165
„ბოროტების კრიალოსანი“ ..... 173

= უხუცესი დინამოელი = ..... 176
ბოდიშის წერილი, დონი, მეგობარო! ..... 183
60-წლის იუბილეს გილოცავთ ..... 186
ბატონო პოლკოვნიკო, - დონი ..... 186
„წარსულის ფიქრებთან შემობრუნება“ ..... 193
„ჩემი პირველი მასწავლებელი“ ..... 240
პაატა ნათენაძე - აფხაზეთის ომის პირველი მსხვერპლი ..... 242
პაატა ნათენაძე << მოგონება >> ..... 250
ღიმილის ბიჭები“ ..... 252
= გმირებს დავიწყება არ უწერია = ..... 252
ძვირფასო მეგობრებო! ..... 262
რაიონის წარმომადგენლებო! მოწვეულო სტუმრებო! ..... 262
შმაგი სოფრომაძის ხსოვნას ..... 276
ა მ ო ნ ა წ ე რ ი“ ..... 279
ბრძანება გაეცნოს დიდუბის შ/ს რაიგანყოფილების ..... 291
პირადი შემადგენლობა. ..... 291
2018 წელი 17 ოქტომბერი ..... 292
„ომის ვეტერანების დღეა!“ ..... 292
= თადარიგში გასვლის სამზადისში = ..... 324
N23- სექტორი ..... 325
= დამდეგ ახალ 2020 წელს ვულოცავ ძალოვან სტრუქტურას = ..... 328
„დიდგორის ბრძოლა“ ..... 336
ჩემი სიამაყეა! ..... 336
„სიკეთის კეთებას რა უნდა ბიძია?! ..... 346
რატომ მოკლეს ლიბიის ლიდერი ..... 349
მუამარ კადაფი?! ..... 349
რას წარმოადგენდა ..... 351
საბჭოთა კავშირი? ..... 351
დიდ ბელადს, – იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს მიძღვნილი
დაბადების 120 წლის თავზე ..... 356
სერგი კაკაჩიას! ..... 361
„იმედი“ ..... 361
„ოდაო“ ..... 363